ედუარდ კოდუა

სოციოლოგია

ნაკვეთი I

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
1998

I თავი

საზოგადოების თეორია

„სოციზმია ეარაუდი, რომ ტერმინი „საზოგადოება“ სრულიად ცხადია და შეიძლება საზოგადოების და ღმერთის შედარება და დაპირისპირება, როგორც დაკეირებადი და აღნიშენისათვის მისაწედომი მოელენებისა. არაა განსაზღერული საზოგადოება, არაა საზოგადოება საერთოდ, არამედ არის ადამიანთა გაერთიანებანი.

სანამ არაა დაზუსტებული, რა ჯგუფები აღინიშნება „საზოგადოების“ ცნებით, მოსალოდნელია სამიმი ორაზროვნება... თვით გაუგებრობის შესაძლებლობა მიუთითებს საზოგადოების დაუზუსტებელი ცნების გამოყენების საფრთხეზე“.

რაიმონ არონი.

საზოგადოების კატეგორიის ადგილი სოციოლოგიაში

. სოციოლოგიის ყოველი სისტემა იწყება საკითხით: რა არის სოციოლოგია? მასზე უმარტივესი პასუხია: სოციოლოგია მოძღვრებაა საზოგადოების შესახებ. სიტყვა სოციოლოგიის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობაზე დამყარებული სოციოლოგიის განსაზღვრება ამოსავალია მისი ცნებობრივი ექსპლიკაციისათვის, მაგრამ აღნიშნული განსაზღვრება თვითონვე შეიცავს შემდგომ კითხვას: როცა სოციოლოგიას განვსაზღვრავთ საზოგადოების გზით, კითხვა გადაინაცვლებს საზოგადოებაზე, რა არის საზოგადოება? ამ უკანასკნელის გარეშე სოციოლოგიის განსაზღვრება ჰაერში გამოკიდული რჩება. ამიტომ ყოველი სოციოლოგის წინაშე დგას ამოცანა — გაარკვიოს, რა არის საზოგადოება და რა ადგილი უკავია ამ კატეგორიას სოციოლოგიის სისტემაში. ისეთ ცნებათა გვერდით, რომელიც: სოციალური, კულტურა, ცივილიზაცია, ერი, კლასი, გვარი, სახელმწიფო, რასა, თუ სხვა სახის გლობალური ერთობანი და ჯგუფები. სოციოლოგიის განსაზღვრებასთან დაკავშირებით აუცილებელი რომ ხდება საზოგადოების განსაზღვრება, ეს კარგად აქვს გაცნობიერებული პიტირიმ სოროკინს. მის წინაშე უპირველესი საკითხი ისმის: „რა მეცნიერებაა სოციოლოგია, როგორია მისი შესწავლის საგანი და, ბოლოს, როგორია ამ დისციპლინის მთავარი განყოფილებანი? ამ

კითხვებზე ყველაზე ზოგადი და გავრცელებული პასუხია: სოციოლოგია მეცნიერებაა საზოგადოებაზე და საზოგადოებრივ მეცნიერებაში გამოვლენილ კანონზომიერებებზე. სოციოლოგიის ასეთი განსაზღვრება გამომდინარეობს სიტყვა „სოციოლოგიიდანაც", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „სიტყვას (მეცნიერებას) საზოგადოების შესახებ". მისგან გამომდინარეობს, რომ სოციოლოგიის შესწავლის საგანია საზოგადოება, ანუ საზოგადოებრივი მოვლენები. ასეთია სოციოლოგიის ყველაზე გავრცელებული განსაზღვრება, მაგრამ ამ განსაზღვრებით ვერ დავკმაყოფილდებით, მას ოდნავ თუ დაეუკვირდებით, დაისმის კითხვები: რა არის საზოგადოება? როგორია საზოგადოებრივ მოვლენათა ნიშნები, რომლებიც მას განასხვავებენ სხვა მოვლენებისაგან?" (135, 27). თუმცა ავტორი მრავალ საინტერესო მოსაზრებას აყენებს საზოგადოების განსაზღვრების სიძნელეებთან დაკავშირებით, მაგრამ, ეფიქრობთ, ძალიან შორიდან იწყებს საზოგადოების სფეროს შემოსაზღვრას, როცა არაორგანული სამყაროს სიმრავლეთა გამიჯვნას ახდენს საზოგადოებიდან. ეს არ იქნებოდა საჭირო თუ თავიდანვე ამოსავლად აიღებდა საზოგადოების სუბიექტების ცნებას. რა არის საზოგადოება? ამ კანონზომიერი კითხვის მიმართ პასუხის გასაცემად არაა საჭირო იმის მტკიცება, იქნება თუ არა ქვების გროვა საზოგადოება, ან ჭიანჭველათა თავმოყრა, ან ფუტკართა გუნდი, ან კიდევ მათ შორის მიმართებანი, უკეთესია თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ საქმე გვაქვს ადამიანებთან და საკითხს ვსვამთ — ადამიანთა როგორ ერთობას და ურთიერთობის რა ფორმას შეიძლება ეწოდოს საზოგადოება. ამ გზით მიდის რუდოლფ შტამლერი, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის ფორმებში განასხვავებს ბიოლოგიურ და სოციალურ თანაარსებობას, გამორიცხავს ბიოლოგიურს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმებიდან და ჩერდება სოციალურზე. საკითხის ასეთი დაყენებისას ზედმეტია პიტირიმ სოროკინისეული მსჯელობა: „თუ ქვების გროვა, ცხენების რემა, ხეების ჯგუფი (ტყე) იქნება საზოგადოება, მაშინ, ცხადია, სოციოლოგია იქნება „ყოველისმომცველი მეცნიერება". როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოების გასაგებად ადამიანს თუ ავიღებთ ამოსავლად, ამ ხელოვნურად გამოსარიცხ სფეროებს თავიდან ავიცილებთ. აღნიშნული ეხებოდა საზოგადოების წვდომაში არსებულ სიძნელეებს და მისდამი მისასვლელ გზებს. მაგრამ თვით საზოგადოების გაგებაშიც არაა ერთიანობა. ყოველი მოაზროვნე თავისებურად იაზრებს ამ კატეგორიაში მოაზრებულ ფენომენს და არა მარტო საზოგადოებას, არამედ ამ კატეგორიის ადგილსაც სოციოლოგიის სტრუქტურაში. ზოგიერთი სოციოლოგიის საგნის განსაზღვრებაში განიხილავს ამ ფენომენს, რადგან სწორედ მისი გზით გადაწყდება სოციოლოგიის საგნის საკითხი (პიტირიმ სოროკინი, ოგბარ შპანი და სხვები), მაგრამ არის განსხვავებული მოსაზრებანიც, კერძოდ: საზოგადოება გაგებულია,

როგორც სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი ფორმა და განიხილება სოციალური სტრუქტურის გამომხატველ სხვა კატეგორიებთან ერთად (სმელზერი). მრავალგანზომილებიანია საზოგადოების ცნების გაგებაც, ისე როგორც ფილოსოფიის არსებას ვერ გავიგებთ იმის მიხედვით, რა ფენომენებს უწოდებენ ფილოსოფიას, საზოგადოების არსებასაც ვერ გავიგებთ იმითი, რას უწოდებენ საზოგადოებას ყოველდღიურ ხმარებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც საზოგადოებით აღნიშნავენ ადამიანთა ყოველგვარ გაერთიანებას თუ თავმოყრას, — იქნება ეს სპორტული გაერთიანებანი, კოოპერატიული, თუ პროფესიული ერთიანობის ბაზაზე გაერთიანებულ ადამიანთა ერთობლიობა. არსებობს კოოპერატორთა საზოგადოება, ვაჭართა საზოგადოება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ინვალიდთა საზოგადოება და სხვა. საზოგადოება გამოიყენება აგრეთვე რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებით თავმოყრილ ადამიანთა ერთობლიობის მიმართ, — იქნება ეს ქორწილი, თუ გასვენება, მიტინგი თუ მანიფესტაცია. საკითხი უნდა დაისვას, არის თუ არა რაიმე კრიტერიუმი, რომლითაც დავადგენთ, რა სახის ადამიანთა თავყრილობებს თუ სოციალური ურთიერთობების ფორმებს შეიძლება ეწოდოს საზოგადოება და რა მნიშვნელობები შეიძლება ჰქონდეს ამ ცნებას. თუ დადგინდება საზოგადოების ცნების სხვადასხვა მნიშვნელობანი, უნდა გაირკვეს, ისინი განიხილებიან სოციოლოგიაში, თუ ზოგი მათგანი არაა სოციოლოგიის საგანი.

საზოგადოების ცნება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზოგადად პრედიკატიზირების გარეშე და პრედიკატიზირებულადაც, რომელიც საზოგადოების ამა თუ იმ სახეობაზე, თუ ფორმაზე მიუთითებს. სანამ საზოგადოების სახეობებს განვიხილავდეთ, განესაზღვროთ საზოგადოების ცნება ზოგადად. უნდა გაირკვეს, აგრეთვე, არის თუ არა მნიშვნელობით მასთან დაახლოებული სხვა ცნებები და როგორი იქნება საზოგადოების ცნების მიმართება მათდამი. ზოგიერთი მკვლევარი საზოგადოების ცნების ანალიზით ეძებს სოციალურის და სოციალური ფაქტის გაგებასაც. მიაჩნია, რომ საზოგადოებით გაირკვევა სოციალურის ცნებაც. ასეთია მიხაკო წერეთელის თვალსაზრისი. მისი აზრით, საზოგადოება არის ადამიანთა მიზანშეწონილი საქმიანობა, მათი ძალების შეერთება მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად/ და შემდგომ სვამს კითხვას: ამ ფრაზაში სადაა სოციალურის ცნების ბირთვი? — მოთხოვნილებებში, მოქმედებაში, მიზანშეწონილობაში, თუ ძალთა შეერთებაში? პირველ სამს გამორიცხავს და მეოთხეზე ჩერდება, რადგან მასში ხედავს სოციალურობის ელემენტს და კითხვას სვამს: ადამიანთა როგორ შეერთებაშია სოციალური ფაქტი? როგორც ვხედავთ, საკითხის დაყენებისას მიხაკო წერეთელთან საზოგადოების გვერდით ამოცანადაა დასახული სოციალურისა და სოციალური ფაქტების გან-

საზღვრება. მისთვის ეს ცნებები ერთ განზომილებაში მოძრაობენ. სხვა მოაზროვნეთა უმრავლესობა საზოგადოების ცნების ანალიზისთვის არ მოუხმობს სხვა ცნებებს და არ ეძებს სინონიმებს.

[საზოგადოების ცნების ანალიზი უნდა მოხდეს აბსტრაქციის დონეების გათვალისწინებით. ჯერ უნდა დადგინდეს საზოგადოება უზოგადესი მნიშვნელობით, შემდეგ კი მოხდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით საზოგადოებათა კლასიფიკაცია.]

სანამ აბსტრაქციის სხვადასხვა დონეზე განვიხილავდეთ საზოგადოების ცნებას და განვახორციელებდეთ საზოგადოებათა ტიპოლოგიას, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საზოგადოების ის ნიშნები, რომლებიც აბსტრაქციის ყველა დონეზე ახასიათებს ამ ცნებით გამოხატულ ფენომენებს. [თუ, როგორც კოლინგვუდი აღნიშნავს, ამოსავალია მტკიცება, რომ საზოგადოება მხოლოდ ადამიანთაგან შედგება და არც ნივთები და სხვა არსებანი არ იმსახურებენ საზოგადოებრიობის მიწერას, ესე იგი თავიდანვე გვექნება გარკვეული საზოგადოების სუბიექტი, ადამიანის სახით] საკითხი უნდა დავსვათ: რა შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოების ცნება ადამიანებთან მიმართებაში — ერთი ინდივიდი, ორი ინდივიდი, თუ ინდივიდთა სიმრავლე არის აუცილებელი იმისათვის, რომ საზოგადოება მივიღოთ? ერთი ინდივიდი რომ ვერ იქნება საზოგადოება და რომ აუცილებელია ინდივიდთა სიმრავლე, ამის დამტკიცება არ უნდა იყოს რთული. მაგრამ საკითხი ისმის, როდის მიიღება ცალკეულისაგან სიმრავლე, როგორც ძენონის აპორიაშია, როდის ხდება ადამიანი ქაჩალი, ან მარცვლების ერთობლიობა — გროვა? ამაში გაცნობიერებულია ერთიდან სიმრავლეში გადასვლის სიძნელეები და ასეთი სიძნელე ჩვენს შემთხვევაშიც ძალის მქონეა. რა რაოდენობის ადამიანთა ერთობლიობა იქნება საზოგადოება? როგორ მიიღება ერთიდან სიმრავლე, ინდივიდიდან საზოგადოება? რამდენი კაცია საჭირო — ათი, ოცი, ასი, რომ მათ მიმართ გამოვიყენოთ საზოგადოების ცნება? ერთი რამ ფაქტია, რომ ადამიანთა სიმრავლის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული ეს ცნება. [რამდენიმე ადამიანის თავყრილობის გამოსახატავად სოციოლოგიას აქვს მცირე ერთობის გამომხატველი ოჯახისა და ჯგუფის ცნებები, საზოგადოება კი არის ინდივიდთა, ოჯახთა და ჯგუფთა სიმრავლე.] კვლავ დაისმის კითხვა: ადამიანთა ყოველი სიმრავლის მიმართ შეიძლება თუ არა საზოგადოების ცნების გამოყენება? უკვე იმ ფაქტიდან, რომ საზოგადოების მისაღებად ადამიანებია საჭირო და არა ინდივიდი, ცხადია, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს რაღაცნაირი მთლიანობითი ხასიათი, ესე იგი ის არ უნდა იყოს განცალკევებულ ინდივიდთა თავმოყრა; ინდივიდთა გროვა, არამედ ერთმანეთთან კავშირში მყოფთა ურთიერთქმედებით შეერთებულ ადამიანთა ერთობა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების პირველი ელემენტია ადამიანთა სიმრავლე, მეორე კი მათ შორის კავშირი. „საზოგადოება

ნიშნავს არა მარტო რამდენიმე ერთეულის ერთობლიობას, არამედ გულისხმობს, რომ ეს ერთეულები არ არიან იზოლირებული, პირიქით, ერთმანეთთან ურთიერთქმედების პროცესში იმყოფებიან. მაშასადამე, საზოგადოების ცნება გულისხმობს არა მხოლოდ რამდენიმე ერთეულს, არამედ მოითხოვს, რომ ეს ერთეულები ურთიერთქმედებაში იმყოფებოდნენ (135, 28). მაგრამ არც ერთი და არც მეორე: ადამიანთა სიმრავლე და მათი კავშირიც, ისე როგორც მათი ერთობა, არაა საკმარისი საზოგადოების დასახასიათებლად და იმ სპეციფიკურის გამოსაყოფად, რაც რამენაირად ურთიერთდაკავშირებულ ადამიანთა ერთობას განასხვავებს საზოგადოებისაგან, როგორც ადამიანთა სიმრავლის გარკვეული წესით ორგანიზებული კავშირიდან სიმრავლეც და ურთიერთკავშირიც მრავალ ადამიანთა ერთიანობაშია, მაგრამ ეს ერთიანობა ყოველთვის როდია საზოგადოება.

განსხვავებით პიგირიმ სოროკინისაგან, რომელიც სიმრავლისა და ურთიერთკავშირის ფორმებს განიხილავს ჯერ არაორგანულ, შემდეგ ორგანულ და შემდეგ ადამიანთა სამყაროში, აჩვენებს, რომ პირველი ორიდან საზოგადოება არ მიიღება, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია შემოვიფარგლოთ ადამიანთა სიმრავლით და ვაჩვენოთ, რომ საზოგადოების სუბიექტების, ადამიანების ყოველგვარი ერთობა და კავშირი არ არის საკმარისი საზოგადოების მისაღებად. მაგარებლის მგზავრები სიმრავლესაც ქმნიან და დაკავშირებულიც არიან ერთმანეთთან, ყოველ შემთხვევაში დროსა და სივრცეში, ენობრივი კომუნიკაციის დონეზეც საუბრობენ, შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს და სხვა, მაგრამ ისინი არ ქმნიან საზოგადოებას. საერთოდ, დროის მცირე მონაკვეთში ადამიანთა სიმრავლის დაკავშირება არაა საკმარისი იმისთვის, რომ საზოგადოება მივიღოთ. ამდენად, მართებული იყო სპენსერის მცდელობა — დროითი მომენტი შეეტანა საზოგადოების განსაზღვრებაში და მისი მტკიცება (რომელსაც შემდეგ სხვებიც გაიზიარებენ), რომ საზოგადოება არ არის ადამიანთა უბრალო თავმოყრა, როგორიცაა პროფესორის მოსასმენად მოსულ ადამიანთა აუდიტორია, რომელიც იმლება ლექციის შემდეგ. სპენსერს მიაჩნია, რომ საზოგადოება არ არის ინდივიდთა დროებითი თავმოყრა, იგი მათი მუდმივი კავშირია, დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საზოგადოება არის კავშირის ისეთი ფორმა, რომელიც გამოირჩევა სიმყარით და რომელსაც დროითობისადმი მდგრადობა ახასიათებს. ყურადსაღებია ამ მიმართებით განსხვავებული თვალსაზრისებიც, რომლებშიც დროითობას ენიჭება განმსაზღვრელი მნიშვნელობა, მაგრამ არა იმ აზრით, რომ ადამიანთა დროითი თავმოყრა განსხვავებულ იქნეს საზოგადოების, როგორც შედარებით მყარი და მუდმივი ერთობისაგან, არამედ იმ გაგებით, რომ დროითობა ჩაითვალოს საერთოდ საზოგადოებრიობის მაჩვენებლად და თუნდაც ეს

იყოს დროში ორი ადამიანის კავშირი, ის გაგებულ იქნეს საზოგადოებად. ამ კავშირის შიგნით კი განსხვავებულ იქნეს ორი ტიპის საზოგადოება: დროებითი და მუდმივი. მაშასადამე, ადამიანთა ყოველგვარი კავშირი რაოდენობისა და დროის მიუხედავად, წოდებულია საზოგადოებად და დიფერენციაცია ხდება დროითი კავშირის სიმყარის, თუ მომენტალობის მიხედვით. ამ თვალსაზრისს ავითარებს კოლინგვუდი მისი მტკიცებით, უნდა განვასხვავოთ „წარმავალი და მუდმივი საზოგადოება. მხედველობაში ის კი არა მაქვს, რომ ზოგი საზოგადოება მხოლოდ დროში არსებობს, სხვები კი მარადიულია. არცერთი საზოგადოება არაა მარადიული და საერთოდ ადამიანურს მარადისობა არ ახასიათებს, მაგრამ აღნიშვნის ღირსი განსხვავება მაინც რჩება. ეს არის განსხვავება ღონისძიების ორ სახეობას შორის. ერთი მოწოდებულია დასრულდეს დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლის შემდეგ — ამას ვუწოდებთ გარდამავალ ღონისძიებას. მეორე მოწოდებულია ბედნიერი მსვლელობისათვის და მასში არაა ნაგულისხმევი დროის გარკვეული მონაკვეთი — ამას ვუწოდებთ მუდმივ ღონისძიებას. წარმავალი ღონისძიება შეიძლება ერთსაათიანი გასეირნება, ან ხნულის გავლება იყოს. მუდმივი ღონისძიების დროის ხდომილებას უკავშირებენ დროის მომავალ მონაკვეთს. ორი პიროვნებისაგან შემდგარი საზოგადოება, რომლის წევრები ერთობლივ გასეირნებას აპირებენ X საათის განმავლობაში, ან Y მილის მანძილზე, არის დროებითი საზოგადოება, იგულისხმება, რომ ის დაიმლება, როგორც კი საათების, ან მილების ეს რაოდენობა დასრულდება. განსაზღვრული მიმართულების ანტიკურობის შემსწავლელი საზოგადოება არის მუდმივი, რადგან მისი მონაწილენი ვარაუდობენ, რომ მათი შემდგომი ყოველი მიღწევა ახალ საფეხურებს აღმოაჩენს და ახალ მომხრეებს მიიზიდავს". (79, 105). ასეთი თვალსაზრისი არ უნდა იყოს მართებული, რადგან საზოგადოება არსებითად ადამიანთა სიმრავლის დროში მყარი კავშირის გამომხატველია და ორი ადამიანის დროებითი კავშირი არ იმსახურებს საზოგადოების ცნებით აღნიშვნას. ყოველდღიურ ხმარებაში შეიძლება ასეთი ფორმის გამოყენება, მაგრამ მეცნიერული ანალიზი უფრო შორს უნდა მიდიოდეს საზოგადოების გაგებაში.

მაშასადამე, ადამიანთა სიმრავლე და დროში მყარი კავშირი საზოგადოებრიობის აუცილებელი პირობებია, მაგრამ არაა საკმარისი, რადგან არაა განსაზღვრული, როგორი შეიძლება იყოს კავშირის ფორმა, რომელსაც შეიძლება საზოგადოებრივი ეწოდოს და არის თუ არა კავშირის გარკვეული ფორმები, რომლებიც გამორიცხავს სხვა ცხოველთა შორის ამ კავშირების ძიებას და მხოლოდ ადამიანებს ახასიათებს. თვით ადამიანთა შიგნითაც იქნება თუ არა კავშირის ფორმები განსხვავებული ხასიათის? სოციოლოგებს შორის არ არის აზრთა ერთიანობა საკ-

ითხში: ცხოველთა სამყაროს ახასიათებს თუ არა საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა? ზოგიერთი სოციოლოგი მიუთითებს ჭილყვავებში, თახვებში, ფუტკრებში სოციალური ორგანიზაციის თავისებურ ფორმებზე, შრომის დანაწილების ჩათვლით, რაც მათი აზრით, არის იმის საფუძველი, რომ ცხოველებზეც გავავრცელოთ სოციალური ცხოვრების ცნება და მათაც ვუწოდოთ საზოგადოება. ცნობილია ესპინანსის სისტემატური მცდელობა ცხოველთა სოციოლოგიის დადგენის მიმართულებით. ორგანიცისტებიც მიუთითებენ ადამიანის გარდა სხვა არსებებში, სოციალურის არსებობაზე. მაგრამ არის საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, ცხოველთა სამყარო თავიდანვე უნდა გამოვრიცხოთ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან, რადგან ის, რაც მათ „კოლექტიურ ცხოვრებას", თუ „ყოფიერების ორგანიზაციას" ავლენს, ფაქტობრივად ბუნებრივია და არა სოციალური, რადგან ყოფიერების და ორგანიზაციის ეს წესი მათ თანდაყოლილი აქვთ და არ შეუძენიათ ერთობლივი ცხოვრების პერიოდში. ყოველივე, რასაც ცხოველებში სოციალურს ვუწოდებთ, შრომის დანაწილების პრიმიტიული ფორმების ჩათვლით, ფაქტიურად მათი ინსტინქტური უნარებითაა განპირობებული და არაა სოციალიზაციის, შეთანხმების, თუ საერთო პრინციპების შემუშავების შედეგი. ამიტომ მართებულია იმათი თვალსაზრისი, ვინც ბუნებრივი ორგანიზაციის ფაქტებს განასხვავებს საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებისაგან და არა მარტო ასეთ ფაქტებს არ მიიჩნევენ საზოგადოებრიობის მაჩვენებლად ცხოველებში, არამედ ადამიანთა კავშირის ყველა ფორმასაც არ შეიტანენ საზოგადოებრიობის მაჩვენებლებში. შტამლერის აზრით, ადამიანთა ერთობლიობის თუ თანაარსებობის ორი ფორმა უნდა გაირჩეს — ბუნებრივი და სოციალური. ბუნებრივი ფორმა ისაა, რაც ადამიანებს საერთო აქვთ ცხოველთა სამყაროსთან, ის ბიოლოგიური თანაარსებობაა. ადამიანებს შორის ბიოლოგიური კავშირის ფორმები სოციალიზებულია, მაგრამ მაინც ბიოლოგიურ ხასიათს ატარებს, რადგან არაა სოციალური ორგანიზაციის შედეგი. ამიტომ ბიოლოგიური თანაარსებობა არაა საზოგადოებრიობის მაჩვენებელი. შტამლერი და მისი მიმდევრები თვლიან, რომ საზოგადოებრიობის მაჩვენებელია ცხოვრების რეგულირება თუ გარეგანი მოწესრიგებულობა. როგორც მიხაკო წერეთელი ამტკიცებს: შტამლერის აზრით, ასეთი მოწესრიგებულობა არ ახასიათებს ცხოველებს და არც ადამიანთა ურთიერთობის ბუნებრივი ფორმები არაა სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შესახებ მეცნიერების ობიექტი, ის ბუნებისმეცნიერების ობიექტია. „ადამიანთა მხოლოდ ფიზიკური არსებობა და მოუწესრიგებელი არანორმირებული მოღვაწეობა, რომლებიც ცხოვრობენ ერთსა და იმავე დროში და ადგილზე, ვერ გაგვიყვანდა ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ელემენტარული ბუნებრივი პროცესების კვლევის და შესწავ-

ლის სფეროდან, ისე როგორც ამას აკეთებს ბუნებისმეტყველება. როცა საკითხი ეხება ადამიანთა საზოგადოებრივ ყოფიერებას, ე. ი. მათ ერთობლივ ცხოვრებას, რომელიც რეგულირდება გარეგანად, მაშინ დგინდება ახალი, სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი ადამიანთა ურთიერთმიმართების შესახებ. მითითებული შემეცნებითი პირობის შედეგად, სოციალური მეცნიერების ობიექტები ბუნების მეცნიერებათა ობიექტების დიამეტრულად საწინააღმდეგოა, ამიტომ ყოველივე, რაც ოდესმე თქმულა ცხოველთა და მცენარეთა თანასაზოგადოებაზე, შედის მხოლოდ და მხოლოდ ბუნებისმეცნიერების სფეროში, მას არაფერი აქვს საერთო საზოგადოების შესახებ მეცნიერებასთან ამ უკანასკნელს ობიექტად აქვს ადამიანთა გარეგანად რეგულირებული ერთობლივი ცხოვრება და მისგან გამომდინარე ურთიერთმიმართება. ამრიგად, ჩვენი გამოკვლევის ძირითადი ხაზი განასხვავებს ადამიანთა თანაცხოვრების ორ შესაძლო სახეობას: წმინდა ფიზიკური თანაარსებობა სხვა ცხოველთა ცხოვრების მსგავსად და გარეგანად რეგულირებული თანაცხოვრება ადამიანთა სოციალური ყოფიერების სახით. ე. ი. ცხოველთა თანასაზოგადოება და ანალოგიურად ჰიპოთეზურად ნავარაუდევი ერთად მცხოვრებ, ადამიანთა წმინდა ფიზიკური თანაარსებობა ერთნაირად განსხვავდება ადამიანის სოციალური ცხოვრებიდან, როგორც ისეთი არსებობიდან, რომელიც დაკავშირებულია გარეგან რეგულირებასთან" (160, 99-100). ამრიგად, საზოგადოება ადამიანთა მყარი ურთიერთკავშირის ფორმაა, განსხვავებული მათი ბიოლოგიური თანაარსებობისაგან. მაგრამ აქ კვლავ სიძნელე იჩენს თავს — ბიოლოგიური კავშირის ფორმები, თუ საარსებო საქმიანობაც, ისე როგორც გამრავლების ბიოლოგიური სისტემა, ადამიანთა შორის ურთიერთობაში არ ატარებს წმინდა ბიოლოგიურ ფორმას, ისინი სოციალიზებულია და გარკვეულ ნორმათა ტაბუთა თუ სოციალურ ღირებულებათა ჩარჩოებშია მოქცეული. რა საფუძველია იმისათვის, რომ ასეთი კავშირები გავუიგივოთ ცხოველურ-ბიოლოგიური თანაარსებობის ფორმებს? ადამიანთა ურთიერთობებში ეს კავშირები თავისებურად იცვლებიან, მათი ნორმატივიზებული ხასიათის გამო. აღნიშნულის მიუხედავად, თუნდაც გამოვრიცხოთ ისინი საზოგადოების შემქმნელი კავშირის ფორმებიდან, ყოველივე ამის შემდეგ დაგვრჩება თუ არა ის, რაც შეიძლება საზოგადოებრივ ურთიერთობათა და კავშირთა სისტემად წარმოვიდგინოთ. იქნება თუ არა, მაგალითად, ადამიანთა ისეთი სიმრავლე, როგორიცაა ბრბო, საზოგადოებად ყოფნის მაჩვენებელი? სოციოლოგთა უმრავლესობა ბრბოს გამორიცხავს საზოგადოებრივი ყოფიერების გამოვლენათა ფორმებიდან იმის საფუძველზე, რომ ბრბო არაა ადამიანთა ორგანული სოციალური კავშირის ფორმა, იმის საფუძველზე, რომ ბრბოს მოქმედება ემყარება ინსტინქტებს და არაა ცნობიერების ნიშნის მატარე-

ბელი. საზოგადოება ადამიანთა მოწესრიგებული ურთიერთობის ფორმაა, ბრბოს კი სწორედ მოწესრიგებულობა აკლია. საზოგადოება ძირითადად გვაქვს იქ, სადაც ცნობიერ კავშირთა სისტემები მყარდება, სადაც გამსაზღვრელია ცნობიერება, იმდენად, რომ ზოგიერთ სოციოლოგს სოციალურობის აბსოლუტურ კრიტერიუმად მიაჩნია ურთიერთობათა ცნობიერი სისტემა და ცნობიერება. სულ ერთია, იქნება ეს თვითცნობიერება თუ სხვათა ცნობიერება, ან ორივეს კავშირი, ყველა შემთხვევაში საზოგადოებას უკავშირებენ ცნობიერებას, ბრბო კი სწორედ ცნობიერებას მოკლებულ, ინსტინქტით მოქმედ ადამიანთა გროვაა და არა ერთობა. ფრანკლის თქმით, „ბრბო პიროვნებადაკარგულ ადამიანთა სიმრავლეა, საზოგადოება კი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანთა ერთიანობაა“ (147, 200). როგორი არასრულიც არ უნდა იყოს აღნიშნული განსხვავება, ერთი რამ ცხადია, ბრბო არაა საზოგადოება და საზოგადოება გამორიცხავს ადამიანთა ისეთი კავშირის ფორმას, როგორიცაა საკუთარი ნებელობის გარეშე მოქმედ ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც მთავარნების ობიექტებია და არა ნებელობით მოქმედი არსებანი. მაშინაც, როდესაც ბრბოს უნდა მივაწეროთ ცნობიერება, მას ვერ მოვნათლავდით ჯოგურ ცნობიერებაზე უფრო მეტად. ინდივიდუალობა და პიროვნულობა ბრბოში გამორიცხულია. საზოგადოება კი, სწორედ იმ ადამიანთა ერთობლიობაა, რომელთა უმრავლესობა მაინც ხასიათდება ინდივიდუალობით და პიროვნულობით, ამას კი მათ ცნობიერება ანიჭებს. ამიტომ მართებულია იმ სოციოლოგთა მოსაზრებანი, რომლებიც საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელად ცნობიერებას მიიჩნევენ. კოლინგვუდი, რომელიც აანალიზებს სიტყვა „საზოგადოების“ რომის სამართლისეულ წარმოშობას, უჩვენებს, რომ საზოგადოება არის იქ, სადაც ადამიანები თავიანთი ცნობიერებით წარიმართებიან საერთო ამოცანების გადასაწყვეტად. „ჩემი ცნობიერება სხვის ცნობიერებასთან ერთად, რასაც „ჩვენით“ აღნიშნავთ, არის საზოგადოების მაცემენტირებელი. ჩემი და თქვენი ცნობიერება სოციალური ცნობიერებაა, თვითონობის ცნობიერება მიმართებაშია სხვის ცნობიერებასთან, მე — არამესთან“. სოციალური ცნობიერების, მესა და შენის გაცნობიერების, მათი ნებელობისა და ნებელობის საფუძველზე თავისუფლების ცნობიერების გარეშე, კოლინგვუდის აზრით, არაა საზოგადოება. „ადამიანს, ჩართულს რაიმე საერთო საქმეში ზოგადი წარმოდგენა აქვს ამ საქმეზე მთლიანად და კერძოდ, თავის მონაწილეობაზე ამ საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ ექნებოდა სოციალური ცნობიერება, ხოლო სოციალური ცნობიერების გარეშე არაა საზოგადოებაც“. (79, 100). თვით თავისუფალი პიროვნებანიც ვერ შეადგენენ საზოგადოებას, თუ მათ არ ექნებათ ამ თავისუფლების ცნობიერება, რადგან გაცნობიერების გარეშე თავისუფლებას ვერ შეიგრძნობენ. „არცერთ ადამიანს არ შეუძლია

თავისუფლად გრძნობდეს თავს, თუ ის არ ეკუთვნის სხვა თავისუფალ ადამიანთა ერთობლიობას, რომელნიც მასთან ერთად შეადგენენ საზოგადოებას". (79, 104) [ამრიგად, საზოგადოება არაა შემთხვევით თავმოყრილ ადამიანთა ერთობლიობა, არამედ განსაზღვრული ბუნების მქონე ნებელობით, თვითონობით თავისუფლად მოქმედი და მათი ერთიანობის გამცნობიერებელი ადამიანთა ერთიანობაა, რომელსაც გააჩნია სოციალური ცნობიერება/ ეს სოციალური ცნობიერება ისაა, რაც ადამიანთა ერთობლიობას ხდის საზოგადოებად/ თუ განხილულ ნიშნებს დავაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ საზოგადოება ყოფილა ურთიერთდაკავშირებულ ადამიანთა სიმრავლე, რომელთაც საერთო აქვთ ინდივიდუალური და სოციალური ცნობიერება.] იმის გამო, რომ ცნობიერება საზოგადოებისათვის აუცილებელი ელემენტია, [ცნობიერებას მოკლებულ არსებებს არ მიეწერება საზოგადოებრიობა და მათ სოციალობაზე მსჯელობა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობითაა.] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვინც საზოგადოების ყოფიერების აუცილებელ პირობად ცნობიერებას მიიჩნევს, ყოველთვის როდი მიიყვანს ამ ცნობიერებას სოციალურ ცნობიერებამდე, ე. ი. მესა და არამეს კავშირის გაცნობიერებამდე. ზოგჯერ კმაყოფილდებიან მეს მიერ საკუთარი მეობის გაცნობიერებით და საზოგადოების შესაქმნელად საკმარისად მიიჩნევენ თვითცნობიერებასაც. ისე გამოდის, თითქოს თვითცნობიერება სოციალურ ცნობიერებასთან შედარებით დაბალი საფეხური უნდა იყოს და მისი დასახვა საზოგადოების შემქმნელად ნაკლები ღირებულების ფაქტორის დასახელებაა. მაგრამ [რ]ეალურად თვითცნობიერება უფრო გვიანდელი პროდუქტია, ვიდრე სხვათა ცნობიერება. კაცობრიობა თვითცნობიერებამდე გაცილებით გვიან მივიდა, მანამდე კი ადამიანის ცნობიერება გარეგან სამყაროზე იყო მიმართული, ცხოველთან ერთად. ადამიანს პირველ საფეხურზე, ისევე როგორც ცხოველს, არ შეეძლო საკუთარ თავში ჩაღრმავება, მხოლოდ შემდგომ ეტაპზე ხდება თვითცნობიერების ფორმირება.] ამიტომ თვითცნობიერება განვითარების უფრო მაღალი საფეხურია და თვითცნობიერების დასახვა საზოგადოების შემქმნელად უფრო მეტის მოთხოვნის წაყენებაა, ვიდრე ცნობიერებაა. სოციოლოგები, რომლებიც თვითცნობიერებას თვლიან საკმარისად საზოგადოების შესაქმნელად, სწორედ იქიდან ამოდიან, რომ [თ]ვითცნობიერება, ცნობიერებასთან შედარებით პრიმატის მქონეა. ამ თვალსაზრისის წარმომადგენელ გუსტავ ადოლფ ლინდესის აზრით: „თვითცნობიერების" უპირატესობა „ცნობიერებასთან" შედარებით, ინდივიდუალური გონითი ცხოვრების ფარგლებში ისაა, რომ ყველა სულიერი მოძრაობა კონცენტრირდება მათ გამაერთიანებელ ერთ ელემენტში. რომლის გამოხატულება განსაზღვრებას არ ექვემდებარება — ესაა „მე". ეს „მე" საზოგადოებაში ფარითოვდება „ჩვენამდე". როცა ცალკეული პიროვნებანი არა

მარტო მონაწილეობენ მთელი საზოგადოების მდიდარ გონით ცხოვრებაში, არამედ მათთან ერთად აცნობიერებენ ამ მონაწილეობას. (73, 30-31). ყოველ შემთხვევაში ცნობიერება იქნება თუ თვითცნობიერება საზოგადოების შემქმნელი, აქ საკითხის გადაწყვეტაში არსებითი დაპირისპირება არ არის. ამ თვალსაზრისის წარმომადგენლებს საერთო აქვთ ცნობიერების აღიარება საზოგადოების შემქმნელ ფაქტორად. ეს ცნობიერება ერთ შემთხვევაში იქნება სოციალური ცნობიერება, მეორეში — თვითცნობიერება. ამრიგად, საზოგადოება განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ისეთი სიმრავლე, რომელთაც ახასიათებთ მყარი ურთიერთქმედება ცნობიერების ნიადაგზე. სოციოლოგთა გარკვეული ნაწილი ამით ამთავრებს საზოგადოების განსაზღვრებას, რადგან მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ნიშნები საკმარისია საზოგადოების ცნების გასარკვევად. სოროკინის მტკიცებით, „საზოგადოება, როგორც სოციოლოგიის მესწავლის საგანი, გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც მოცემულია რამდენიმე ერთეული (ინდივიდი) დაჯილდოებული ფსიქიკით და ერთმანეთთან დაკავშირებული ფსიქიკური ურთიერთქმედების პროცესებით". (135, 29). იქ, სადაც ურთიერთქმედება არაა ფსიქიკური, არ ხდება იდეათა გაცვლა, მაშასადამე არაა ცნობიერება, არც საზოგადოებაა. ამით სოროკინი საზოგადოებას, როგორც ცნობიერი ურთიერთქმედების სფეროს და სოციოლოგიის საგანს, გამოარჩევს ურთიერთქმედებაში მყოფ ყველა სხვა ერთეულთაგან. მაგრამ საზოგადოების განსაზღვრების ამ დონეზე შეჩერებას ყველა სოციოლოგი არ ეთანხმება. ზოგიერთის აზრით, საზოგადოების ცნების განსაზღვრისათვის ნიშანთა მთელი სიმრავლეა საჭირო. მტამლერი და დე-გრეფი მიუთითებენ შვიდ ნიშანზე, მიხაკო წერეთელი მერვესაც უმატებს. ერთი რამ ცხადია, საზოგადოების განსაზღვრება უფრო სრულყოფილი იქნება, თუკი აღნიშნულ ნიშნებს მიემატება სხვებიც, რომლებიც ქმნიან საზოგადოებას. ამ გზით საზოგადოებას უფრო სრულყოფილად განვასხვავებთ ყველა სხვა ერთეულთა სიმრავლისაგან, თანაც ისე, რომ არ იქნება საჭირო ცნობიერების ფარგლების გადალახვა. საკმარისია გავაანალიზოთ, რა ახასიათებს ცნობიერებით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობას იმის შედეგად, რომ მათი მაკავშირებელია ცნობიერება და რა ფენომენებს ქმნის ცნობიერება საზოგადოებაში. ცნობიერების საფუძველზე არსებული ერთიანობიდან აღვილად გამოყვანადია საზოგადოების სხვა ნიშნები. „რადგან არის ნიშანთა რიგი, რომელნიც ემყარება სწორედ ცნობიერების ქონებას და რომელთა არსებობა წარმოუდგენელია ცნობიერების გარეშე". ასეთ სოციალურ ფენომენებს მიეკუთვნება პირველ რიგში კულტურა. ყოველი საზოგადოება გარკვეული კულტურული ფენომენია, განსაზღვრული კულტურის მატარებელია. შეუძლებელია საზოგადოება არსებობდეს კულტურის გარეშე, სულ ერთია, იქნება ეს პირველყოფილი ადამიანების პრიმიტიუ-

ლი კულტურა, დღევანდელი ადამიანის განვითარებული კულტურა, თუ მომავლის საზოგადოების გონებით წარმართული კულტურები. ყველა გარემოებაში საზოგადოების საფუძველია ცნობიერების შედეგი — გარკვეული დონის კულტურა. მამასადამე, კულტურა საზოგადოების ერთ-ერთი ძირეული ნიშანია. ასეთივე ძირეულია იდეალები და ღირებულებანი. შეუძლებელია საზოგადოება იყოს ცნობიერების მქონე კულტურული ერთობა და არ ახასიათებდეს იდეალები და ღირებულებები. მათი უარყოფაც ნეგატიური იდეალებისა და ღირებულებების გზით ხორციელდება, ამდენად სოციალურობა და საზოგადოებრიობა შეუძლებელია იდეალთა და ღირებულებათა გარეშე. რა არის იდეალი? ეს ისაა, რაც აერთიანებს ადამიანებს და შესაძლებელს ხდის მიზანთა და ღირებულებათა მოხაზვას. იდეალები პერსპექტივებს გვისახავს და საერთო საქმეს გვიჩვენებს, გვაკავშირებს და გვამოძრავებს, ღირებულებანი კი ისაა, რაც ადამიანის მოთხოვნილებასთან მიმართებაში მოდის, რაც გარემოში მნიშვნელობს ადამიანებს შორის, რასაც ძალა აქვს ადამიანის მიმართ, როგორც ადამიანის შიდა, ისე ადამიანის გარეთა სამყაროდანაც. კულტურაც, იდეალიც, ღირებულებაც ცნობიერებისეული ქმნილებანია და ისეთივე როლი აქვთ საზოგადოების შექმნაში, როგორიც ცნობიერებას. საზოგადოების მიმართ ანალოგიური მნიშვნელობის ფაქტორია მსოფლმხედველობაც. მსოფლმხედველობის, ანუ გარკვეულ ღირებულებებზე ორიენტირების, ადამიანის ღირებულების და ადგილის დადგენის გარეშე. არ არსებობს საზოგადოება. მსოფლმხედველობა ის ძალაა, რომელიც განსაზღვრავს ეპოქებს. მსოფლმხედველობები აკავშირებენ და თიშავენ ადამიანებს, საზოგადოებებს და ეპოქებს. შეიძლება დაისვას კითხვა: კულტურა, იდეალები, ღირებულებანი და მსოფლმხედველობანი ისეთი ფენომენებია, რომლებიც არა მარტო აერთიანებენ ადამიანებს, არამედ თიშავენ კიდეც და, როგორ შეიძლება ისინი დავსახოთ ადამიანთა ერთიანობის ნიშნებად. უნდა განვასხვავოთ კულტურა, იდეალი, ღირებულება და მსოფლმხედველობა საზოგადოდ, ანუ აბსტრაქტული აზრით, ყოველი მათგანის გამოვლენის კონკრეტული ფორმებისაგან. როცა მათ ვაცხადებთ საზოგადოების ნიშნებად, მხედველობაში გვაქვს არა ესა თუ ის კულტურა, იდეალი, ღირებულებათა სისტემა თუ მსოფლმხედველობა, არამედ ყოველი მათგანი ზოგადი ფორმით. ზოგადად საზოგადოების ცნებას შეესაბამება ზოგადად აღებული კულტურის, იდეალის, ღირებულების და მსოფლმხედველობის ნიშნები, ხოლო საზოგადოების ყოველ ცალკეულ ფორმაში გამთიშველიცაა და გამაერთიანებელიც. ზოგადად მხოლოდ გამაერთიანებელ ფუნქციად გვევლინება. გათიშვაც და ერთიანობაც რომ ამ ფენომენში ხორციელდება, ეს ერთხელ კიდევ აფასტურებს საზოგადოების ყოფიერებისათვის მათ აუცილებლობას. თუ ზემოთ ნათქვამს დავაჯამებთ: საზოგადოება შემდეგნაირად შეიძლება

განისაზღვროს. საზოგადოება ადამიანთა ისეთი მყარი სიმრავლეა, რომელიც დაკავშირებულია კულტურის, ცნობიერების, იდეალების, ღირებულებების და მსოფლმხედველობის გზით. აღნიშნული ფენომენები ერთნაირად ახასიათებს, როგორც საზოგადოების თითოეულ წევრს, ისე მთელ საზოგადოებას.

საზოგადოების ცნება, რომელზეც გვქონდა საუბარი, უნივერსალური მნიშვნელობისაა. საზოგადოების ასეთი გაგების გარეთ აღმოჩნდება ბუნება. ამ უკანასკნელთან დაპირისპირებისა და მისგან განსასხვავებლად ადგენენ საზოგადოების ამ უნივერსალურ მნიშვნელობას. ისე როგორც ერთია ბუნება, ერთია საზოგადოებაც, როგორც მთელი სოციალური სისტემა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოება მხოლოდ ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. საზოგადოებასთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც ვმსჯელობთ ამა თუ იმ კონტინენტის, რეგიონის, სახელმწიფოს თუ სხვა სახის სოციალურ ერთობებთან დაკავშირებულ ყოფიერებაზე, ისე, როგორც ამა თუ იმ ეპოქისა და საუკუნის საზოგადოებაზე. ამიტომ არსებობს საზოგადოების არა მხოლოდ გლობალური, ერთიანი ცნება, არამედ ლოკალური საზოგადოებანიც, რომელნიც სიმრავლეს ქმნიან ეპოქების, რეგიონების თუ სხვა სახით დიფერენციაციის მიხედვით. საზოგადოების გლობალურ ცნებასთან ერთად უნდა დადგინდეს ლოკალური ცნებაც, რომელიც თავის მხრივ შეიძლება კვლავ დიფერენცირდებოდეს ეპოქის, რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით. არსებობს თანამედროვე და წარსული საზოგადოებანი, ქალაქისა და სოფლის საზოგადოებანი, ასევე ცალკეული ქვეყნებისაც, ამდენად საჭიროა საზოგადოების ფართო და ვიწრო გაგებით ჩამოყალიბება და თითოეულ ცნებათა განსაზღვრა. წინასწარ შეიძლება აღინიშნოს, რომ ფართო გაგებით საზოგადოებას განსაზღვრავენ, როგორც ადამიანთა ურთიერთობის წესს და დაკავშირების ფორმათა ერთობლიობას, რომელშიც ვლინდება ადამიანთა ერთმანეთთან მრავალმხრივი დამოკიდებულება, ვიწრო აზრით, საზოგადოებას განსაზღვრავენ როგორც ურთიერთობის სტრუქტურულად, ან გენეტიკურად განსაზღვრულ ტიპს, რომელიც ისტორიულად განსაზღვრული მთლიანობაა, ან ამ მთლიანობის ერთ-ერთი ასპექტი თუ მომენტია.

2. საზოგადოება და საზოგადოებანი

(საზოგადოებათა განსხვავება აბსტრაქციის დონეთა მიხედვით)

აქამდე საზოგადოებაზე ვმსჯელობდით ძირითადად დროით-სივრცითი განსაზღვრულობის გარეშე. სინამდვილეში საზოგადოება დროით-სივრცითი ფენომენია. მაგრამ ამ განხილვის ზემოთ მითითებული წესი გამოყენებული იყო საზოგადოების მიმართ იმდენად, რამდენადაც საკითხი არ

ეხებოდა ამა თუ იმ დროით მონაკვეთში თუ ტერიტორიაზე არსებულ ფენომენს, არამედ, საზოგადოებას საერთოდ. საზოგადოება ასეთი გაგებით გამოიყენება გამოთქმებში: ფილოსოფია არის მოძღვრება ბუნების, საზოგადოების და აზროვნების კანონების შესახებ, ან კიდეე სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ბუნების, ადამიანის და საზოგადოების ერთიანობა. საზოგადოებას როცა ვიყენებთ, როგორც ბუნებისაგან განსხვავებული ფენომენის აღმნიშვნელს, მას ვანიჭებთ უზოგადეს მნიშვნელობას. ადამიანთა სამყაროში ამ ფენომენს არ ახასიათებს შეზღუდულობა, ის მოიცავს ადამიანთა მოდგმას მთლიანობაში, ამავე დროს გამოხატავს იმ სპეციფიკას, რაც ბუნებისგან განსხვავებით ცნობიერი არსების, ადამიანის გაჩენას შემოაქვს სამყაროში. ზოგჯერ ის სოციოლოგებიც, რომლებიც ცნობიერებას აუცილებლად თვლიან საზოგადოების არსებობისათვის, ფიქრობენ, რომ საზოგადოების ცნება ადამიანთა სამყაროზე უფრო ფართოა, რადგან მასში შეყავთ უმაღლესი განვითარების სხვა ცხოველებიც, იმის საფუძველზე, რომ ცნობიერება ფსიქიკასთან არის დაკავშირებული, ეს უკანასკნელი კი ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან და, მაშასადამე, ცხოველები, რომელთაც აქვთ ცენტრალური ნერვული სისტემა, ისევე ქმნიან საზოგადოებას, როგორც ადამიანები. ამ თვალსაზრისის მომხრე პიტირიმ სოროკინის აზრით, „საზოგადოება სოციოლოგიურად პირველ ყოვლისა აღნიშნავს ურთიერთქმედებაში მყოფ ადამიანთა ერთობლიობას და შემდეგ ურთიერთქმედებაში მყოფ უმაღლეს ორგანიზმთა ერთობლიობას" (135, 29). საზოგადოების ასეთი გაგრცობა ადამიანიდან ცხოველთა სამყაროზე ბიოლოგიზმის გამოვლენაა და ცნობიერების ფსიქიკურზე დაყვანა. სოციალური არ არის ბიოლოგიური და ცნობიერება ფსიქიკურია. მაგრამ ყოველი ფსიქიკური როდია ცნობიერება. ცნობიერება, თვითცნობიერება, ნებელობა, მხოლოდ ადამიანთა მოდგმის დამახასიათებელია და არა აქვს ადამიანის გარდა სხვა არსებათ, ამიტომ მათ საზოგადოებრიობა არ მიეწერება. ბუნება და საზოგადოება ორი ერთიმეორის გამომრიცხავი და, ამავე დროს, ერთ სფეროზე აღმოცენებული ფენომენებია. ბუნებიდან ადამიანის წარმოშობამ განაპირობა საზოგადოების შექმნის შესაძლებლობა, მაგრამ ბუნებას ადამიანის გარდა არ შეუქმნია სოციალურობის მატარებელი არსება; რადგან სოციალურობა ცნობიერებასთანაა დაკავშირებული, ეს კი ადამიანური ფენომენია, ამიტომ საზოგადოების ანალოგის ძიება ბუნებაში უშედეგოა. საზოგადოება, გლობალური გაგებით, სოციალური სისტემაა, რომელიც, პარსონსის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, სოციალურ სისტემათა უნივერსალობაში გარემომცველი სამყაროს მიმართ თვითკმარობის უმაღლესი დონეა. საზოგადოება თავის თავში სრულქმნილი, გარემოსთან მიმართებაში მყოფი სისტემაა. ამ სისტემის შიგნით შეიძლება არსებობდეს ქვესისტემები, რომელთაც თავის მხრივ ახასიათებთ შედარებითი მთლიანობა და თვითკმარობა, აქვთ ასევე დამოუკიდებლობა მათ გარეთ მყოფი ქვესისტემების მიმართ. საზოგადოე-

ბა სოციალური ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც მოიცავს სოციალურ ინსტიტუტებს, სოციალურ ჯგუფებს, ფორმალურ ორგანიზაციებს, ის სხვადასხვა ტიპის შეიძლება იყოს და თითოეული მათი განი,ისე როგორც მათი ერთობლიობა, იწოდება საზოგადოებად. საზოგადოება შეიძლება დიფერენცირდებოდეს სხვადასხვა კრიტერიუმით: სივრცისეული, სახელმწიფოსადმი კუთვნილების, ერის, სოციალური ჯგუფის, პროფესიის, დასვენების გარკვეული წესით დაკავშირებულ ადამიანთა, თუ სხვა ნიშნების მიხედვით. ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც იდენტიფიცირებული არიან გარკვეული ნიშნებით, — იქნება ეს ინტერესები, ღირებულებანი, ტერიტორია, ეროვნულობა, თუ სხვა, — ყველა შეიძლება იწოდებოდეს საზოგადოებად. საზოგადოება ყოველთვის ადამიანთა გარკვეული სახის კავშირთა სისტემაა, იმისდა მიუხედავად, რაზე იქნება ეს კავშირი აგებული — საქმიანობაზე, ცხოვრების სტილზე, ღირებულებებისადმი დამოკიდებულებაზე, პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, თუ სხვა. ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს საზოგადოებრიობის ერთ ნიშანს, რომელიც სპეციფიკურია და, ამავე დროს, აერთიანებს გარკვეულ მოვლენათა ჯგუფებს. ზოგიერთი სოციოლოგი იძლევა სოციალურ მოვლენათა დიფერენცირებას: დე-გრეფი, მგამლერი ასახელებენ სოციალურ მოვლენათა შვიდ ჯგუფს — ეკონომიკური, გენეტური გამრავლება, ხელოვნება, რელიგია და ცოდნა, ზნეობრივ-მორალური, სამართლებრივი, პოლიტიკური. სოციალურ მოვლენათა ამ შვიდ ჯგუფს მიხაკო წერეთელი ამატებს მერვეს, — ენას და ამტკიცებს, რომ საზოგადოება უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, რა იქნება ამ სოციალური ფაქტებისთვის საერთო მნიშვნელი, ასეთია მოწესრიგებულობა. სოციალური ფაქტები და სოციალური ცხოვრება ყოველთვის რაღაც ფორმით მოწესრიგდება, ამიტომ საზოგადოება სოციალურ ელემენტთა ის კრებულია, რომელიც გამოხატავს ადამიანთა მოწესრიგებული კავშირის ფორმებს. საზოგადოება სუპერ ორგანიზმია, ის შეერთებულ ადამიანთა ისეთი კრებულია, რომელთა საერთო ცხოვრება მოწესრიგებულია საერთო მიზნის მისაღწევად: აქედან გამომდინარე, მიხაკო წერეთელი საზოგადოებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „საზოგადოება არის ორგანიზმი, ანუ სუპერ ორგანიზმი, მიზანდასახვის უნარის მქონე ადამიანთაგან შემდგარი, რომელთა გარეგნულად მოწესრიგებული მოქმედება აკმაყოფილებს ამ ორგანიზმის მოთხოვნილებას იმ სპეციალური ორგანოებით, რომელნიც აქვს ყოველ სუპერ ორგანიზმს, განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად". ამ განსაზღვრებაში მოცემულია საზოგადოების როგორც გლობალური, ისე ლოკალური და პლურალისტული გაგების შესაძლებლობა, ყველა შემთხვევაში საზოგადოება გარკვეულ მთლიანობასთანაა დაკავშირებული, რასაც ხაზს უსვამს, როგორც ორგანიზმად ყოფნა, ისე საერთო მიზნების და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. წერეთლის აზრით, საზოგადოება ადამიანთა ძალების შეერთებაა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. და საკითხი ისმის, რას უნდა მიეწ-

ეროს გადამწყვეტი მნიშვნელობა საზოგადოების ფორმირებაში, მოთხოვნილებებს, მოქმედებას, მიზანშეწონილობას თუ ძალთა შეერთებას(ავტორის მიხედვით საზოგადოებისთვის სპეციფიკური და განმსაზღვრელია გარკვეული წესით ძალთა შეერთება, ე. ი. ორგანიზებულობა) სხვა ავტორები საზოგადოების განსაზღვრასთან ერთად აყალიბებენ პირობათა აუცილებელ ნუსხას, რომელთა გარეშე სოციალური აგრეგატი ვერ დაიმსახურებს საზოგადოების სახელწოდებას(მარშის, სმელზერის და მათი მიმდევრების აზრით, ასეთ პირობათა რიგი ოთხია, ე. ი. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს, პირველი, მუდმივი ტერიტორია; მეორე, ადამიანებით მისი შევსება უნდა სდებოდეს ძირითადად შობადობით, იმიგრაციის გამორიცხვის გარეშე; მესამე, მას უნდა ჰქონდეს განვითარებული, ე. ი. დიფერსიფიცირებული კულტურა, იმდენად, რომ საკმარისი იყოს ცხოვრების ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; მეოთხე, უნდა ჰქონდეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ე. ი. საზოგადოება არ უნდა იყოს სხვა რომელიმე სისტემის ელემენტი. ეს ნიშნავს, რომ კოლონიური საზოგადოებანი არაა ნამდვილი საზოგადოებანი.)(128, 116). უნდა აღინიშნოს, რომ ამ განსაზღვრების ავტორები თეითონვე გამოთქვამენ კრიტიკულ შენიშვნებს აღნიშნულ მოთხოვნათა მიმართ, ეჭვობენ, რომ შეიძლებოდეს, განვითარებული კულტურის ქვეყნებს, იგივეობრივი პოლიტიკური წყობის მიუხედავად, ჰქონდეთ ერთიანი ღირებულებანი, ასევე პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა მთლად მართებულად არ ეღერს, რადგან არის ქვეყნები, რომლებიც დამოუკიდებელია სხვებისგან, მაგრამ ეკონომიკურად სხვისი გავლენის ქვეშაა ან კიდევ ფორმალურად დამოუკიდებელი არაა, ან კიდევ საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს და აქვს კულტურის ღირებულებათა საკუთარი სისტემა. რა უფლებით უნდა წავართვათ მათ საზოგადოებად ყოფნის შესაძლებლობა. ერთი შეხედვით ისეთი უდავო ნიშანიც კი, როგორიცაა თვითუზრუნველყოფა, სადავოდაა მიჩნეული, რადგან შეიძლება საზოგადოება თვითონ არ აწარმოებდეს და იმპორტზე ორიენტირდებოდეს, მაგრამ თვითუზრუნველყოფას მაინც გამოხატავს გადახდის უნარიანობით. საზოგადოებრიობისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელია კულტურა, მაგრამ იგი უცილობლად როდია დაკავშირებული პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და საკუთარ ტერიტორიასთან. ებრაელებს საკუთარი კულტურა ჰქონდათ მაშინაც, როცა მთელ მსოფლიოში იყვნენ გაფანტული და არც მათი სახელმწიფო არსებობდა. არის კუნძულებზე გაფანტული სახელმწიფოები, რომელთაც ერთიანი კულტურა აქვთ. ასე რომ, დასახელებულ ნიშანთაგან, არცერთს არ ენიჭება აბსოლუტური მნიშვნელობა. მათი დანიშნულებაა მიგვანიშნოს საზოგადოებრიობის კონტურებზე, რათა სამუალება გექონდეს, გარკვეული სისტემა, თუ ქვესისტემა აღნიშნოთ საზოგადოებით.

3. ინდუსტრიული საზოგადოება

საზოგადოებათა სიმრავლეზე მსჯელობა ნიშნავს, რომ სახეზეა არა მარტო ადამიანთა შორის იგივეობრივი სტრუქტურის ურთიერთობანი, არამედ განსხვავების მქონე სტრუქტურებიც. იმისდა მიხედვით, რა არის ამ სტრუქტურებში განმსაზღვრელი და რა მომენტები ჭარბობს საზოგადოებაში, რომელიც ანიჭებს მას ჰაბიტუსს, განასხვავებენ საზოგადოების სხვადასხვა ტიპს. ამ ტიპოლოგიაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ვახდენთ კლასიფიკაციას. იმის მიხედვით, რა კრიტერიუმს ავიღებთ, საზოგადოება შეიძლება დავყოთ: სამხედროდ და სამოქალაქოდ, ტრადიციულად და თანამედროვედ, ღიად და დახურულად, ინდუსტრიალიზმამდელად და ინდუსტრიულად, ინდუსტრიულად და პოსტინდუსტრიულად, სიღატაკისა და სიუხვის, თანასწორობისა და თავისუფლების, კაპიტალისტურად და სოციალისტურად, დემოკრატიულად და ტოტალიტარულად, ორგანულად და მექანიკურად, ანუ თემად და საკუთრივ საზოგადოებად (და ა. შ. საზოგადოებათა ტიპოლოგია შეიძლება იყოს ერთწევრა, ორწევრა, მრავალწევრა. მაგალითად, მერტონთან და პარსონსთან საზოგადოების ოთხ-ოთხი ტიპია გარჩეული, მარქსსა და როსტოუსთან ხუთი და მეტი. ეს ტიპოლოგია, საზოგადოებათა დიფერენცირებულობასთან ერთად, გამოავლენს მათ საერთო ტენდენციებსაც, რომელთა ფარგლებს გარეთ გამომყვანი ექსისტენციალები განსაზღვრავენ ამ ტიპებს.

ინდუსტრიული საზოგადოების სტრუქტურის ერთიანი გაგება არ არსებობს, თვით ამ საზოგადოების თეორიის შემქმნელ ავტორებს შორისაც. ზოგი ინდუსტრიულ საზოგადოებას განსაზღვრავს, როგორც ერთიანს, განვითარების ეტაპების გარეშე, რომელიც არსებობს სამრეწველო რევოლუციიდან დღემდე, ერთიანი სტრუქტურითა და ფუნქციით, რომლის შიგნით არსებული განსხვავებანი არაა არსებითი და ამდენად დიფერენციაციის საფუძველი. ზოგისთვის ინდუსტრიული საზოგადოება არსებობდა სამრეწველო რევოლუციიდან მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციამდე, რომელსაც მოჰყვა პოსტინდუსტრიული საზოგადოება. ზოგისთვის ინდუსტრიული საზოგადოება სამრეწველო რევოლუციიდან დღემდე გრძელდება ორი ეტაპით: ინდუსტრიული საზოგადოების დაბალი და მაღალი ეტაპით. ამ ორი ეტაპის განსხვავებასთან დაკავშირებული ცვლილებები ინდუსტრიული საზოგადოების წიაღში ხდება. ამ თეორიის წარმომადგენელთაგან — ბელი, გალბრეითი, არონი, როსტოუ — ერთ-ერთი კლასიკური მოაზროვნეა რალფ დარენდორფი; მისი აზრით, ინდუსტრიული საზოგადოების თეორია უნდა იყოს სოციოლოგიური და განთავისუფლდეს პოლიტიკური მსოფლმხედველობის გაელენისაგან. დარენდორფი ცდილობს, ინდუსტრიული საზოგადო-

ბის ანალიზისას არ გასცდეს სოციოლოგიურ ასპექტს. განსხვავებული კონცეფციით უდგება საკითხს გალბრეითი, მას, როგორც ეკონომისტს, პირველ რიგში აინტერესებს ცვლილებები ინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკაში, თუმცა სოციალურ ასპექტებსაც ეხება. განვიხილოთ ამ ორი მოაზროვნის კონცეფცია, რომელმაც უნდა მოგვცეს ინდუსტრიული საზოგადოების სრული სურათი.

დარენდორფის აზრით, სოციოლოგიური კრიტერიუმის გამოყენებით, ინდუსტრიული საზოგადოების პირველ ეტაპს შეიძლება ეწოდოს „კაპიტალიზმი“ მაგრამ ამ ცნების მხოლოდ სოციოლოგიური და არა პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობით, როგორც ეს იყო, მაგალითად, მარქსთან. დარენდორფის აზრით, კაპიტალიზმის მრავალი ცნება არსებობს, მაგრამ სოციოლოგიური ანალიზისთვის, მათგან, ყველაზე გამოსადეგია მაქს ვებერისა და ვერნერ ზომბარტის მიერ შემუშავებული ცნება. დარენდორფის ნაშრომში — „სოციალური კლასები და კლასობრივი კონფლიქტი ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ — ერთ-ერთი თავი „კაპიტალიზმი და ინდუსტრიული საზოგადოება“ აანალიზებს ტერმინოლოგიის მნიშვნელობას მეცნიერებაში და ტერმინ „კაპიტალიზმის“ საზრისს. აღნიშნულია, რომ ტერმინოლოგია მეცნიერებაში ხშირად პოლიტიკურ მნიშვნელობას ღებულობს და ნაკარნახევია პოლიტიკური ინტერესებით. სოციოლოგიაში ასეთია „კაპიტალიზმის“ ცნება. თუ ავიღებთ მარქსის სახელთან დაკავშირებულ, პოლიტიკური შეფერილობის მქონე „კაპიტალიზმის“ ცნებას, მისი ძირითადი ნიშნებია: კერძო საკუთრება, სამუშაო ძალის გაყიდვა, ზედმეტი ღირებულება, კლასობრივი დაპირისპირება და სხვა, უფრო მეცნიერულია ვებერისა და ზომბარტის მიერ შემუშავებული „კაპიტალიზმის“ ცნება, შემდეგი ძირითადი ნიშნებით: 1. საწარმოო მეურნეობრივი ორგანიზაცია, 2. მოსახლეობის ორი ჯგუფის ურთიერთქმედება, 3. ფუნქციერებისა თუ ხელმძღვანელობის და საკუთრების ერთობა, 4. საკუთრებას მოკლებული მუშები, 5. კავშირ-ურთიერთობათა ბაზრის გზით განხორციელება, 6. შეძენის თუ დაგროვების პრინციპი და 7. ეკონომიკური რაციონალიზმი. დარენდორფი სვამს კითხვას — იცვლება თუ არა საზოგადოება მთლიანად იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ნიშანთაგან ზოგიერთი სახეს იცვლის, თუ ამას მხოლოდ არსებული საზოგადოების შიგნით მოპყვება მოდიფიკაცია, არსი კი უცვლელი რჩება, როგორც მარქსს ეგონა. მარქსის საპირისპიროდ დარენდორფს შეუძლებლად მიაჩნია საზოგადოების არსებითი ნიშნების შეცვლის შემთხვევაში ის დარჩეს იმადვე, რაც იყო. ე. ი. კაპიტალიზმის ნიშნების შეცვლით ისევ კაპიტალიზმი არ რჩება. მაგრამ არც ის არის სწორი, თითქოს ამ გზით კაპიტალიზმი დაძლეული იყოს. არის ნიშნები, რომლებიც ყველა ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს, მაშასადამე, კაპიტალიზმსაც და მის მომდევნო ეტაპსაც, და არის ნიშნები, რომლებიც სპეციფიკურ, კაპიტალის-

ტურ ეკონომიკას ახასიათებდა და ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებაში კარგავს ყოფიერებას, სამაგიეროდ ის, რაც მათ ნიადაგზე ჩნდება, არ ყოფილა კაპიტალიზმის ეპოქაში და ინდუსტრიული საზოგადოების სპეციფიკის მაჩვენებელია. წარმოებაში რომ ორი განსხვავებული ჯგუფი მონაწილეობს — განმკარგულებლები და შემსრულებლები, რომ საზოგადოებას ახასიათებს ეკონომიკური რაციონალიზმი და საბაზრო ურთიერთობანი, ეს საერთოა კაპიტალიზმისა და ახალი ინდუსტრიული საზოგადოებისთვისაც, მაგრამ არის ნიშნები, რომელნიც წარმოჩინდება ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ეტაპზე. კერძოდ, მეცხრამეტე საუკუნიდან, როცა ძალას კარგავს საკუთრებისა და კონტროლის ერთ ხელში გაერთიანება, მუშათა სიღატაკე და მოგებისადმი გამოდევნება. ინდუსტრიული საზოგადოების ასალი ეტაპი არ გამორიცხავს კაპიტალიზმს, მაგრამ მისთვის ის განვლილი საფეხურია. „კაპიტალიზმი ინდუსტრიული საზოგადოების ერთ ფორმას აღნიშნავს". (166, 36) ცვლილებები ინდუსტრიულ საზოგადოებაში, რომელნიც უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე მოხდა, ძირითადად ოთხი მიმართულებით განხორციელდა: 1. ეკონომიკური რაციონალიზმის განვითარება, 2. ფუნქციონირების პრინციპის გაგარება, 3. მოქალაქეობრივი თანასწორუფლებიანობის საყოველთაოობა და 4. სტაბილურობის ფორმების შექმნა. თითოეული ამ მიმართულებათაგანი გარკვეული ნიშნებით ხასიათდება: 1. ეკონომიკური რაციონალიზმი. ინდუსტრიული საზოგადოების მეორე ეტაპზე განიცდის განსაკუთრებულ განვითარებას: ა) მოხდა წარმოების ექსტენსიური და ინტენსიური ზრდა, ინდუსტრიის გაფართოება მექანიზაციით, ავტომატიზაციით, რობოტიზაციით, მას ახლავს ეფექტურობა, რენტაბელობა, შრომის მაღალი ორგანიზაცია და დაგეგმვა. ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ეტაპზე წარმოების კონცენტრაციამ იმ დონეს მიაღწია, რომ თითოეულ წარმოებაში ასი ათასამდე ადამიანია დასაქმებული ისე, რომ წარმოება საზოგადოების შიგნით თვითონ ხდება საზოგადოებად; ბ) საწარმოები მსხვილ კომპანიებად ერთიანდებიან ისე, რომ დარგებს ერთეული საწარმოები აკონტროლებენ, ამავე დროს, მკვიდრდება აქციონერული საზოგადოებანი. შეწარმეთა სტრუქტურაში წარმოება და კონტროლი ეთიშება ერთმანეთს ისე, რომ საკუთრებისა და კონტროლის ერთიანობას ცვლის ერთმანეთს დამორებული აქციონერები და მენეჯერები; გ) რაციონალურად ორგანიზდება სამუშაო ძალა; დ) წარმოიშობა ახალი პროფესიები, რომელთაც მოსამსახურეები ასრულებენ; 2. ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ფუნქცირება და კონტროლი, რომელიც საზოგადოების თითოეულ წევრს განუსაზღვრავს ფუნქციის შესაბამის როლს. აქ ორი ძირითადი ფაქტორია განმსაზღვრელი: ა) სოციალური მობილობა, რომელიც ინდუსტრიულ საზოგადოებაში მეტად აღარაა დამოკიდებული ოჯახზე, გვარზე, კლანზე, სქესზე, არამედ მთლიანად და საესებით განისაზღვრება

ადამიანის პირადი ფუნქციერებით; ბ) აღზრდის ინსტიტუტები ხდებიან სოციალური მობილობის ხელმძღვანელი ინსტანციები, 3. ინდუსტრიული საზოგადოება ყველასთვის ერთნაირ საწყის ვითარებას ქმნის, რადგან საზოგადოებაში გარკვეული როლის მიღწევისათვის განმსაზღვრელია არა მემკვიდრეობა, საკუთრება და წოდება, არამედ ეკონომიკური რაციონალიზმი და ფუნქციერება. რის გამოც სოციალური როლები და მათი მატარებლების იერარქიული დიფერენციაცია მთლიანად დამოკიდებულია სუბიექტთა უნარზე; 4. ინდუსტრიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა სტაბილურობა, რომელიც ფაქტობრივად სტრუქტურაცაა და ღირებულებაც, სტაბილურობა არ ნიშნავს სტატიკურობას, ინდუსტრიული საზოგადოება მუდამ ღიაა, რადგან მისი პრინციპები და ნორმები მუდმივ განახლებას განიცდიან, სტაბილურობა ნიშნავს სოციალურ ურთიერთობათა ფორმების რეგულირებას. ამ ზოგად განსაზღვრულობათა დახასიათების შემდეგ დარენდორფი გადადის ინდუსტრიული საზოგადოების არსებით ნიშანთა დაწერილებით განხილვაზე. თანაც წინა პლანზე წამოწევს ნიშნებს, რომლებმაც განსაზღვრული სიახლე შეიტანეს ინდუსტრიულ საზოგადოებაში. პირველ რიგში ეს ეხება საკუთრებისა და კონტროლის გათიშვას. კაპიტალისტური განვითარების ეტაპზე საკუთრება და ბატონობა განუყოფელი იყო. მესაკუთრე ახორციელებდა წარმოებისა და საზოგადოების მართვას, რასაც უზრუნველყოფდა მისი საკუთრება. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა შეიცვალა, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მასობრივი მასშტაბი მიიღო აქციონერულმა საზოგადოებებმა. მათი რიცხვის ზრდას მოჰყვა ახალი ურთიერთობანი და ძალთა ახალი გადანაწილება, ზოხდა გათიშვა საკუთრებასა და კონტროლს შორის, გაითიშა ორი ჯგუფი: „კაპიტალისტებისა და დირიჟორებისა“ (მარქსი). ამ უკანასკნელს ეკუთვნიან დირექტორები და მენეჯერები, რომელნიც მესაკუთრეები კი არ არიან, არამედ მოსამსახურეები, მაგრამ აკონტროლებენ წარმოებას. გამოიკვეთა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სტრუქტურა: ერთი მხრივ მესაკუთრეები, ანუ აქციონერები, მეორე მხრივ დირექტორები და მენეჯერები. აქციონერები მესაკუთრენი არიან, მაგრამ მათი საკუთრების უშუალო გამგებლობის უფლების გარეშე. საკუთრებისათვის ისინი ღებულობენ დივიდენდებს. დირექტორები და მენეჯერები განაგებენ სხვის საკუთრებას, თანაც სრული უფლებით, ისინი წყვეტენ, რამდენი უნდა აწარმოონ, რამდენი უნდა დაასაქმონ. მესაკუთრემ დაკარგა კონტროლის ფუნქცია და ის გადავიდა წარმოების დირექტორისა და მენეჯერის ხელში. დარენდორფი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს გააიგივოს კაპიტალისტი და მენეჯერი, იმის საფუძველზე, რომ ზოგჯერ კაპიტალისტები და მათი შვილები ხდებიან მენეჯერები. სინამდვილეში საზოგადოების ეს ორი ფენა სრულიად განსხვავებულ საფუძველზე ყალიბდება. „რომ გახდე კაპიტალისტი, უნდა შეიძინო საკუთრება,

რომ გახდე მენეჯერი, უნდა გამოაელინო ფუნქცირება, განათლება, გამოცდილება". მენეჯერი დამოუკიდებელია კაპიტალისტისაგან. იცვლება არა მარტო საკუთრებისა და კონტროლის განმხორციელებელთა თანაფარდობა, არამედ მთელი საზოგადოების სოციალური სტრუქტურაც. მარქსის მიერ წარმოდგენილი ორკლასიანი სტრუქტურა, რომელშიც მუშათა კლასი სულ უფრო მეტად ერთგვაროვანი და მრავალრიცხოვანი უნდა გამხდარიყო, რომელსაც დაუპირისპირდებოდა მესაკუთრეთა მცირერიცხოვანი კლასი, შეიცვალა რთული პლურალისტური მუშათა კლასით, რომლის შიგნით სპეციალიზაციამ არა თუ დაკარგა მნიშვნელობა, არამედ სულ უფრო მეტი მიჯნა ჩნდება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებს შორის. ახალმა ტექნიკამ მოითხოვა „სწაელულ მუშათა" ფენა, რომელნიც თავიანთი სტატუსით განსხვავდებიან მუშათა ყველა დანარჩენი ფენისაგან. საზოგადოების სტრუქტურაში, კაპიტალისტების გვერდით, გაჩნდნენ მენეჯერები; „თეთრსაყელოიანები", მოსამსახურეები მოსახლეობის სულ უფრო მეტ ნაწილს მოიცავენ. გაჩნდა ახალი წვრილი მწარმოებლები, რომელთა ნაწილი საკუთარ შრომას ემყარება, ნაწილი დაქირავებულს დარენდორფი იშველიებს სტატისტიკასაც: თუ მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ბიუროკრატები წარმოებაში ათი პროცენტი იყო, ორმოცდაათიან წლებში 20 % გახდა, მოსამსახურეთა ფენა დიფერენცირდა. შეიქმნა საჯარო მმართველობის ინდუსტრიული თუ ცალკეული ბანკებისა და კორპორაციების მოღვაწენი, მოსამსახურეები იყოფა წმინდა ბიუროკრატებად, ექსპერტებად და უბრალოდ მოსამსახურეებად. როგორც შემდგომ დავინახავთ, თანამედროვე საზოგადოებამ სოციალური სტრუქტურის სრულიად განსხვავებული სურათი წარმოადგინა, ვიდრე ამას ვარაუდობდა მარქსი. მარქსის აზრით, წარმოების მექანიზირება წაშლიდა ზღვარს კვალიფიცირებულ და არაკვალიფიცირებულ მუშებს შორის. სინამდვილეში პირიქით მოხდა: კვალიფიკაციამ მზარდი მნიშვნელობა შეიძინა და მუშათა კლასი დაიყო ფენებად, საკუთრებისა და კონტროლის გათიშვასთან ერთად, ინდუსტრიულმა საზოგადოებამ მოიტანა სოციალური სტრუქტურის დინამიკის მზარდი ტენდენცია. ძალუმი გახდა ჰორიზონტალური და ვერტიკალური მობილობა. იმდენად დიდია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მობილობა, როგორც თაობათა შიდა, ისე თაობათა შორისი, რომ შესაძლებელი ხდება მსჯელობა არა მხოლოდ „ღია საზოგადოებაზე", არამედ „ღია ფენებზეც". ავტორი განსაკუთრებით ვერტიკალური მობილობის მაღალ დონეზე მიუთითებს, თანამედროვე საზოგადოების ემპირიული ანალიზით. სოციალური მობილობის გასაზომად ის იყენებს ლიფსეტისა და ცეტერბერგის მიერ გამოყოფილ პრესტიჟის ოთხ მნიშვნელობას: — ესენია: პროფესიული, საზოგადოებრივი სტატუსი, ფენისადმი კუთვნილების გრძნობა და ბაგონობა. მობილობის ანალიზი განხორციელებულია ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიისა და

ამერიკის მაგალითზე. აქედან ავტორი ასკვნის: ინდუსტრიული საზოგადოებისთვის მობილობის მაჩვენებლის სამ მნიშვნელობაზე: 1. განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოებანი განსაკუთრებით მობილურნი არიან, როგორც თაობათა შიგნით, ისე თაობათა შორის, უმთავრესად ვერტიკალური მობილობის მიმართ, თანაც ორივე მიმართულებით, როგორც მაღლა, ისე დაბლა; 2. სხვადასხვა ქვეყნების მობილობის ანალიზისას გამოვლენილი განსხვავება მიუთითებს ამ ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის დონეში განსხვავებაზე, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მით უფრო მაღალია მობილობის ნორმა; 3. კორელაცია მობილობის ნორმასა და ინდუსტრიალიზაციის დონეს შორის ისტორიულ განზომილებაშიც შეიძლება იყოს დემონსტრირებული. ამრიგად, სოციალური სტრუქტურაცია და სოციალური იერარქია ინდუსტრიული საზოგადოების თანამედროვე დონეზე, სრულიად ახალ სახეს იღებს. ძველი კლასობრივი სტრუქტურები შეიცვალა, როგორც თავისი დიფერენციაციით, ისე სტრუქტურაციის კრიტერიუმებითაც. საკუთრების ნაცვლად განმსაზღვრელი გახდა ფუნქციონირებაზე აგებული სოციალური პრესტიჟი. საზოგადოების მყარი სტატუსები შეცვალა მანამდე უნახავმა სოციალურმა მობილობამ, რომელმაც საზოგადოება დინამიკურობაში წარმოადგინა, წაიშალა კლასობრივი მიჯნები, კაპიტალისტის ადგილი დაიკავა აქციონერმა, მეწარმისა — მენეჯერმა, იმდენად, რომ „კაპიტალისტის“ ცნება „გაწყალდა“. ფენობრივ სტრუქტურას სულ სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავს. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აღზრდის ინსტიტუტების ახალი ფუნქციები. ტრადიციულ საზოგადოებასთან შედარებით ინდუსტრიულმა მანქანური წარმოებით, ფაბრიკა-ქარხნების შექმნით და შრომის დისციპლინით ოჯახს წაართვა მწარმოებლის ფუნქცია. ტრადიციულ საზოგადოებაში ოჯახური მეურნეობა ბატონობდა, წარმოება ოჯახის სფეროში შემოდიოდა, ფეოდალი და ხელოსანი თავის მამულსა თუ სახლში აგებულ სახელოსნოში აწარმოებდა სამომხმარებლო და სასაქონლო პროდუქციას. ინდუსტრიულმა საზოგადოებამ განვითარების პირველსავე ეტაპზე ოჯახს ჩამოაცილა წარმოება, ის გადაიტანა ფაბრიკა-ქარხნებში, განამტკიცა ქალაქური ტიპის დასახლებანი. ეს იყო ახალი საზოგადოების ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელსაც ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოჰყვა წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, ტრესტებისა და სინდიკატების წარმოშობა. ასევე ოჯახმა და ეკლესიამ დაკარგა განმსაზღვრელი როლი ახალი თაობის სოციალიზაციაში და კონცენტრაცია მოხდა აღზრდის ახალ ინსტიტუტებზე. ტრადიციულად აღზრდის ამოცანა იყო ტექნიკური დახელოვნების და საზოგადოების ნორმებისა და ღირებულებების ათვისება, მათი სოციალიზირება. მეცხრამეტე საუკუნემდე ამ ამოცანებს ძირითადად ოჯახი და ეკლესია ასრულებდა, მეცხრამეტე საუკუნიდან აღზრდის ინ-

სტიტუტები. ამ ორი ამოცანის გვერდით, აღმრდის ინსტიტუტებს აღმოაჩნდა ახალიც, — განსხვავებული წარმოშობის ადამიანებისათვის პროფესიის შერჩევა და დაუფლება, მათი სოციალური ადგილის მონახვა ამ ახალი ფუნქციის საფუძველზე. შელსკი ამტკიცებდა, რომ კლასობრივი საზოგადოებიდან გადავდივართ ნიველირებულ პროფესიულ საზოგადოებაზე. ეს ცვლილება დარენდორფს ასე აქვს წარმოდგენილი: „თუ მანამდე საზოგადოებაში აღმრდის სისტემა დამოკიდებული იყო ფენობრივ სტრუქტურაზე და განისაზღვრებოდა წოდებით, მემკვიდრეობით, ან წარმოშობით, განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში პირიქითაა — სასკოლო სისტემა განსაზღვრავს უმთავრესად ფენობრივ სტრუქტურას, არა ფენისადმი კუთვნილება განსაზღვრავს აღმრდის დონეს, არამედ აღმრდის დონე განსაზღვრავს ფენისადმი კუთვნილებას“ (166, 64). ეს ნიშნავს, რომ ახალი თაობის დანაწევრებაში განმსაზღვრელია არა მარტო მშობლების მდგომარეობა, არამედ მათი უნარი და განათლება. მათი ინდუსტრიული დახელოვნება.

ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია „თავისუფლება როგორც მოქალაქეთა უფლება და სინამდვილე“. ინდუსტრიული საზოგადოების თეორეტიკოსები თავისუფლების სამ სახეს განასხვავებენ: იურიდიულს, პოლიტიკურს და სოციალურს. მათი რეალიზება ინდუსტრიულ საზოგადოებაში განხორციელდა თანმიმდევრობით; იურიდიულისა — მეთვრამეტე საუკუნეში, პოლიტიკურისა — მეცხრამეტეში და სოციალურისა — მეოცე საუკუნეში. თავისუფლებამ შექმნა ნიადაგი საზოგადოების ნიველირებისა, როგორც პროფესიის მიღებაში, ისე დოვლათის მოხმარებაში. სხვადასხვა ფენები უახლოვდებიან წარსულში ელიტურ ფენათა დონეს შემოსავლით, სოციალური პრესტიჟით, სტატუსითა და მოხმარების დონითაც. დარენდორფის აზრით, ფანასწორუფლებიანობის ფაქტობრივი განხორციელება სრულყოფილი არაა არცერთ მოწინავე ქვეყანაში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საზოგადოებას ასეთი ტენდენცია აქვს და იგი სულ უფრო მძლავრად იჩენს თავს. თუ მარქსი მოელოდა, რომ თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო მეტ უფსკრულს გათხრიდა მქონებელთა და უქონელთა შორის, „ასეთი წანამძღვრების საპირისპიროდ ინდუსტრიულმა საზოგადოებამ თავის განვითარებაში, დასაწყისში დაძახასიათებელი უთანაბრობა კი არ განამტკიცა, არამედ პირიქით, სოციალური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებში თანასწორობის პრინციპი დაამკვიდრა“. დარენდორფის აზრით, ეს არ მნიშვნელობს ყველა სფეროს მიმართ, მაგალითად შემოსავლის განაწილებისადმი, მაგრამ ეს ეხება ძირითად ღირებულებებს. შემოსავლის სფეროშიც თავს იჩენს ნიველირების ტენდენცია, გათანაბრების გარეშე. ყოველ შემთხვევაში ინდუსტრიულ საზოგადოებას უზრუნველყოფილი აქვს საარსებო მინიმუმი, რომლის ზღვარს ქვემოთ მოხვე-

დრა გამორიცხულია. ყოველივე ამან გამოიწვია სოციალურ კონფლიქტთა და დაპირისპირებათა უკანა პლანზე გადასვლა და სოციალური ინსტიტუტების გზით ურთიერთობათა დარეგულირება. კონფლიქტის საფუძველები თანდათან კარგავს ძალას. დარენდორფის აზრით, ამას ხელს უწყობს პარტიებისა და პროფესიული კავშირების არსებობა, თუმცა გალბრეითი საერთოდ ზედმეტად მიიჩნევს პროფკავშირებსაც და პარტიასაც. როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ინდუსტრიული საზოგადოება მრავალი ნიშნით ხასიათდება, რომელთა ნაწილს ჩვენ კიდევ განვიხილავთ და მათი შემოსაზღვრა ხუთი ნიშნით, როგორც ამას აკეთებს ა. კოვალიოვი ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ წერილში (იხ. 132, 114-115), არ არის მართებული.

ინდუსტრიული საზოგადოების ზემოთ გადმოცემული დახასიათება, დარენდორფის მიხედვით, არ არის ამ საზოგადოების სოციოლოგიური ანალიზის ერთადერთი ნიმუში. ასეთ ანალიზს გვთავაზობენ ბენდიქსი, ბერლე, კედი და სხვები. ინდუსტრიული საზოგადოების სოციოლოგიური ანალიზის გვერდით, არსებობს ამ საზოგადოების ეკონომიკური ანალიზიც, რომლის ერთ-ერთი კლასიკური ფორმაა ახალი ინდუსტრიული საზოგადოების გალბრეითისეული ანალიზი. გალბრეითმა, სანამ შექმნიდა შრომას — „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება" (1967 წელი), მანამ შექმნა ნაშრომი — „სიუხვის საზოგადოება", რომელიც მიაჩნია იმ ფანჯარად, საიდანაც დაინახა ინდუსტრიული საზოგადოების ნაგებობა. შემდგომ კი დაწერა მესამე წიგნი — „ეკონომიკა და საზოგადოების ინტერესები". როგორც თვითონვე აღნიშნავს, თავისებური ტრილოგია გამოუვიდა, რომლის ცენტრშია „ინდუსტრიული საზოგადოება". უნდა აღინიშნოს, რომ სამივე შრომა სხვადასხვა კუთხით დანახული ერთი და იმავე თანამედროვე საზოგადოების სურათია. თვითონ ავტორიც ახდენს იდენტიფიკაციას სიუხვის საზოგადოებისა ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებასთან, მათ აქვთ საერთო საყრდენი, თუ საერთო მნიშვნელი, დაკავშირებული წარმოების ტექნოლოგიასა და სოციალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემასთან. ინდუსტრიული საზოგადოების გალბრეითისეული ეკონომიკურ-სოციალური ანალიზი, ცალკეულ მომენტებში ემთხვევა დარენდორფისეულ სოციოლოგიურ ანალიზს, მაგრამ ძირითადად ახალ განზომილებაში განიხილავს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას. გალბრეითის თეორიის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ინტერესი, რაც ევროპის, ამერიკისა და აზიის საზოგადოებებმა გამოიჩინა მის მიმართ. ავტორის აღიარებით 1963-66 წლებში „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება" აღავსებდა მთელ მის ცხოვრებას, ხოლო წიგნის დასრულების შემდეგ, მან შეავსო ამერიკული საზოგადოების ცხოვრებაც. იყო მრავალრიცხოვანი ტელედებატები, სენატის კომიტეტმა ავტორი მიიწვია მისი თვალსაზრისის გასაცნობად.

წიგნის პირველიეე გამოცემა, ასი ათასი ტირაჟით საკმაოდ ძვირად ღირებული, მოკლე დროში გაიყიდა, მას კიდევ ორი გამოცემა მოპყვა. „ამ წიგნის თარგმანი გამოჩნდა ყველა განვითარებულ სამრეწველო ქვეყანაში, ასევე სსრკ-ში, ჩინეთში, უნგრეთსა და იუგოსლავიაში, საერთოდ წიგნი გახდა ბესტსელერი“ (59, 387). ზოგადად თუ განვიხილავთ, გალბრეითის კონცეფციას ბევრი თავისებურება ახასიათებს: ის ერთტიპურად აღიარებს ინდუსტრიული საზოგადოების ორ სისტემას — კაპიტალისტურსა და სოციალისტურს, ამტკიცებს მათ შორის კონვერგენციის შესაძლებლობას, აჩვენებს თითოეულის პრინციპების მეორეში მოდერნიზებულად აკომოდაციას. კრიტიკული პოზიცია აქვს არა მარტო ცენტრალური დაგეგმვის, არამედ საბაზრო ეკონომიკის გაფეტიშებისადმი. დაგეგმვას შეზღუდულად შესაძლებლად მიიჩნევს არა მხოლოდ სოციალისტური, არამედ კაპიტალისტური ინდუსტრიული სისტემისთვისაც და მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის შეზღუდვას. მოკლედ იძლევა ინდუსტრიული საზოგადოების არასტანდარტულ სურათს. ამავე დროს ნაჩვენებია სოციალური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების როლის შეცვლა, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ასევე საზოგადოების ტიპოლოგია შრომის მოტივების მიხედვით სრულიად ახლებურადაა დასმული პიროვნების საკითხი, ისე როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობისა და მოგებისადმი დამოკიდებულების საკითხიც, ზოგიერთ ძირითად პოზიციაში გალბრეითის ნაადრევი ემთხვევა ზემოთ აღწერილ დარენდორფის თვალსაზრისს. გალბრეითიც ფიქრობს, რომ ინდუსტრიული საზოგადოება ორსაფეხურიანია: პირველზე ერთ ხელში იყო ძალაუფლება და საკუთრება, მეორეზე ისინი გაითიშნენ. საერთო ნიშნები ინდუსტრიული საზოგადოებისა არის: სამრეწველო მანქანური წარმოება, ფაბრიკა-ქარხნების სისტემა, შრომის მექანიზაცია, განსხვავება მექანიზაციის დონესა და წარმოების კონცენტრაციაში. საყურადღებოა გალბრეითის მიერ ინდუსტრიული სისტემისა და ინდუსტრიული საზოგადოების განსხვავება. ინდუსტრიული სისტემა ძირითადად ეკონომიკას მოიცავს, ინდუსტრიული საზოგადოება კი ცხოვრების ყველა მხარეს. განსხვავების მიუხედავად, ინდუსტრიული სისტემა ინდუსტრიული საზოგადოების განმსაზღვრელი ნიშანია. ისე როგორც ინდუსტრიულ საზოგადოებას, ინდუსტრიულ სისტემასაც ორი ეტაპი აქვს; წვრილ საწარმოთა და მსხვილი კორპორაციებისაგან. ეს უკანასკნელი იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ „მსხვილი კორპორაციების ეკონომიკას აცხადებს ინდუსტრიულ სისტემად“, რომელიც მსხვილი კორპორაციების, ანუ ტრესტებისა და სინდიკატების საფეხურზე ქმნის „ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებას“. გალბრეითის აზრით, ამ საზოგადოების ეკონომიკა, სულ მცირე, ექვს სიახლეს შეიცავს: 1. იზრდება დროის მონაკვეთი ამა თუ იმ სამუშაოს დაწყებასა და დამთავრებას შორის. ეს ისე კი არ უნდა

გავიგოთ, რომ რომელიმე პროდუქციის წარმოების დრო გახანგრძლივდა, აქ საკითხი ეხება ამოცანის კომპლექსურ გადაწყვეტას, რომელიც კონკრეტული მიკრო ამოცანიდან უკავშირდება მეორე კერძო ამოცანას, შემდეგ მესამეს და ბოლოს ამოცანათა მთელ კომპლექსს. ეს ნიშნავს ამოცანის დასმის და გადაწყვეტის ლოკალურიდან გლობალურ განასერში გადანაცვლებას, ახალი ტექნიკისა და ცოდნის ფართოდ გამოყენებას, რასაც მეტი დრო სჭირდება; 2. იმრდება წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი, რომლის ნაწილი ხმარდება პროდუქციის მოცულობის გადიდებას, ნაწილი ტექნიკური სიახლეებისა და წარმოების პროცესის სრულყოფას; 3. ადგილი აქვს სპეციალიზაციას. ტექნიკის განვითარებასთან ერთად კაპიტალი და დრო კონცენტრირდება ერთი რომელიმე ამოცანის შესრულებაზე, რომელიც შემდგომ დიფერენცირდება, ეს კი სპეციალიზაციაა; 4. თანამედროვე ტექნიკა მოითხოვს სპეციალიზებულ სამუშაო ძალას ანუ სპეციალურ საკითხებში ღრმა ცოდნას; 5. სპეციალიზაცია მოითხოვს ორგანიზაციას, სპეციალისტთა კოორდინაციას. ჩნდება ახალი სპეციალობა ორგანიზაციის სპეციალობის სახით; 6. დაგეგმვის აუცილებლობა ჩნდება. თანამედროვე წარმოების ბუნება, საწარმოთა სპეციალიზაცია, მსსვილ ორგანიზაციათა საჭიროება, მოწინავე ტექნიკა და ბაზარი უცილობლად მოითხოვს ამოცანათა დასახვის და საქმის გადაწყვეტის ღრმა ცოდნას, როგორც დღევანდელობის, ისე მომავლის განზომილებაში. (58, 49-52). ეს უკანასკნელი მოთხოვნა განასხვავებს გალბრეითის თვალსაზრისს ინდუსტრიული საზოგადოების სხვა თეორეტიკოსებისაგან. თუ ინდუსტრიული საზოგადოების სსვა თეორეტიკოსები საბაზრო ეკონომიკას მიიჩნევენ რეგულატორად, როგორც პირველ, ისე მეორე ეტაპზე, გალბრეითის აზრით, საბაზრო ეკონომიკა პირველ ეტაპზე გამოდგება რეგულატორად, მაგრამ მეორეში უნდა შეივსოს დაგეგმვით, არა ცენტრალიზებული, არამედ საწარმოს ფარგლებში, „საბაზრო ურთიერთობანი მოდიფიცირებულ უნდა იქნეს დაგეგმვის გზით". ეს არ აახლოებს გალბრეითს სოციალისტურ დაგეგმვასთან. მას მიაჩნია, რომ თანამედროვე ტექნიკის პირობებში ბაზარზე უფრო საიმედო საყრდენი დაგეგმვაა. ეს ეხება ციკლს წარმოების დაწყებიდან დამთავრებამდე და მომავალი ცვლილებების გათვალისწინებას, განსხვავებით სადირექტივო დაგეგმვისაგან, გალბრეითი მას სამრეწველო დაგეგმვას უწოდებს. (59, 68).

ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი სპეციფიკა დაკავშირებულია ძალაუფლებასთან. საზოგადოების ხასიათს განსაზღვრავს ის, თუ ვის ხელშია ძალაუფლება, ხოლო თეორიის ხასიათს ძალაუფლების ესა თუ ის გაგება. მარქსის თეორია დაკავშირებულია ძალაუფლების კაპიტალისტურ კუთვნილებასთან, ამიტომ „ყველა ის ეკონომისტი, ვინც თვლის, რომ ძალაუფლება კაპიტალისტს ეკუთვნის,

მარქსისტია“. ინდუსტრიულის წინა საზოგადოებაში ძალაუფლება მიწათმფლობელებს ეკუთვნოდათ, შემდეგ გადაინაცვლა კაპიტალისტებზე, მარქსმა ეს სწორად დაინახა, მაგრამ ვერ შეამჩნია შემდგომი ცვლილება, როცა ძალაუფლება გადავიდა მმართველთა ხელში. „კომპანიათა ხელმძღვანელებს ეკუთვნით ჭეშმარიტი ძალაუფლება, აქციოსერთა კრებები კი სალაყბოა“. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებას სჭირდება სპეციალური ცოდნა და მისი ორგანიზებული დაუფლება. ეს ცოდნა სულ უფრო განმსაზღვრელი ხდება, „იმდენად, რომ ძალაუფლების წყარო კაპიტალიდან გადაინაცვლებს ორგანიზებულ ცოდნაზე“.(59, 97). ერთი შეხედვით ასეთ ვითარებაში პიროვნება უნდა ხყოს განმსაზღვრელი — თუ მანამდე კაპიტალისტი იყო, ახალ ეტაპზე კორპორაციის ბრეზიდენტი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით: სინამდვილეში ცოდნის სპეციალიზაციამ, წარმოების პროცესის კომპლექსურმა ხასიათმა და ტექნიკის უმაღალითო განვითარებამ, შეუძლებელი გახადა კორპორაციის ერთი ადამიანის მიერ ინდივიდუალური მართვა. კორპორაციის საქმეში მესაკუთრე ვერ ჩაერევა, მაგრამ ვერც დირექტორი, თუ მენეჯერი შეძლებს მის მართვას, რადგან მრავალდარგოვანი საწარმო, ერთი სპეციალობის ადამიანის მიერ წარმატებით ვერ წარიმართება. გალბრეითის აზრით, ეს დადასტურდა ფორდის მაგალითზე, რომელსაც არ უნდოდა გაეგო, რომ ძველებური მეთოდებით მართვა არ შეიძლება. დროზე რომ არ მომკვდარიყო, და რომ მის მემკვიდრეებს არ მიემართათ მმართველობის ახალი ფორმისათვის, მისი კომპანია გაკოტრების კარზე იდგა. ერსებითი განსხვავება ინდუსტრიული საზოგადოების პირველ და მეორე ეტაპს შორის ისაა, რომ პირველ ეტაპზე თავისუფალი პიროვნება ინდივიდუალურად ახორციელებს ხელმძღვანელობას ინდივიდის განთავისუფლებით კაპიტალიზმმა შეძლო მისი აქტივობის და შემოქმედებითი უნარის ჩაყენება ინდუსტრიის სამსახურში, მაგრამ კორპორაციამ შეცვალა ვითარება, მისი ერთ-ერთი ძირითადი „განმსაზღვრელი ნიშანია ჯგუფურ მოქმედებათა უპირატესობა ინდივიდუალურზე“. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ბრბოსთან დაპირისპირებაში, პიროვნება იმსახურებდა პატივს და დიდებას, მაგრამ მსხვილმა კორპორაციამ აჩვენა, რომ ბრბოზე მაღლა დგომა არაა საკმარისი და უნდა მოხდეს ღირებულებათა გადაფასება. „დღეს საზოგადოებაშიც და წარმოებაშიც ძალაუფლება პიროვნებიდან ორგანიზაციის ხელში გადავიდა“, (59, 100). თანამედროვე საზოგადოებაში მმართველობას ახორციელებს ორგანიზაცია, მისი აუცილებლობა გამოწვეულია ინფორმაციის მრავალსახიანობით, რომელსაც ფლობს არა ცალკეული პიროვნება, არამედ ადამიანთა სიმრავლე. ანუ ახალი ჯგუფური ინდივიდუალობა, როგორც ორგანიზაცია, რომელსაც ძალუძს თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე კორპორაციის მართვისთვის აუცი-

ლებელ გადაწყვეტილებათა გამოტანა: ამას სამი ფაქტორი მაინც განაპირობებს: 1. თანამედროვე მრეწველობის ტექნოლოგია შეუძლებელია მთლიანობაში იცოდეს ენციკლოპედიური განათლების ადამიანმაც, მითუმეტეს, ცოდნის სპეციალიზაციის პირობებში, თითოეულ პიროვნებას აქვს ინფორმაცია და გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლია ერთი რომელიმე ასპექტის შესახებ, მაშინ როდესაც კომპლექსური ტექნოლოგიის ამოქმედება საჭიროებს მრავალი ადამიანის ცოდნის გაერთიანებას; 2. ერთ-ერთი ფაქტორია ტექნიკის პროგრესი, რა იქნება უახლოეს მომავალში, ამის განსაზღვრა, დაჩქარებული ტექნიკური პროგრესის პირობებში, მოითხოვს „მრავალფეროვან ინფორმაციას და მის მატარებელ ადამიანთა მთელ არმიას. ინფორმაციის გაძლიერება, გადაცემა და კონცენტრირება კომიტეტების გზით ხდება“ (ჯგუფის გადაწყვეტილება შეუძლია გააკონტროლოს კორპორაციის ხელმძღვანელმა, მაგრამ არ უნდა შეცვალოს, რადგან „კორპორაციის პრეზიდენტთა ძალაუფლება შეზღუდულია და არ შეესაბამება მათ პრესტიჟს“. (59, 111). ამდენად, მეწარმის ხელმძღვანელობა იცვლება ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით. ესეც ერთ-ერთი სიახლეა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისა. მეწარმეთა მოღვაწეობა აგებული იყო მეტოქეობაზე, კორპორაციაში ტექნოსტრუქტურა მოითხოვს არა ინდივიდუალიზმს, არამედ ორგანიზაციის მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებას, არა მეტოქეობას, არამედ თანამშრომლობას, რითაც არსებითად ცვლის ტრადიციულ ურთიერთობათა სისტემას, მართალია, გალბრეითი ახალ საზოგადოებაში მმართველობას ორგანიზაციას ანდობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს სოციალიზმის მოდელის გამოყენებას, რომელშიც სახელმწიფო გეგმავდა და აკონტროლებდა წარმოებას. [გალბრეითის აზრით, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს წარმოების მართვაში, რადგან ახშობს ტექნოსტრუქტურას და იწვევს ჩამორჩენილობას.]

ყოველივე, რაც ზემოთ აღინიშნა, ეხებოდა ინდუსტრიული საზოგადოების მმართველობის სტრუქტურას და ტექნოლოგიის სიახლიდან გამომდინარე ძალაუფლების პრინციპის შეცვლას [გალბრეითის აზრით, ცვლილებები ეხება სხვა სფეროებსაც, უპირველესად კი ღირებულებით ორიენტაციებს და ადამიანის საქმიანობის მამოძრავებელ მოტივებს] საკითხი ისმის, რა ამოძრავებდა კაპიტალისტური საწარმოს ხელმძღვანელს, მეწარმეს და რა ამოძრავებს ტექნოსტრუქტურას. მეწარმე მესაკუთრე იყო და თავის საწარმოდან ცდილობდა მაქსიმალური მოგების ამოქაჩვას, ტექნოსტრუქტურა მესაკუთრეებისაგან არ შედგება, ის ორგანიზაციის წარმომადგენელია, მისი მიზანია ორგანიზაციის წარმატება, მისი რაციონალიზაცია, [ეს ნიშნავს, რომ წინააღმდეგობაა კაპიტალიზმის მოგებისაკენ სწრაფვასა და ახალი ინდუსტრიული საზოგადოების რაციონალიზებისაკენ სწრაფვას შორის, შესაბამისად შეიცვალა ღირებულები-

თი ორიენტაციები, რასაც ადასტურებს მამოძრავებელი მოტივების ანალიზი. მამოძრავებელი მოტივების ზოგადთეორიულ პრინციპებში ის განასხვავებს ქცევის ოთხი სახის მოტივებს: ძალდატანებას, დაჯილდოებას, იდენტიფიკაციას და შეგუებას. მოტივაცია თავს იჩენს ადამიანის მიზანდასასულობებში. რადგან ანალიზის ობიექტი ტექნოსტრუქტურაა, უნდა განისაზღვროს მისი მიზნებიც. ტექნოსტრუქტურას მოგება არ აინტერესებს, მაგრამ მის ორიენტაციას ორგანიზაციის რაციონალიზებაზე გარკვეული მოტივაცია განსაზღვრავს, აქ მთავარია ორგანიზაციის და პიროვნების მიმართება. ტექნოსტრუქტურაში პიროვნება ექვემდებარება ტექნოსტრუქტურის მიზნებს, ხდება მათი მოტივების იდენტიფიკაცია: პიროვნების მოტივები შეიძლება იყოს ხელფასის მომატება, მეცნიერებით დაინტერესება, სოციალური პრესტიჟის მოპოვება და სხვა. მდგომარეობა რთულდება, როდესაც ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე და საჭიროა მისი მამოძრავებელი მოტივების გარკვევა. ორგანიზაცია რთული სტრუქტურული წარმონაქმნია, რომლის მოქმედებისთვის აუცილებელია მის წევრთა თანხმობა. „ორგანიზაცია ორი ან მეტი ადამიანის შეთანხმებული მოქმედებაა, ან ძალთა სისტემაა". აქ განმსაზღვრელია წევრთა შორის თანხმობა. ეს მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირად მიზნებზე უარს ამბობენ და ემორჩილებიან ორგანიზაციის ინტერესებს. ამის გარეშე ორგანიზაცია ვერ იფუნქციებს და საკითხი ისმის, როგორ მიიღწევა პირად მიზნებზე უარის თქმა და საერთოსადმი დაქვემდებარება. ეს სხვადასხვა წესით განისაზღვრება: 1. გვაიძულებენ, სახელმძღვანელოდ მივიღოთ გარკვეული მიზნები, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი მოგველის; 2. საერთო მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება ჯგუფი მოსყიდულ იქნეს გასამრჯელოს ან ჯილდოს გზით; 3. ჯგუფთან დაკავშირებული პიროვნება თუ შეიცნობს, რომ ჯგუფის ინტერესები მის პირადულზე უფრო მაღლა დგას, ის ირჩევს ჯგუფის ინტერესებს და უარს ამბობს პირადულზე. თუ სამუშაო, რომელსაც ვასრულებთ, საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება, ჩვენ საზოგადოების წევრები ვართ და სასარგებლო საქმის კეთებით საზოგადოებასთან ჩვენი ცხოვრების იდენტიფიკაცია ხდება. ესაა იდენტიფიკაციის მოტივი; 4. შეიძლება საზოგადოებას ემსახურო იმ იმედით, რომ მომავალში საზოგადოების მიზნებს დაამთხვევ, ან შესაბამისობაში მოიყვან შენს მიზნებთან, ესაა მიზანთა შეგუება. მაშასადამე, მოტივთა სისტემა ოთხწევრაა: ძალდატანება, დაჯილდოება, იდენტიფიკაცია და შეგუება. ბალბრეითი ინდუსტრიული საზოგადოების სპეციფიკად მიიჩნევს შრომის მოტივთაგან იძულების გამორიცხვას, რაც ინდუსტრიამდელი საზოგადოების დამახასიათებელი იყო. გასამრჯელო და ჯილდო არსებობდა ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში და არსებობს ინდუსტრიულშიც, მაგრამ ტექნოსტრუქტურის ეტაპზე ის არაა განმსაზღვრელი. ტექნოსტრუ-

ქტურის წევრებს მხოლოდ ფულადი ანაგღაურება არ ამოძრავებთ, ტექნოსტრუქტურისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და სპეციფიკურია იდენტიფიკაციისა და შეგუების მოტივები. იდენტიფიკაცია და შეგუება ერთმანეთს შეესაბამებიან და შეიძლება დაუკავშირდნენ ჯილდოს, მაგრამ არა იძულებას. მაშასადამე, ახალი ინდუსტრიული საზოგადოება ცვლის არა მარტო ძალაუფლებისა და საკუთრების თანაფარდობას, არამედ ადამიანთა მამოძრავებელი მოტივების თანაფარდობასაც. თუ ძალაუფლების ცვლილების სამ ეტაპს განვისილავთ, პირველ ეტაპზე ძალაუფლებას უბრუნველყოფდა მიწის საკუთრება, მეორეზე — კაპიტალი, მესამეზე — ტექნოსტრუქტურა, შესაბამისად იცვლებოდა მამოძრავებელი მოტივები, იძულება უკავშირდება მიწის საკუთრებას, ფულადი მოტივი — კაპიტალს, ხოლო მიზანთა იდენტიფიკაცია და შეგუება ტექნოსტრუქტურას.

განვითარებული კორპორაცია არსებითად განსხვავდება ინდუსტრიული საზოგადოების პირველი ეტაპიდან, რომელშიც მუშების მიზნები მკვეთრად დაპირისპირებულია მეწარმეთა მიზნებთან. მუშებს მეტი გასამრჯელოს მიღება აქვთ მიზნად, მეწარმეებს კი მეტი მოგების უზრუნველყოფა. ამ დაპირისპირებაში ჩნდება მუშათა ინტერესების დამცველი პროფესიული კავშირები და პარტიები. განვითარებული კორპორაცია აუქმებს ამ დაპირისპირებას. მისი მიზანია წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, ტექნიკური გადაიარაღება, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების ზრდას, შესაბამისად მუშები გაცილებით მეტს ღებულობენ, თანაც ტექნიკური პროგრესის ეზმო სამუშაო იოლდება. „თეთრსაყელოიანთა“ ზრდასთან ერთად მცირდება „ლურჯსაყელოიანთა“ რაოდენობა. ვინც რჩება, მათი ინტერესები არ უპირისპირდება ტექნოსტრუქტურის ინტერესებს და სუსტდება პროფკავშირი და სხვა ორგანიზაციები. მუშათა ინტერესების ტექნოსტრუქტურის ინტერესებთან შეთავსებადობას ხელს უწყობს სხვა ფაქტორებიც. გალბრეითი აღნიშნავს ოთხ მათგანს: 1. ჯგუფის, ან ორგანიზაციის პრესტიჟი მაღალი და საყოველთაოდ აღიარებულია; 2. მუდმივი კონტაქტი ორგანიზაციაში შემავალ ადამიანებს შორის; 3. ორგანიზაცია თვითონ აკმაყოფილებს მის წევრთა მოთხოვნების უმრავლესობას; 4. მეტოქეობა ორგანიზაციის წევრებს შორის მინიმუმამდეა დაყვანილი. გალბრეითი ფართოდ აანალიზებს ამ ოთხ ფაქტორს. პირველ რიგში ყურადღებას მიაპყრობს ორგანიზაციის პრესტიჟს. აღნიშნავს, რომ ადამიანები ერთმანეთის ღირებულების გასარკვევად საჭიროებენ მათი სამუშაო ადგილის დადგენას. კორპორაცია უბრუნველყოფს მუდმივ კონტაქტსაც, რადგან ტექნოსტრუქტურა ჯგუფურ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც გავლენას ახდენს მიზანთა იდენტიფიკაციაზე. განსაკუთრებით შეიმჩნევა ის ორგანიზაციისადმი დამოკიდებულებაში, რომელიც ამ ორგანიზაციის წევრთათვის

ოჯახსა და გართობაზე უფრო მაღლა დგას. რადგან ტექნოსტრუქტურა თანამშრომლობას მოითხოვს, მასში მეტოქეობა უმნიშვნელო დონემდე დადის. ტექნოსტრუქტურაში ადამიანის გაელენა და მისი სამყარო ფართოვდება. ის კონცენტრირდება საკუთარ საქმიანობაზე, იმდენად, რომ მის თვალსაწიერს საკუთარი დასაქმების სფერო ქმნის: მასწავლებლებისას — სკოლა, მღედლისას — მრეელი, პროფესორისას — ფაკულტეტი. ეს თვალსაწიერი მათ პირად მიზნებს შეგუებულია, ამიტომ მათი ინტერესები სწორედ ამ სფეროებზე კონცენტრირდება, ამით ხდება იდენტიფიკაცია და შეგუება, ე. ი. საკუთარი მიზნების დაყენა ორგანიზაციის მიზნებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად ცხადდება შეთავსებადობა, ის ეხება, პირველ რიგში, მიმართებას საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის. ე. ი. შეთავსებადობა უნდა იყოს საზოგადოების, ორგანიზაციისა და პიროენების მიზნებს შორის, უნდა დაემთხვეს მათი ინტერესები და მამოძრავებელი მოტივები. ინდუსტრიული საზოგადოება სარგებლობს ერთი საერთო პრინციპით, რაუცილებელია წარმოების ზრდა, თუმცა კრიტიკულად თუ შეეხედავთ ამ პრინციპს, აღმოჩნდება, რომ წარმოების ზრდა ყოველთვის არ უნდა იყოს სასარგებლო. რაც უფრო იზრდება სიგარეტისა და სასმელის წარმოება, მით უფრო მატულობს კიბოთი და ციროზით დაავადებულთა რიცხვი, მანქანების სიმრავლე აჭუჭყიანებს გარემოს. უამრავი ანალოგიური ფაქტი არსებობს, მაგრამ საზოგადოება მაინც ურყევად დგას იმ პოზიციაზე, რომ წარმოების ზრდა სასარგებლოა, და მიზნად აქვს დასახული, რადგან ამ გზით ამაღლდება ცხოვრების დონე. ეს კი საზოგადოებრივი პროგრესის უტყუარი ნიშანია. გალბრეითი აქვე განისილავს პარსონსის მიერ საზოგადოების ერთ-ერთ არსებით ნიშნად გამოცხადებულ თვითშენახვის პრინციპს. პარსონსის მტკიცებით, საზოგადოება ეწოდება სისტემას, რომელსაც შეუძლია თვითუზრუნველყოფა. მთელი ტექნოსტრუქტურა, როგორც გლობალური, ისე ლოკალური მასშტაბით, ამ პრინციპით ხელმძღვანელობს. თვითშენახვის უზრუნველყოფა ნიშნავს დამოუკიდებლობის შენარჩუნებასაც. თვითშენახვას კი ტექნოლოგიის სრულყოფა და წარმოების ზრდა განაპირობებს, ორივეს უზრუნველყოფს ტექნოსტრუქტურა. ამდენად, გალბრეითის აზრით, ტექნოსტრუქტურა და საერთოდ ახალი ინდუსტრიული საზოგადოება პერსპექტიულია, რომლის ზრდას საზღვრები არა აქვს.

ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ნიშნად, გალბრეითი თელის წარმოების დაშორებას ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის პროდუქციის დამზადებისაგან. თუ მანამდე საზოგადოება პროდუქციას აწარმოებდა მოხმარებისათვის, ინდუსტრიულ საზოგადოებაში პროდუქციის წარმოების ზრდა არ არის დამოკიდებული მოხმარების დონეზე, იწარმოება უფრო მეტი, ვიდრე

მოხმარებისათვის არის საჭირო. ამ პროდუქციის წარმოების დანიშნულებაა ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება. დოელათის მწარმოებლები, რაც უფრო მეტ პროდუქტს ფლობენ, მეტი წარმატება აქვთ ახლობლებში, მაღლდებიან საზოგადოების თვალში. კმაყოფილებას იწვევს თვით მათშიც. მოკლედ სიუხვე ემსახურება სხვების სოციალურ დათრგუნვას და საკუთარი მეობის ამაღლებას. ამ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წარმოების და მოხმარების წარმმართველი ტელევიზია და საერთოდ, ინფორმაციის საშუალებანი.

ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი ნიშანია განათლების მაღალი დონე. წინააღმდეგობრივი, რადგან მაღალი დონის განათლების გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს, მისი შედეგები კი უმუშევრობის ზრდას იწვევს. თუ მანამდე საზოგადოება გათიშული იყო ღარიბებად და მდიდრებად, ინდუსტრიულ საზოგადოებაში ძირითადია გათიშვა განათლებულებსა და გაუნათლებლებს შორის. ინდუსტრიული საზოგადოება საჭიროებს მაღალი განათლების და კვალიფიკაციის მუშაკებს. თანაც ტექნიკური პროგრესი წარმოებიდან გამოათავისუფლებს არაკვალიფიცირებულთ, რაც ზრდის უმუშევრობას. ამას ემატება ახალი პროფესიების წარმოშობა, რომელსაც ძველი განათლების მქონენი ვერ უძღვებიან და საზოგადოებაში ერთდროულად მწვავე უმუშევრობაა და, ამავე დროს, კადრების მწვავე დეფიციტი. ეს გამოწვეულია მუშათა კვალიფიკაციის წარმოების მოთხოვნილებებთან შეუსაბამობით.

განათლებისა და ტექნიკის როლის უმაგალითო ზრდა ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებაში იწვევს სოციალური პრესტიჟის კრიტერიუმების გადასინჯვას. ახალ საზოგადოებაში წინა პლანზე დგებიან პედაგოგები და სწავლულები. თუ კაპიტალისტურში მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ ბანკირები და ფინანსისტები, ახალ ეტაპზე ასეთ მნიშვნელოვან ფიგურებს სწავლულები და ინჟინრები წარმოადგენენ. წარსულში კაპიტალი საჭიროებდა საბანკო სისტემას, ამჟამად მოთხოვნილება საგანმანათლებლო სისტემაზეა, თანაც იმ დონეზე, რომ განათლების სისტემა ჩამორჩება საზოგადოების მოთხოვნებს, სწრაფად იზრდება პედაგოგთა და სტუდენტთა რიცხვი. გალბრეიითის მონაცემებით 1900 წელს ამერიკაში 24000 პედაგოგი ყოფილა. 60-იან წლებში მათი რიცხვი გაიზარდა 480000-მდე. მეცნიერები და პედაგოგები გარკვეულად ოპოზიციაში არიან ტექნოსტრუქტურის სამყაროსთან, ისე როგორც მათი ცხოვრების წესთან და უტილიტარიზმთან, მაგრამ ტექნოსტრუქტურა მათ გარეშე ვერ იარსებებს, ამიტომ მათ მიმართ შემწყნარებლობას იჩენენ. ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებაში იცვლება დამოკიდებულება ზედმეტი სამუშაო დროის მიმართაც, თუ კაპიტალიზმის დროს მიზანი იყო სამუშაო დროის შემცირება და მუშათა კლასი, მათი ინტერესების დამ-

ცველ პროფკავშირებთან ერთად იბრძოდა ამ მიზნის მისაღწევად, ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ვითარება იცვლება. ადამიანთა მოთხოვნილებანი შორს გასცდა მათი დაკმაყოფილების ფიზიოლოგიურ ნორმებს. მოდა და პრესტიჟული ნივთების შეძენის სურვილი ადამიანს აიძულებს გაიხანგრძლივოს სამუშაო დრო და მისი ინტერესები ტრადიციულის საწინააღმდეგოდ წარიმართება. „კარგი ცხოვრების", „ტკბილი ცხოვრების" იდეალი ცელის მის დამოკიდებულებას წარმოების და ტექნოსტრუქტურისადმი, ის „იხანგრძლივებს შრომის პროცესს და ამცირებს დასვენებას, ამის შესაძლებლობას ისიც აძლევს, რომ ტექნიკურმა პროგრესმა გააიოლა მისი სამუშაო და ფიზიკურიდან მახვილი გადატანილია ინტელექტუალურ შრომაზე". ეს ნიშნავს, რომ პროფკავშირებმა დაკარგეს თავიანთი ფუნქცია, რადგან შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობა არაა განმსაზღვრელი. „ძალაუფლების ტექნოსტრუქტურის ხელში გადასვლა ასუსტებს წინააღმდეგობას სამუშაოს მიმცემსა და დაქირავებულ მუშას შორის, რაც ზედმეტს ხდის პროფკავშირებს".

[გალბრეითის მიერ განხილულ ახალ ურთიერთობათა შორის ერთერთი მნიშვნელოვანია ინდუსტრიული სისტემისა და სახელმწიფოს მიმართება.] პირველ რიგში აქ აღინიშნება ინტერესთა შეთავსებადობა, რადგან ინდუსტრიული სისტემისათვის [თავარია] კვალიფიციური კადრები, მათ კი ძირითადად [სახელმწიფო სასწავლებლები] ამზადებს. მეცნიერული აღმოჩენებიც [სახელმწიფოს მიერ ფინანსდება,] ან საკუთრივ სახელმწიფო სექტორიდან მიიღება. ამ აღმოჩენებს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ტექნიკური პროგრესისათვის. [სახელმწიფო ქმნის] პროდუქტებზე მოთხოვნას და უზრუნველყოფს შეკვეთებს ტექნოსტრუქტურისთვის. [დიდი წილი ამ შეკვეთებისა შეიარაღებაზე მოდის.] სახელმწიფოსა და ინდუსტრიულ სისტემას შორის ურთიერთთანხმობისა და ინტერესთა დამთხვევის შედეგად მათი ურთიერთობა ასეთ ხასიათს იღებს: [„ინდუსტრიული სისტემა განუყრელადაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან. განვითარებული კორპორაცია სახელმწიფოს იარაღია, თავის მხრივ სახელმწიფო ინდუსტრიული სისტემის იარაღია"] (59, 350). ამ მიმართებაში რა სიახლე შემოგვთავაზა ახალმა ინდუსტრიულმა საზოგადოებამ? ეს უფრო რელიეფურად გამოჩნდება, თუ გავაანალიზებთ წარსულში ბიზნესმენისა თუ მეწარმის მიმართებას სახელმწიფოსთან. ისინი ერთმანეთის მიმართ გარკვეულ უნდობლობასა და სიფრთხილეს იჩენდნენ. წინააღმდეგობა იყო მათ შორის, თუ სახელმწიფო აჯობებდა ბიზნესს, ახდენდა მის სოციალიზაციას, ან კერძო წარმოებას ზღუდავდა, თუ ბიზნესი აჯობებდა, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას აღწევდა. მეწარმე და ბიზნესიც, საარჩევნო აპარატისა და კაპიტალის მეშვეობით, გავლენას ახდენდა სახელმწიფოზე, დივიდენდების ნაწილი იხარჯებოდა სახელმწიფო აპარატის დაპროგრამებაზე. თუ მეწარმე

ცდილობდა, სახელმწიფოზე მოეხდინა ზეგავლენა, ტექნოსტრუქტურა პირიქით, თვითონაა დამოკიდებული სახელმწიფოზე და სახელმწიფო აპარატის ფორმირებისთვის არ უწევს დანახარჯების გაღება. წარსულში მხოლოდ ბაზარი არეგულირებდა ურთიერთობებს. ტექნოსტრუქტურაში დაგეგმვამ ნაწილობრივ შეცვალა ბაზრის უნივერსალური ფუნქცია.

გალბრეითი ცდილობს გააანალიზოს, ინდუსტრიული საზოგადოების აწმყოსთან ერთად, მისი მომავალი პერსპექტივებიც. მეწარმეობა შეცვალა ტექნოსტრუქტურამ, ამ ცვლილებამ წარსულის ბევრი წინააღმდეგობა მოხსნა, მაგრამ წარმოშვა ახალი და საკითხი ისმის — ეს საზოგადოება თავისი წინააღმდეგობებით მუდმივად იქნება, თუ მასაც მოელის შეცვლა. თუ მოელის, რა უნდა იყოს საზოგადოების ახალი მოდელის დამახასიათებელი. საკითხის ასეთ დაყენებას მრავალი სიძნელე ახლავს. როცა საზოგადოების აწმყოს ვიმეცნებთ, საქმე გვაქვს დაკვირვებად ფაქტებთან, რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს მათ შესახებ იდეა, და ამ იდეებს შორისაც არ უნდა იყოს ლოგიკური წინააღმდეგობა. ეს ორი პირობა უზრუნველყოფს საზოგადოების რეალობის სურათის მიღებას, მაგრამ მომავლის განჭვრეტის მცდელობაში ეს კრიტერიუმები უძლურია. არ არსებობს მომავლის კონტურების გონივრული განჭვრეტის უზრუნველმყოფი კრიტერიუმები და მაინც, დღევანდელობის წინააღმდეგობათაგან ამოსვლით უნდა შევხედოთ მომავლის კონტურებს, თუმცა ეს ხედვა არ იქნება გარანტირებული ფაქტებთან შესაბამისობით. გალბრეითის აზრით, ინდუსტრიული საზოგადოება დღევანდელ ეტაპზე მრავალი გადაუჭრელი წინააღმდეგობის და სიძნელის წინაშე გვაყენებს. პირველ რიგში, ეს ეხება დაგეგმვადი ტექნიკის შექმნას, რომელმაც შესაძლებელი გახადა კაცობრიობის დაღუპვა და საკითხი დგას, როგორ ავიცდინოთ ეს საფრთხე. ერთ-ერთი ძირითადი წინააღმდეგობა ისაა, რომ საზოგადოების განვითარება გულისხმობს ინდივიდის, პიროვნების თავისუფლების სრულყოფას, ინდუსტრიული სისტემა კი აგებულია კოლექტიურ ინტელექტზე და როგორ შეიძლება ასეთ ვითარებაში მოხერხდეს პიროვნების შენარჩუნება. ინდუსტრიული სისტემა ხელოვნებისთვისაც არაა ხელშემწყობი. ხელოვნებაში კოლექტიური საწყისი გამოუსადეგარია, ის პიროვნულ-ინდივიდუალური საქმიანობაა, ამავე დროს, ხელოვნება საჭიროებს დიდძალ დანახარჯებს; რაც მხოლოდ ტექნოსტრუქტურას შეუძლია უზრუნველყოს, მაგრამ, ტექნოსტრუქტურის თვალსაზრისით, ხელოვნების დანახარჯები არამწარმოებლურია და ცდილობს შეამციროს მათი მოცულობა. ტექნოსტრუქტურის ვითარებაში განათლებასაც უჩნდება პრობლემები. ტექნოსტრუქტურა ცდილობს, უზრუნველყოს ის ცოდნა, რომელიც ხელს უწყობს ტექნიკის და მრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ეს იწვევს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას, ჩრდილში რჩება ჰუმანიტარუ-

ლი მეცნიერებანი, თანაც ყურადღება ძირითადად გადატანილია გამოყენებით ცოდნაზე და ნაკლები ყურადღება ექცევა ფუნდამენტურ გამოკვლევას, აქედან გამომდინარე, ასკენის გალბრეითი, „მეცნიერებასა და განათლებას ზღუდავს ინდუსტრიული საზოგადოების ეტლზე მიბმა". ინდუსტრიული სისტემა ამცირებს კლასობრივ კონფლიქტს, ანიველირებს კლასობრივ ინტერესებს, ამიტომ ნაკლები ყურადღება ექცევა საზოგადოების განვითარების საკითხებს. ის არსებითად რჩება სოციალური თვითანალიზის გარეშე და კითხვა ისმის, შეიძლება თუ არა ამაში დაეინახოთ მისი ჰუმანურობა. ინდუსტრიული სისტემა გამოდის მთელი საზოგადოების სახელით, მაგრამ საზოგადოების ნაწილს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს და ინტელიგენციას, ეს სისტემა მიაჩნიათ ისტებლიშმენტის ინტერესების გამომსატველად, პრივილეგირებულ ფენათა ინტერესების დამცველად და პროტესტს უცხადებენ ელიტას, უარს ამბობენ მის ჩვევებსა და ცხოვრების წესზე. ინდუსტრიული სისტემა თავის თავს სახავს მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველად, რადგან უზრუნველყოფს ტექნიკის განვითარებას, მოხმარებისა და კეთილდღეობის ზრდას, მატერიალური დოვლათის უპირატესობას დასვენებასთან შედარებით, საერთოდ მატერიალური ცხოვრების უზრუნველყოფას, მაგრამ საკითხავია: არის თუ არა ეს ადამიანის ბუნების შესაბამისი. ხომ არ ჩანს ამაში, რომ ადამიანმა თავი დაკარგა. ინდუსტრიული საზოგადოება აგებულია მატერიალურ მოთხოვნილებებზე, მხედველობის გარეშე ტოვების განსახლების და განსაკუთრებით ქალაქების ესთეტიკურ, ეკოლოგიურ და ჯანმრთელობის დაცვის ასპექტებს და ძირითადად ორიენტირებულია წარმოებასთან შესაბამისობაზე. ტექნოსტრუქტურის თვალსაზრისით ეს გასაგებია, რადგან ეკოლოგიური, ესთეტიკური და სხვა სახის არამწარმოებლური ასპექტებისადმი ყურადღების მიქცევა, იწვევს დამატებით ხარჯებს და პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებას, რაც ეწინააღმდეგება ტექნოსტრუქტურის მიზნებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც საკითხავია, რამდენად შეესაბამება წარმოების თვითმიზნად გახდომა ადამიანობის მოთხოვნებს. ინდუსტრიული გიგანტი ქალაქები მოკლებულია ესთეტიკურ მიმზიდველობას, ეკოლოგიურად ცუდად გამოიყურება და მომავალში ის ადამიანთა არა თუ მიზიდვის საშუალება არ იქნება, არამედ მათში სიძულვილს გამოიწვევს. ადამიანები ესწრაფვიან სილამაზეს და ჯანმრთელობას და რაც ამ კრიტერიუმებს არ შეესაბამება, მათთვის მიმზიდველი ვერ იქნება, ინდუსტრიული საზოგადოება კი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ადამიანის ჯანმრთელობას და თავისუფალ დროს. ამ საზოგადოებას აქვს სტიმულები, რომელნიც ადამიანს სულ უფრო დიდხანს ასაქმებენ წარმოებაში. ტექნოლოგია ისეთია, რომ შრომა არ არის მომქანცველი, დოვლათის შეძენის მოთხოვნილება კი ძალზე დიდია, განმსაზღვრელია შეძენის სურ-

ვილი. იმისდა მიუხედავად, შეუძლია თუ არა ადამიანს შეძენილის მოხმარება, ნივთომანია აიძულებს, დაუზოგავად ხარჯოს ძალები და დრო, რაც რეკრეაციის ნაკლებ სამუალებას გვიტოვებს და კიდევ უფრო ნაკლებ დროს საკუთარ ყოფიერებაში ჩაღრმავებისათვის. გალბრეითის აზრით, „ამ საზოგადოებაში ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ მატერიალური დოვლათები დასვენებაზე უფრო მნიშვნელოვანია". მოკლედ, ეს საზოგადოება ადამიანის გამაუცხოველელია, რაც მისი ერთ-ერთი არსებითი ნაკლია.

ინდუსტრიული სისტემის მომავლის მიმართ გალბრეითი აყენებს ორ პრინციპულ თეზისს, პირველი, ყველა საზოგადოება ექვემდებარება ცვალებადობას და ინდუსტრიულიც შეიცვლება; მეორე, ცვლილება მოხდება ინდუსტრიული საზოგადოების ორი ტიპის: საბაზრო ეკონომიკაზე აგებული კაპიტალისტურისა და დაგეგმვაზე აგებული სოციალისტურის კონვერგენციის გზით. ეს მოხდება ცხოვრების ყველა არსებით სფეროში. მისი აზრით, ეს სასარგებლოა, რადგან გამორიცხავს ამ ორი სისტემის დაჯახების შესაძლებლობას, რაც კატასტროფა იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, სენ-სიმონის დროიდან, რომელმაც პირველად გამოიყენა ტერმინი — ინდუსტრიული საზოგადოება, მისით გამოხატულმა ცნებამ მრავალგზის იცვალა შინაარსი, მაგრამ ყველა ვითარებაში დარჩა ყოფიერების იმ წესის გამომხატველი, რის მიმართაც თავდაპირველად იქნა გამოყენებული.

განსხვავება ინდუსტრიული საზოგადოების ორ ეტაპს შორის გამოიხატა დამგროვებლობის და მოხმარების ტენდენციათა დაპირისპირებაში. პირველ ეტაპზე ინდუსტრიული საზოგადოება განისაზღვრებოდა დაგროვების ტენდენციით, რომლის გზები მარქსმა ფართოდ გააანალიზა „კაპიტალში". ამ საზოგადოების ლოზუნგი იყო: „ყველაფერი ძველი საუკეთესოა". დაგროვება სწორედ ძველის იდეალიზაციას მოითხოვდა. მე-19 საუკუნის დასასრულიდან კი, როდესაც ღირებულებითმა ორიენტაციამ გადაინაცვლა მოხმარებაზე, საზოგადოება ორიენტირდება ყოველივე ახალზე, იმაზე, რაც მოდურია და რაც განსაზღვრავს სოციალურ პრესტიჟსაც. ამიტომ ამ პერიოდის ლოზუნგია: „ყოველივე ახალი ძვირფასია". ამ ტენდენციათა ანალიზი განხორციელებული აქვს ერიკ ფრომს. ის ფიქრობს, რომ საკუთრებისადმი დამოკიდებულებაში მე-19 საუკუნე განსხვავებულია მე-20-ისაგან. „საკუთრებისადმი დამოკიდებულების ძირითადი ტიპი — გავრცელებული მე-19 საუკუნეში — I მსოფლიო ომის შემდეგ ძალას კარგავს, წარსულში ადამიანი ყოველივე იმას, რასაც ფლობდა, მომჭირნედ და მბრუნველად ექცეოდა და თავისი საკუთრებით სარგებლობდა მანამ, სანამ მას შეეძლო მისთვის ემსახურა. ნაყიდი უნდოდა დიდხანს შეენარჩუნებინა, მე-19 საუკუნის ლოზუნგად გამოდგებოდა — „ყველაფერი ძველი მშვენიერია".

ჩვენს დროში აქცენტი გადატანილია მოხმარების პროცესზე და არა შეძენილის შენახვაზე. დღეს ადამიანი ყიდულობს, რათა მალე გადააგდოს ნაყიდი, — იქნება ეს მანქანა, ტანსაცმელი, ან სხვა რაიმე ნიეთი, იგი გამოიყენებს მას გარკვეული დროის მანძილზე, შემდეგ იღლება მისგან და ცდილობს მოიშოროს „ძველი" და იყიდოს უკანასკნელი მოდელის. შეძენა, დროებითი ფლობა და სარგებლობა, გადაგდება (ან თუ შესაძლებელია უკეთეს მოდელზე სარფიანი გაცვლა), ახლის შეძენა — ასეთია მომხმარებლური შეძენის მანკიერი წრე. დღევანდელი დღის ლოზუნგად ჭეშმარიტად შეიძლება გახდეს სიტყვები — „ყოველიეე ახალი მშვენიერია". ყველაზე შთამბეჭდავ მაგალითს მომხმარებლური შეძენის ფენომენისა ქმნის პირადი ავტომობილი. ჩვენი დრო იმსახურებს „ავტომობილის საუკუნის" სახელწოდებას, რამდენადაც მთელი ჩვენი ეკონომიკა ავტომობილთა წარმოების გარშემო აიგება და მთელი ჩვენი ცხოვრება ძალზე დიდი დოზით განისაზღვრება ავტომობილზე მომსმარებლური მოთხოვნილების ზრდითა და დაცემით. იმათთვის, ვისაც ჯერ კიდეე არ შეუძენია ავტომობილი... იგი ბედნიერების სიმბოლოა, მაგრამ ცხადია, რომ საკუთარი მანქანისადმი სიყვარული არ ხასიათდება სიღრმით და მუდმივობით, უფრო მოგვაგონებს დროებით გატაცებას, რადგან მანქანის მფლობელები მათ ხშირად იცელიან, ე. ი. ეკარგებათ მისდამი ინტერესი და ახალი მოდელი იტაცებთ... რომ ამოვხსნათ ეს გამოცანა — წინააღმდეგობა მესაკუთრის თავისი მანქანისადმი ინტერესსა და მისდამი ინტერესის დაკარგვას შორის — ხუთი ფაქტორი მაინც უნდა გავითვალისწინოთ: I. მანქანისადმი მესაკუთრის დამოკიდებულებაში მოცემულია დეპერსონალიზაციის ელემენტი, ავტომობილი რაღაც კონკრეტული საგანი კი არაა, რომელიც ძვირფასია მისი მფლობელისათვის, არამედ მფლობელის სტატუსის სიმბოლოა, რომელიც აფართოებს მისი ძალაუფლების საზღვრებს. ავტომობილი ქმნის მფლობელის „მე"-ს, რადგან ავტომობილის შეძენით მესაკუთრე ფაქტობრივად იძენს თავისი „მე"-ს რაღაც ახალ ნაწილაკს. მეორე ფაქტორი ისაა, რომ ყოველ ორ წელიწადში ახალი მანქანის შეძენით, ექვს წელიწადში შეძენის ნაცვლად, მფლობელი ყიდვისას დიდ მღელვარებას და ძრწოლას განიცდის — ახალი მანქანის შეძენის აქტი ჰგავს დეფლორაციას, ის საკუთარი ძალის შეგრძნებას აძლიერებს და რაც უფრო ხშირად მეორდება, მით უფრო მეტად აღაგზნებს და მოიცავს ამ პიროვნებას; მესამე ფაქტორი ისაა, რომ მანქანის ხშირი შეცვლა „სარფიან გარიგებათა დადების შესაძლებლობებს ზრდის და შესაბამისად, გაცვლის გზით მოგების მიღებას...; მეოთხე ფაქტორი — ესაა ახალი სტიმულების მოთხოვნილება, რადგან ძველი სტიმულები მალე ამოწურავენ თავიანთ თავს და კარგავენ მიმზიდველობას...; მეხუთე და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური ხასიათის ცვლილება, რაც მოხდა უკანასკნელ

ასწლეულში — „დაგროვებითი“ ხასიათის შეცვლა „საბაბრო“ ხასიათით. თუმცა ამ ცვლილებას ფლობაზე ორიენტირება ნულზე არ დაუყვანია, მაინც მან მიგვიყვანა მის სერიოზულ მოდიფიკაციამდე“. (151, 77-79).

ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის პიონერებს შორის ერთ-ერთია ოგიუსტ კონტი, რომელსაც ფრანგმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა რაიმონ არონმა მოხდენილად უწოდა სოციოლოგი ფილოსოფოსებში და ფილოსოფოსი სოციოლოგებში. გურევიჩის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას არონის მიმართაც. არონი თავის შრომაში — „სოციოლოგიის განვითარების ეტაპები“, სოციოლოგიურ მოძღვრებათა ისტორიას იწყებს მონტესკიეთი და მეორე მოაზროვნედ განიხილავს კონტს. კონტის სოციოლოგიურ განაზრებებში ერთ-ერთ მნიშვნელოვნად იგი თელის ინდუსტრიული საზოგადოების თეორიას. არონის აზრით, კონტის ეპოქისათვის საზოგადოება გადავიდა ახალი ცხოვრების წესზე, რომელიც შეიძლება მოინათლოს ინდუსტრიულ საზოგადოებად. კონტის მოღვაწეობის პირველივე პერიოდის — 1820-26 წლები — შრომებში: „სოციალური ფილოსოფიის ოპუსკულები“, „წარსულში თანამედროვეობის ელემენტების ზოგადი შეფასება“, „საზოგადოების რეორგანიზაციისათვის საჭირო შრომათა გეგმა“, „მეცნიერებათა და მეცნიერთა შესახებ ფილოსოფიური განაზრებანი“, კონტი იაზრებს საკუთარ ეპოქას და საერთოდ მის თანამედროვე საზოგადოებას. იგი აკრიტიკებს საზოგადოების ძველ დაყოფას თეოლოგიურად და სამხედროდ, როგორც ყავლგასულს, რადგან შეიცვალა საზოგადოების ხასიათი. მიაჩნია, რომ დადგა ახალი ტიპის საზოგადოების — მეცნიერულის და ინდუსტრიულის — ეპოქა. ამ ეპოქაში მეცნიერული მსოფლმხედველობა იკავებს თეოლოგიურის ადგილს და მეცნიერები ქმნიან საზოგადოებაში წესრიგის მორალურ და ინტელექტუალურ საფუძველს. ახალ საზოგადოებაში სამხედროთა ადგილს იკავებენ მეწარმენი, მეფაბრიკენი, ბანკირები. ომის ნაცვლად ამ საზოგადოებაში ძირითადი ხდება, ბუნებისმეცნიერების გამოყენების გზით, ბუნების რაციონალური ექსპლუატაცია. კონტი საზოგადოების რეფორმის ძირითად გზად ინტელექტუალურ რეფორმას სახავს და გამორიცხავს რევოლუციას. არონი სპეციალურად ჩერდება ინდუსტრიული საზოგადოების კონტისეულ თეორიაზე, მისი მოსაზრებანი ამ მიმართებით განსაკუთრებით ღირებულია, რადგან კარგად იცნობს, როგორც გასააზრებელ ობიექტს — ინდუსტრიულ საზოგადოებას, ასევე მისი გამააზრებლის — კონტის მოძღვრებას. არონი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მეოცე საუკუნეში საწყისი მისცა ინდუსტრიული საზოგადოების გააზრებას. მისი თერამეტი ლექცია ინდუსტრიულ საზოგადოებაზე, ცალკე ნაშრომად გამოქვეყნებული, მოწმობს რამდენად ღრმად აქვს გააზრებული მას ეს თემა. კონტის თვალსაზრისის გადმოცემისას არონი საინტერესოდ ახასიათებს კონტის

ეპოქას, მაშინ ახალაღმოცენებული ინდუსტრიული საზოგადოების ძირითად ნიშნებს, რომლის გააზრებას შეუდგა კონტი. ისიც ფაქტია, რომ კონტის ეპოქაში ამ საზოგადოების ნიშნები ისე გამოკვეთილად არ ჩანდა, როგორც დღეანდელი დღის გადასახედიდან გამომზეურდა. ამიტომ კონტის თვალსაზრისის დახასიათებაში, არონი იშველიებს საკუთარ გააზრებებს ინდუსტრიულ საზოგადოებაზე და კონტთან ეძებს ამ საზოგადოების ზოგიერთ ნიშანს. მეცხრამეტე საუკუნის სიახლე არონმა დასახა ექვსი თავისებურების სახით, რომელთაგან, მისი აზრით, სამი კონტმა დაინახა, დანარჩენი სამი სოციალისტებმა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის სამრეწველო საზოგადოების განვითარების შემდეგ ნიშნებს აყალიბებს არონი, კონტის განაზრებებთან დაკავშირებით: 1. მრეწველი ემყარება შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, წარმოება გამიზნულია მაქსიმალურ უკუგებაზე, ეს ნიშანი კონტმა დაინახა, რამდენადაც მეცნიერება გამოაცხადა ახალი საზოგადოების ძირითად მამოძრავებლად; 2. შრომის ორგანიზაციაში მეცნიერების გამოყენების შედეგად ,,აცობრიობა კოლოსალურ რესურსებს მოუხმობს გამოსაყენებლად. ამ ნიშანშიც მეცნიერებაზეა ლაპარაკი, რომელმაც შეცვალა რელიგიური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა; 3. სამრეწველო წარმოება გულისხმობს მუშათა კონცენტრაციას ფაბრიკებსა და ქალაქებში, ან მათ ახლო მუშათა უბნებში. აღმოცენდება საზოგადოებრივი ფენომენი მუშების სახით; 4. გამოელინდება წინააღმდეგობა მუშებსა და მეწარმეებს, დაქირავებულებსა და დამქირავებლებს, პროლეტარებსა და კაპიტალისტებს შორის; 5. მეცნიერების გამოყენებით, სიმდიდრის ზრდის მიუხედავად, ხშირია მრავალრიცხოვანი ჭარბწარმოების კრიზისები, სიუხვის პირობებში სიღატაკე, ადამიანები იტანჯებიან სიღარიბისაგან და, ამავე დროს, საქონელი ვერ პოულობს გამსაღებელს; 6. შრომის სამრეწველო და მეცნიერულ ორგანიზაციაზე აგებული ეკონომიკური სისტემა ხასიათდება თავისუფალი საქონელბრუნვით და მოგებისადმი გამოდევნებით. არონი უჩვენებს, რომ მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნენი, ამ ნიშნებს შორის უმთავრესის განსაზღვრაში, საპირისპირო პოზიციებზე დგანან. კონტი პირველ სამ ნიშანს მიიჩნევს ძირითადად. მეოთხე ცუდი ორგანიზაციის შედეგად მიაჩნია, რომლის დაძლევა შეიძლება რეფორმებით. არაარსებითად და დროებითად მიიჩნევს კრიზისებსაც. ლიბერალიზმიც მისი კრიტიკის ობიექტია, როგორც ამ საზოგადოების პათოლოგიურობის მაჩვენებელი, რომელიც არ გამოხატავს მის არსებას. სოციალისტებისთვის კი მეოთხე და მეხუთე ნიშანია ძირითადი, მეექვსე ნიშანს ლიბერალები მიიჩნევენ განმსაზღვრელად. კონტი ერთნაირად ებრძვის, როგორც სოციალისტებს, ისე ლიბერალებს. არონის აზრით, კონტის მოძღვრებას შეიძლება ეწოდოს ორგანიზაციის თეორია, ბერნჰაიმის ,,მენეჯერთა რევოლუციის'' ანალოგიურად, თუმცა მენეჯერები დიდად განსხვავდებიან ორგანიზაგორებისაგან. (24, 94-96).

4. სიუხვის, საყოველთაო კეთილდღეობისა და მოხმარებლური საზოგადოება

სოციალური მეცნიერების პირველივე ნაბიჯების გადადგმასთან ერთად, მწვავედ დაისვა საკითხი სოციალური პათოლოგიის აღმოფხვრის და ამ საქმეში სოციალური მეცნიერების თერაპიული ფუნქციის შესახებ. სოციალური ცხოვრების სფეროში ყველაზე დიდ პათოლოგიად მიჩნეულ იქნა სიღატაკე და გაჩნდა მრავალგზისი და მრავალი ფორმის მცდელობები მიმართული სიღატაკის დაძლევის, საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების შექმნის, თავისუფლებისა და ადამიანური ყოფიერების განხორციელების მიზნით. საზოგადოებათმცოდნეობის სწორედ ამ საკითხზე წარმართვა დაკავშირებულია მალთუსის სახელთან. ამან მის დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციოლოგიურ ნაგრძევს მიზნად დაუსახა სიღატაკისაგან თავის დაღწევის გზების გამონახვა. მალთუსამდე და მის შემდეგაც ადამიანის კეთილდღეობაზე, მისი ცხოვრების იდეალურად მოწყობაზე ყველა ეპოქის მოაზროვნენი ოცნებობდნენ და ისინი მათი ნაგრძევითა და საქმიანობით ქმნიდნენ ბედნიერი საზოგადოების მოდელს. ინდუსტრიული საზოგადოების დამკვიდრებამ ბედნიერი საზოგადოების მოდელად დასახა სიუხვის საზოგადოება, რომელშიც გადალახული იქნება სიღატაკე და დამკვიდრდება საყოველთაო კეთილდღეობა, ეს მიზანი ერთნაირად ამოძრავებდა, როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის ადეპტებს, მათ შორის განსხვავება საბოლოო მიზანში კი არ იყო, არამედ მიზნის განხორციელების გზების ძიებაში. ამ ორმა საპირისპირო თეორიამ მიზნად გამოაცხადა საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების შექმნა, ამის პირობა კი იყო ადამიანთა მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება. ამ პირობის განხორციელების გზა უნდა ყოფილიყო წარმოებისა და მოხმარების მაქსიმალური ზრდა მაღალი ტექნოლოგიის პირობებში, რაც შექმნიდა დოვლათთა სიუხვეს ახალი საზოგადოების ასამენებლად, რადგან პროდუქციის სიუხვე დამოკიდებულია წარმოების ზრდაზე, ამ უკანასკნელს კი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ტექნიკის განვითარება, საზოგადოების მთელი ყურადღება გადატანილ იქნა ტექნიკურ პროგრესზე და ტექნოკრატია მოგვევლინა საზოგადოების განმსაზღვრელ ძალად. მიუხედავად იმისა, რომელიმე საზოგადოებას ჰქონდა თუ არა ლოზუნგი წამოყენებული, — ტექნიკა წყვეტს ყველაფერს, — ფაქტობრივად, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ის განსაზღვრავდა საზოგადოების განვითარებას. ამავე დროს, ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი გახდა წარმოებულ პროდუქციის რაც შეიძლება მეტი ციკლებით დაშორება ნედლეულისაგან და შემოღებულ იქნა პროგრესის სპეციფიკური ცნება „პროცესუალური პროგრესის“ სახით, რომლის ძირითადი საზომი იყო პროდუქციის საბოლოო სახის მიღები-

სთვის ნედლეულად ყოფნისაგან დამაშორებელ ციკლთა რაოდენობა. ამ გზით ორი ამოცანა უნდა გადაჭრილიყო: საყოველთაო დასაქმება და უმუშევრობის აღმოფხერა ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანთა მასობრივი გამდიდრების შედეგად, მათი მოთხოვნილებების ზრდა, რაც დამოკიდებულია მსყიდველობით უნარზე. რაც უფრო მეტი იქნებოდა მომხმარებელი, რაც უფრო მეტს ექნებოდა მსყიდველობითი უნარი, მით უფრო მეტი საქონელი გასაღდებოდა და მით უფრო მეტად გაიზრდებოდა წარმოება. ამაში შეიძლებოდა ერთნაირად დაენახათ როგორც სიუხვის, ასევე მომხმარებლური და საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებანი. მოხმარების შესაძლებლობა ყოველთვის ვერ მიყვებოდა წარმოების გაფართოების ამოცანებს და ამიგომ საზოგადოებამ შემოიღო განვადებით გაყიდვის ფორმები, რათა ადამიანებს ხელი არ შემლოდათ ყიდვაში. ეს საზოგადოებანი, მიუხედავად იმისა, რა სახელით აღნიშნავენ მათ: მომხმარებლური, სიუხვის, თუ საყოველთაო კეთილდღეობის, ყველანი ერთ მიზანს ისახავენ, პირველ რიგში ადამიანთა მატერიალურ უზრუნველყოფას, არა მხოლოდ ფიზიოლოგიურად აუცილებელი საგნებით, არამედ ფუფუნების საგნებითაც, თანაც იმ დონეზე, რომ როგორმე მოდის სიახლეების, თუ სხვათა გზით დაენერგათ რწმენა ადამიანებში, რომ მათ ყველაფერი სჭირდებათ, რაც ტექნიკური ინოვაციით იწარმოება. რომ მთავარი ის კი არ არის, დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებანი, არამედ ის, რომ ეს პროდუქცია უახლესი ტექნიკით და მოდის შესაბამისად არის შექმნილი, რაც ადამიანებს უქმნის სოციალურ პრესტიჟს. სიუხვის საზოგადოების განხორციელების ორი განსხვავებული გზა დაისახა: არსებული ინდუსტრიული საზოგადოების დასავლური მოდელის ფარგლებში, რომელსაც რეალურად ჰქონდა საშუალება, ყოფილიყო სიუხვის და მომხმარებლური საზოგადოების მოდელის განმხორციელებელი და ინდუსტრიული საზოგადოების სოციალისტური მოდელი, რომელსაც არ შეეძლო რეალურად უმრუნველეყო სიუხვე, მაგრამ ამოცანად ისახავდა საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების აშენებას, და ამ ამოცანას ძირითად ეკონომიკურ კანონად აცხადებდა. 50-იანი წლების დასავლელ მოაზროვნეთაგან გალბრეითი იყო ერთ-ერთი, რომელმაც თავისი ტრილოგიის პირველი წიგნი — „სიუხვის საზოგადოება", მიუძღვნა ამ საზოგადოების არსების განსაზღვრებას. მან აჩვენა, რომ წარმოების პროცესის დაშორება ნედლეულისაგან მრავალი ციკლით, საშუალებას იძლევა დავასაქმოთ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რაც ქმნის შესაძლებლობას, გაიზარდოს მომხმარებელთა არმია და ყველამ იგრძნოს თავი ბედნიერად კეთილდღეობის ეითარებაში. მაგრამ სიუხვის საზოგადოებას მალე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, რომლებმაც აჩვენეს, რომ ბედნიერების მისაღწევად არაა საკმარისი მოხმარების ზრდა, რომ შეუძლებელია ადამიანი ქონების გამო იყოს ბედ-

ნიერება ჯერ კიდევ მარქსმა მიიჩნია ადამიანის გაუცხოების გზად ვითარება, როცა ის ვერ ითვისებს მის მიერ წარმოებულ პროდუქტს. მარქსს მიაჩნდა, რომ ადამიანის უზრუნველყოფა მატერიალური დოვლათით გააჯანსაღებდა საზოგადოებას, მაგრამ იმ მოაზროვნეებმაც კი, რომლებიც მარქსთან ახლოს დგანან: მილსმა, ფრომმა და სხვებმა აჩვენეს, რომ ადამიანში სიცარიელე მაშინ იწყება, როდესაც ის მატერიალურად უზრუნველყოფილია, სულიერ იდეალებს კი მოკლებულია. მეცხრამეტე საუკუნის პროლეტარიატს და მის იდეოლოგს მარქსს ამოძრავებდა გაძღომის იდეალი, მაგრამ მეოცე საუკუნის ადამიანმა სწორედ სიუხვის შედეგად იგრძნო სულიერი სამყაროს სიცარიელე. ყოველ შემთხვევაში, სიმდიდრემ ბედნიერება ვერ მოუტანა ადამიანებს და „ტკბილი ცხოვრების" იდეალი, ადამიანის სიცარიელის, მისი სულიერი სიღატაკის სინონიმი გახდა. რაც კარგადაა ნაჩვენები ფელინის შესაბამის სახელწოდების სურათში. ამას მიხვდნენ სიუსვის საზოგადოების იდეოლოგებიც. შემთხვევითი არ იყო, რომ გალბრეითმა „სიუხვის საზოგადოების" ცნება შეცვალა „ინდუსტრიული საზოგადოების" ცნებით. ასეთივე ფიასკო განიცადა „მომხმარებლური საზოგადოების" თეორიამ, რომელიც კეინსის გაელენით ჩამოყალიბდა. მას აქცენტი აღებული ჰქონდა მოხმარების უნარის ზრდაზე, ე. ი. მსყიდველობითი უნარის განვითარებაზე და მისი გზით ცდილობდა სოციალური კონფლიქტის აღმოფხვრას. კონფლიქტის ზოგიერთი მიზეზის მოხსნა სიუხვის და მომხმარებლურ საზოგადოებაში არ აღმოჩნდა საკმარისი სოციალური კონფლიქტების აღმოსაფხვრელად, გაჩნდა ახალი კონფლიქტები: მქონებელთა და უქონელთა დაპირისპირება შეცვალა განათლებულთა და გაუნათლებელთა, მაკონტროლებელთა და კონტროლს დაქვემდებარებულთა, ფუნქციონერთა და ფუნქციობის უნარს მოკლებულთა დაპირისპირებამ. საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების თეორია თვლის, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ყველა მდიდრდება, ხდება ნიველირება დიდი და მცირე შემოსავლებისა, მცირე შემოსავლიანთა შემოსავლის ზრდის საფუძველზე, საზოგადოება ხდება ერთიანი, საყოველთაო უზრუნველყოფის საგანი და კონფლიქტების საფუძვლები აღმოიფხვრება, ისე როგორც სიუხვის და მოხმარების საზოგადოებანი, საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებაც ამოდის იმ წანამძღვრიდან, რომ მატერიალური კეთილდღეობა მოუტანს მათ საოცნებო ბედნიერებას და თუ ადამიანები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, ტანსაცმლით, საკვებით, მათ არ ექნებათ კონფლიქტებისა და შუღლის საბაბი, ასე რომ, მათი ყოფა დაემთხვევა მათ ყოფიერებას. მალთუსის მიერ მისი თეორიის ქვაკუთხედად სიღატაკის კანონზომიერების დადგენის გამოცხადებიდან, გალბრეითის მიერ „სიღატაკის ანატომიის" (1984) შექმნამდე, სოციალური თეორიები სხვადასხვა კუთხით, მაგრამ არსებითად ერთი მიმართულებით განსაზღვრავდ-

ნენ ინდუსტრიულ საზოგადოებას, როგორც სოციალური ოცნების განსორციელების მოდელს. სულ ერთი იყო, რას დაარქმევდნენ მას: სიუხვის, მოხმარების, თუ საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებას. სიუხვის საზოგადოების თეორია ორმოცდაათიან წლებში წარმოიშვა, მას წინ უძღოდა მომხმარებლური საზოგადოების თეორია ორმოციანი წლებიდან, მისი წარმომადგენლები: როსტოუ, ტოფლერი და სხვები მოხმარების ზრდაში, რომლის საშუალებასაც იძლეოდა ეკონომიკური აღმაველობა და ტექნოლოგიური სიახლენი, ხედავდნენ საზოგადოების განკურნების საშუალებას. ამიტომ მთელი აქცენტი გადაჰქონდათ მოხმარების ზრდაზე, ეს კი მოითხოვდა მოთხოვნილების გაზრდას, რეკლამის, მოდის, ინფორმაციის საშუალებით. ყველაფერი ემსახურებოდა მოთხოვნილების უფრო სწრაფ ზრდას, ვიდრე შეიძლებოდა წარმოება გაზრდილიყო. მოთხოვნილების ზრდას მოყვებოდა წარმოების ზრდა, რისთვისაც საჭირო იყო ნედლეულის მოხმარების დონის სულ უფრო მეტად ამაღლება ბუნების გაზრდილი ექსპლოატაციის სარჯზე, ყოველივე ეს გახდა მწვავე ეკოლოგიური კრიზისის საფუძველი, რომელმაც აჩვენა, რომ ბუნება არ არის ულევი და ენერგეტიკულ კრიზისს მოპყვება ბუნების ყველა სხვა კომპონენტის უკმარობა და იგი ვერ შეძლებს მრეწველობის უმრუნველყოფას. ამ სიძნელეთა გაცნობიერებამ მომხმარებელთა საზოგადოებას სერიოზული კრიტიკოსები გაუჩინა.

ინდუსტრიული საზოგადოების სიასლეთა რიგში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტექნიკურ პროგრესს და მის შედეგებს შრომის ნაყოფიერების, ადამიანთა მოთხოვნილებების და დასაქმების ზრდის საქმეში. ტექნიკური პროგრესი პირველ რიგში დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების ზრდასთან, ეს კი უშუალოდ მოქმედებს, როგორც დასაქმებაზე, ისე მოთხოვნილებაზე, ამიტომ პირველ რიგში იკვლევენ შრომის ნაყოფიერებას. ალფრედ სოეის განსაზღვრებით ერთი ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის შრომის ნაყოფიერება გამოიხატება განტოლებით

$p = \frac{P}{T}$, რომელშიც P პროდუქტია, T — დრო, დახარჯული მის წარმოებაზე, p — შრომის ნაყოფიერება, როცა შრომის ნაყოფიერება p იზრდება, იზრდება წარმოებული პროდუქციაც — P, რაც კეთილდღეობის ამაღლებას იწვევს და პროდუქტზე დახარჯული დროის — T — შემცირებას, რის გამოც იზრდება დასვენების დრო, თუ უმუშევრობა, (131, 245-246). ინდუსტრიული საზოგადოებისათვის რომ ტექნიკური პროგრესი გარდუვალია და ეს უკანასკნელი შრომის ნაყოფიერებას რომ ამაღლებს, ეს არ არის სადავო, საკითხი ისმის, როგორი შედეგი მოჰყვება ტექნიკური პროგრესით შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, თუ სხვა არაფერი შეიცვლება, ე. ი. არც მოთხოვნილებები და არც მსყიდველობითი უნარი,

მამინ ტექნიკური პროგრესის შედეგად მიღწეული შრომის ნაყოფიერების ზრდა გამოიწვევს წარმოების მუშაკთა შემცირებას, ე. ი. უმუშევრობას, ეს კი დასცემს მსყიდველობით უნარიანობას და, შესაბამისად, პროდუქციაზე მოთხოვნილებას, რასაც შეიძლება მოპყვეს ჭარბი წარმოების კრიზისი. ამიტომ სოციალური პროგრესის გვერდით, გაჩნდა პროგრესის სხვა ცნებები, კერძოდ: ექსტენსიური და ინტენსიური, პროცესიული და რეცესიული პროგრესი. ექსტენსიური და ინტენსიური პროგრესის დადებითი მხარეა წარმოების გაფართოება და დასაქმებულთა გადიდება. ინტენსიურია პროგრესი, როცა ერთსა და იმავე ნაკვეთის ფართობზე, დამატებითი სამუშაოების შესრულების შედეგად, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და წარმოებული პროდუქცია. ექსტენსიურია პროგრესი, როდესაც დასამუშავებელი ფართობების სიდიდე იზრდება. არის კიდევ პროგრესი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციაზე მოთხოვნილებისა და დასაქმების ზრდას, რომელსაც სოვი პროცესიულ პროგრესს უწოდებს, მათ გვერდით არის აგრეთვე ნეიტრალური პროგრესის ცნება. მას სოვი ასე განსაზღვრავს: „ნეიტრალური პროგრესი ისეთი ტექნიკური სიახლეა, რომლის დროსაც პროდუქტულობის ზრდა იგივე რჩება მწარმოებელთა ყოველგვარი რიცხვის პირობებში". აქვე სოვი განსაზღვრავს პროცესიულ და რეცესიულ პროგრესს. „თუ დასაქმებულთა რიცხვი მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად მატულობს, პროგრესი პროცესიულია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რეცესიულია". მოთხოვნილება, მოხმარება და დასაქმება დაკავშირებულია ერთმანეთთან და პროგრესის პროცესიულობა თუ რეცესიულობა მათ თანაფარდობაზეა დამოკიდებული. ტექნიკური პროგრესი გავლენას ახდენს მოხმარების ზრდაზე იმ გზით, რომ წარმოება სულ უფრო მეტ რგოლს ათავსებს ნედლეულის სახეობასა და მის საბოლოო გადამუშავებას შორის. მოხმარება „სულ უფრო ნაკლებად ორიენტირდება ბუნებრივ პროდუქტებზე და სულ უფრო მეტად მათი გადამუშავების შედეგებზე", ზრდის შრომის დანახარჯებს, შესაბამისად დასაქმებულთა რაოდენობას. რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება ტექნიკური პროგრესის ზრდით წარმოებული პროდუქცია, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება მოთხოვნილებანი და, მაშასადამე, იზრდება მოხმარება. ამით კი მსყიდველობითი უნარიც. ამიტომ ინდუსტრიული საზოგადოება დაინტერესებულია, ყველა ჰყავდეს დასაქმებული და, შესაბამისად, გაზარდოს თავის წევრთა მსყიდველობითი უნარი. ამიტომ თვლიან ამ საზოგადოებას საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებად. რადგან შრომის ნაყოფიერების ზრდა იწვევს წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდას და, შესაბამისად, დოვლათის სიუხვეს, ამიტომ ამ საზოგადოებას განიხილავენ, როგორც სიუხვის საზოგადოებას. დასაქმებისა და პროდუქციის სიუხვის ზრდა გავლენას ახდენს მოთხოვნილებისა და მოხმარების ზრდაზე. შესაბამისად საზოგადო-

ბას განიხილავენ, როგორც მომხმარებლურს. პროცესიული პროგრესი დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების, დასაქმების, მოთხოვნილების და მოხმარების ზრდასთან. ნათელი რომ გახადოს ინდუსტრიულ საზოგადოებაში ტექნიკური პროგრესის როლი, სოვი ტექნიკური პროგრესის სამ ცნებას განასხვავებს: 1. უშუალოდ პროცესიული ტექნიკური პროგრესი, რომელიც ზრდის ბუნების როლს და სამუშაო ადგილთა რიცხვს. ეს ეხება ახალი საბადოების ექსპლოატაციას, ტექნიკურ სიახლეთა გამო რენტაბელურს რომ ხდის ღარიბი საბადოების დამუშავებას; ეს ეხება სოფლის მეურნეობაში მიწაზე დამატებით სამუშაოთა შესრულებას, რაც იწვევს მეტი ადამიანების დასაქმებას; ეს ეხება ნედლეულის ეკონომიას და ახალი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებას; 2. უშუალოდ რეცესიული ტექნიკური პროგრესი, რომელიც გამოათავისუფლებს მუშახელს, მაგრამ საბოლოოდ მაინც პროცესიულია, რადგან ცვლის მოხმარებას; 3. საბოლოო შედეგით რეცესიული ტექნიკური პროგრესი, რომელსაც მოაქვს სამუშაო ადგილთა შემცირება (131, 263).

ერთსა და იმავე დარგში ტექნიკური პროგრესი შეიძლება იყოს პროცესიული და რეცესიული. მეევნახეობაში შაბიამანის ეკონომია პროცესიული პროგრესია, მაგრამ მუშახელის შემცირება — რეცესიული. პროგრესი პროცესიულია, როცა იზრდება მოხმარება და, შესაბამისად, მოთხოვნილებანი. ამავე დროს, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მათი გამრავალფეროვნების გზით ხდება. ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ იწყება მოდის, პრესტიჟის, თუ სხვა ფაქტორების შედეგად გამოწვეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც სულ უფრო მეტი ზრდის ტენდენციას აელენს, მათი დაკმაყოფილების საშუალებებთან შედარებით და სულ უფრო მეტად ხდება ახალი პროგრესის სტიმული. დღევანდელი ადამიანი გაცილებით ნაკლებს ჭამს, ვიდრე მისი წინამორბედი, სამაგიეროდ მას კომფორტულ ყოფიერებაზე ქონების ხარჯვის უამრავი საშუალება აქვს. თუ წინაპრები ფეხით, ცხენით, ან ველოსიპედით დადიოდნენ, დღევანდელი ადამიანი ავტომობილითა და თვითმფრინავით მგზავრობს. მოთხოვნილებათა ზრდა ისეთი ტემპით ხდება, რომ მსყიდველობითი უნარი ჩამორჩება და რომ შეინარჩუნონ მოხმარების მაღალი დონე, იგონებენ ვაჭრობის ახალ ფორმას — კრედიტით ვაჭრობას. იწარმოება უამრავი პროდუქცია, რაც თავის მხრივ, წარმოშობს ახალ მოთხოვნილებებს, შემდეგ მათ დასაკმაყოფილებლად კვლავ წარმოება იზრდება და ასე ციკლურად. „ტექნიკური პროგრესი ქმნის უფრო მეტ მოთხოვნილებებს, ვიდრე მათი დაკმაყოფილება შეუძლია და წინმავალი კაცობრიობის წინაშე ჰორიზონტი სულ უფრო მეტად გადაიწევს". მაგრამ მოხმარების ზრდა მოითხოვს თავისუფალი დროის ზრდასაც. დიდხანს დასაქმებული ადამიანი ვერ გაზრდის მოთხოვნილებას და მოხმარებას, ამიტომ საჭიროა თავისუფალი დრო, მა-

ერამ მისი ზრდა ნიშნავს წარმოებაში ნაკლებად დასაქმებულობას და ნაკლებ შემოსავალს, რაც მოსმარების დონეზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ საზოგადოებაში მრავალი წინააღმდეგობაა. ხშირად ასეთ პროცესებს გაღატაკებას უწოდებენ. სოფს მიაჩნია, რომ აბსოლუტურ გაღატაკებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მხოლოდ შეფარდებითი გაღატაკება შეიძლება დაეუშვათ. საკითხის ნათელსაყოფად ის განასხვავებს სამ ცნებას — მოსმარებული პროდუქციის რაოდენობას, ეროვნული შემოსავლიდან თითოეულ სულზე პროდუქციის რაოდენობას, ეროვნული შემოსავლიდან თითოეულ სულზე პროდუქციის წილს და გარკვეულ სოციალურ პირობებში მყოფი ინდივიდების მოთხოვნებს. პირველი, ე. წ. მოხმარებული პროდუქცია, სამრეწველო რევოლუციიდან დაწყებული სულ უფრო იზრდება, ასევე იზრდება ეროვნულ შემოსავალში თითოეული სუბიექტის ხვედრი. რაც შეეხება მოთხოვნილების სულ უფრო და უფრო მზარდ მრავალფეროვნებას, მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი ამდიდრებენ საზოგადოებას, მაგრამ აღარიბებენ ინდივიდუმებს, რადგან ართულებს მათ ფინანსურ მდგომარეობას. მთავარია, რომ „ტექნიკური პროგრესი ქმნის უფრო მეტ მოთხოვნილებას, ვიდრე მისი დაკმაყოფილება შეუძლია". ამიტომ ცხოვრება ძნელდება, არა იმის გამო, რომ გუშინდელზე უარესია, არამედ იმის გამო, რომ გუშინდელს შემდეგ წარმომობილ მოთხოვნილებათა მთელ მრავალფეროვნებას ვერ აკმაყოფილებს. „გაღატაკება" წარმოებაში ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, რადგან მოთხოვნილებათა ზრდასთან ერთად მოხმარების ზრდის სურვილიც იზრდება. ამის გზაა ახალი წარმოება, ან ძველის გაფართოება. ასეთია ინდუსტრიული საზოგადოების მამოძრავებელი ბერკეტები, რომლებიც აელენენ, რომ ეს საზოგადოება კოლოსალურად ზრდის პროდუქციას, იმდენად, რომ იწოდება სიუხვის საზოგადოებად; ზრდის მოთხოვნილებას და მოხმარებას იმდენად, რომ იწოდება მოხმარების საზოგადოებად; ზრდის დასაქმებას და კეთილდღეობას იმდენად. რომ იწოდება საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებად.

[მთავარია ადამიანების დამოკიდებულება ნივთებთან, ნივთთა სამყაროსთან, რომელიც ტრადიციულად ითვლება საშუალებად და არა მიზნად. ისე, როგორც სხვა სფეროებში, აქაც მოხდა მიზნებისა და საშუალებების აღრევა, ის, რაც წარსულში საშუალებად ითვლებოდა, მიზანთა კატეგორიაში მოხვდა. ხოლო ის, რაც მიზანი უნდა ყოფილიყო, საშუალება გახდა] რატომ მოხდა ღირებულებათა ასეთი გადაფასება? ინდუსტრიალიზაციამ შეუქმნა კაცობრიობას იმედი, რომ უზრუნველყოფდა სიმდიდრეს ყველასთვის, გადალახავდა გათიშვას მდიდრებად და ღარიბებად. მიაჩნდათ, რომ ტექნიკური პროგრესი უზრუნველყოფს ყველასთვის მდიდრულ ყოფიერებას. სოციალური პრობლემების გამააზრებლებმა სცადეს სიმდიდრის მიზეზების და ბედნიერების გამდიდრებით

მიღწევის გზების დასახვა. გარკვეულწილად ამ ილუზიას დაექვემდებარნენ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ადეპტები — იდეალისტიც და მატერიალისტიც. მარქსის მიერ დადგენილი პრინციპი,მატერიალურის განმსაზღვრელობის შესახებ, დებულება, რომ სასახლეში სხვაგვარად აზროვნებენ, ვიდრე ქოხში და რომ მატერიალური ყოფიერების პირობები განსაზღვრავენ ადამიანის ცნობიერების მდგომარეობას, გახდა ღირებულებათა სკალაში მატერიალურის იდეალურზე მაღლა დაყენების საფუძველი. ამ დებულებათა ინტერპრეტაცია იყო სოციალიზმის ძირითადი კანონის ფორმულირება, რომელიც იდეალად სახავდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ ზრდას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო გამდიდრებისადმი სწრაფვას, რაც უნდა მომხდარიყო ბუნებაზე ბატონობის უსაზღვროდ გაზრდის ეითარებაში, ბუნების ძალების მაქსიმალური ექსპლოატაციით, რამაც ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებისა და საბოლოოდ ამოწურვის ვითარებამდე მიგვიყვანა. ასეთ ეითარებაში წარმოიშვა ეკოლოგიური კრიზისი, მის ბოერდზე ყველაზე ძირეული ყოფიერების კრიზისიც, იმის შედეგად, რომ მატერიალურმა უზრუნველყოფამ ვერ მოუტანა საზოგადოებას სანუკვარი ბედნიერება ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ, მაგრამ ამით ვერ შეავსეს ის სიცარიელე, რაც მდიდრული ცხოვრების წესმა წარმოშვა. საზოგადოებრივი პროგრესის რწმენა უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე რელიგიური. პროგრესმა მიგვიყვანა ყოფიერების დაკარგვის საშიშროებამდე, ყოფიერების კრიზისამდე, რაც საბოლოოდ ქონების კულტის შედეგია. იმის შედეგია, რომ მიზანი აირია საშუალებაში. იმის ნაცვლად, რომ ყოფიერება ყოფილიყო მიზანი და ქონება საშუალება, ქონება გახდა მიზანი და ყოფიერება მასზე დამოკიდებული. ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ ქონების ზრდასთან ერთად იზრდება მათი ყოფიერება. დავიწყებას მიეცა მარქსის დებულება, რომ, რაც უფრო მნიშვნელოვანია შენი ქონება, მით უფრო ნაკლებად აელენ შენს ცხოვრებას, მით უფრო მეტი გაქვს ქონება და მით უფრო მეტია შენი გაუცხოებული ცხოვრება. ადამიანებმა ვერ გააცნობიერეს, რომ „ყველა სურვილის შეუზღუდველი დაკმაყოფილება ხელს არ უწყობს კეთილდღეობას, ის არ შეიძლება იყოს ბედნიერების ან სიამოვნების მაქსიმუმის მიღების გზა“ (151, 33).

როგორც ფრომი შენიშნავს, ქონების კულტი იმდენად ძლიერი გახდა, რომ შეცვალა ჩვენი ყოველდღიური მეტყველების ფორმებიც; თუ წარსულში ადამიანები ამბობდნენ — ჯანმრთელი ვარ, განათლებული ვარ, კმაყოფილი ვარ, ბედნიერი ვარ, ახლა ამბობენ — ჯანმრთელობა მაქვს, განათლება მაქვს, კმაყოფილება მაქვს. ყველაფერში ყოფნა შეცვალა ქონებამ. ადამიანები მატერიალური დოვლათის დაუფლებით ცდილობდნენ მიეღწიათ დამოუკიდებლობის, ბედნიერების და უზრუნვე-

ლყოფილი ყოფიერების სანუკვარი იდეალებისათვის, სინამდვილეში მატერიალური დოვლათისადმი სწრაფვამ მათ დაკარგვინა ადამიანობა, გახადა მაკიაველისტები, როცა ყველა საშუალება გამართლებულია მიზნის, ქონების მისაღწევად. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ადამიანებს სიმდიდრის დაგროვების შემთხვევაში ეუფლებათ სიცარიელე, უმიზნობა და ისეთი გაუცხოება, როგორიც სიღარიბის დროს არ უგრძვნიათ. იმის ნაცვლად, რომ სამყაროზე გაბატონებულიყვნენ, მიეღწიათ თავისუფლებისთვის, ისინი გახდნენ მონები და მათზე დამყარდა ტირანიის ახალი ფორმა, „ნივთთა ტირანიის" სახით, რომლის დამხობა უფრო ძნელია, ვიდრე პოლიტიკური ტირანიის. ფრომი „კიბერნეტიკულ რელიგიას" უწოდებს საზოგადოებრივი ყოფიერების იმ წესს, „რომლის თაყვანისცემის ობიექტია ადამიანის მიერ შექმნილი ნივთები". იგი აანალიზებს ადამიანის მოთხოვნილებათა ორ ჯგუფს: ბუნებრივ და კულტურულ მოთხოვნილებებს და ამტკიცებს, რომ სანამ ადამიანი რჩება ბუნებრივ, ადამიანის არსების შესაბამის მოთხოვნილებათა ფარგლებში, ის თავისთავის იგივეობრივია და კულტურა ჰუმანისტურია, როცა ადამიანი განისაზღვრება ხელოვნური მოთხოვნილებებით, მის მოთხოვნილებებს განაპირობებს წარმოების ძალა, მაშინ საქმე გვაქვს, პათოლოგიურ მოთხოვნილებებთან: ქონებაზე ორიენტირებული საზოგადოება თვითონაც პათოლოგიურია. დობრენკოვი აღნიშნავს ფრომის შრომის წინასიტყვაობაში: „გაუცხოების ცნება ქონებაზე ან ყოფიერებაზე ღირებულებითი ორიენტაციის ცნებათა გვერდით ფრომისთვის მეთოდოლოგიური საშუალებაა, რომლითაც ის აღწერს და აანალიზებს თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში ადამიანის სოციალურ ხასიათს და არსებობის წესს" (151, 17). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფრომი ამ მიმართებით არ ასხვავებს კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებას. ორივეს ერთნაირად მიიჩნევს ნივთებზე ორიენტირებულ, მომხმარებლურ საზოგადოებად. უმართებულოა დობრენკოვის საყვედური ფრომისადმი, რომ ის უსაფუძვლოდ აბრალებს საბჭოთა კომუნისტებს, თითქოს მათ დაიყვანეს მარქსიზმი მატერიალიზმამდე იმით, რომ სოციალიზმის მიზნად დასახეს მაქსიმალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ტექნიკის მაქსიმალური გამოყენება (151, 24). უნდა ითქვას, რომ, რასაც ფრომი ამბობს, შეესაბამება იმას, რაც 20-იანი წლების დასასრულიდან გაგებული იყო, როგორც მატერიალიზმი და სოციალიზმის ძირითადი კანონი. იმის ნაცვლად, რომ სოციალიზმის ძირითადი კანონი ეძებნათ სოციალისტური საზოგადოების არსებაში, ეს არსება დაყვანილ იქნა მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე, რომლის განხორციელების გზა ტექნიკაა. მტკიცდებოდა, რომ ტექნიკა წყვეტს ყველაფერს. ეს საღდებოდა მარქსიზმის სახელით და ფრომს აქ არაფერი დაუმატებია. მთავარი ისაა, რომ ფრომმა ჰუმანისტური

პოზიციებიდან გააანალიზა მომხმარებლური საზოგადოების პათოლოგიურობა, აჩვენა ხელოვნური მოთხოვნილებებისადმი გამოდევნების დამღუპველობა, ნიეთებისადმი მონობა, როგორც ადამიანის გაუცხოების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელმაც დილემა — ყოფიერება თუ ქონება, გადაჭრილად წარმოადგინა ამ უკანასკნელის კერპად გახდომით. ეს ტენდენცია გახდა ამოსავალი მხატვრულ ლიტერატურაში ნიეთომანიის კრიტიკისათვის. ისეთი ლიტერატურული ქმნილებანი, როგორიცაა: პერეკის „ნიეთები", ვერკორისა და კორონელის „კეოტა ანუ სიუხვის საზოგადოება", კარგად უჩვენებენ იმ ვითარების უსაზრისობას, როდესაც შეძენის სურვილით შეპყრობილი საზოგადოება ყიდულობს ნიეთებს, რომელთა მოხმარება არ შეუძლიათ, ან კიდევ წარმოების ზრდით გამოწვეულ გაბერილ მოთხოვნილებათა შედეგად, ყიდულობს ერთი და იმავე ნიეთის რამდენიმე გაუმჯობესებულ ეგზემპლარს იმიტომ, რომ სულ უფრო ახალი ნიმუშები ინერგება. ამის შედეგად ოჯახში აღმოჩნდება ხუთი როიალი, ექვსი მაცივარი, მტვერსასრუტები და ყველა სახის ყოფითი ტექნიკის სიმრავლე, რეკლამა კი ისევ და ისევ ყიდვას ქადაგებს. ადამიანიც ისევ და ისევ ყიდულობს, იწარმოება ნიეთები, რომელთა მოხმარება არავის შეუძლია, ყიდულობენ იმიტომ, რომ იწარმოება, ხოლო იწარმოება იმიტომ, რომ ყიდულობენ, და როგორც ერთ-ერთ პუბლიცისტურ ნარკვევში სათაურით — „ნიეთთა ტირანია" ავტორები ე. კასისი, ლ. კოლოსოეი, მ. სტურუა აღნიშნავენ: „როგორც კი ნივთები იწყებენ ადამიანებზე დაწოლას, როგორც კი შეძენა ხდება ცხოვრების თითქმის ერთადერთი მიზანი, ადამიანი კარგავს თავის სახეს, ხდება ნივთთა მონა, მორალური ინვალიდი" (77, 3). მათ მოაქვთ რიგითი მომხმარებლის ძალზე საინტერესო წერილი, რომელსაც გაუცნობიერებია ნივთომანიის დამღუპველობა, მაგრამ არ ძალუძს მისი გადალახვა, რამდენადაც ნიეთომანიას ნერგავს სოციალური პროპაგანდა და სავაჭრო რეკლამა, რომელთა მარწუხებს ვერ გაექცევა ვერცერთი პიროვნება, — ესაა იაპონელი აკირო კობასიანის წერილი. იგი მკითხველს ამცნობს, რომ მას აწუხებს სირცხვილის გრძნობა იმათ გამო, ვინც ერს მომხმარებლური ტენდენციებისაკენ უბიძგებს. „რეკლამა განუწყვეტლივ და დაჟინებით გვახსენებს — იყიდე, იყიდე, იყიდე. გაქვს ერთი ტელევიზორი, შეიძინე მეორე ავტომანქანისთვის, აგარაკისთვის, საყვარლისთვის. ვიტრინაში გამოფენილია ვენერას ქანდაკება დამღით: „გაკეთებულია იაპონიაში", გვერდით პლაკატ-მოწოდება — „იაპონელის ბინა ვენერას გარეშე ბინა არაა". სასწაულებრივმა საქმოსნობამ„ ოქროს კერპის გამოდევნებამ ჩვენს საზოგადოებაში ღრმა ფესვები გაიდგა, ნივთომანიამ მოაჯადოვა ანტიკურ ტაძართა მსახურნიც, ისინიც, ვინც პრეტენზიას აცხადებს სულიერი მოძღვრის და ხელოვნების ღირებულებათა შემნახველის როლზე. იაპონიაში დიდი ხანია გაჩნდნენ ბოსები,

რომელთათვის სამშობლო გახდა მხოლოდ ყოფნის ადგილი, ხოლო ყოველივე დანარჩენი — ქცევის მანერა, ცხოვრების წესი — ნასესხებია ამშ-დან. კარგად შენიშნეს, რომ სოციოლოგიური პროპაგანდა, რომლითაც საექსპორტოდ გვთავაზობენ ცხოვრების წესს, ადვილად გადალახავს საზღვრებს. შეფასებას აძლევენ ე. წ. სოციოლოგიურ პროპაგანდას, რადგან გარეგნულად ის პოლიტიკასთან არაა დაკავშირებული. აქცენტი გადააქვთ მოჩვენებითი ციალზე, სამრეწველო დიზაინის ესთეტიკაზე, განვითარებული კეთილდღეობის დემონსტრირებაზე. მე გამომგონებელი ინჟინერი ვარ, კარგი შემოსავალი მაქვს, მაგრამ მრცხვენია იმათ გამო, ვინც ყოფისთვის ყველაზე აუცილებელი ნივთების გარდა, სახლს ტენიან დასავლური ნიმუშის ნივთებით, რომელთაგან არც სარგებლობა არაა და არც ესთეტიკური ტკბობა". (77, 3-4).

როგორც ვხედავთ, გაცნობიერების შემთხვევამიც ადამიანი ვერ უძლებს ნივთების რეკლამას და შემოტევას, მომხმარებლური საზოგადოების შემოტევას. ტრაგედია ისაა, რომ ადამიანთა უმრავლესობას არა აქვს გაცნობიერებული ნივთთა ტირანია და მორჩილად მიყვება მის პროპაგანდას. ერთეულები რომ აცნობიერებენ ნივთომანიის დამღუპველობას და ჩვენი ყოფიერების უსაზრისობას მომხმარებლობის კულტურისადმი დაქვემდებარების გამო, ეს რჩება ერთეულთა ცნობიერების კუთვნილებად — მეცნიერული ფორმით იქნება იგი გამოთქმული თუ მხატერული და მასის ცნობიერებაზე გავლენას ვერ ახდენს. იმდენად დაბინდულია მათი ცნობიერება მატერიალურისაკენ სწრაფვით, რომ პოეტის ისეთი სიტყვებიც კი როგორიცაა: „ვაი, ჩვენს პატრონს, თუ ჩვენი ყოფის თავი და ბოლო ჭამა და საჭმლის მონელებაა მხოლოდ" ვერ ზემოქმედებს მათი ნივთომანიის პათოლოგიურობაზე. ამ სიტყვებს ისე გაიმეორებენ, თითქოს მათ არ ეხებათ და შოვნის, თუ მომხვეჭელობის სულ უფრო ახალ და ახალ გზებს ეძებენ. ფულის და საქონლების, ნივთების ბატონობის გაძლიერების საქმეს ემსახურება მთელი რიგი შუამავალი, დამატებითი რგოლებისა — სპეკულანტები, „ფარცოვჩიკები", ანტიკვარები, დიზაინერები და სხვა. არა თუ გაუცნობიერებელია, რომ ნივთომანია პათოლოგიაა, არამედ მისდამი უზომო სწრაფვაა გაბატონებული. არის შეჯიბრი ნივთომანიით დაავადებულთა შორის. ვის მეტი ძვირფასი ავეჯი თუ ტანსაცმელი, ვის მეტი მანქანა თუ აგარაკი ექნება, აქ ადამიანის ფანტაზიას არა აქვს საზღვარი და არც მისი განხორციელების შესაძლებლობანია შეზღუდული. იყიდება სუნამოები, რომელთა ერთი ფლაკონის ღირებულება აღემატება ექვსი თვის ხელფასს, მანქანები, რომელთა სახელმწიფო ფასი მოსამსახურის 30-40 წლის ხელფასს უდრის. ზოგჯერ კი, ერთიც და მეორეც მეტი ღირს. იყიდება ბინები, რომელთა ფასი ცხოვრების მთელი ხელფასის ტოლია და მაინც ადამიანები არ იკლებენ არცერთ მათგანს, სულ უფრო მეტ და ახალ წყაროებს

ეძებენ მათ შესაძენად. მათი ცნობიერება იმდენადაა დაკავებული ამ საქმიანობით, რომ დრო არ რჩებათ გაიაზრონ გლობალური პოლიტიკური კრიტიკული სიტუაციები, ეკოლოგიური თუ დემოგრაფიული კრიზისები. მომსმარებლური საზოგადოების გამოძახილია და მისთვის ანგარიშის გაწევაა ნეიტრონის ბომბის წარმოებაც, რომელიც სპობს ადამიანებს და ტოვებს ნივთებს, თითქოსდა ამ ნივთებს რაიმე ღირებულება ექნება ადამიანების გარეშე. ახლა საზოგადოება ისეთ რაიმე საშუალებას უნდა ეძებდეს, რომელიც ნივთებს სპობს. იქნება მათი კულტი მოსპობილიყო, როცა ამოცანადაა დასახული ადამიანის მოსპობა და ნივთის შენარჩუნება, მიზან-საშუალებათა აღრეევის ამაზე უფრო რადიკალური სურათი ძნელი წარმოსადგენია. ასეთ ვითარებაში ვზრდით წარმოებას, ვაწარმოებთ რაც შეიძლება მეტ და მრავალფეროვან საქონელს, რათა რაც შეიძლება მეტი მატერიალური დოვლათი გვქონდეს, მაგრამ ისმის კითხვა: დავუშვათ მივაღწიეთ ყოველივე ამას, მერე რა? რისთვის ვაკეთებთ ამას? კითხვა რისთვის? რომელსაც შპაემანმა მთელი წიგნი უძღვნა, გვეკითხება: „რატომ და რისთვის გვინდა ყოველივე ის, რასაც ვაკეთებთ, რისთვის ვაკეთებთ და რისთვის ვიბრძეით, რისთვის ვცხოვრობთ ჩვენ“? (ალფრედ ადლერი) ყველა ეს კითხვა კრიტიკული ცნობიერების გამოხატულებაა, რომელიც საუბედუროდ ერთეულთა კუთვნილებაა, მასები კი დოგმატური ცნობიერების ტყვეობაში იმყოფებიან. მათ ცნობიერებაში ნივთებისადმი უზომო სწრაფვის საზრისიანობის მიმართ არავითარი ეჭვი არ იბადება. ნივთომანიამ გამსჭვალა პლანეტის მცხოვრებთა ცნობიერება, იმისდა განურჩეველად, მათი იდეოლოგიური სისტემები ცნობიერების ასეთ შინაარსს ურიგდება თუ არა. ამიტომ ალბათ მთლად უსაფუძვლო როდია გიუნტერ პესეს მტკიცება, რომ ქონებისადმი მისწრაფება პოსესიური ინსტინქტია და ამ ინსტინქტით ერთნაირადაა დაკავებული როგორც კაპიტალისტები, ასევე მათი მაიგნორირებელი კომუნისტები, მათ ორთავეს ერთნაირად ამოძრავებთ პოსესიური ინსტინქტი“ (169, 9, 10).

[საკუთრების წინააღმდეგ მებრძოლი სოციალისტური საზოგადოებაც დაექვემდებარა ნივთომანიისა და ფლობის ინსტინქტს. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ კორუფციამ და მომხვეჭელობამ ფართო გაქანება პოვა საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში] იმდენად, რომ მასთან ბრძოლის ნიშნით ზოგჯერ შრომით შემოსავალსაც ვებრძოდით. მესაკუთრული ტენდენციის აღორძინებას ვხედავდით ისეთ საქმეებში, რომლებიც არ აღმოჩნდა სოციალიზმის საწინააღმდეგო. [არაშრომით შემოსავლად მოინათლა ისეთი შემოსავალი, რომელიც შრომის საფუძველზე მიიღებოდა. უცნაური სურათი იყო. აიგივებდნენ, ან ერთ კატეგორიაში ათავსებდნენ ქრთამს, გაფლანგვას და, მეორე მხრივ, რეპეტიტორობას და საკუთარი მანქანით მგზავრების მომსახურებას.] შემდგომში

კანონმდებლობით პირველი ორი დარჩა აკრძალული, დაუშვებელი, არაჯერარსულ ქცევათა რიგში. მესამე და მეოთხე კი დაკანონდა, როგორც ადამიანისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო. ზოგჯერ ფსეედორეოლუციურობა იწვევს მიდრეკილებას ზედმეტი აკრძალვებისადმი, როცა ყველაფერში მომხმარებლურ ტენდენციას ხედავენ.

თითქოსდა არავითარი გარანტიები არ არსებობს ნივთომანია იმაში კი არ უნდა დავინახოთ, რომ ადამიანს აქვს სურვილი ჰქონდეს ლამაზი ნივთები, იკმაყოფილებდეს ნორმალურ მოთხოვნილებებს. ეს ჩვეულებრივი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ფაქტორებია. ნივთომანია მაშინ იწყება, როცა ადამიანი ნივთებს მხოლოდ ქონებისათვის იძენს, მათი დანიშნულების მიხედვით გამოყენების რეალური პერსპექტივების გარეშე, ესაა პათოლოგია და არა ის, რომ ადამიანი ყიდულობს ნივთს მოხმარებისათვის. ჯერ კიდევ ძველი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი გემოძღვრავდა;

„ნუ განადიდებთ ძვირფას ნივთებს
და მოისპობა პარვა კაცთა შორის“.

და შემდეგ: „ზომიერებაა ყოველივე ძირი და ფუძე“, რადგან ადამიანები „კმარობდნენ მცირეს“, ეს ნიშნავს:

„კმარობდნენ მცირედს
და სისავსეს არ მიელტვოდნენ,
სისავსეს არ მიელტვოდნენ
და განახლება არ სურდათ,
განახლება არ სურდათ და
კმარობდნენ ძველს“ (9, 178-187).

სამწუხაროდ, ძველი მორალისტების ეს და მსგავსი შეგონებანი დავიწყებას მიეცა. სიახლისადმი ლტოლვა, წარმოების და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაქსიმალური დონე გახდა ადამიანთა ქცევის განმსაზღვრელი.

5. პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია

მეოცე საუკუნის სხვადასხვა სფეროს მოაზროვნეები: ანთროპოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები, პოლიტოლოგები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ფუტუროლოგები, ტექნიკური ინტელიგენციის და ხელოვნების წარმომადგენლები ერთნაირი ინტერესით ეკიდებიან საკითხს — ვინ ვართ და რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ? მრავალსახოვან ანთროპოლოგიურ მონაცემებს დაემატა მრავალრიცხოვანი საზოგადოების რაობის განსაზღვრებანი, თანაც სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ამ პრობლემისადმი ტექნოკრატები და ბუნებისმეტყველნი. ეს გასაგებიც უნდა იყოს, რადგან მეოცე საუკუნეში საზოგადოების არსებას და მისი ყოფიერების ფორმას, არსებითად თუ მნიშვნელოვანწილად, განა-

პირობებს ტექნოლოგიისა და ბუნებისმეტყველების განვითარება. ფიზიკისა და ბიოლოგიის სფეროში რევოლუციამ ისეთივე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებასა და პერსპექტივების დასახვაში, როგორც ტექნოლოგიურმა რევოლუციამ. ისიც აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ყოფიერების განაზრება ხდება დროის სამივე განზომილებაში — წარსულის, აწმყოს და მომავლის პერსპექტივებშიც. თუ ანთროპოლოგებს შეეძლოთ ეთქვათ, მეოცე საუკუნე ანთროპოლოგიის ეპოქაა, სოციოლოგებს შეუძლიათ თქვან, რომ მეოცე საუკუნე სოციოლოგიის ეპოქაა, რადგან სოციალური ყოფიერების შენარჩუნების და სოციოთერაპიის განხორციელების პერსპექტივები დიდადაა დამოკიდებული საზოგადოების დღევანდელობასა და ხვალინდელ დღეზე. დღევანდელი საზოგადოების არსება უნდა განიჭვრიტოს მისი რეალური კოორდინატების შემეცნების გზით, რათა დანახულ იქნეს, რა შეიძინა თანამედროვე საზოგადოებამ წარსულთან შედარებით და როგორია დანაკარგი, რა პერსპექტივები ესახება როგორც შეძენის, ისე დანაკარგების თვალსაზრისით.

თანამედროვე საზოგადოებას მრავალი ტერმინით გამოხატავენ. ამერიკელი მოაზროვნე დაიზარდი მიუთითებს მრავალრიცხოვან ცდაზე ამ მიმართულებით და აღნიშნავს, რომ არსებითად განმსაზღვრელი სახელი გამოდის პოსტინდუსტრიული საზოგადოება. თვითონ თანამედროვე საზოგადოებას ინფორმაციულად თელის. ისე ცდილობს, არც ერთ სახელს არ მიანიჭოს უპირატესობა, იმ მოტივით, რომ „დღევანდელი განაზრებანი ჯერაც ვერ გამოხატავენ ახალ საზოგადოებას მთელ მის სიახლეთა გათვალისწინებით. ახალი ინფორმაციული საუკუნის გამოხატვის მისწრაფება განსაზღვრებათა მთელ კალეიდოსკოპში გამოვლინდა. ჯონ ლიხტაიმი ლაპარაკობს პოსტბურჟუაზიულ საზოგადოებაზე. დარენდორფი — პოსტკაპიტალისტურზე, ეტციმინი — პოსტმოდერნისტულზე, ბოულდინგი — პოსტცივილიზაციურზე, კანი — პოსტეკონომიკურზე, ალსტრომი — პოსტპროტესტანტულზე, სვიდენბერგი — პოსტისტორიულზე, ამ კალეიდოსკოპში ბარნეტს შეაქვს პრაგმატისტული ელფერი, გვთავაზობს ტერმინს — პოსტნავთობისეული საზოგადოება“. ამ ეპითეტთა უმრავლესობის სათავეა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცნება, რომელსაც ათეული წლის წინ პოპულარიზაცია გაუწია ჰარვარდელმა სოციოლოგმა დ. ბელმა“. ამ ტერმინების საერთო წინსართი გადმოსცემს ჭკნობის საშემოდგომო გრძნობას, დასასრულის შეგრძნებას, რაც ჩვენს საუკუნეს ახასიათებს. რეალურად ვერც ბელმა და ვერც სხვა ფუტუროლოგებმა ვერ შეძლეს მოეცათ მომავლის რამდენადმე დამარწმუნებელი სურათი, შეიძლება ინტელექტუალური მორიდების, ან იმის გამო, რომ მრავალ შესაძლო პერსპექტივათაგან შეუძლებელია ერთ რომელიმეზე შეჩერება“ (101,

344). ჩამოთვლილი დასახელებანიც არ ამოწურავენ თანამედროვე საზოგადოების წოდებათა მრავალფეროვნებას, იყენებენ ისეთ სახელწოდებებსაც, როგორიცაა „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“ (გალბრეითი) „ტელემატური საზოგადოება“ (ჯონ მარტინი), „კომუნიკაციური, ანუ პროგრამირებული საზოგადოება“ (ტურენი), და სხვა, და მაინც, უფრო ხშირად გამოიყენება პოსტინდუსტრიული და ინფორმაციული საზოგადოების ტერმინები. პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცნება და შესაბამისი ტერმინი მრავალ პრობლემას იწვევს. პირველ რიგში საკითხი ისმის მის მიმართებაზე წინა საზოგადოებასთან, — თუ თანამედროვე პოსტინდუსტრიულია, წარსული ინდუსტრიული ყოფილა და რით განსხვავდებიან ისინი? უბრალოდ მათ შორის დროითი თანმიმდევრობაა, თუ პოსტინდუსტრიული ინდუსტრიულზე უფრო მაღლა დგას, იქნებ პირიქით, დაცემის ტენდენციის მაჩვენებელია. ამავე დროს, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული მიუთითებს, რომ მათ შორის კავშირებია და საერთო ნიშნებიც. საკითხი უნდა დაისვას, რა მნიშვნელობისაა საზოგადოებათა ტიპოლოგიაში თავსართი „პოსტ“, იქნებ ამის გარკვევა მოხერხდეს სხვა სფეროებთან ანალოგიით, მაგალითად, ფილოსოფიაში არის მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ცნებები, ხელოვნებაში გამოიყენება როგორც მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი, ასევე იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი, აქაც ანალოგიურ წყვილთან გვაქვს საქმე და კელავ ისმის საკითხი — რას გამოხატავს ეს „პოსტი“. ამერიკელი მოაზროვნე აირისი ფიქრობს, რომ საზოგადოების ამ ორ ეტაპს შორის განსხვავება გარკვეულწილად შეიძლება შევადაროთ ორგანიზმის განვითარებას და ანალოგია მოვნახოთ ორგანიზმის სიმწიფის და მის შემდგომ სიბერის პერიოდთან. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ტექნოლოგიის როლის უსაზღვრო ზრდა „თავისი ხასიათით ჰგავს დაბერებას; როცა ადამიანი სიბერეში გადადის, მისი ძელები, არტერიები, კუნთები კარგავს ელასტიკურობას, აღდგენის უნარს“. როგორც ჩანს, დაბერების ანალოგიური ნიშნები ახასიათებს ინსტიტუტებს და ერებს. ისინი სულ უფრო მოუქნელნი ხდებიან და თანდათან კარგავენ ადაპტაციისა და ცვალებადობის უნარს. ამ მხრივ, აირისის აზრით, მრავალი ანალოგია შეიძლება მოინახოს, ორგანიზმსა და საზოგადოებას შორის, მაგრამ, ავტორის თქმით, „ანალოგია ძალზე შორს არ უნდა წავიდეს“. ინდივიდები არა მარტო ბერდებიან, არამედ კვდებიან კიდეც. მათი გაახალგაზრდავება არ ხდება. მაშინ როცა კორპორაციები და ერები, საზოგადოებაც შეიძლება ხანგრძლივად არსებობდეს და დაბერებას მოპყვეს განახლება. ეს ნიშნავს, რომ „ადეკვატური თეორია იძლევა რაღაც უფრო მეტს, ვიდრე ანალოგიებია, როგორი მიმზიდველიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი“ (101, 322).

მაშასადამე, ინდუსტრიულსა და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებათა შორის დამოკიდებულების ახსნაში ანალოგიის გამოყენება არ არის გამორიცხული, მაგრამ ფაქტის ასახსნელად მხოლოდ მასზე დამყარება არ შეიძლება. კონკრეტულად უნდა განვიხილოთ ამ პროცესების მიმართება, ერთი რამ ფაქტია, ყველა მათგანში საერთოა გადასვლა ერთი ვითარებიდან თუ ფორმიდან, მეორე ვითარებასა თუ ფორმაში: ფილოსოფიაში — მოდერნიზმის ტრასცენდენტალური ფენომენოლოგიიდან პოსტმოდერნიზმის ექსისტენციალურ ფენომენოლოგიაში; მხატვრობაში — იმპრესიონიზმიდან, რომელიც სხვა მიმართულებათა მიმართ სიახლით ხასიათდებოდა, პოსტიმპრესიონიზმზე, რომელმაც ახალი ნიშნები გამოავლინა. ყველა შემთხვევაში საკითხი ეხება მიმართებას ამოსავალსა და მის შემდგომ დამდგარს შორის. საკითხი იმასაც ეხება, საიდან ეხედავთ ამ ცვლილებებს — ამოსავალის პოზიციიდან თუ უკანასკნელი საფეხურიდან. ისიც გასარკვევია, რაგომ მოხდა ეს გადასვლა, რაგომ შეიცვალა ერთი სიახლე მეორით, რა არის ამ მეორის არსება, პირველის ჰორიზონტიდან დანახული და რა არის პირველის არსება მეორის თვალთახედვით.

„პოსტ"-ის მიმართ მკვლევრები, მისი გავრცელებულობის მიუხედავად, ხმირად კრიტიკულ თვალსაზრისს გამოთქვამენ, რადგან არ ეთანხმებიან იმ პოზიციას, თითქოს მისი გზით გადავდივართ სხვა განზომილებაში. თითქოს ის არის მიჯნა, რომლის იქით ახალი ეტაპი იწყება. ამ თვალსაზრისს უპირისპირდება პროფესორი გულიგა, რომელსაც საერთოდ „პოსტ"-ის გამოყენება წარსულის მიმართ და ამ გზით შექმნილი „პოსტმოდერნიზმი", თუ „პოსტთანამედროვეობა" არ მიაჩნია წარმატებულ ტერმინებად. კრიტიკულ ძიებათა ნაკადში „პოსტთანამედროვეობა" წარსულისადმი მიმართების პრობლემას გამოხატავს, მაგრამ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. „თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ტერმინი „პოსტ" ნიშნავს შემდგომს, ხოლო თანამედროვეობის შემდგომ აღმოცენდება ახალი თანამედროვეობა და სხვა არაფერი". (57, 69), ავტორი აანალიზებს თანამედროვეობას როგორც დროულ მიჯნას წარსულსა და მომავალს შორის და თანამედროვეობას როგორც შეფასებას, ანუ საუკუნის მოთხოვნებისადმი შესაბამისობას, რაც შეიძლება მეტად თუ ნაკლებად თანამედროვეს ნიშნავდეს. შეიძლება აღმატებითი ხარისხიც გამოვიყენოთ უაღრესად თანამედროვეს მნიშვნელობით, მაგრამ რადგან ტერმინი უკვე ჩამოყალიბებულია, მიზნად ისახავს არა მის შეცვლას, არამედ შინაარსში გარკვევას, იხსენებს, რომ 1977 წელს გამოვიდა ინგლისელი არქიტექტორის წიგნი — „პოსტთანამედროვე არქიტექტურის ენა", რომელიც ახალი ხუროთმოძღვრების პროგრამაა, ასახელებს „პოსტით" დათარიღებულ რამდენიმე მრომას, მიუთითებს „პოსტის" შინაარსის გარკვევის სიძნელეებზე. „ამოცანა რთულდება იმით, რომ

ტერმინი „პოსტმოდერნი“ აღინიშნება თანამედროვე კულტურის ორი საპირისპირო ტენდენციით, მათი აღრევის თავიდან ასაცილებლად ვიყენებთ რუსული თარგმანის ორ შესაძლებლობას. პოსტმოდერნიზმი (დაშლის შემდგომი ტენდენცია) და პოსტთანამედროეობა (კრიზისის გადალახვა) (იქვე) „პოსტმოდერნიზმად“ იწოდება მხატვრობაში ავანგარდიზმის შემდგომი პერიოდი, როგორც მისი უარყოფა და ხელოვნების კრიზისიდან გამოყვანის მცდელობა, თუმცა ეს ცდა წარმატებით არ დამთავრებულა, არის პოსტსოციალისტური რეალიზმიც. საინტერესოა, რომ „პოსტ“ ყველა ფაქტის მიმართ გამოიყენება, ისეთი ფაქტის მიმართაც, როგორიც იყო მეძავების მსოფლიო მეხუთე კონგრესი, რომლის დელეგატები ჰამბურგის ქუჩაში გამოვიდნენ მოთხოვნებით: სოციალური დაზღვევა ხანდაზმულობისას, საპენსიო უზრუნველყოფა, სპიდთან სწრაფი და გადამწყვეტი ბრძოლა, რადგან სპიდმა საფრთხე შეუქმნა ამ უძველესი პროფესიის არსებობას. გულიგას აზრით, მხატვრობაში პოსტმოდერნიზმი უსახოა, ის ნეგატიურად არის საინტერესო, როგორც გამოუვალობის გაფრთხილება, გადარჩენისთვის კი ის ორიენტირად არ გამოდგება. ტერმინი პოსტმოდერნიზმი პირველად 1917 წელს გამოიყენა გერმანელმა ფილოსოფოსმა რუდოლფ პანვიცმა ნაშრომში — „ევროპის კულტურის კრიზისი“, მასში ლაპარაკი იყო ახალ ადამიანზე, რომელმაც უნდა დაძლიოს დაცემა; სამოციან წლებში ამერიკაში პოსტმოდერნიზმი იყო მცდელობა, დაეძლიათ გათიშვა ელიტურ და მასურ კულტურებს შორის. არქიტექტურაში ტერმინით — პოსტმოდერნიზმი აღინიშნება უსახო სახლების უარყოფა. 1973 წლის 15 ივლისს ქალაქ სენტ-ლუისში ააფეთქეს ახალაშენებულ სახლთა მთელი კვარტალი, რომელთა გაშენებისთვის 50-იან წლებში პრემია გაიცა, შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ეს სახლები მონოტონური და სტერილურია და მათში არავის არ უნდოდა ცხოვრება. არქიტექტურაში ბრძოლა უსახო რაციონალიზმთან და წარსულისაკენ ლტოლვა აღინიშნება, როგორც პოსტმოდერნიზმი. ასე რომ, ამ ტერმინს საპირისპირო ნაკადების გამოხატვაც ევალება.

როდესაც საკითხი ეხება ერთი საზოგადოებიდან მეორეზე გადასვლას, უნდა მივიღოთ მხედველობაში, რა კრიტერიუმს ვიყენებთ მათ შესადარებლად და რაში ვხედავთ ამ გადასვლას, თუ ცვლილებას. საკითხი ისმის - „ემოძრაობთ ინდუსტრიული საზოგადოების ჩარჩოების მიღმა, მაგრამ საით? „ვდრეიფობთ“ პირდაპირ კიტირის კუნძულზე მდებარე ქვეყნისკენ,თუ შევდივართ ჰიპერინდუსტრიულ საზოგადოებაში. დაცემის პერიოდს განვიცდით, თუ საუკუნეები რომ გრძელდებოდა, იმ ზრდის დასასრულის მოწმენი ვართ და იმ საზოგადოებიდან დაბრუნებისა, რომლის ძირითადი საზრუნავი საკუთარი სტაბილურობაა, როგორიც იყო არცთუ დიდი ხნის წინათ ჩვენი სასოფლო საზოგადოებანი როგორც აზიაში, ისე ევროპაში. იქნებ ემოძრაობთ საზოგადოებისკენ, რომელიც თვითცვ-

ლილებისადმი უფრო დიდი უნარით გამოირჩეევა, ვიდრე ინდუსტრიული, საზოგადოებაა და, რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ პოსტინ-დუსტრიული საზოგადოება“ (101, 411). არა მარტო ისაა საკითხავი, საით-კენ მივდივართ, არამედ ისიც, საიდან მოვდივართ და რატომ ხდება ეს მოძრაობა. რა მოტივი არ აძლევს საზოგადოებას საშუალებას, დაკმაყ-ოფილდეს თავისი ყოფიერებით და უბიძგებს მას თვითცვლილებისაკენ. ეს მით უფრო საკითხავია, რადგან ყოველი საზოგადოება საკუთარ თავს მოძრაობის მწვერვალად აცხადებს და ყველა წინა საფეხურს განიხილავს, როგორც მის გამნაყოფიერებელს. საზოგადოება წარმოდგენილია კიბედ, რომლის უმაღლეს საფეხურად ითვლება ამჟამად არსებული საზოგადოება და რომლის იქით უფრო მაღალი მწვერვალი არ არის. ეს არის საკუ-თარი სრულყოფილების აღიარება და თვითკმაყოფილება, რასაც ორტე-გა გასეტი კრიზისულობის ნიშნად მიიჩნევდა. ეს იმის ნიშანიცაა, რომ საზოგადოება განვითარებას კარს უხურავს. ამ რწმენის გამომხატველია პროგრესის სასრულობის თეორიები, გონიერი სამყაროს განხორციელე-ბად საკუთარი თავის წარმოდგენა, ჰილიასტური იდეით ნასაზრდოები მარადიული სამყაროს განხორციელების პოტენციის მქონე. ასე წარმოედ-გინა ჰეგელს, ასე წარმოედგინათ მარქსისტებს და ყოველი ეპოქა თავისთავს ასეთ სრულყოფილებად აცხადებს. ამდენად, მართებულად აღნიშნავს ტურენი „თვითდარწმუნებული საზოგადოება თავისთავს განიხ-ილავს, როგორც ისტორიის საბოლოო პროდუქტს და სხვა საზოგადოე-ბებს განსაზღვრავს როგორც ნაკლები დოზით იმის მფლობელს, რაც მას გააჩნია და ამ ვითარებას აიგივებს ისტორიის პროგრესთან, ანუ სოციალ-ური არსებობის არსებასთან. სავაჭრო საზოგადოებანი ცივილიზაციას უპირისპირებდნენ ბარბაროსობას და ამაყობდნენ თავიანთი თავით, როგორც ყველაზე ცივილიზებულით, რადგან ჰქონდათ ხალხისა და საკუთრების მართვის ფორმალურად მოწესრიგებული წყობა. უფრო თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებანი საკუთარ უპირატესობას ხსნიდნენ მათი მექანიკური მონების დიდი რიცხვით, მანქანების სასარგე-ბლო ძალებით“. (101, 412). ისიც აღსანიშნავია, რომ თანამედროვეობამ დაკარგა ურყევი რწმენა თავისი სიმყარისადმი, ცხადი გახდა, რომ ის-ტორიის საათი არ ამოწურულა, რომ ჯერაც არ დამდგარა „აპრილის ნათელი დღე, როცა საათმა ჩამოჰკრა მეცამეტე“ (ორუელი), რომ ცივილი-ზაცია არ მთავრდება, სრულყოფილობის აზრით, რომელიმე ერთ ეტაპზე, თუნდაც ყველაზე ინდუსტრიულზეც, რომ ყოველთვის რჩება შემდგომი გზაც, რომ ახალი საზოგადოების პერსპექტივები და კონტურები რეალუ-რად აისახა ინდუსტრიული საზოგადოების წიაღში, რომ ახალი საზოგა-დოების ფორმირებაში მთავარ როლს ასრულებს მეცნიერება, ტექნოლო-გია, ინფორმაცია და ამ კრიტერიუმების გამოყენებით დადგენილია, „რომ შეეედით პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, მოსახლეობის დიდი ნაწ-

ილი ჯერ კიდევ დასაქმებულია ინდუსტრიულ ანუ საბაზრო ეკონომიკა-ში". ისე როგორც ეაჭრობიდან მოხდა გადასვლა მრეწველობაზე, მრეწველობიდან ხდება გადასვლა კომუნიკაციაზე და საკითხი ისმის, ამ ისტორიულ ცვლილებებში რა ხორციელდება, საით მიდის კაცობრიობა? აღთქმული და სასურველი ქვეყნისკენ, თუ ბარბაროსობისა და ახალი ტოტალიტარიზმისაკენ, როგორც ეს დახატეს ორუელმა და ზამიატინმა რომანებში — „1984" და „ჩვენ". უნდა განისაზღვროს ამ გადასვლის ხა-სიათი. რამ გამოიწვია იგი, როგორია ვითარება. საზოგადოებამ, რომელ-საც ეტოვებთ, ამოწურა თუ არა თავისი შესაძლებლობანი და როგორში გადავდივართ, რა პერსპექტივებს და საფრთხეს გვისახავს ახალი. ჯერაც არ არის ცნობილი, რა სახეს მიიღებს ჩვენი ყოფიერება მასში, რა ცხ-ოვრების წესს დაამკვიდრებს მომავლის საზოგადოება. მას რომ ინდუს-ტრიულთან აქვს საერთო, ამას გამოხატავს მისი სახელწოდებაც — პოსტინ-დუსტრიული, მაგრამ როგორია ამ „პოსტ"-ის ხასიათი, რა დაუმატა და რა მოაკლო მან არსებულს? ამაზე პასუხის გაცემას ართულებს ის ვითარება, რომ ერთი სახეზე კია, მაგრამ მეორე ყალიბდება და მხოლოდ კონტურე-ბი ჩანს და შემმეცნებლისგან მომავლის განზომილებამი გადასვლას მოითხოვს, ეს კი სიძნელეებით აღსავსეა. დაიზარდი სვამს კითხვას — „როგორია ინფორმაციული საზოგადოების განვითარების შესაძლო სცე-ნარი მომავალ წლებში" და აღნიშნავს: „აკადემიურ თეორიათაგან ამ საკითხზე არც ერთი არ იძლევა ნათელ პასუხს", (101, 345). მისი მტკიცე-ბით არსებულ მრავალ შესაძლებლობათა ვითარებაში „ცვალებადობა-თა პროგნოზირება სარისკო საქმეა". და მაინც ცდილობს განსაზღვროს გარკვეული მიმართულება ზოგად კონტურებში. ჯორჯის წერილში, რომელიც არსებითად მოწოდებულია გააგრძელოს ორუელის წინასწარხედვა, აღნიშნულია, რომ ავტორი თავის ძირითად ამოცანას ხედავს იმაში, რომ „ყურადღება მიაქციოს ჩვენს სამყაროში მიმდინარე ზოგიერთ განსაცვიფრებელ ცვლილებას და განსაზღვროს მათი საზრი-სი". მისი მტკიცებით, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ჩვენი სამყა-რო მკვეთრად შეიცვალა, მომავალი 30 წელი უფრო მეტ ცვლილებებს გვპირდება. ბევრი რამ, რაც მისაღები და ჩვეულებრივი ჩანდა, დაიკარგა, ბევრი რამ, რაც მიუღებელი და უარსაყოფი იყო, მისი ყოფიერებაც გაქრე-ბა. „შეიძლება პოლიტიკური თავისუფლება აღმოჩნდეს დაკარგული, შეი-ძლება სავსებით გაქრეს დაავადებანი, ცვალებადობანი მრავალ განსხ-ვავებულ ფორმას მიიღებს, დღეს ჩვენი მიზანია, ვეცადოთ ვაჩვენოთ ყვე-ლაზე მოსალოდნელი ცვლილებანი. ცხადია, მომავლის მიმართ ყოველთვის არის განუსაზღვრელობანი და ეს მუდამ უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა აზროვნებამ და წინასწარმეტყველებამ (101, 356). ყოველ შემთხვევაში მომავლის მიმართ გამოთქმულ შეხედულებებს მხოლოდ საალბათო ხა-სიათი შეიძლება ჰქონდეს და ისიც ზოგადი კონტურების ფარგლებში,

მდგომარეობას ოდნავ ამსუბუქებს ის ფაქტი, რომ არსებულის წიაღში ისახება მომავალი, რომ არსებობს გარკვეული უწყვეტობა წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. ის, რაც სხვა საზოგადოებისთვის ხვალ უნდა გახდეს საბაზისო ყოფიერება, დღეს ჩანასახის ფორმით არსებობს, გასათვალისწინებელია ისიც, როგორია მკვლევრის ამოსავალი პრინციპი: შეიძლება მკვლევარი ამოდიოდეს გავრცელებული შეხედულებიდან, რომ „ინდუსტრიული საზოგადოება იმყოფება კრიზისის მდგომარეობაში". კრიზისი შეიძლება მრავალ რამეში გამოიხატოს, ძირითადია ღირებულებათა კრიზისი, როდესაც ხდება ღირებულებათა რადიკალური გადაფასება, ასეთ შემთხვევაში კულტურისა და საზოგადოების განსაზღვრული ტიპი ადგილს უთმობს სხვას. ღირებულებათა კრიზისის დროს, „ძირეულად იცვლება ძალაუფლების ბუნება და სოციალიზაციის მეთოდები, დამოკიდებულება შრომისადმი და მომავლის კონცეფციები. კრიზისი აავადებს არა მარტო ინსტიტუტებს, არამედ ჩვენს მოტივაციებს და სოციალურ ქცევასაც, ეს მთელი ცივილიზაციის კრიზისია". (ტურენი). მაგრამ პასუხი შეიძლება განსხვავებულიც იყოს, თვით ავტორიც აღიარებს, რომ მისი მოსაზრება „მხოლოდ ერთი შესაძლო პასუხთაგანია ისტორიის გამოწვევაზე და არის სხვა პასუხებიც". არის თვალსაზრისები, რომლებიც არსებულ ვითარებას კრიზისულად არ სახავენ, მაგრამ მის ცვლილებას გარდუვალად მიიჩნევენ, რადგან წინ დგას ახალი უფრო მაღალი სოციეტური ტიპი, წინას წიაღში განვითარებული, მაგრამ მასზე პროდუქტული. არიან მოაზროვნეები, რომლებიც ახლანდელ ეტაპს კაცობრიობის სოციალური ყოფიერების უკანასკნელის წინა საფეხურად თვლიან, რომლის იქით ისტორიულობის თვითმკვლელობაა. კაცობრიობამ მიაღწია იმ დონეს, როცა შეუძლია თვითმკვლელობის განხორციელება. შეხედულებათა და რეალობათა ამ მრავალსახოვნებაში ჩვენ კვლავ ვდგავართ გარდუვალი კითხვის წინაშე — „სად ვიმყოფებით, ბრდის ახალი ფაზის პარმაღზე, თუ წონასწორობას ვუბრუნდებით? ვიმყოფებით პოსტინდუსტრიული, თუ პოსტისტორიული საზოგადოების წინაშე, განვითარების ფაზის დასასრულთან, თუ საკუთრივ განვითარების დასასრულთან. უნდა გავიგოთ, რომ ინდუსტრიული საზოგადოების „ამოწურულობა" იმ ქვეყნებში, სადაც მან თავის უმაღლეს განვითარებას მიაღწია, შეიძლება გვაუწყებდეს ძნელ,მაგრამ გარდუვალ გადასვლას ახალი ტიპის საზოგადოებაზე, რომელიც იქნება უფრო აქტიური და მობილური, მაგრამ უფრო ეოლუნტარისტულიც და სამშიც, ვიდრე ის საზოგადოებაა, რომელიც უკან მოვიტოვეთ... პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცნების ყველაზე მხურვალე მომხრეთაგან არავინ უარყოფს, რომ ის ნაწილობრივ მაინც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პიპერინდუსტრიული საზოგადოება და მაშინ როგორ შეეძლებთ, შესაბამისობაში მოვიყვანოთ სოციეტურ ტიპთა მსვლელობაში წყვეტადობა და უწყვეტობა. ამ მთავარ კითხვაზე

აუცილებელია პასუხი, რათა განვსაზღვროთ ჩვენ თვალწინ ფორმირებადი კომუნიკაციური საზოგადოების ადგილი სამრეწველო საზოგადოების მიმართ, რომლის გარემოში ის გამოჩნდა". (101, 411-412). მაშასადამე, ამოცანა ნათელია, გამოიკვეთა ახალი სოციეტური ტიპი. სულ ერთია, რას ვუწოდებთ მას — პოსტინდუსტრიულს, ინფორმაციულს, კომუნიკაციურს, — ყველა ვითარებაში აუცილებელია მისი არსების წვდომა. ამ პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგია, შედარება, განსაკუთრებით წინა საფეხურებთან. უნდა დადგინდეს, როგორია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშნები, რა აკავშირებს და განასხვავებს მას წინამორბედთაგან. თანამედროვე საზოგადოების გამააზრებელნი სოციეტური ტიპოლოგიის მრავალ ნიმუშს გვთავაზობენ,მათ შორის ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორეტიკოსებისათვის, ბარბაროსობის შემდეგ, განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს აგრარულ, სავაჭრო, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებათა განსხვავება. თითოეულ მათგანს შესაბამისი კრიტერიუმები აქვს, რაც ამ საზოგადოებათა ბუნებას გამოხატავს. ეკონომიკის თვალსაზრისით, აგრარულ, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებათა განსხვავება სტოულნერს ასე წარმოუდგება: „აგრარულ ეკონომიკაში სამეურნეო საქმიანობა უმთავრესად დაკავშირებული იყო კვების პროდუქტთა საკმაო რაოდენობის წარმოებასთან, ხოლო მალიმიტირებელი ფაქტორი ჩვეულებრივად იყო კარგი მიწის მიღების შესაძლებლობა. ინდუსტრიულ ეკონომიკაში სამეურნეო საქმიანობა უმთავრესად საქონლის წარმოება იყო, მალიმიტირებელი ფაქტორი ძირითადად — კაპიტალი; ინფორმატიულ ეკონომიკაში სამეურნეო საქმიანობა უმთავრესად ინფორმაციის წარმოება და გამოყენებაა, იმ მიზნით, რომ წარმოების ყველა სხვა სფერო გახდეს უფრო ეფექტური და ამით მეტი მატერიალური სიმდიდრე შეიქმნას. აქ მალიმიტირებელი ფაქტორია ცოდნა", (101, 397). ტურენი უფრო სრულ სურათს იძლევა აგრარულ, სავაჭრო, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიული საზოგადოებების ცვლილებათა მდინარებისა და სპეციფიკის სახით. მისი აზრით, ყველა საზოგადოებას აქვს მარადიულობის პრეტენზია, მიუხედავად ამისა, ყველა საზოგადოება ისტორიულია. ყოველ საზოგადოებაში „ისტორიულობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც ხელს უშლის მოქმედი წესების რეპროდუქციას და ამიტომ საჭიროებს ტრანსფორმაციისა და ცვლილების უნარს". ისტორიულობის დონის შესაბამისად, ტურენი პირველ რიგში გამოყოფს აგრარულ საზოგადოებას, მისი დაშახასიათებელია თვითცვლილება ძოსმარების დონეზე, მასში ინვესტიციირება სდება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს წარმოებული პროდუქცია, ამისთვის გამოიყენონ ახალი სამუშაო ძალა და აითვისონ ახალი მიწები, ან აამაღლონ ათვისებულის ეფექტიანობა. ამ საზოგადოებაში მოხმარების დონე ისტორიულობასთან ერთად დაბალია. ისტორიულობა მხოლოდ

მოხმარების სფეროშია. სავაჭრო საზოგადოებაში თვითცვლილება ეხება განაწილებას, აქცენტი გადატანილია საქონლის გადაზიდვასა და ვაჭრობაზე, ხდება მიმოსვლისა და ვაჭრობის გზების ასევე ფორმების რაციონალიზება, რითაც მცირე გავლენას მაინც ახდენენ წარმოებაზე, თუმცა წარმოება ისევ ძველებური რჩება, ამიტომ ისტორიულობა ამ საზოგადოებაშიც დაბალ დონეზეა. სავაჭროდან სამრეწველო საზოგადოებაზე გადასვლამ გააფართოვა ისტორიულობის სფერო მოხმარებისა და განაწილების ფარგლებს გარეთ და შეიჭრა წარმოების სფეროში. ინდუსტრიული საზოგადოება რეოლუციას ახდენს შრომის ორგანიზაციაში ინვესტიცირებით. ინდუსტრიალიზაცია განისაზღვრება არა მანქანების გამოყენებით, არამედ შრომის ახალი ორგანიზაციით, სწორედ ამ საზოგადოებაში შეიქმნა შრომის ორგანიზაციის ცნობილი ფორმები ტეილორისა და ფორდის. შრომის რაციონალური ორგანიზაცია გამოხატავს ინდუსტრიული საზოგადოების არსებას, მისი თვითცვლილების წესიც ამასთანაა დაკავშირებული. ინდუსტრიული საზოგადოება თუმცა აკეთარებს წარმოების საშუალებებს, მაგრამ ძირითად ინვესტიცირებას შრომის ორგანიზაციაში ახდენს. აქედან გამომდინარე, ახალი საზოგადოება მოითხოვს შრომის ორგანიზაციის ნაცვლად, აქცენტი გადატანილ იქნეს წარმოების საშუალებათა წარმოებაზე. „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ინვესტიციები კეთდება სულ სხვა დონეზე, ვიდრე ინდუსტრიულში. ე. ი. წარმოების საშუალებათა წარმოებაში". შრომის ორგანიზაცია ეხება მუშებს შორის ურთიერთობას. პოსტინდუსტრიული საზოგადოება კი ცვლის მთელი წარმოების პროცესს, რომელშიც მუშებს შორის დამოკიდებულება ერთი მომენტია. პოსტინდუსტრიული საზოგადოება ახდენს ინვესტიცირებას: მეცნიერებასა, ტექნიკასა და მართვაში, რაც საშუალებას აძლევს გამოიყენოს ინფორმაციისა და კომუნიკაციის რთული სისტემები. (101,413-414). ამ ტიპოლოგიის ავტორი ისტორიულ მემკვიდრეობას, საზოგადოების ყოველი ჯგუფის მიმართ თვლის აუცილებლად და ამის მაჩვენებლად მიიჩნევს იმას, რომ ყოველი წინა ტიპი მონაწილეობს შემდგომში, რომ სავაჭრო საზოგადოება ინდუსტრიულ საზოგადოებაშიც აირეკლება, ეს უკანასკნელი კი პოსტინდუსტრიულში. ამავე დროს, შეუძლებლად მიიჩნევს რომელიმე მათგანის არსების განსაზღვრებას მხოლოდ ტექნოლოგიით. საზოგადოებისთვის როგორი დიდი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს ტექნიკასა და ტექნოსტრუქტურას, ის ვერ განსაზღვრავს საზოგადოების მთელ ფიზიონომიას. საზოგადოება რთული მექანიზმია და მისი მთლიანობით არ განისაზღვრება თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი. „ამიტომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება უფრო მეტადაც კი, ვიდრე ინდუსტრიული, არ შეიძლება განისაზღვროს რომელიმე ტექნოლოგიით, ლაპარაკი „კომპიუტერულ საზოგადოებაზე", ან კიდევ „პლუტონიუმის საზოგადოებაზე" ისევე ზერელეა, როგორც ლაპარაკი

„ორთქლისძრავის საზოგადოებაზე“ ან „ელექტროძრავის საზოგადოებაზე“. ტექნიკისათვის ესოდენ დიდი პრივილეგიების მინიჭებას, როგორიც არ უნდა იყოს მისი ისტორიული მნიშვნელობა, რეზონი არა აქვს. მთავარია იმის აღიარება, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება ისეთია, რომელშიც ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტი შეხებაშია საზოგადოების საკუთარ თავზე მოქმედებასთან“. (101, 414-415). პოსტინდუსტრიული საზოგადოების არსების გამოხატვა ამ საზოგადოების ნათლიამ დანიელ ბელმა შეძლო სახელწოდებით — „ინფორმაციული საზოგადოება“, „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“. დანიელ ბელმა მიუთითა ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელ რამდენიმე სპეციფიკურ ნიშანზე, — ესაა ტელეკომუნიკაციები, რეოლუცია ინფორმაციის ორგანიზაციასა და დამუშავებაში. ის გამოყოფს პოსტინდუსტრიული საზოგადოების სამ ძირითად ასპექტს: 1. ინდუსტრიულიდან მომსახურების საზოგადოებაზე გადასვლა, 2. ტექნოლოგიურ ინოვაციათა განხორციელებისთვის კოდიფიცირებული თეორიული ცოდნის გადამწყვეტი მნიშვნელობა, 3. ახალი ტექნოლოგიის გადაქცევა სისტემური ანალიზისა და გადაწყვეტილებათა მიღების ძირეულ ინსტრუმენტად. მთავარი და განმსაზღვრელია მეცნიერების ახალი როლი, რომელიც წარმართავს საზოგადოების განვითარებას ინჟინერიასთან კავშირში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სრულიად ახალი ფენომენია, თუმცა მეცნიერება ძველია, მაგრამ ტექნოლოგიაში მისი შეჭრა და ახალი ტექნოლოგიის შექმნა მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. ამ გზით იცვლება არა მხოლოდ მეცნიერების დონე და როლი, არამედ მთელი სოციალური ცხოვრება. საზოგადოების ყველა სფერო ახალ სახეს იღებს ამ რევოლუციის ფონზე და ეს სიახლე იმ დონისაა, რომ ვერ ეტევა ინდუსტრიული საზოგადოების ფარგლებში. ინდუსტრიული საზოგადოების საწყისი თუ პირველ სამრეწველო რევოლუციას უკავშირდება, ხოლო პირველი ფაზის უმაღლესი პუნქტი მეორე სამრეწველო რევოლუციაა, ახალი საზოგადოება ისახება მეორე სამრეწველო რევოლუციის შემდეგ და ვითარდება მესამე სამრეწველო რევოლუციაში. თუ ტრადიციული თეორიები ღირებულების წყაროდ მიიჩნევდნენ მიწას, კაპიტალს და შრომას, დღეს დომინანტური ძალა ხდება ცოდნა. იმდენად განსხვავებულია მისი როლი ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, რომ მისი გზითაც შეიძლება მათი განსხვავება. ბელის მტკიცებით, „ისე როგორც ინდუსტრიულ საზოგადოებაში შრომა და კაპიტალი იყო ცენტრალური ცვლადები, ასევე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ინფორმაცია და ცოდნა ხდება გადამწყვეტი ცვლადები“. (101, 332). პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორეტიკოსთა უმრავლესობა ამ საზოგადოებისთვის განმსაზღვრელად მიიჩნევს ტექნიკას, რომელიც მეცნიერების დომინანტობის პირობებში არსებითად განსხვავებულ ძალად იქცევა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში. ინდუსტრიული საზოგადოებ-

ის ტექნიკა და ტექნოლოგია ემყარებოდა ელექტროობას, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ტექნიკის ბირთვია კომპიუტერი, რომელიც ასახიერებს ახალ ტექნოლოგიურ რევოლუციას. რა სიახლეები მოიტანა კომპიუტერულმა ტექნიკამ, ამას უფრო სრულყოფილად აანალიზებენ იმ ქვეყნების სოციოლოგები, სადაც კომპიუტერიზაცია განხორციელდა წარმოების მართვის სფეროში. ჩვენი ქვეყნის და საერთოდ თანამედროვე ტექნოლოგიას მოკლებულ საზოგადოებათა განმაზრებელთათვის, შესაბამისი რეალური გარემოს გარეშე, ძნელია მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის მნიშვნელობის სრულყოფილი წვდომა, აქ მათ მხოლოდ წარმოსახვა თუ დაეხმარება, მაშინ როცა თანამედროვე დონეზე განვითარებულ ქვეყნებში ეს რეალობაა და ამოცანაა ამ რეალობის წვდომა. „თანამედროვე დასაელეთის მოაზროვნეთა დიდი ნაწილი ახალი საზოგადოების განმსაზღვრელ ძალად მიიჩნევს მეცნიერებაზე აგებულ ტექნოლოგიას. „მე ამოედივარ იქიდან, რომ ცოდნა და ინფორმაცია სტრატეგიული რესურსებია პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის და ტრანსფორმაციის აგენტები". (დანიელ ბელი). არიან მოაზროვნეები, რომლებიც თელიან, რომ ტექნიკა მხოლოდ შესაძლებლობებს ქმნის, რომელთა რეალიზაცია დამოკიდებულია პოლიტიკაზე, კერძოდ იმაზე, როგორ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე — ღია თუ დახურულთან. ერთი და იგივე ტექნიკა დახურული საზოგადოების პირობებში ქმნის ძლიერ ტოტალიტარიზმს, ღია საზოგადოების პირობებში ძლიერ დემოკრატიას და თავისუფლებას. მიუხედავად აზრთა შორის ამ სხვაობისა, ყველანი აღიარებენ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ და ინფორმაციის ბუმმა გამოიწვია ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება.

ყოველი სოციეტური ტიპოლოგია და საზოგადოებათა პლურალიზმის აღიარება დამოკიდებულია საზოგადოების თვითშენახვისა და თვითცვლილების დონეზე. თავისთავის იგივეობის შენარჩუნება, გარკვეულ ცვლილებათა მიუხედავად, ნიშნავს, რომ საზოგადოება რჩება იმავედ, რაც იყო. მაგრამ მღვარს გადასული ცვლილებები, მომხდარი საზოგადოების წიაღში, მიუთითებს ძველიდან ახალ საზოგადოებაზე გადასვლას. იგიეობათა და ცვლილებათა ეს ჯაჭვი ეხება საზოგადოების ღირებულებებს, იმას, რაზეც ორიენტირდება, ან რაზეც უარს ამბობს საზოგადოება. ამიტომ საზოგადოების ჰაბიტუსის და მისი ინოვაციის განსაზღვრისათვის, ამოსავალია ღირებულებათა სტაგნაციის, თუ ცვალებადობის დონე. თუ საზოგადოება ახდენს ღირებულებათა რადიკალურ გადაფასებას, თუ ფასეულობანი, რომელნიც განმსაზღვრელნი იყვნენ საზოგადოებისათვის, ძალას კარგავენ, ან უკანა პლანზე დგებიან, მათ ადგილს იკავებენ ახალი ღირებულებანი, ან ისინი, რომლებიც მანამდე ჩრდილში რჩებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ხდება გადასელა ძველიდან ახალ საზოგადოებაზე. ცვალებადობისა და იგივეობის ეს დიალექტიკა

ერთნაირად ახასიათებს ყველა საზოგადოებას, მათ შორის ახალსაც. საზოგადოება სოციალურის რომელიმე ერთი მომენტით არ წარმოიდგინება — ის სოციალური ყოფიერების ყველა მხარეს მოიცავს. მის განმსაზღვრელ ღირებულებებში ცვლილებანი იწვევს ყველა დანარჩენ ღირებულებათა შეცვლასაც. ღირებულებათა ასეთი გლობალური ცვლილებით ხასიათდება თანამედროვე საზოგადოებაც. რომ გამოყოფენ ამ ცვლილებებში ძირეულს და განმსაზღვრელს, ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენი მომენტები უცვლელი რჩება. ცვლილებათა წარმმართველი შეიძლება ერთი ან რამდენიმე ფაქტორი იყოს, მაგრამ ცვლილებანი მოიცავს საზოგადოების ყველა მხარეს, ცხოვრების მთელ წესს, — დაწყებული ადამიანის სოციალური კავშირების ცვლილებებით, დამთავრებული, მისი სულიერ-კულტურული ორიენტირებით. რადგან პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცვლილებათა ჯაჭვში განმსაზღვრელია მეცნიერებისა და ტექნოლოგიის რგოლი, საკითხი უნდა დაისვას: რა ცვლილებები მოაქვს მათ სოციალური ყოფიერების სხვა მხარეებისათვის, იქნება ეს: წარმოების, მოხმარების, განაწილების, გაცვლის, რწმენის, განათლების, განსახლების, სახელმწიფოებრივი წყობის, ცხოვრების წესის თუ სხვა პროცესები.

სამოციან წლებში, როდესაც ბელი აყალიბებდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცნებას, აღნიშნავდა, რომ ამ საზოგადოებამ წარმოების სფეროში სულ მცირე ხუთი სიახლე მაინც მოიტანა, ან მოიტანს: 1. სატელეფონო და კომპიუტერულ სისტემათა ტელეკომუნიკაციის და ინფორმაციის დამუშავების ერთ მოდელში შერწყმა. ამასთან დაკავშირებით ჯერაც ღიად თელის საკითხს — ინფორმაციის მიღება უმთავრესად სატელეფონო კავშირით განხორციელდება, თუ ახალი სისტემები შეიქმნება და რა როლს ითამაშებს ამ საქმეში თანამგზავრთა სისტემა, ან მიკროტალღების სადგურები; 2. ქაღალდი შეიცვლება ელექტრონული სამუალებებით (უკვე არსებობს ელექტროგაზეთების პირველი ნიმუშები ევროპასა და ამერიკაში, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიდან პოლონეთშიც), ამ ქსელში მოექცევა საბანკო მომსახურებაში ჩეკების ნაცვლად ელექტრონული მომსახურება. იქნება ელექტრონული ფოსტა, მოხდება დოკუმენტების ასლების დისტანციური გადაღება, საგაზეთო და საეურნალო ინფორმაციები გადაიცემა ფაქსის მეშვეობით; 3. გაფართოვდება, სატელეფონო სამსახური, მრავალარხოვანი კაბელების სისტემები, რაც საოჯახო ტერმინალთა პირდაპირი კავშირის საშუალებას შექმნის; 4. ტრანსპორტს შეცვლის ტელეკომუნიკაციები. მოხდება ინფორმაციის შენახვის რეორგანიზაცია ერთიანი საკომპიუტერო ქსელით, რომელიც ყველასთვის იქნება მისაწვდომი. საბიბლიოთეკო და ოჯახური ტერმინალებიდან მიიღება პირდაპირი ინფორმაცია მონაცემთა ბანკების მეშვეობით. 5. კომპიუტერული სწავლების ბაზაზე გაფართოვდება განათლებ-

ის ქსელი. სასოფლო ადგილებისთვის გამოყენებული იქნება თანამგზავრთა კავშირის ფორმები, ვიდეოდისკები გამოყენებული იქნება როგორც გართობის, ისე შინსწავლებისათვის, ტელეკომუნიკაცია და ინფორმაციის დამუშავება შეერწყმება ერთ მოდელში, რომელსაც ეწოდება კომპიუნიკაცია. ამით საქმე გვექნება ახალ საზოგადოებასთან, რომელსაც შეიძლება ეწოდოს კომუნიკაციური, თუ ინფორმაციული საზოგადოება. (101, 334-335). ბელის მტკიცებით, თუ ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი რესურსი კაპიტალი იყო, „პოსტინდუსტრიული საზოგადოების სტრატეგიული რესურსებია ინფორმაცია და თეორიული ცოდნა, იმდენად, რომ ეს ორი კომპონენტი თანამედროვე ისტორიის მობრუნების პუნქტებია". პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მეცნიერების ახალი როლი,მისი გადაქცევა საზოგადოების ძირითად მწარმოებელ ძალად, სწორედ მან შექმნა ახალი ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიის და ახალი კომუნიკაციის შესაძლებლობანი, იმდენად, რომ „უნივერსალურმა ელექტრონულმა საინფორმაციო ქსელმა დააკავშირა ყველა ადამიანი" (დაიზარდი). ხშირად ტექნიკის როლის განსაზღვრისას მხედველობაში აქვთ მხოლოდ ტექნიკური ინოვაციები და მას მიაწერენ განმსაზღვრელ როლს საზოგადოების სიახლეებში, ფაქტობრივად ინოვაციის წყარო მთელი ტექნოლოგიაა და არა მხოლოდ ტექნიკა, მათი გაიგივება არ შეიძლება. ტექნოლოგიაში, ტექნიკის გარდა, შედის ადამიანის დამოკიდებულება წარმოების პროცესთან, ადამიანის ადგილისა და როლის განსაზღვრა წარმოების პროცესში და მისი დამოკიდებულება ტექნიკისადმი. დასაელეთ გერმანელი მოაზროვნე ეერნერ რიუგემერი აღნიშნავს: „ტექნოლოგია ის ცნებაა, რომელიც ახასიათებს საზოგადოების დამოკიდებულებას მთლიან წარმოების პროცესთან, ტექნიკა პირიქით, შრომის საშუალებათა სისტემაა, მშრომელი ადამიანისა და იმ წესების გათვალისწინების გარეშე, რომელთა გზით ადამიანი არეგულირებს თავის საზოგადოებრივ ურთიერთობებს". მიუხედავად ასეთი მტკიცებისა, ახალ ტექნოლოგიაში ტექნიკის სოციოლოგებს ძირითადად ტექნიკა მიაჩნიათ. დასახელებული ავტორის აზრით, „ტექნიკაში მიკროტექნიკის გვერდით შედის კოსმონავტიკა, რაკეტული ტექნიკა, ჰელიოტექნიკა, ატომური ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები, ოპტიკური ელექტრონიკა, მათემატიკური პროგრამირება, თვითმფრინავთმშენებლობა (ნაწილობრივ), ლაზერული ტექნიკა, ბიოტექნოლოგია ფარმაცევტიკის ჩათვლით". (118, 28-29). თანამედროვე საზოგადოებაში ახალი ტექნოლოგიის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. საქმე ისაა, რომ ახალმა ტექნოლოგიამ, უნახავ შესაძლებლობებთან ერთად, ადამიანი დააყენა ასეთივე უნახავი საფრთხის წინაშე. ახალი საზოგადოება ამ ახალ ტექნოლოგიას ემყარება, მაგრამ იგივე ტექნოლოგია მას უმზადებს მოსპობის შესაძლებლობის მრავალ გზას. ადამიანის წინაშე დგას

კითხვა: საზოგადოება გაჰყვეს ახალ ტექნოლოგიას, თუ ცადოს ბუნებასთან დაბრუნება. მართალია, ორიეე გზას ჰყავს მომხრეები, მაგრამ საზოგადოების გამსაზღვრელი ძალა ახალი ტექნოლოგიის გზას აღგას და დეეიზი უკან ბუნებისაკენ იშვიათად გაისმის, რადგან გაცნობიერებულია, რომ დღეანდელ საზოგადოებას უკან დასახვევი გზა არა აქვს. დღეანდელი საზოგადოება სიუხვის საზოგადოებაა, მისი იდეალია სიმდიდრე და ამაში გამსაზღვრელი როლი ეკუთვნის არა მხოლოდ ძვირფას ლითონებს, არა მხოლოდ მოთხოვნების დაკმაყოფილების და ფუფუნების საგნებს, არა მხოლოდ მწარმოებლურ ძალებს და სასაქონლო ღირებულებათა ერთობლიობას, არამედ ინფორმაციას. სტოუნიერის მტკიცებით, „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ეროენული საინფორმაციო რესურსები მისი ძირითადი ეკონომიკური ღირებულებაა, მისი სიმდიდრის ყველაზე დიდი პოტენციური წყაროა". (101, 393). მისი მტკიცებით, ყოველ ქვეყანას თავისი ეროვნული სიმდიდრის გაზრდა შეუძლია სამი გზით: 1. კაპიტალის მუდმივი დაბანდებით, 2. ტერიტორიული გაფართოებით და დაპყრობებით, 3. ახალი ტექნიკის გამოყენებით, რომელიც არარესურსებს რესურსებად გახდის. ეს მესამე გზა ახალი ინდუსტრიული საზოგადოებისთვის ძირითადია, რადგან იცვლება ტრადიციული წარმოდგენები სიმდიდრეზე, შესაბამისად იცვლება ტრადიციული წარმოდგენები ღირებულებებზე, თუ ფასეულობებზე. როდესაც კითხვას სვამენ — „თანამედროვე სამყაროსთვის რა ნივთიერებაა ყველაზე ძვირფასი?" — ბუნებრივად ადამიანი მოელის პასუხს — ძვირფასი ლითონები, მაგრამ, სტოუნიერის აზრით, შეიძლება უცნაურია, მაგრამ კანონზომიერი პასუხი ასეთი იყოს: ქვიშაა ყველაზე ძვირფასი. ამას ავტორი ასე განმარტავს: „რა ნივთიერებაა ყველაზე ძვირფასი თანამედროვე საზოგადოებისათვის? ოქრო? ვერცხლი? პლატინა? ალმასი? არა ესენი არა, — ქვიშა. ძვირფასი ლიითონები ღირებულია მათი იშვიათობის ძალით, მაგრამ რას გააკეთებ ოქროს მცირე რაოდენობით? შეიძლება უფრო ძვირად გაყიდო, ვიდრე იყიდო, ამით ვერ გამდიდრდები, ხოლო ქვიშა, უფრო ზუსტად მისი კომპონენტი — კაჟი, გამოიყენება ინტეგრალურ სისტემათა დასამზადებლად, რაც, ტექნიკურ მოწყობილობაში ჩართული, კოლოსალურ პროდუქციას იძლევა, გარდა ამისა, კაჟიდან კეთდება ფოტოელექტრული ბატარეები, რომლითაც მზიდან ელექტრონის გენერირებას ახდენენ. შეიძლება გააერთიანო ეს ორი ფუნქცია, როგორც ეს ხდება სხვადასხვა მოწყობილობაში — დაწყებული ჯიბის კალკულატორებიდან, რომელთა დატენვა ხდება მზის ენერგიით და დამთავრებული კავშირგაბმულობის თანამგზავრებით. გამოდის, რომ ქვიშას უფრო მეტი სიმდიდრის შექმნის პოტენციალი აქვს, ვიდრე ოქროს. ეს მართლაც ასეა. უკვე ახლა შეიძლება ლაპარაკი კაჟის სამ რევოლუციაზე: პირველია ქვიშისაგან ინტეგრალურ სისტემათა დამზადება, მე-

ორე ფოტოელექტრული ბატარეების წარმოება, კაჟის მესამე რევოლუცია უდაბნოთა ქვიშას გადააქცევს სათბურებად, რომელნიც გახდებიან ახალი ტექნოლოგიური სისტემების ბირთვი, ეს კი შეცელის უდაბნოს". (101, 406). ასალი საზოგადოების პირველი მაცნე იყო კალიფორნიის შტატის ტერიტორიაზე ამერიკის დასავლეთის სანაპიროს ოთხმოცდაათიათას კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული კაჟის ველი, რომელშიც რამდენიმე პატარა ქალაქი შედის და გამოირჩევა ელექტრომოწყობილობის წარმოების უმაგალითო კონცენტრაციით. ამ ველის მეცნიერული კელევების ცენტრია სტენფორდის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი, რომელშიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების ყველა პირობაა. ამის შესახებ ვერნერ რიუგემერის სპეციალურ ნაშრომში დაწერილებითაა გაანალიზებული სამრეწველო პოტენციალი, გეოგრაფიული მონაცემები, ფირმათა საქმიანობა, მოსახლეობის დასაქმება და საერთოდ სოციალური ყოფიერების ყველა მხარე. ნაჩვენებია, რომ ნახევარგამტარების და კომპიუტერული მრეწველობის ეს ცენტრი მსოფლიოში ყველაზე დიდი და ქმედითია. ინდუსტრიულმა საზოგადოებამ მექანიზაციით დაიწყო და ავტომატიზაციით დაამთავრა. პოსტინდუსტრიულმა საზოგადოებამ რობოტიზაციით დაიწყო და წარმოება გადაყავს სრულიად ახალ პრინციპებზე. პირველი ნაბიჯი იყო ნახევრადგამტარები, შემდეგ ტრანზისტორები, ინტეგრალური სქემები, მიკროპროცესორები — ყოველივე ეს ქმნის მიკროელექტრონიკის ტექნოლოგიას,რომლის ცენტრში მოქცეულია ეგრეთ წოდებული ჩიპები. სულ უფრო მეტად გამოიყენება პროგრამული მართვის მოწყობილობა. მთავარი ხდება მეხსიერების მქონე მოწყობილობანი. სამოცდაათიანი წლებისათვის მსოფლიოში ორი მილიარდი ჩიპი იწარმოებოდა. მათზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება, ასევე სწრაფად იზრდება მათი შესაძლებლობანი. თუ საწყის ეტაპზე დამახსოვრების უნარი, ტექნოლოგების მტკიცებით, გაიზომებოდა თექვსმეტი კილობიტით, ამჟამად 300-ს გადააჭარბა. აქვს უსასრულო პერსპექტივა, თანაც სულ უფრო იაფი ხდება ამ ტექნიკის წარმოება, რაც ქმნის წარმოებასა და ყოფაში დანერგვის მეტ შესაძლებლობას. მთელი ყოფითი ტექნიკა და ინფორმაცია აგებული იქნება კომპიუტერიზაციის პრინციპებზე. მიკროელექტრონიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს. არსებითად საქმე გვაქვს ხელოვნურ ინტელექტთან, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიას იმდენად განსაზღვრავს, რომ არსებითად მასზეა დამოკიდებული საზოგადოების აწმყო და პერსპექტივები. პოსტინდუსტრიული საზოგადოების ამოცანაა, კომპიუტერული ტექნიკა გახადოს მისაწვდომი, არა მხოლოდ სამხედრო, კოსმოსურ, თუ სხვა სფეროებში, არამედ ყოველდღიურ საქმიანობაშიც — როგორც ყოფით, ისე საზოგადო მოღვაწეობაშიც, ამის ძირითადი პირობებია ამ ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების

ცოდნა და მისაწვდომობა მისი ფასის მიხედვით, ყველა ოჯახსა თუ ადამიანისათვის. ჯონ მარტინის აზრით, „უკვე ამჟამად შეიძლება ისეთი მიკროკომპიუტერების გამოშვება, რომელთა სიდიდე არ აღემატება ელექტრონულ საათს და არ ღირს ორ დოლარზე მეტი". დიდი პერსპექტივა აქვს თანამგზავრთა მეშვეობით გლობალურ კავშირთა სისტემას. "გარკვეული დროის შემდეგ თანამგზავრული კავშირის არხი, ლონდონიდან იოჰანესბურგში, ისეთივე იაფი იქნება, როგორიც საქალაქთაშორისო". გაადვილდება და გაიაფდება მსოფლიოს ყველა წერტილთან დაკავშირება. ეს ეხება სატელევიზიო საზოგადოებას და, მარტინის მტკიცებით, მისგან შორს არ არის სატელევიზიო სამყაროც. დადგა დრო, როდესაც სოციოლოგს თანამედროვე საზოგადოების შესახებ მსჯელობისათვის ესაჭიროება არა მხოლოდ სოციალურ ურთიერთობათა სამყაროს ცოდნა, არამედ მეცნიერების და ტექნიკის შერწყმის, მეცნიერების მიერ ტექნიკის განსაზღვრის, და განუსაზღვრელ შესაძლებლობათა ტექნოლოგიის შექმნის გამო, სპეციალურ საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიურ ცოდნათა სისტემა, რისი შესაძლებლობა მხოლოდ სპეციალისტებს აქვთ. საყოველთაო სპეციალიზაციის ეპოქაში ენციკლოპედიური განათლების ადამიანები წარსულს ჩაბარდნენ და, რადგან სოციალური ყოფიერების გააზრება საჭიროებს როგორც სოციოლოგების, ისე ტექნოკრატების ცოდნას, ამიტომ ორივეს მონაცემები ცალმხრივია. აქამდე დახასიათებული იყო პოსტინდუსტრიული საზოგადოების ტექნიკა და ტექნოლოგია, ცვლილებები ამ სფეროში, მაგრამ ეს ცვლილებები ეხება ცხოვრების ყველა მხარეს — დაწყებული განათლებით და დამთავრებული მართვის სისტემით.

6. ღია და დახურული საზოგადოება

საზოგადოების ტიპოლოგიის პირველ ცდებს, კონტის, სპენსერის, დიურკჰეიმის და სხვათა, მეოცე საუკუნეში მოპყვა ტიპოლოგიათა ახალი ტალღა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სოციალური კრიზისების ეპოქებში განსაკუთრებით მწვავედ დგება ადამიანისა და სოციალური ერთობების არსებობის პრობლემა. ვინ ვართ და რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ, — ეს კითხვები ყველაზე მტკივნეულად აღიქმება, ამის ნიმუშია თანამედროვე სოციალური სამყაროს ახსნის და საზოგადოების ტიპოლოგიის პოპერისეული სქემა, რომელმაც ძირითადი გამოხატულება პოვა მის გახმაურებულ შრომაში — „ღია საზოგადოება და მისი მტრები" (1945). პოპერის ტიპოლოგია ამოდის თანამედროვეობის გაგების ამოცანიდან. მას, პირველ რიგში, აინტერესებს ის სოციალური შერყევები, რაც მოხდა ევროპისა და აზიის კონტინენტებზე. სოციალურ რევოლუციათა და მათგან გამომდინარე ტოტალიტარულ რეჟიმთა გაბატონების ფონზე, რამაც გამოიწვია მსოფლიოს გათიშვა, არა მარტო საპირ-

ისპირო სოციალურ, პოლიტიკურ, სამხედრო, სამრეწველო სისტემებად, არამედ ორი საპირისპირო ტიპის საზოგადოებადაც: ღია და დახურულ საზოგადოებათა სახით. პოპერის ანალიზი განსორციელდა დემოკრატიული საზოგადოების გვერდით, დიქტატორულ ტოტალიტარულ რეჟიმთა ორი სახეობის: ბოლშევიზმისა და ფაშიზმის გაბატონების ვითარებაში, როდესაც პიროვნება და მისი ღირებულებანი, სიცოცხლის ჩათვლით, დევალვირებულ იქნა და ამ სახის დიქტატორებმა იწყეს ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. ერთი მხრივ ჩაქუჩისა და ეროს და მეორე მხრივ სვასტიკის ნიშნებით დამშვენებულნი ჰიტლერი, სტალინი, მუსოლინი, ფრანკო ცდილობენ პიროვნების ნიველირებას, მასის უსახო ადამიანად გადაქცევას, რომელიც ადვილად მართვადი იქნება, მათ გადაქცევას კლაკვისტებად და მანქურთებად და ყველაფერი ეს კეთდება უმაღლესი სიკეთის, ახალი სამყაროს, ღმერთის ათასწლიანი ბატონობის ანალოგიური ესხატოლოგიური იდეების ქადაგებით. მათი პროპაგანდა თავისუფლებასა და თანასწორობას იყენებს, როგორც კაცობრიობის იდეალს ახალი ფორმის მონობის დასამკვიდრებლად. პროპაგანდის მანქანა ისე ძლიერად ამუშავდა, რომ ადამიანთა ცნობიერებას ბინდი გადაეფარა და დაბინდული ცნობიერების ადამიანები გახდნენ დიქტატურისა და ფიურერიზმის ნებელობის გამტარებლები. ასეთ ვითარებაში ანაქსაგორას შესახებ ჰეგელის გამოთქმა რომ გავიხსენოთ, ამდენ მთვრალს შორის, პოპერის სახით, გამოჩნდა ერთი ფხიზელი, რომელმაც ნიღბებს დაარქვა თავიანთი სახელები და აჩვენა, როგორც თანამედროვე, ისე წარსულის საზოგადოების მაგალითზე, სად არის ჭეშმარიტება და სად სიცრუე და რა განასხვავებს თავისუფლებას ტოტალიტარიზმისაგან, სადაა მათი სადავეები და ვინ დგას მათ უკან. პოპერის წიგნის სათაურით თუ ვიმსჯელებთ, გააზრების ძირითადი ობიექტი ღია საზოგადოება უნდა იყოს და მისი მტრები, მაგრამ ნაშრომი ისტორიის მთლიან ფონზეა წარმომდგარი და აჩვენებს, როგორია დახურული საზოგადოების პირველი ფორმა, როდის მოხდა პირველი გადასვლა დახურულიდან ღია საზოგადოებაზე, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ გადასვლას, შემდეგ როგორ გაბატონდა ისევ დახურული საზოგადოება, კელავ ღიაზე გადასვლა და თანამედროვე სურათი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოპერის კრიტიკული ცნობიერება. ის არ ეგუება ავტორიტეტებს და გაბატონებულ ცრურწმენებს. დაკანონებული პლატონისა და დემოკრიტეს ხაზების დაპირისპირების ნაცვლად, გვთავაზობს პლატონისა და პროტაგორას, პლატონისა და სოკრატეს დაპირისპირებას, პლატონისა, რომელმაც ყველა თავისი დიალოგი სოკრატეს დაუკავშირა და ტრადიციულად ითვლებოდა, რომ ის სოკრატეს სახელით გადმოსცემდა თავის პოზიციას. პოპერმა დაარღვია ეს ტრადიცია და აჩვენა ამ ორი მოაზროვნის პოზიციათა შეურიგებლობა, მაშინაც, როდესაც ისინი

დემოკრატიის კრიტიკოსის როლში თითქოსდა საერთო თვალსაზრისით გამოდიოდნენ.

ერთი შეხედვით წიგნი, ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი, პირველი ტომი მთლიანად, ანტიკურობის პრობლემატიკას ეძღვნება, მაგრამ საკითხები, რომელთაც ავტორი აყენებს, დღევანდელობის ყველაზე აქტუალური პრობლემებია. საქმე ეხება ფაქტიურ და ჯერარსულ საზოგადოებათა დახასიათებას, დემოკრატიის შესაძლებლობას და განხორციელების პირობებს, პიროვნებისა და საზოგადოების მე-სა და გარემოს მიმართებას, მეობის შენარჩუნების შესაძლებობას კანონის რეგონურობის პირობებში, ტოტალიტარიზმისა და ეგალიტარიზმის, თავისუფლებისა და დიქტატურის, სულიერებისა და ყოფიერების მიმართებას — ყველაფერ იმას, რაც მაშინაც და დღესაც აქტუალურია. ეს აიხსნება იმით, რომ, ავტორის მტკიცებით, ანტიკური საზოგადოება, თავისი პრობლემებით, ძალიან ჰგავს დღევანდელს. ამიტომ ისტორიული ფონის შუქზე ანალიზი შრომას არ ამორებს თანამედროვეობისაგან. პირიქით, თანამედროვეობის განზომილებაში შემოყავს წარსულიც და სოციალურ-ყოფიერებას ერთ მთლიანობაში განიხილავს, როგორც ორ განსხვავებულ დროით განზომილებაში არსებულს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წარსულიც და დღესაც მომავლის პერსპექტივებს სახავენ, არ უნდა გაგეიკვირდეს, თუ წარსულში დღევანდელობა ჩანს და წარსულიდან დანახული მომავალიც იმავე განზომილებაში მოძრაობს, როგორშიც დღევანდელობის მომავალია, ამდენად, მართებულად აღნიშნავდა ავტორი „ღია საზოგადოების" პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში. „ხაზს ვუსვამ, რომ, მაშინაც, როცა წარსულს მივმართავ, ჩემ მიერ განხილული თანამედროვეობის პრობლემებია" (109, 23).

საზოგადოებათა ტიპოლოგიის თანამედროვე თეორიებში პოპერის ნააზრევი ერთ-ერთი ორიგინალური და საზოგადოების არსების ღრმა გააზრების შედეგია. ობიექტურობის პრინციპის მკაცრად გამტარებელი პოპერი ცდილობს, ღია საზოგადოების თეორიას მოუნახოს ანალოგიები. ბერგსონის მიერ „ღია და დახურული საზოგადოების" ტერმინების გამოყენებაში, ან კიდევ გრემ უოლესის „დიდი საზოგადოების" ცნებაში პოვოს ასეთი, ეძებს მსგავსებას უოლტერ ლიპმანის შრომის „კეთილი საზოგადოების" და „ღია საზოგადოების" მნიშვნელობებს შორის. თუმცა ღია და დახურული საზოგადოების პოპერისეული ანალიზი არცერთი დასახელებული ავტორის ანალოგიური არაა. პოპერის ღია და დახურული საზოგადოების ტიპები გარკვეულად ისტორიული მემკვიდრეობითაც არის განპირობებული, — იქნება ეს კონტის, თუ დიურკჰეიმის სამხედრო, რელიგიური საზოგადოება ჰგავს დახურულს, ხოლო ამ მოაზროვნეთა ინდუსტრიული საზოგადოება ჰგავს ღიას. პოპერის ღია და დახურული საზოგადოების ტიპები მსგავსია დარენდორფის, ზომ-

ბარგის,მაქს ვებერის,თუ სხვათა ტიპოლოგიებისა. თვით პოპერი მართებულად მიუთითებს ამ მსგავსებაზე. წერილში რუსი მკითხველებისადმი ის აღნიშნავს: „ეს წიგნი ღია საზოგადოებაზე დავწერე 1938-43 წლებს შორის, ახალ ზელანდიაში, მასში ვიცავ დემოკრატიული („ბურჟუაზიული") საზოგადოების მოკრძალებულ ფორმას, რომელშიც რიგით მოქალაქეებს მშვიდობიანად ცხოვრება შეუძლიათ, რომელშიც მაღალი შეფასება აქვს თავისუფლებას და შესაძლებელია აზროვნება და მოქმედება პასუხისმგებლობით, ამ პასუხისმგებლობის სასიამოვნოდ ჩათვლით. ბევრ რამეში ის პგავს ამჟამად დასავლეთში არსებულ საზოგადოებას. მშვიდობისა და თავისუფლების ესოდენ დიდად დამფასებელი ეს ღია საზოგადოება შთელ რიგ ღრმა და რადიკალურ რეფოლუციათა შედეგად აღმოცენდა. ჩემი ბავშვობიდან ის ძლიერ შეიცვალა და თუმცა ზოგიერთი მარქსისტი და არა მარტო ისინი, მას ჯერაც „კაპიტალიზმს" უწოდებს, ძალზე მცირე აქვს საერთო იმ საზოგადოებასთან, რომლის თანამედროვე იყო მარქსი და კიდევ უფრო ნაკლები იმასთან, რაც მარქსმა აღწერა და რასაც მან „კაპიტალიზმი" უწოდა" (109, 7). პოპერის მტკიცებით, კაპიტალიზმი მარქსისეული გაგებით, არსად და არასოდეს არ არსებობდა, ისე როგორც არ არსებობდა დანტეს ჯოჯოხეთი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ ტერმინ კაპიტალიზმზე, ტერმინის გამოყენება „გემოვნების საკითხია", რასაც „რაციონალური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ დარენდორფის არ იყოს, ეს ტერმინი მარქსმა და მარქსისტებმა იმდენად გარყვნეს, უკეთესია თანამედროვე საზოგადოებას ღია საზოგადოება ეუწოდოთ, ხოლო, თუ ძველ ტერმინს გამოიყენებენ, უნდა ახსოვდეთ, რომ მარქსის მიერ გამოყენებული კაპიტალიზმის ტერმინი წარუმატებელი თეორიული კონსტრუქტია, ის ქიმერაა, გონებრივი მოჩვენებაა და ჯოჯოხეთის მსგავსად დედამიწაზე არსად არ არსებულა".

ნაშრომის დანიშნულებაა დაახასიათოს მთლიანად ღია და დახურული საზოგადოებანი. აჩვენოს, ვინ იყვნენ ღია და დახურული საზოგადოების იდეოლოგები, დაასაბუთოს, რატომ შეიძლება, „საღვთო ფილოსოფოსებად" მიჩნეული მოაზროვნეები ჩაითვალონ ღია საზოგადოების მტრად,რა კავშირია ფილოსოფიისა და საზოგადოების ტიპებს შორის, რა ფუნქცია განსაზღვრავს ფილოსოფიის ადგილს საზოგადოებაში. ყოველივე ეს ნაჩვენებია ანტიკურობისა და ახალი დროის მოაზროვნეთა ანალიზის შუქზე. დროითი მონაკვეთი ანტიკურობასა და ახალ დროს შორის თითქმის ჰეგელამდე ღიადაა დატოვებული. ავტორი კმაყოფილდება საერთო მიმოხილვით, ანტიკურ მოაზროვნეთაგან ძირითადად განხილულია პლატონი, ნაწილობრივ სოფისტები, სოკრატე და არისტოტელე. ახალი დროის მოაზროვნეებიდან ჰეგელი და მარქსი. ავტორი ღია საზოგადოების წარმომადგენელია და მოსალოდნელი იყო, რომ ღია სა-

ზოგადოების იდეოლოგებს წარმოაჩენდა, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. ღია საზოგადოების მტრებს გადმოსცემს, რათა გამოააშკარაეოს „საღვთო ფილოსოფოსები". ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ არა ფილოსოფიის ისტორიული მასალების ორიგინალურ ინტერპრეტაციაზე, არამედ სოციოლოგიისთვის მნიშვნელოვან ღია და დახურული საზოგადოების ანალიზზე. პოპერი აღნიშნავდა, რომ მისი შრომა ძირითადად პოლიტიკისა და ისტორიის ფილოსოფიის სფეროს ეკუთვნის და იძლევა თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ ანალიზს, რაც პოლიტიკისა და ზოგადი სოციოლოგიის სფეროში თავსდება. ამრიგად, ჩვენ კითხვას ვსვამთ: რა არის ღია საზოგადოება, რა არის დახურული საზოგადოება და რა ნიშნებით ხასიათდებიან ისინი. ერთი შეხედვით ანალიზი ღია საზოგადოების დახასიათებით უნდა დავიწყოთ და ამით გაირკვევა დახურული საზოგადოებაც, წიგნის სათაურიც ამაზე მიუთითებს. მაგრამ, ეფიქრობთ, ანალიზი უნდა დავიწყოთ დახურული საზოგადოების ნიშნების დადგენით, რამდენადაც სოციალური ისტორიის პირველ ეტაპს დახურული საზოგადოება წარმოადგენდა და ღია საზოგადოება მასთან დაპირისპირებაში ჩამოყალიბდა. ამ გზით დაცული იქნება ისტორიზმის პრინციპი, რომელიც არ უნდა გავაიგივოთ პოპერის მიერ უარყოფილ ისტორიციზმთან, რამდენადაც პოპერი ისტორიციზმის ძირითად ნიშნად მოვლენის კანონზომიერებაში შეყვანისა და მისი მიმართულების განსაზღვრის შესაძლებლობას თვლის. გენეზისში განხილვა კი არ არის ნაკლი, არამედ გენეზისით დაკმაყოფილება. თუ ვიცით, როგორ წარმოიშვა მოვლენა, ამით ხელი შეეწყობა მისი არსების გარკვევას, მაგრამ ამით არსება არ გაირკვევა. კრიტიკოსები ხშირად ურევენ პოპერის პოზიციას ისტორიზმისა და ისტორიციზმისადმი, მეორეს იგი უარყოფს, პირველს კი არა. თვითონაც ისტორიზმზე აგებს ღია და დახურული საზოგადოების დაპირისპირების სურათს. ამდენად, მართებულად შენიშნავენ რუსული გამოცემის რედაქტორები პოპერთან ისტორიზმისა და ისტორიციზმის გაიგივების შეუძლებლობაზე. პოპერი წერს „ესენციალისტი შემეცნებას იგებს როგორც მოვლენის არსების, გონის მიერ წვდომას, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მისი აქტუალური ისტორიულობიდან. ამრიგად, ჩვენ მივდივართ ისტორიცისტული მეთოდის ფუნდამენტურ დებულებამდე, რომლის მიხედვითაც სოციალურ ინსტიტუტებზე რაიმე ცოდნის მიღების ერთადერთი წესია მათი ისტორიის შესწავლა" (110, 47).

როგორც ვხედავთ, პოპერი წინააღმდეგია ისტორიულობის გააბსოლუტების, მაგრამ არა მისი უარმყოფელი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ისტორიული სურათის წარმოდგენა გვმატებს ცოდნას, სოციალური მოვლენის არსების თუ ყოფიერების წესის დროის შესახებ, თუმცა არ ამოწურავს მოვლენის არსებას. ამიტომ ანალიზს

ვიწყებთ დახურული საზოგადოების, როგორც პირველი ისტორიული ეტაპის ძირითადი ნიშნებით, მითუმეტეს ეს ნიშნები მას ახასიათებს სხვადასხვა ეტაპზე და უნდა ითქვას, რომ ღია და დახურული საზოგადოების პირველი დაპირისპირება მეორდება შემდგომ, ყველა ეპოქის დაპირისპირებაში. ძირითადი,რითაც საზოგადოების ეს ორი ტიპი უპირისპირდება ერთმანეთს, საზოგადოებისა და პიროვნების, კოლექტივისა და ინდივიდის, ჯგუფისა და ცალკეულის ადგილია სოციალურ ცხოვრებასა და მათ სოციალურ ქცევაში, ამ ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორის ძიებაა. უფრო კონკრეტულად საკითხი ეხება საზოგადოებაში ინდივიდის მეობის რეალიზების შესაძლებლობას. ინდივიდის კოლექტივით განსაზღვრულობის თუ განუსაზღვრელობის სფეროს, ის, რასაც პოპერი დახურულ საზოგადოებას უწოდებს, კულტურისა და ცივილიზაციის საპირისპიროა. მისი არსებობის პირველ ეტაპზე ის წინა ცივილიზაციური საზოგადოებაა, ნამდვილი ცივილიზაცია და კულტურა პირველ ღია საზოგადოების ფორმასთანაა დაკავშირებული. დღევანდელ ეტაპზეც დახურული საზოგადოება კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ „ანტია", ის ანტირაციონალურია, ანტიჰუმანურია, ანტიდემოკრატული და ანტიადამიანური მოვლენაა, ამას აღასტურებს ის ფაქტიც, რომ დახურული საზოგადოებისთვის „ბარი, თუ ტომია ყველაფერი, ინდივიდი კი არარაა". (109, 236). დახურული საზოგადოების პირველი ფორმა, ადამიანის ცხოველური მდგომარეობიდან გამოსვლის შემდგომ, ბაროვნულ-ტომობრივი ცხოვრებით იწყება და კლასიკურ ფორმას იღებს სპარტაში, რომელსაც პლატონი სანიმუშოდ მიიჩნევდა ტოტალიტარული სისტემის გამო. ამ ეტაპის დასასრულს ღია საზოგადოება აღმოცენდა, რომლის საწყისია ათენის დემოკრატია. პერიკლეს ეპოქაში ეძიებს პოპერი ღია საზოგადოების პირველ ფორმას.

საინტერესოდ აყენებს პოპერი ფილოსოფიის საზოგადოების ვითარებასთან კავშირის საკითხს. ფილოსოფიას განიხილავს, როგორც კრიტიკული ცნობიერების ფორმას, რადგან დახურული საზოგადოება ტოტალიტარულია. ამ საზოგადოებას თვითკრიტიკის უნარი არ გააჩნია, მისი კრიტიკული პათოსი მხოლოდ დემოკრატიულ ინსტიტუტებზეა მიმართული. ამიტომ, როგორადაც არ უნდა აღამაღლებდნენ კრიტიკას პროპაგანდის მიზნით, დახურული საზოგადოება კრიტიკის წინააღმდეგია და მასში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ფილოსოფიურ აზროვნებასაც, როგორც კრიტიკული ცნობიერების ფორმას. მისთვის განმსაზღვრელია მაგია, ტრადიცია და რელიგია. ისინი დოგმატურად აღიქვამენ ყოველივეს, რაც საზოგადოებაში განმსაზღვრელია. ამიტომ დახურული საზოგადოების რღვევის პირველი ნიშანი იყო ფილოსოფიის წარმოშობა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ფილოსოფოსებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული მათი ჭეშმარიტი ფუნქცია — თავისუფლებისა და ეგალიტარიზმის დაფუძნება. „ჩემი

აზრით, ფილოსოფიის წარმომობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პასუხი დახურული საზოგადოების და მის მაგიურ რწმენათა კრასზე. ფილოსოფია დაკარგული მაგიური თემის რაციონალურით შეცელის მცდელობაა. ის თეორიის, ანუ მითის ტრადიციის მოდიფიცირებას ახდენს და ახალ ტრადიციას უყრის საფუძველს, ტრადიციულ თეორიათა და მითთა ეჭვის ქვეშ დაყენებას და მათ კრიტიკულ განხილვას" (109, 234). პოპერი, სოციალური პროცესების შემეცნების და სოციალური ყოფიერების გაცნობიერების პირველ აუცილებელ პირობად ბუნებრივი და ნორმატიული კანონების განსხვავებას მიიჩნევს. მისი აზრით, საზოგადოებრივ მოვლენათა მეცნიერული ანალიზი იწყება არა პლატონიდან, არამედ სოფისტებიდან, განსაკუთრებით პროტაგორადან, რადგან პირველმა მან განასხვავა ბუნებრივი და ნორმატიული კანონები. ასეთი ცნობიერების გარეშე ღია საზოგადოება შეუძლებელია, რადგან ღია საზოგადოებას თავისუფლება უდევს საფუძვლად. თავისუფლება კი, მხოლოდ ნორმატიულ კანონთა მოქმედების სფეროშია და არა ბუნებრივი აუცილებლობის პირობებში. პოპერს არასწორად მიაჩნია იმ ფილოსოფიის ისტორიკოსთა მოსაზრებანი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ადამიანებმა, როდესაც გააცნობიერეს ბუნებრივი აუცილებლობა, მასზე გადაიტანეს სოციალურის ცნებები; სამართალი და სამართლიანობა (ბარნეტი). „მე არ ვეთანხმები იმას, რომ ტერმინი „კანონი" თავდაპირველად ნიშნავდა რაღაცას, რასაც მიმართება ჰქონდა საზოგადოებრივ მოვლენებთან და მხოლოდ უფრო გვიან გავრცელდა ბუნებაზეც. მე ვფიქრობ, რომ დასაწყისში ბუნებისა და სოციალური კანონზომიერებანი (წესრიგი) არ იყო განსხვავებული და გაგებული იყო მაგიის ტერმინებში" (109, 290). პოპერისთვის მთავარი ის კი არ არის, დაეთანხმოს, ან არ დაეთანხმოს ანტიკური მოაზროვნეების მიერ სოციალური ტერმინების ბუნების პროცესებზე გადატანას, არამედ იმის ჩვენება, რომ იყო პერიოდი, როდესაც არ იყო გაცნობიერებული განსხვავება ბუნებასა და საზოგადოებას, ბუნებრივ და ნორმატიულ კანონებს შორის და საზოგადოებრივი ნორმატიული კანონებიც აღიქმებოდა ისეთივე აუცილებლობის მქონედ, როგორიც იყო ბუნებრივი კანონების აუცილებლობა. განსხვავება ბუნებრივ და ნორმატიულ კანონებს შორის იმდენად ღრმა და მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის მიერ მისი გაცნობიერებით, ახალი ეტაპი იწყება საზოგადოების განვითარებაში. პოპერი კანონთა ამ ორი რიგის განსხვავებას შემდეგნაირად ასაბუთებს: „მე ვფიქრობ, რომ ბუნებისა და საზოგადოების სპეციფიკურ თავისებურებათა გაცნობიერების პროცესის ანალიზისთვის კარგად უნდა ავითვისოთ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება (a) ბუნებრივ კანონებსა, ანუ ბუნების კანონებისა, როგორიცაა, მაგალითად მზის, მთვარის და პლანეტის მოძრაობის, წელიწადის დროთა ცვლილების აღწერით, ასევე გრავიტაციის კანონები, ან კიდევ თერმოდინამიკის კანონებით და (b) ნორმატიულ კანონებს, ანუ

ნორმებს აკრძალეებსა და მცნებებს შორის, ე. ი. იმ წესებს შორის, რომლებიც გარკვეული სახის ქცევას ნებას რთავენ, ან კრძალავენ. ნორმატიული კანონების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ათი მცნება, სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ პარლამენტში არჩევნების წესებს, და ათენის პოლისის კანონები" (109, 91). დახურული საზოგადოება სოციალური ყოფიერების ის ფორმაა, რომელსაც არ გააჩნია კანონთა ამ ორი რიგის განმასხვავებელი ცნობიერება. მისთვის ნორმატიული კანონები იმავე აუცილებლობითი ხასიათისაა, როგორიც ბუნების კანონებია. ეს არის ანტიკური ტომობრივი საზოგადოების მაგიური ცნობიერების დამახასიათებელი. ამ საზოგადოებას არ შეიძლება ჰქონდეს თავისუფლების ცნობიერება, ე. ი. მოქმედებას განსაზღვრავდეს სოციალურ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული ნორმები. მასში სოციალური ნორმები გაიგივებულია ბუნებრივ აუცილებლობასთან. ადამიანის მოქმედების რეგულირება არ ხდება ადამიანურ ნორმათა გვით, რომელთა შემოქმედნი ადამიანები არიან და რომელთა შეცვლა მათ ძალუძთ. ამიტომ აქ არსებული ნორმები ბუნებრივი აუცილებლობის მქონედაა მიჩნეული და მას მონურად მორჩილებენ. ეს მონური ცნობიერება დახურული საზოგადოების წევრთა მონური ყოფის საფუძველია. მათ საკუთარი ჩვევები, ტრადიციები, რელიგიური რიტუალები ესახებათ მათზე მაღლა მდგომი ძალების შემოქმედების შედეგად და მათდამი მორჩილების მეტი არაფერი ამოძრავებთ. მაგიური ცნობიერების ერთ-ერთი უპირველესი ნიშანია დახურულ საზოგადოებაში გაბატონებული რწმენა, თითქოს ის არსებობს უცვლელ ტაბუთა, კანონთა და ჩვევათა მოჯადოებულ წრეში, რომელნიც ისევე გარდუვალად ითვლება, როგორც მზის ამოსვლა, წელიწადის „დროთა ცვლილება და მათი მსგავსი ბუნების საესებით ცხადი კანონზომიერებანი" (109, 91). ეს ნიშნავს, რომ დახურული საზოგადოების დამახასიათებელია გულუბრყვილო მონიზმი, როდესაც ცნობიერება დოგმატურად გამოხატავს უეჭველად მიჩნეულ რწმენას. ასეთი არაკრიტიკული ცნობიერებით იწყება ადამიანთა საზოგადოების ისტორია. ავტორი გულუბრყვილო მონიზმის გამოვლენის ორ ფორმას განასხვავებს, — პირველი გულუბრყვილო ნატურალიზმია. ამ ეტაპზე ითვლება, რომ ბუნებრივი და კონვენციონალური რეგულირება საერთოდ უცვლელია. ასეთი ნატურალიზმი შეიძლება რეალიზების გარეშე შესაძლებლობის ფორმაში არსებობდეს. მეორე ფორმა გულუბრყვილო კონვენციონალიზმია, რომლის მიხედვით ბუნებრივი და ნორმატიული რეგულირებანი ადამიანის მსგავსი ღმერთების და დემონების გადაწყვეტილებათა შედეგია. ასეთი შეხედულება არსებობდა თავდაპირველ ტომობრივ საზოგადოებაში. მათ შეიძლება წამდეთ, რომ კანონები ექვემდებარებიან ცვლილებას, მხოლოდ მაგიის ძალით და ამდენად შეიძლება ისინი იყვნენ ნორმატიული. მაგიაზე დაფუძნებული გვაროვნული სისტემის რღვევა იწყება მაშინ, როცა

გაცნობიერდება ტაბუთა სისტემის ადამიანური წარმოშობა და მათი შეცვლის შესაძლებლობა. ის ფაქტი, რომ გვაროვნული საზოგადოება ემყარება რელიგიას და რომ გულუბრყვილო მონიზმი რელიგიური ნორმების ბუნებრივად ჩათვლის შედეგია, არ ნიშნავს, რომ კრიტიკული ცნობიერება გულუბრყვილო მონიზმის გადალახვით რელიგიასაც უკუაგდებს. ან, რომ საზოგადოებრივ ყოფიერებაში რელიგიის გვერდით მორალის დამკვიდრება რელიგიასთან დაპირისპირებას ნიშნავს. პოპერი განასხვავებს ორი სახის რელიგიას: ავტორიტეტისადმი ბრმა რწმენაზე, მაგიასა და ტაბუზე აგებულს და პიროვნულ პასუხისმგებლობასა და სინდისის თავისუფლებაზე აგებულ რელიგიებს. დახურული საზოგადოების დამახასიათებელია პირველი, მეორე კი მისი გადალასვაა და შესაბამისად დახურულის საპირისპირო ნიშანია.

დახურული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია გვარის, ტომის, თუ ჯგუფის ნებელობის ბატონობა. ამ საზოგადოებაში ინდივიდი ღირებულებას მოკლებულია, თავისთავადობის არმქონეა, მისი მოქმედება განისაზღვრება გვარის, ტომის, თუ სოციალური ერთობის სხვა ფორმათა ჩვეულებით და ტრადიციებით, რომელთაც ბუნებრივ კანონად თვლიან და რომელთა მიმართ ინდივიდის ცნობიერების მიყენება, კრიტიკული პოზიციის ქონება გამორიცხულია. ეს საზოგადოება ტოტალიტარულია, არა მარტო კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში, როგორც ბერგსონი თვლიდა, არამედ შემდგომ ეტაპებზეც, როდესაც პიროვნების არსებობა გამორიცხულია და ადამიანის მოქმედებას მისი ნებელობა და გადაწყვეტილება კი არ განსაზღვრავს, არამედ მაგიური ძალის მქონე ჩვეულები. ამ საზოგადოებაში გვარია ყველაფერი და ინდივიდი არაფერი, პიროვნებაზე საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია. პიროვნულობის ყოველგვარი გამოვლენა, ამ საზოგადოების რღვევის მაჩვენებელია. კოლექტიური ნება განუსაზღვრელი ძალისაა და ზეციურად, ღვთის ნებელობად ითვლება, რათა მის ხელისუფლებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდეს. ამ საზოგადოებამ არ იცის თავისუფლება და არც ადამიანობა, რადგან ადამიანის ყოფიერება თავისუფლებაა. მისი რეგლამენტირების დონე, ცივილიზაციის საფეხურზე, სრულად აქვს აღწერილი ჟორჟ ორუელს რომანში — „ინგლისი 1984“, რომელშიც ნაჩვენებია ტაბუს განმხორციელებლად ცივილიზაციის უკანასკნელი მიღწევების, ტელესკრინების გამოყენება, რომელნიც ადამიანის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებენ საზოგადოებაში და ყველაფერი რეგულირებულია, დაწყებული საკითხავი ლიტერატურით და დამთავრებული სქესობრივი კავშირის სიხშირით და სუბიექტებით. ნორმირებულია ყოველივე, რაც შეიძლება ადამიანის მოქმედების სფეროს შეეხებოდეს. ასეთივე ტოტალიტარულია ზამიატინის მიერ აღწერილი საზოგადოება რომანში — „ჩვენ“. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტოტალიტარიზმის განსახორციელებელი თანამედ-

როგორ ტექნიკური სამუალებანი მაშინ არ იყო ცნობილი და ამდენად ზამიატინის მიერ აღწერილი საზოგადოება დამსმენთა ქსელშეა აგებული. ტოტალიტარიზმი და დიქტატურა ადამიანის ყოფიერების ყველა სფერომია, — იქნება ეს სულიერი თუ მატერიალური, სოციალური თუ პიროვნული. ასეთია დახურული საზოგადოების არსება. პოპერის აზრით, ამ საზოგადოების იდეოლოგი პლატონი ქმნის საზოგადოების ხელშეკრულების თუ კონვენციის საფუძველზე შექმნის თეორიას. ეს კონვენცია შედეგი იყო ადამიანთა ბუნების თავისებური გაგების, როცა ის ესმით, როგორც ინდივიდის არასრულყოფილობა, არასრულფასოვნობა, რადგან ის შეზღუდულია. ყველაზე სრულყოფილად რომ გამოიყურება, ის ინდივიდიც არასრულფასოვანია და მასალაა სრულყოფილთათვის. ამიტომ ყველა ინდივიდს სჭირდება საზოგადოება და სახელმწიფო, მხოლოდ მათი გზით აღწევენ ისინი სრულყოფილებას. სახელმწიფო ქმნის მართვის სოციალურ გარემოს, რომლის გარეშე ინდივიდებს დაღუპეა ემუქრებათ. მხოლოდ სახელმწიფოს მიეწერება თვითკმარობა და კეთილი ინდივიდების შექმნის უნარი, ამიტომ სახელმწიფო ინდივიდებზე მაღლა დგას. მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებაა — სახელმწიფო და ინდივიდი ერთმანეთს უნდა უმადლოდნენ არსებობას. სახელმწიფო და საზოგადოება ყოფიერებას იღებს ადამინის არასრულფასოვნების შედეგად, ხოლო ინდივიდი საზოგადოებას უმადლის თავის არსებობას, რადგან მის გარეშე არასრულყოფილია, საზოგადოება იცავს ინდივიდს ნგრევის იმპულსის გამოელენისა და დაღუპვისაგან. ამიტომ საზოგადოება ყველა მიმართებით უფრო მაღლა დგას. აქ სწორედ იმაზეა ლაპარაკი, რომ სახელმწიფოს სამართლიანობა განმსაზღვრელია ინდივიდის სამართლიანობისა, რომ მისგან გამოიყვანება მეორადი ხასიათის ინდივიდის სამართლიანობა, გვარის ცნობიერება, კოლექტივისტური ცნობიერება, სხვათა ცნობიერება დახურული საზოგადოების განმსაზღვრელია. მასში ინდივიდი თვითცნობიერებას მოკლებულია და სხვათა ცნობიერებით არის განსაზღვრული. ამიტომ ეს საზოგადოება არა პიროვნული, არამედ გვარისეულია, თემისეულია. მასში გვარის ნებელობა განსაზღვრავს ინდივიდის ყოფიერებას. სახელმწიფოსა და საზოგადოების მთლიანობისა და ერთიანობის ასეთი სურათი პოპერთან იწოდება ჰოლიზმად. პლატონის ჰოლიზმს იგი უკავშირებს გვაროვნულ კოლექტივიზმს და ეს ელინდება პლატონის ყოველ გამოთქმაშიც კი. მაგალითად. „ყოველი გაწაფული ხელოსანი ყველაფერს აკეთებს მთელისთვის და არა მთელი ნაწილისთვის", ან კიდევ: „ყოფიერება აღმოცენდება არა შენთვის, არამედ შენ ყოფიერებისათვის" [პოპერთან დაწერილებით არის გაანალიზებული კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის ცნებები, განსხვავებულია ინდივიდუალიზმის ორი მნიშვნელობა, ერთ შემთხვევაში ინდივიდუალიზმი კოლექტივიზმს უპირისპირდება,

მეორეში — ალტრუიზმს. მართალია, ალტრუიზმის საპირისპიროს ეგოიზმი ჰქვია, მაგრამ ისიც ინდივიდუალიზმის ფორმაა. დახურული საზოგადოება გამორიცხავს ინდივიდუალიზმს ორივე მნიშვნელობით და ამკვიდრებს კოლექტივიზმს, როგორც საკუთრივ კოლექტივიზმის, ისე ალტრუიზმის აზრით. ალტრუიზმი აქ გაგებულია როგორც პირადი ინტერესების დათმობა მთელის ინტერესებისათვის.

დახურული საზოგადოების დამახასიათებელია უთანასწორობის დამკვიდრება და თანასწორობის, ანუ ეგალიტარიზმის გამორიცხვა. ეგალიტარიზმი გულისხმობს არა გათანაბრებას, არამედ თანაბარი შანსების შემთხვევაში უნართა გადამწყვეტ მნიშვნელობას, უთანასწორობა კი გულისხმობს წოდებათა განმსაზღვრელობის ვითარებაში, ერთის უპირატესობის დამკვიდრებას მეორეზე. ერთის ბატონობას მეორეზე წოდებრივი კუთვნილების საფუძველზე. ერთი შეხედვით ალტრუიზმი ჰუმანიზმს უნდა ნიშნავდეს, ეგოიზმი კი ანტიჰუმანიზმს, მაგრამ სინამდვილეში, დახურულ საზოგადოებაში, ალტრუიზმი ანტიჰუმანიზმია, რადგან ადამიანის ინტერესები ეწირება სახელმწიფოს. სამართლიანობა, ამბობს პლატონი, რაც სახელმწიფოსთვის სასარგებლოა. სახელმწიფოსთვის დამღუპველია წოდებათა აღრევა, ამიტომ ინდივიდის უნარის მიუხედავად, მან ის უნდა აკეთოს, რასაც მისი წოდება აკეთებს. დახურული საზოგადოების მორალი უტილიტარისტულია, ბნეობრიობა გაიზომება სახელმწიფოს ინტერესებით. ესაა ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის შექმნილი ტოტალიტარული ეთიკა. დახურული საზოგადოების სახელმწიფო ტოტალიტარულია, არა მარტო მმართველობის თვალსაზრისით, როდესაც ზემდგომი ინსტანციების მიმართ უსიტყვო მორჩილებაა, არამედ მთავრობის შექმნის თვალსაზრისითაც. ვინც მართავს, ის პრაქტიკულად უცვლელია, თუ გადატრიალება არ მოხდა ხელისუფლებაში, კანონიერი გზა მომსელელისთვის არ არსებობს. პოპერის აზრით, ორი სახის მმართველობაა შესაძლებელი — დემოკრატიული და ტოტალიტარული. დახურული საზოგადოების მმართველობა სწორედ ეს უკანასკნელია. „შეიძლება განვასხვავოთ მთავრობის ორი ტიპი: პირველი მთავრობები, რომელთა მოშორება სისხლის დაღვრის გარეშე შეგვიძლია, მაგალითად საყოველთაო არჩევნების გზით. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ საშუალებებს, რომელთა მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლებათ მთავრობების გადაყენება, ხოლო საზოგადოებრივი ტრადიციები იმის გარანტიას იძლევიან, რომ ამ ინსტიტუტებს ხელისუფალნი იოლად ვერ დაანგრევენ. მეორე ტიპი — ესაა მთავრობები, რომლებშიც მმართველები, მხოლოდ წარმატებული გადატრიალების შემთხვევაში შეიძლება განთავისუფლდნენ, ე. ი. უმრავლეს შემთხვევაში, არასდროს. ჩემი აზრით, ტერმინი „დემოკრატია“ პირველი ტიპის მთავრობებს აღნიშნავს მოკლედ, ხოლო ტერ-

მინები „ტირანია“, „დიქტატურა“ გამოიყენება მეორისთვის (109, 164-165). დახურული საზოგადოების ერთ-ერთ ნიშნად პოპერი მიიჩნევს ამ საზოგადოების ორგანულ მთლიანობას, ის ორგანიზმიეითაა, რომლის წევრები გაერთიანებული არიან ნახევრად ბიოლოგიური კავშირებით, ნათესაობით, საერთო ცხოვრებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობით, იგივეობრივი საფრთხით, სიამოვნებებითა და უბედურებებით. „ესაა ჯერაც კონკრეტული ჯგუფები კონკრეტულ ინდივიდუუმთა — ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არა მარტო ისეთი აბსტრაქტული სოციალური მიმართებებით, როგორიცაა შრომის დანაწილება და საქონელთა გაცვლა, არამედ კონკრეტული ფიზიკური ურთიერთობებითაც, როგორიცაა შეხება, ყნოსვა, ხედვა“ (109, 218). ეს ნიშნავს, რომ ამ საზოგადოების ყოველი წევრი თავის ადგილზე რჩება, არც ცდილობს შეიცვალოს სტატუსი და არ შეეცდება დაარღვიოს არსებული ვითარება, ისე როგორც ორგანიზმში ხელი არ შეეცდება დაიკავოს ტვინის ადგილი, ამ საზოგადოებაში მონა არ შეეცდება დაიკავოს ბატონის ადგილი. სტატუსისათვის ბრძოლა და საერთოდ სოციალური მოძრაობა ამ საზოგადოებას არ ახასიათებს.

დახურული საზოგადოების ნანგრევებზე აღმოცენდება ღია საზოგადოება. ღია საზოგადოების ნიშნებიდან აღსანიშნავია ფილოსოფიური ცნობიერების განვითარება, რომელმაც შექმნა შესაძლებლობა, გაცნობიერებულიყო განსხვავება ბუნებრივ და ნორმატიულ კანონებს შორის. ასეთი ცნობიერება პირველად პროტაგორასთან იჩენს თავს და სწორედ მისით იწყება საზოგადოებრივ მეცნიერებათა ისტორიაც, რადგან, სანამ საზოგადოების კანონები არ იყო განსხვავებული ბუნების კანონებისაგან, შეუძლებელი იყო საზოგადოების ბუნებისა და არსების გაცნობიერება. დახურული საზოგადოების გულუბრყვილო მონიზმში თავი იჩინა კონვენციონალური ცნობიერების პირველმა ფორმამ. ის ჯერ კიდევ გულუბრყვილო კონვენციონალიზმის სახით გვევლინება და ამდენად არ სცილდება დახურული საზოგადოების ფარგლებს, სწორედ მის ფარგლებში გაცნობიერდა გარკვეულწილად, რომ კანონებიც კი გარკვეულ მიმართებებში შეიძლება იცვლებოდნენ და ცვლილების თვალსაზრისით მათზე გარკვეული გავლენა შეგვიძლია მოვახდინოთ. თუმცა ეს ცვლილება მაგიით ხორციელდება და ღმერთის სანქციის გამოხატულებაა. ღია საზოგადოების ეტაპზე ცნობიერება არსებითად იცვლება და მკვიდრდება კრიტიკული დუალიზმი, იგი ამოდის მტკიცებიდან, რომ განსხვავებულია კანონთა ორი რიგი: ბუნებრივი და კონვენციონალური, ეს უკანასკნელი ნორმებია, რომელთა „დაწესება და შეცვლა ადამიანის მიერ ხდება და ამიტომ მათ გამო ადამიანია პასუხისმგებელი“. ამ შემთხვევაში ნორმათა გამო პასუხისმგებლობა ზეციურ ძალებს კი არ ეკისრება, არამედ ადამიანებს. ნათელი რომ გახადოს, რამდენად მნიშვნელოვანი

იყო განსხვავება ამ ორი რიგის კანონებს შორის, პოპერი დაწვრილებით აანალიზებს მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს. ბუნების კანონი გამოხატავს ჩვენგან დამოუკიდებელ გარდუვალობას და ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობით. ბუნებრივი კანონი ჭეშმარიტია, თუ მას ახასიათებს ნამდვილობა, ე. ი. ბუნებაში არსებობა და მცდარია, თუ ის ბუნებაში არ არსებობს. თუნდაც ერთი შემთხვევა, კანონის საპირისპირო, უკუაგდებს მას. ბუნების კანონები უცვლელია, არ იქმნება და არ ირღვევა, მათი მხოლოდ გამოყენებაა შესაძლებელი. ნორმატიული კანონი კი ადამიანის მიერ არის შემოტანილი, ის ჭეშმარიტობა-მცდარობით არ ხასიათდება, მის დასახასიათებლად გამოიყენება სწორი ან არასწორი, კარგი, ან ცუდი, მისაღები, ან მიუღებელი. მას ჭეშმარიტება-მცდარობა არ ახასიათებს, რადგან ფაქტებს არ აღწერს. ის უბრალოდ ჩვენი ქცევის ორიენტირებას გამოხატავს. ასეთ კანონს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მისი დარღვევა შეიძლება. თუ ჩვენ გვეუბნებიან: „ნუ დახარჯავ მეტ ფულს, ვიდრე გაქვს", ეს საზრისიანი ნორმატიული კანონია, რადგან მისი დარღვევა შეგვიძლია, მაგრამ თუ გვეუბნებიან: „საფულედან ნუ ამოიღებ იმაზე მეტ ფულს, ვიდრე გაქვს", ეს უსაზრისო ნორმაა, რადგან მისი დარღვევა შეუძლებელია. მაშასადამე, ნორმატიული კანონია ის, რაც ადამიანის კონტროლს ექვემდებარება და მისი განხორციელების ფორმაა; სანქციები და სასჯელი იმათ მიმართ, ვინც არღვევს ნორმატიულ კანონს. პოპერი გვაფრთხილებს, რომ ნორმატიული კანონების კონვენციურობა არ გავაიგივოთ მათ თვითნებურობასთან. ეს კანონები არ არიან თვითნებური, მათი კონვენციურობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ადამიანის შექმნილია და მათი დარღვევა შეიძლება. ეს კანონები ნორმატიულ იდეალებს შეიძლება შევადაროთ, ეს იდეალები ჩვენ მიერ იქმნება და ბუნებაში ისინი არ არსებობენ. ამრიგად, არსებობს კანონთა ორი რიგი, რომელთაც სახელის მეტი არაფერი აქვთ საერთო და ამის გაცნობიერებაა კრიტიკული დუალიზმი. გზა გულუბრყვილო მონიზმიდან კრიტიკულ დუალიზმამდე რთული და მრავალფეროვანია. ეს არის ადამიანის შემეცნების წინსვლა თავისუფლების გზაზე და საკუთარი თავისუფლების შემეცნება. ადამიანი, ბუნების, ზებუნებრივი სამყაროს, ასევე გვარის, ტომის, თუ საზოგადოებისადმი მონური მორჩილებიდან, კანონთა ამ ორი რიგის განსხვავებით, დგამს ნაბიჯს საკუთარი ქმედების მნიშვნელობის გაცნობიერებისაკენ. მის სამოქმედო ასპარეზში შემოდის იმის ნაწილი, რასაც ის ბუნებრივად, ან ღვთიურად მიიჩნევდა. იგი აცნობიერებს, რომ მას ამ სფეროშიც აქვს თავისუფლება და პასუხისმგებლობა. ეს არაა თვითნებობა მაგრამ ეს თავისუფლებაა. იმის გაცნობიერება, რომ შენ ქმნი ნორმებს, რომლებითაც ხელმძღვანელობ და პასუხისმგებელიც ხარ მათი დარღვევისათვის. როგორ მწვავედ არ უნდა აკრიტიკებდეს პოპერი ჰეგელს, როგორც ტოტალიტარიზმისა და დახუ-

რული საზოგადოების იდეოლოგს, ამ საკითხში ის პეგელის პოზიციაზე დგას, თანაც საესებით მართებულ პოზიციაზე. გადასვლა გულუბრყვილო მონიზმიდან კრიტიკულ დუალიზმზე — ეს იყო ნახტომი, რევოლუციური ძერა ცნობიერებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ურადგან ადამიანი ამ გზით აცნობიერებს მის ღირებულებას და იმასაც, რომ სოციალური ცხოვრების ნორმები ადამიანურია და რომ მას აქვს საკუთარი ყოფიერების განკარგვის შესაძლებლობა. კრიტიკული დუალიზმი სუბიექტის როლის გაცნობიერებაა, მისი მოქმედების საკუთარი გადაწყვეტით განპირობებულობაა. გადაწყვეტილებანი არ გამოიყვანება არც ფაქტებიდან და არც მათი აღწერიდან. გადაწყვეტილებანი სუბიექტის სფეროა, თუმცა გადაწყვეტილება ეხება ფაქტებს და შეიძლება მიზნად ისახავდეს მათ შეცვლას, ან უცვლელად დატოვებას. ფაქტებიდან გადაწყვეტილებები არ გამოიყვანება, მაგრამ ფაქტები შეიძლება დაედოს საფუძველად გადაწყვეტილებებს. ამდენად „კრიტიკული დუალიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს გადაწყვეტილებათა, ან ნორმათა დაუყვანადობას ფაქტებზე, ამიტომ მას ფაქტებისა და გადაწყვეტილებათა დუალიზმი შეიძლება ეწოდოს“ (109, 97). პოპერი განასხვავებს ფაქტთა ორ რიგს: პირველად და მეორად ფაქტებს. პირველადია საკუთრივ ხდომილება და მეორადია მტკიცება მის შესახებ. პირველადია ფაქტი, რომ ნაპოლეონი გარდაიცვალა წმინდა ელენეს კუნძულზე, მეორადია ისტორიკოსის მტკიცება, რომ ნაპოლეონი გარდაიცვალა წმინდა ელენეს კუნძულზე. პოპერი აცნობიერებს იმასაც, რომ თვით გადაწყვეტილებაც ფაქტთა რიცხვს მიეკუთვნება. ის განასხვავებს გადაწყვეტილების ორ მნიშვნელობას: გადაწყვეტილება როგორც პრინციპი, რომელსაც ვექვემდებარებით და გადაწყვეტილების აქტი. ეს უკანასკნელია ფაქტი. ამდენად პოპერი კრიტიკული დუალიზმის საფეხურს მიიჩნევს მე-ს გამოვლენის ეტაპად. მე-ს მიერ საკუთარი ყოფიერების საკუთრივ გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმართვად და ამდენად მისი თავისუფლების განხორციელებად. ისტორიკოსის დესკრიფტული ფაქტი სოციოლოგიური და ფსიქოლოგიურია, მაგრამ ეს დესკრიფცია არ გამოიყვანება მისი შესაძლებლობიდან. ადამიანთა უმრავლესობა რომ იცავს პრინციპს — „არ იქურდო“, ეს სოციოლოგიური ფაქტია, მაგრამ „არ მოიპაროს“ ნორმა არაა ფაქტი და არ გამოიყვანება ფაქტის აღმწერი მტკიცებიდან. ეს ნიშნავს: გადაწყვეტილება ფაქტიდან არ გამომდინარეობს. ნორმების კონვენციურობა შეიცავს თვითნებობის მომენტს, მაგრამ თვითნებობაზე არ დაიყვანება. მორალური პასუხისმგებლობა ადამიანს, რომ ეკისრება, ეს არ ნიშნავს, რომ მორალური ნორმები თვითნებობის შედეგია. მორალი არ არის გემოვნების საქმე. მუსიკალური ნაწარმოების მსგავსად. ამავე დროს, სოციალურ სამყაროში, ნორმების გარდა, არსებობს ბუნებრივი კანონებიც, რომელთაც პოპერი სო-

ციოლოგიურ კანონებს უწოდებს. ეს უკანასკნელნი დაკავშირებულნი არიან სოციალურ ინსტიტუტებთან. სოციალურ კანონთა ეს ორი რიგი ურთიერთკავშირშია, რადგან ინსტიტუტები და ადამიანები საზოგადოების მოქმედი სამყაროა. ინსტიტუტები აძლიერებენ ადამიანის მოქმედების ძალას, აფართოებენ მის არეალს და მაინც კანონთა ეს ორი რიგი განსხვავებულია.

პოპერი აანალიზებს არა მარტო საზოგადოების ამ ორ ტიპს და მათ ნიშნებს, — იქნება ეს გულუბრყვილო მონიზმი, კრიტიკული დუალიზმი თუ სხვა, არამედ ამასთანავე ერთიდან მეორეზე გადასვლის გზებსაც. მიაჩნია, რომ ეს გადასვლა რევოლუციური აქტია. ძველის უარყოფა ახლის დაფუძნების პროცესია და მას ეტაპები აქვს. კერძოდ, გულუბრყვილო მონიზმიდან კრიტიკულ დუალიზმზე გადასვლის ეტაპებია: პირველი — ბიოლოგიური ნატურალიზმი, მეორე — ეთიკური ანუ იურიდიული პოზიტივიზმი და მესამე — ფსიქოლოგიური ანუ სპირიტუალისტური ნატურალიზმი. ბიოლოგიური ნატურალიზმის არსი გამოისატება მტკიცებით; თუმცა საზოგადოების კანონები თვითნებურია, ისინი გამოიყვანება ბუნების მარადიული კანონებიდან, ბიოლოგიური, ანუ ეთიკური ნატურალიზმი ორი მიმართულებით განვითარდა: ერთნი მის საფუძველზე ამტკიცებენ ძლიერის უფლებას სუსტზე, მეორენი ჰუმანიზმს, ეგალიტარიზმს, ყველას თანასწორობის მტკიცებით. ეს იყო ანტიკურობაში „დიდი თაობა", რომელსაც პლატონი და არისტოტელე დაუპირისპირდა ბიოლოგიური და მისტიკური უთანასწორობის თეორიით. ამ მიმართულების ძირითადი შეცდომაა ფაქტებიდან ნორმების გამოყვანადობის მტკიცება.

ეთიკური პოზიტივიზმის არსება ნორმების ფაქტებზე დაყვანაშია, მხოლოდ ეს ფაქტები სოციოლოგიურია და არა ბიოლოგიური, კერძოდ არსებული ეთიკური ნორმები. ამ თვალსაზრისით არსებობს მხოლოდ ამჟამად რეალური ნორმები, რომლებიც მიღებულია და ამიტომ აქ პოზიტიური არსებობაა. კარგია ის, რაც არის. ადამიანი კი არ აფასებს ნორმებს, არამედ საზოგადოება ადამიანს. ამოსავალია ნორმათა თვითნებურობის მტკიცება. ამავე დროს, მიაჩნიათ, რომ არსებულს უნდა დაექვემდებაროთ და არ ეცადოთ ახალი ნორმების შექმნა. უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ავტორიტეტს, რათა ნორმისადმი მორჩილება განამტკიცონ. ეს თვალსაზრისი უახლოვდება ეთიკურ ნიჰილიზმს, ან ადამიანისადმი უნდობლობის თეორიას. ფსიქოლოგიური, ანუ სპირიტუალისტური თვალსაზრისი, წინა ორის გაერთიანების მცდელობაა. ისინი პოზიტივიზმს ამართლებენ ნორმათა თვითნებურობის მტკიცებაში. ასკვნიან, რომ ნორმები ადამიანთა და საზოგადოებათა მედეგია. მათი ფსიქოლოგიური და სოციალური ბუნების გამოხატვაა. ბიოლოგიურ ნატურალიზმს ამართლებენ ბუნებრივი იდეალების დაშვებისათვის, მა-

გრამ აკრიტიკებენ სოციალურ იდეალთა უარყოფისათვის და ყველაფ-
რის ბიოლოგიურით გაზომვისათვის. ადამიანის იდეალები უნდა გამ-
ოვიყვანოთ მისი ჭეშმარიტი ბუნებიდან. ეს კი სულიერება და სოციალ-
ობაა. ამ ბუნებრივი მიზნებიდან გამოდის ბუნებრივი ცხოვრების ფორმე-
ბი. ესეც, ისე როგორც წინა ორი ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს
როგორც ჰუმანიზმის, ისე ტოტალიტარიზმის საქადაგებლად. გულუბრყვი-
ლო მონიზმიდან ამ გარდამავალი გზებით მივდიოართ კრიტიკულ დუ-
ალიზმამდე, რომელიც ღია საზოგადოების ძირითადი ნიშანია. ამ ნიშ-
ნიდან გამომდინარეობს ღია საზოგადოების სხვა ექსისტენციალებიც,
კერძოდ საზოგადოებისა და ინდივიდის მიმართება. თუ დახურულ სა-
ზოგადოებაში ინდივიდს მთანთქავდა საზოგადოება და რელიგია, ხოლო
მისი ცნობიერება მაგიითა და ტაბუთი იყო განსაზღვრული, ღია საზოგა-
დოებაში ინდივიდი ვითარდება პიროვნებამდე. კრიტიკული დუალიზ-
მის საფეხურზე გაცნობიერდება, რომ ნორმები და კანონები, რომლები-
თაც საზოგადოება ხელმძღვანელობს, ბუნებრივი და ზეციური წარ-
მოშობის კი არაა, არამედ ადამიანური ქმნილებაა. ამდენად ადამიანი
თავისუფალია ამ ნორმებისა და კანონების მიმართ, არა იმ აზრით, რომ
სავალდებულო არ იყოს მათი დაცვა, არამედ იმ აზრით, რომ ეს ნორმე-
ბი და კანონები შეუძლია შეცვალოს, დააწესოს ახალი ნორმები და კანონ-
ები და შეგნებული აქვს, რომ მათ შექმნას საზრისი აქვს მხოლოდ იმდე-
ნად, რამდენადაც მათი დარღვევა შეიძლება. ამით ადამიანი აცნობიერებს
თავის თავისუფლებასა და პასუხისმგებლობასაც. ნორმების დარღვევი-
სათვის სანქციებს იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც ნორმების დარღვე-
ვა შესაძლებელია, მისი შეუძლებლობის შემთხვევაში სანქციების დაწესე-
ბა უაზრო იქნებოდა.

ადამიანი თავის ქმედებაში თავისუფალია და ამ ქმედების შედეგე-
ბისათვის პასუხისმგებელიც. ამ გზით ხდება ის პიროვნება, რადგან საკ-
უთარი ნებელობით და გადაწყვეტილებით მოქმედებს. ამით კოლექ-
ტივის ბატონობა მოიხსნება და პიროვნება წამოიწევს პირველ პლანზე.
ღია საზოგადოება ქმნის პიროვნებას, გამოყავს ის არენაზე და ამით
ზღუდავს კოლექტივს.

პოპერის მტკიცებით, ჩვენსა და გვაროვნულ, ანუ დახურულ საზოგა-
დოებას შორის არსებითი განსხვავებაა. „ცხოვრების ჩვენეულ წესში,
ერთი მხრივ სახელმწიფო კანონებსა და მეორე მხრივ ტაბუს შორის,
რომელთაც ჩვენ ჩვეულებრივად ვიცავთ, არსებობს პიროვნულ გადაწ-
ყვეტილებათა მუდმივად გაფართოებადი სფერო, თავისი პრობლემები-
თა და პასუხისმგებლობით. ჩვენ ვიცით ამ სფეროს მნიშვნელობა.
პიროვნულ გადაწყვეტილებებს შეუძლიათ ტაბუსა და პოლიტიკურ კანონ-
თა შეცვლამდე მიგვიყვანოს, რამდენადაც ისინი მეტად აღარ არის ტაბუ.
ადამიანის წინაშე მდგარ პრობლემებზე რაციონალური რეფლექსიის

მესაძლებლობა — აი,რა არის ამ ორი ტიპის საზოგადოებათა ძირეული განსხვავება" (109, 217-218).

პოპერის აზრით, ეს განსხვავება იმდენად არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ სხვა ნიშნებიც რომ არ იყოს, მის საფუძველზეც შეიძლება ამ ორი ტიპის საზოგადოების გარჩევა. „შემდგომში მაგიურ,გვაროვნულ ანუ კოლექტივისტურ საზოგადოებას ჩვენ ეუწოდებთ დახურულ საზოგადოებას, ხოლო საზოგადოებას, რომელშიც ინდივიდები იძულებულნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებანი, ღია საზოგადოებას"..

ღია საზოგადოებაში თავისუფლების საზრისიც სხვაგვარად გაიგება. დახურული საზოგადოების იდეოლოგები, პლატონისა და სხვათა სახით, ადამიანის ყოფიერების საზრისს სამართლიანობასა და ბედნიერებაში ხედავენ, მაგრამ ეს ინდივიდის კი არა, სახელმწიფოს სამართლიანობა და ბედნიერებაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს — მმართველი მართავს, მეომარი ომობს და მონა მონობის ტვირთს ეწევა. „პლატონის მიზანი არაა სახელმწიფოში ინდივიდთა და ცალკეულ კლასთა ბედნიერება, არამედ მხოლოდ მთელის ბედნიერება, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სამართლიანი მმართველობის შედეგი, რომელიც, როგორც მე ვაჩვენე, თავისი ხასიათით ტოტალიტარულია" (109, 213).

ღია საზოგადოება ადამიანის მოქმედების სარბიელია, როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური ფორმით. მასში სოციალური აქტივობაა წყარო სოციალურ იერარქიათა ღირებულებითი ორიენტაციების ცვლილებისთვის. ამ საზოგადოებაში ადამიანი არ რჩება თანდაყოლილი სტატუსის ამარა და ცდილობს შეიძინოს ახალი სტატუსი და რადგან მათი გადანაწილება იწვევს კონკურენციას, ამიტომ ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელია სოციალურ-კლასობრივი ბრძოლა. იგი ორგანული ხასიათის დაკარგვის გამო, კონკრეტულიდან იქცევა აბსტრაქტულ, უპიროვნო საზოგადოებად. აქ, მაშინაც, როდესაც ადამიანები უშუალო ფიზიკურ ურთიერთობას არ ამყარებენ, მაინც ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, რადგან მათი საქმიანობის შედეგები და თვით საქმიანობა იწვევს ერთმანეთზე გავლენას. რასაკვირველია, უშუალო კავშირები რჩება, რის მიხედვითაც საზოგადოება იყოფა ჯგუფებად, მაგრამ მათ გვერდით არის უხილავი კავშირები, რომელნიც ისეთ ადამიანებს აკავშირებენ, რომელთაც ფიზიკური სიახლოვე არასოდეს ჰქონიათ. ღია საზოგადოებაში თვით უშუალო კავშირების ხასიათიც იცვლება, რადგან მასში პირადი ურთიერთობანი ახალ თვისებებს იძენენ, არ არიან დაბადებიდან განპიროვნებული, ამდენად თავისუფალი არჩევანის შედეგი ხდებიან. ეს წარმოშობს ახალი ტიპის ინდივიდებს და,დანელიას მტკიცებით, კულტურა სწორედ ინდივიდუალიზმის შედეგია — ფიზიკურ კავშირებს ცვლის სულიერი. ღია საზოგადოება სწორედ ასეთი აბსტრაქტულ

ურთიერთობათა სისტემით ფუნქციობს უმთავრესად, ეს მისი თავისებურებაა. აბსტრაქტული ურთიერთობანი ადამიანთა კავშირებს უშუალობის განცდას უკარგავს, სამაგიეროდ შესძენს კავშირების ფართოდ მომცველ სისტემას, აფართოებს ამ კავშირთა გეოგრაფიას, მოხსნის დროითსივრცით შეზღუდულობას. ღია საზოგადოებაში გადასვლით ბიოლოგიური კავშირების მიღმა ფართო სოციალური კავშირების სისტემა იქმნება, რაც უდრის სოციალურ სამყაროში უდიდეს გადატრიალებას. პოპერის სიტყვებით, „დახურულიდან ღია საზოგადოებაზე გადასვლა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ერთ-ერთი უღრმესი რევოლუციათაგანი, და ვინაიდან იგი განხორციელდა ბერძნების მეშვეობით, ეს ნიშნავს, რომ „ბერძნებმა დაიწყეს უდიდესი რევოლუცია, რომელიც, როგორც ჩანს, ჯერაც საწყის სტადიაშია, კერძოდ, დახურულიდან ღია საზოგადოებაზე გადასვლის სტადიაში" (109, 220).

ღია საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ჰუმანიზმი. ღია საზოგადოება ემყარება ადამიანისადმი რწმენას, მის რაციონალურ ქმედებას, თავისუფლებას და ადამიანთა შორის ძმობას. ჯერ კიდევ ანტიკურობაში, როდესაც მოხდა გადასვლა დახურულიდან ღია საზოგადოებაზე, გაიმარჯვა ათენის დემოკრატიამ, „იბადება ახალი რწმენა, რწმენა ყველა ადამიანის გონიერების, თავისუფლების, ძმობის, ახალი და, ეუიქრობ, ღია საზოგადოების ერთადერთი შესაძლო რწმენა". (109, 230). პოპერის მტკიცებით, ამ ეპოქამ წარმოშვა დიადი თაობა, დაწყებული პროტაგორათი და სოკრატით დამთავრებული დემოკრიტეთი, რომელიც ამ თაობის მწვერვალი იყო: ამ თაობამ წამოაყენა კანონის წინაშე თანასწორობის და პოლიტიკური ინდივიდუალიზმის დემოკრატიული პრინციპები (პერიკლე), მისმა წარმომადგენლებმა: პროტაგორამ და დემოკრიტემ დაასაბუთეს, რომ „გონის, ჩვეულების და კანონების ადამიანურ ინსტიტუტებს არა აქვთ ტაბუს მაგიური ხასიათი, არამედ ადამიანის ქმნილებანია, ბუნებრივი კი არ არის, არამედ პირობითია და რომ ჩვენ თვითონ ვაგებთ პასუხს ამ ინსტიტუტებისათვის". ეს თაობა იბრძოდა მონობის და ანტირაციონალიზმის წინააღმდეგ. სოკრატემ დაამკვიდრა გონებისადმი რწმენა და კრიტიციზმი. დემოკრიტე დემოკრატიულ საზოგადოებაში სიღარიბეს არჩევდა მონარქიაში ბედნიერებას. მისთვის მეცნიერება ყველაზე ღირებული იყო. ეს ჰუმანიზმი იყო ახალი საზოგადოების დადგომის მაჩვენებელი.

ღია საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია კრიტიკული ცნობიერება, რომელიც დაკავშირებულია ფილოსოფიასთან, რელიგიის დოგმატური ცნობიერება შეიცვალა ფილოსოფიის კრიტიკული ცნობიერებით, რამაც განაპირობა დუალიზმზე გადასვლა და რწმენა ადამიანური ძალებისადმი. ღია საზოგადოება დაკავშირებულია არა ყოველგვარ ფილოსოფიასთან, არამედ ადამიანზე ორიენტირებულთან, რომელსაც

პროტაგორამ ჩაუყარა საფუძველი და სოკრატემ განავითარა. წინა-ანთროპოლოგიური ფილოსოფია დოგმატური იყო. „ფილოსოფიის წარმოშობაც შეიძლება განვიხილოთ როგორც პასუხი დახურული საზოგადოების და მის მაგიურ რწმენათა კრახზე“ (109, 234).

დაბოლოს, ღია საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია დემოკრატია, მმართველობის დემოკრატიული სისტემა და მმართველობის ცვლილებათა დემოკრატიული პრინციპები, როდესაც, პერიკლეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახელმწიფოს მართავენ არა ერთი მუჭა ადამიანები, არამედ ხალხის უმრავლესობა და სახელმწიფო წყობას ეწოდება ხალხის მმართველობა. კერძო საქმეებში კანონიერად ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობს, რაც შეესება სახელმწიფო საქმეებს, საპატიო სახელმწიფო თანამდებობაზე შეუძლია იყოს ყოველს, მისი ღირსების მიხედვით, რამდენადაც ის რაიმეთი გამოირჩა, არა განსაზღვრული წოდებისადმი კუთვნილების, არამედ პიროვნული ღირსების გამო. სიღარიბე არ უშლის საპატიო თანამდებობის დაკავებას. საზოგადოებაში ჩვენ თავისუფლად ვცხოვრობთ“. პერიკლე აქ ახასიათებს ღია საზოგადოების ცხოვრების წესს და ნორმებს, რომელთაც ძალა აქვთ დღევანდელობისთვის. პოპერიც აღნიშნავს, რომ მის მიერ ანტიკურობის შუქზე განხილული ღია და დახურული საზოგადოების სურათი მთლიანად მოერგება თანამედროვე საზოგადოებასაც და რომ გადასვლა დახურულიდან ღია საზოგადოებაზე, რომელიც ანტიკურობაში განხორციელდა, ერთადერთი არ ყოფილა. ასეთი გადასვლა ხდება ყველა ეპოქაში. რენესანსმა აღადგინა ადამიანის გონებისადმი რწმენა. ახალ ეპოქაში დამკვიდრდა პოლიტიკური თავისუფლება, ეს ღია საზოგადოებაზე გადასვლის მაგალითებია. ხდება პირიქითაც, ღიადან დახურულ საზოგადოებაზე გადასვლა. ანტიკურობაში პერიკლეს დემოკრატიის მარცხი და ოცდაათი ტირანის გაბატონება დახურული საზოგადოების რესტავრაცია იყო, ისე როგორც ტოტალიტარიზმი რუსეთში და ფაშიზმი გერმანიასა, იტალიასა და ესპანეთში. დიქტატურისა და ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, ეს ქვეყნები კვლავ ღია საზოგადოებაზე გადავიდნენ. რუსეთის მიმართ სოროსი მართებულად აღნიშნავს, რომ მანდ ჩანს ღია საზოგადოების კონტურები, მაგრამ ჯერაც არ არის ღია საზოგადოება. ისტორიის პერიპეტიები ცხადს ხდიან, რომ საზოგადოების ეს ორი ტიპი სოციალური ყოფიერების ორი ძირითადი ფორმაა, რომელთა შესაბამისად იცვლებიან ადამიანებიც.

აღნიშნულის გარდა ღია და დახურული საზოგადოება კიდევ ერთი მიმართებითაა დაპირისპირებული. დახურული საზოგადოება ემყარება ტრადიციებს და ჩვევებს, მან არ იცის მორალი, ღია საზოგადოება კი მორალზე აიგება. ტრადიციები და ჩვევები მასში ინარჩუნებენ ყოფიერებას, მაგრამ არ არიან განმსაზღვრელი, ამ საზოგადოებაში არსები-

თი და განმსაზღვრელი მორალია, რადგან აქ ინდივიდს და ჯგუფებსაც შეუძლიათ იმოქმედონ თავისუფლად. სადაც თავისუფალი მოქმედება არაა, არც მორალია. საზოგადოება, რომელიც ტაბუთი და მაგიითაა განსაზღვრული, მოკლებულია მორალს და თავისუფლებასაც.

რამდენად მნიშვნელოვნად ესახება ღია საზოგადოების პრობლემა პოპერს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ წიგნს ამთავრებს შიშღერებით ისტორიის საზრისზე, რომელშიც ისტორიას უსაზრისოდ აცხადებს, მაგრამ თავისთავად საზრისს მოკლებული ისტორია შეიძლება გასაზრისიანდეს ადამიანების გზით. ეს მოხდება ღია საზოგადოებისათვის ბრძოლით და მისი დამყარებით. ამისთვის უნდა დავიცვათ ფაქტებისა და გადაწყვეტილებათა დუალიზმი, გავაცნობიეროთ, რომ „ფაქტებს, როგორც ასეთს, არა აქვთ საზრისი, მათ საზრისს ანიჭებს ჩვენი გადაწყვეტილებანი... მე ვამტკიცებ, რომ ისტორიას არა აქვს საზრისი, მიზანი და საზრისი ბუნებასა და ისტორიაში ჩვენ შეგვაქვს". გადაწყვეტილებას — რა უნდა ვაკეთოთ — ფაქტები კი არ გამოიტანენ, ეს ჩვენი გადასაწყვეტია. „თავისთავად ისტორია არაა მიზნისა და საზრისის მქონე, მაგრამ ჩვენ ძალგვიძს მივანიჭოთ მას ერთიც და მეორეც. ამის გაკეთება შეგვიძლია, როცა ჩავებმებით ღია საზოგადოებისათვის ბრძოლაში. შესაბამისად ისტორია შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ბრძოლა. საბოლოოდ იგივე შეიძლება ითქვას ცხოვრების საზრისზეც" (110, 320-321).

საზოგადოების ტიპოლოგიის განსხვავებული სისტემები გარკვეულად ურთიერთკავშირში არიან. ბევრ მათგანს შეიძლება მოენახოს საერთო მნიშვნელი. თუმცა მათი კლასიფიკაციის კრიტერიუმები განსხვავებულია, მათ ერთობაც ახასიათებთ. თუ ავიღებთ ტიპოლოგიის ისეთ სახეებს, როგორიცაა საზოგადოების დაყოფა ტრადიციულად და თანამედროვედ, წინაინდუსტრიულად და ინდუსტრიულად, ერთობად და საზოგადოებად, ღიად და დახურულად, ან კიდევ პროვერბიალურად, პრესკრიფციულად, პრინციპულად და ანომიურად, ყველა მათგანში არის გარკვეული იგივეობრივი მომენტი, რომელთა მიხედვით საზოგადოების ტიპოლოგია ძირითადად ორ დაპირისპირებულ კატეგორიაში ექცევა. ერთი ტიპის არიან ტრადიციული, წინაინდუსტრიული, ერთობა, დახურული, პროვერბიალური და პრესკრიფციული, მათი საერთო ნიშნებია უძრაობის, გახევებულობის, სიმყარის შენარჩუნების მცდელობა, სიახლისადმი უარყოფითი პოზიცია, ორიენტირება ტრადიციებსა და ადათ-ჩვეულებებზე, თემობრივ-სოფლური განსახლების ტიპი, ტაბუთი დაწყებული და ტოტალიტარულით დამთავრებული სოციალური რეჟიმი, კანონზე მაღლა მმართველის დგომა, სულ ერთია, იქნება ეს ტომის უხუცესი, ფიურერი, ბელადი, ტირანი, დიქტატორი, თუ ადამიანთა მთელი ჯგუფი. ისინი კანონით შეუზღუდველია და მოქმედებენ „ყველაფერი ნებადართულიას" პრინციპით. მათ განუზომელი უფლება აქვთ საზოგადოების მიმართ,

საზოგადოებას კი არავითარი უფლება არა აქვს მათ მიმართ. მათ ხელში საზოგადოება რეალურად შედგება პიროვნებას მოკლებულ, მეობადაკარგულ ადამიანთა თავყრილობისაგან, რომელსაც ახასიათებს ბრბოს ნიშნები. ადამიანი ასეთ საზოგადოებაში მანიპულირების საშუალებაა, თავისუფლებას მოკლებული, კონფორმიზმის ტყვეობაში მოქცეული, ის სხვისი ნებელობის აღმსრულებელია. ასეთი საზოგადოება მოქმედებს პრინციპით — შენ ხარ არარა, შენთვის ფიურერია ყველაფერი. შენ არ გჭირდება აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება, ამას შენს ნაცელად აკეთებს ბელადი. ასეთ საზოგადოებაში „მეს" ნაცვლად არის „ჩვენ", ინდივიდის ნაცვლად კოლექტიეი, პიროვნების ნაცვლად მასა. ასეთი საზოგადოების მსატერული დასურათება მოცემულია ევგენი ზამიატინის რომანში „ჩვენ". აღნიშნულის საპირისპირო სურათია საზოგადოება, რომელიც მორალური პრინციპებით გაერთიანებულ, კანონს დაქვემდებარებულ ადამიანთა ერთობაა, იგი საკუთარი ნებელობით მოქმედი ინდივიდებისა თუ პიროვნებებისაგან შედგება. ამ საზოგადოების განმსაზღვრელია არა ადათი და ტრადიცია, არამედ მორალი და კანონი, არა დიქტატორის ნებელობა, არამედ ადამიანთა ნება. ამ საზოგადოების ნიშანია ღიაობა, მზად ყოფნა ინოვაციისათვის, მისი განხორციელება, გადაწყვეტილებათა მრავალფეროვნება, ადამიანთა უფლებრივი ყოფიერება, როცა მათ შეუძლიათ, თავიანთ ნებელობას დაუქვემდებარონ სახელმწიფოს მმართველი ორგანოების არჩევნების საკითხი, როცა მათზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება სოციალური ყოფიერება და როდესაც საზოგადოება აგყობს, რომ არჩევნების გზით შექმნილი მმართველობის აპარატი თუ არ მოქმედებს სასურველი მიმართულებით, საზოგადოებას შეუძლია გადაწყვიტოს აპარატის შეცვლა ახალი არჩევნების გზით. ეს არის ღია საზოგადოება, რომელსაც განსაზღვრავს პიროვნების თავისუფლება და რეალური დემოკრატია. ამ საზოგადოებაში ის კი არაა მთავარი, ვინ უნდა მართავდეს სახელმწიფოს, როგორც ეს განიხილებოდა პლატონთან, არამედ, როგორც პოპერი აღნიშნავს, ძირითადი საკითხია — შეუძლია თუ არა საზოგადოების წევრებს, შეცვალონ მმართველობა. ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა განსაზღვრავს ამ საზოგადოების დემოკრატიულობას, თავისუფლება და პირადი ინიციატივის შეუზღუდველი შესაძლებლობა — ადამიანმა იმოქმედოს საკუთარი ნებელობისა და გადაწყვეტილების მიხედვით, ყველასთვის ერთნაირი სავალდებულო დაქვემდებარება კანონებისადმი — ასეთია თანამედროვე ინდუსტრიული, თუ პრინციპული საზოგადოების ნიშნები. როგორც ვხედავთ,ტიპოლოგიის სიმრავლის მიუხედავად ძირითადად ორი ტიპი არსებობს; რას დავარქმევთ მათ — დახურულს და ღიას, ტრადიციულს და თანამედროვეს, ინდუსტრიულამდელ და ინდუსტრიულს, ერთობას და საზოგადოებას, თუ

სხვა რამეს, — ეს არსებას არ ცვლის. ამ კლასიფიკაციებში იცვლება მხოლოდ დეტალები. ესა თუ ის მხარე წამოიწევა წინა პლანზე, ესა თუ ის ასპექტი ხდება ხაზგასმული. რაც შედეგია ამა თუ იმ კონკრეტული კრიტერიუმის გამოყენების. არსებითად კი ტიპოლოგია ორწევრაა: დემოკრატიული და ტოტალიტარული, ღია და დახურული, პრესკრიფციული და პრინციპული და ა. შ. განსხვავებულ ტიპოლოგიათა გარკვეული იდენტიფიკაციის შესაძლებლობას ადასტურებენ ამ კლასიფიკაციათა ავტორებიც. ასე მაგალითად,ბეკერი თავის ოთხწევრა ტიპოლოგიას პროფერბიალურ,პრესკრიფციულ,პრინციპულ და ანომიურ საზოგადოებად მიიჩნევს პოპერის ღია და დახურული საზოგადოების ანალოგიურად. მისი მტკიცებით, „პოპერის გაწაფული პოლემიკა ნაშრომში — „ღია საზოგადოება და მისი მტრები" — არსებითად არის პრინციპული,ანუ „ღია" საზოგადოების დაცვა, რომელიც უპირისპირდება პრესკრიფციულ ანუ „დახურულ" საზოგადოებას" (26, 183).

II თავი

სოციალური სტრუქტურის თეორია

1. სოციალური სტრუქტურების საკითხის აქტუალიზაცია

შვიდი ათეული წლის განმავლობაში ერთიანი იდეოლოგიის ბატონობამ და ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მმართველობის განხორციელებამ, რომელიც ემყარებოდა ამ იდეოლოგიის აბსოლუტური ჭეშმარიტების რწმენას, „გაამარტივა" სოციალური სინამდვილის კვლევის ამოცანები და განხორციელებაც. პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით ხელმძღვანელობა იყო ფაქტობრივად ემპირიული კვლევის შემცველი, სოციალური სინამდვილის ყველა სფეროს მიმართ და, მაშასადამე, სოციალური სტრუქტურების საკითხშიც. ამ დადგენილებებიდან ვგებულობდით, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალ კლასობრივ სტრუქტურას განსაზღვრავს ორი მეგობრული კლასის: მუშებისა და გლეხების და ერთი ფენის — მუშურ-გლეხური ინტელიგენციის არსებობა. ეს გამარტივებული სქემაც შემდგომში ძალადაკარგული აღმოჩნდა, რადგან ისევ დადგენილებების საფუძველზე გაგვაცნობიერებინეს, რომ კლასობრივმა განსხვავებამ ჩვენს ქვეყანაში დაკარგა საფუძველი და გამოცხადდა ერთიანი სოციალური სტრუქტურის საზოგადოებად, რომელიც განთავისუფლდა კლასობრივი სტრუქტურისაგან და თავისუფლდებოდა ეროვნული დაყოფისაგანაც. შემუშავებულ იქნა საბჭოთა ხალხის და ერთიანი სტრუქტურის ცნებანი, რომელთაც უნდა აესახათ საზოგადოების კლასებად და ერებად დიფერენციაციის კვდომა. დღეს ვითარება რადიკალურად იცვლება, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გაგებას ეძებენ არა დადგენილებებში, არამედ ემპირიულ გამოკვლევებში, თანაც კლასობრივი სტრუქტურის ტრადიციული კრიტერიუმებიც არასაკმარისადაა მიჩნეული: წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულების, ე. ი. საკუთრების ფორმების, წარმოებაში ადგილის, როლის და შემოსავალში წილის მიხედვით, საზოგადოების დაყოფის კრიტერიუმებს დაემატა ჩვენთვის ახალი, ევროპული სოციოლოგიისთვის კი ტრადიციული, ბატონობისა და დაქვემდებარების, ე. ი. ძალაუფლების კრიტერიუმის მიხედვითაც დაყოფა. ამას დაემატა ფსიქოლოგიურად წოდებული კრიტერი-

უმები, პრესტიჟი, ატიტუდები, ინტერესები, ღირებულებითი ორიენტაციები და სხვა. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა მსჯელობა საზოგადოების ელიტურ სტრუქტურაზე, რაც მანამდე არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ სოციალისტური ორიენტაციის სხვა ქვეყნებშიც სასტიკად აკრძალული იყო. ცნობილია, როგორ გაუსწორდნენ ადამ შაფს იმის გამო, რომ მან სოციალისტური საზოგადოების სტრუქტურაციისათვის გამოიყენა ელიტის ცნება. სოციალური სტრუქტურის პრობლემებისადმი მიღგომაში ამ არსებით ცვლილებებს დაემატა ცვლილებანი ჩვენი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. დაშვებულ იქნა კერძო მეწარმეობა, საწარმოო და სარეალიზაციო კოოპერატიევები, დაირღვა მიწის ნაციონალიზაციის დეკრეტი და მიწაზე სახელმწიფოს მონოპოლიური საკუთრებიდან შესაძლებელი გახდა მემკვიდრეობითი იჯარის ფორმაზე გადასვლა, უფრო მეტიც, მიწაზე კერძო საკუთრების არსებობაც. ასევე სამრეწველო საწარმოებზე სახელმწიფო მონოპოლია იცვლება და განსაკუთრებით წვრილი საწარმოები, ზოგჯერ კი მსხვილიც, გადადის კერძო მფლობელთა, თუ აქციონერულ საზოგადოებათა საკუთრებაში. მოკლედ, საზოგადოებრივ და საკოლმეურნეო საკუთრების ნაცვლად და მათ ხარჯზედაც, თავს იჩენს კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და წარმოებაზეც. ბუნებრივია, ეს არ ეტევა არც ტრადიციულ ორკლასიან, პროკრუსტეს სარეცელად ქცეულ, სქემაში და არც, მითუმეტეს, ერთიანი უკლასო საზოგადოების სტრუქტურაში, რომლის დამკვიდრებას უკანასკნელ პერიოდში დაეინებით ქადაგებდნენ, ამავე დროს, ხდება წოდებრივი სტრუქტურების აღდგენაც. მართალია, ეს ჯერჯერობით ქვემოდან ინიციატივის სახით ხორციელდება, მაგრამ საკმაოდ აქტიურად. უკვე შეიქმნა საზოგადოებანი წოდებრივი იერარქიის მისდგვით. შეიქმნა პარტიები და გაერთიანებანი, რომლებიც იბრძვიან წოდებრივი დიფერენციაციის აღსადგენად, მათთვის ტრადიციულ პრივილეგიათა დასაბრუნებლად და მათი საკუთრების გამოსაყოფად საზოგადოებრივი საკუთრებისაგან. ასე რომ, საზოგადოებამ მოკლე დროში სტრუქტურაციის მხრივ არნახული ცვლილებები განიცადა. ასეთ ვითარებაში სულ უფრო აქტუალური ხდება სოციალური სტრუქტურაციის საკითხი, თანაც ისე, რომ წარსულის დონე სტრუქტურაციის კვლევაში სრულიად გამოუსადეგარია თანამედროვე სინამდვილისათვის. ყველა გამოკვლევა, რომელიც უკანასკნელ დრომდე ჩატარდა, ჩამორჩა სინამდვილის ცვლილებას და სოციოლოგიური თეორია ვერ ასწრებს ფაქტობრივ ცვლილებათა ცნებობრივ სტრუქტურაში მოქცევას. სულ უფრო ძნელი ხდება სოციალურ სტრუქტურებში გარკვევა და სტრუქტურაციის სრულყოფილი მეთოდების შემუშავება. მითუმეტეს, ჩვენში დაეწყებული იყო დასავლეთის სოციოლოგიაში არსებული მეთოდები თვითშეფასებისა, რეპუტაციათა სხვების, ე. ი. ექსპერტების მიერ შეფასებისა და ობიექტური მიდგომა. რა

მეთოდები გამოვიყენოთ? მივმართოთ მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომელნიც მოიცავენ არა მარტო საკუთრების ფორმებს, არამედ პროფესიის პრესტიჟს, განათლების დონეს, კვალიფიკაციას, შემოსავლის დონეს, თუ სხვა ობიექტურად განსაზღვრად კრიტერიუმებს, ან კლასობრივ-ფენობრივი კუთვნილების განსასაზღვრავად გამოვიყენოთ კლასობრივი იდენტიფიკაციის, თვითშეფასების მეთოდი, როდესაც რესპონდენტი თავის თავს მიაკუთვნებს სოციალური სტრუქტურის ამა თუ იმ ფენას? ეს მეთოდი ტრადიციულად გამოიყენებოდა ეროვნული კუთვნილების დასადგენად, დასავლეთის სოციოლოგიაში ის წარმატებით გამოიყენება კლასისადმი კუთვნილების გასარკვევადაც, გარდა ამისა, არის აგრეთვე ეგრეთ წოდებული ექსპერტთა მეთოდი, როდესაც ამა თუ იმ პიროვნების კლასისადმი კუთვნილების საკითხი წყდება ახლობელ პიროვნებათა, ყოველ შემთხვევაში მის ჯგუფში მყოფ პიროვნებათა მხრივ მისი რეპუტაციის შეფასებათა საფუძველზე. იქნებ სამივე მეთოდი იქნეს გამოყენებული, თანაც ისე, რომ რომელიმე მათგანს არ მიეკუთვნოს დომინანტური მნიშვნელობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითიდენტიფიკაციის მეთოდი ეთნოსტრუქტურაციის სფეროდან სოციალურ სტრუქტურაციაზე მექანიკურად არ გადაიტანება. თუ ეთნოსტრუქტურაციის შემთხვევებში მშობლის ეთნოსისადმი კუთვნილების მიხედვით, კერძოდ მამის, განისაზღვრება შვილების კუთვნილებაც ამა თუ იმ ეთნოსისადმი, კლასობრივ, თუ ფენობრივ სტრუქტურაციაში ეს შეუძლებელია. ის, რომ გარკვეული სუბიექტი, მშობლის სახით, ამა თუ იმ კლასს ეკუთვნის, ეს არ ნიშნავს, რომ მისი ოჯახის წევრებიც ამ კლასის, თუ ფენის კუთვნილებაა. ქართველის შვილებიც ქართველებია, მაგრამ მუშის შვილები როდი არიან მუშები, იმის გამო, რომ მმობელი მუშა ჰყავთ. არც ქმრის სოციალური სტატუსი განსაზღვრავს მეუღლის სოციალურ სტატუსს. სიძნელეს წარმოშობს ისიც, რომ პიროვნების მიერ თავისი თავის სოციალური იდენტიფიკაცია უფრო მეტ სუბიექტივიზმს შეიძლება შეიცავდეს, ვიდრე ეთნიკური იდენტიფიკაცია. ამ უკანასკნელში ვითარება გარკვეული და ნათელია, ამიტომ იდენტიფიკაციაში შეცდომები გარკვეულად ნაკლებია. სოციალური სტრატიფიკაციის დროს კი იდენტიფიკაცია შეიძლება მცდარი იყოს, რადგან მისი კრიტერიუმები ნაკლებადაა ობიექტური, თანაც ეს კრიტერიუმები მრავალსახოვანია და რაც უფრო მეტია მათი რიცხვი, მით უფრო მეტია შეცდომა სოციალური სტატუსის განსაზღვრაში.

სოციალური დიფერენციაციის ერთ-ერთი განზომილებაა პრივილეგიებისა და პრესტიჟის მიხედვით საზოგადოების დაყოფა. ეს არის საზოგადოების ელიტური სტრუქტურის განზომილება. დღემდე ამ განზომილებით ჩვენი საზოგადოება არ გამოკვლეულა და, მაშასადამე, არც რაიმე ტრადიცია გვაქვს ამ მიმართულებით. არ არის დადგენილი კრი-

ტერიუმები, როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკეული ფენების მიგნით ელიტათა რანჟირებისათვის, თუმცა ჩვენი საზოგადოება დღეს იბრძვის პრივილეგიების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ელიტების ობიექტური სურათის დადგენა მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული. გასარკვევია ისიც, ელიტური სტრუქტურაცია შეცელის სოციალური სტრუქტურაციის კლასობრივ ან ფენობრივ კრიტერიუმებს, თუ ეს იქნება დამატებითი საშუალება ან ფორმა სტრუქტურაციის შესწავლისთვის. ყველა ეს პრობლემა ქმნის სირთულეებს იმის გამო, რომ მარქსიზმის ტრადიციული ცნებები მოძველებულია და სქემა, რომელიც მარქსმა შექმნა, არ გამოხატავს თანამედროვე სოციალურ სინამდვილეს. დღეს დასავლეთში არსებითად უარყოფილია როგორც მარქსის ორკლასიანი მოდელი, ისე კლასობრივი სტრუქტურაციის მარქსისტული კრიტერიუმები. ჩვენი საზოგადოებისთვის მარქსისტების მიერ შექმნილი მოდელი გამოუსადეგარი ხდება იდეოლოგიით განსაზღვრულობის გამო. სოციოლოგიის დეიდეოლოგიზაცია პირველ რიგში უნდა აისახებოდეს სოციალური სტრუქტურის თეორიაში, თანაც სიძნელეს ქმნის სტრუქტურაციის გამომხატველი ცნებების გაურკვეველობა.

2. სოციალური სტრუქტურის ცნება

სოციალური პროცესების შემეცნებაში შექმნილ კატეგორიათა სისტემა პერიოდულად განახლებას განიცდის. იცვლება სოციალურ პროცესთა გამომხატველი ცნებები. თუ საუკუნის დასაწყისის სოციოლოგიაში საზოგადოების გაგებაში დომინანტობდა მთელისა და ნაწილის კატეგორიები, პარსონსმა შემოიღო სოციალური სისტემის ცნება. შემდგომში ლუმანმა სოციალური სისტემის ცნების და თეორიის გაფართოება მოახდინა, განიხილა სოციალური სისტემის და მისი ელემენტების მიმართება. ასევე, თუ საუკუნის დასაწყისში, ყოველ შემთხვევაში ზიმელის შემდეგ, დომინირებდა ფორმისა და შინაარსის ცნებები და ფორმა გამოიყენებოდა სოციოლოგიის დაფუძნების საშუალებად, დღეს სტრუქტურისა და ელემენტის მიმართებამ შეზღუდა ფორმისა და შინაარსის კატეგორიათა არეალი სოციოლოგიაში.

საკითხი ისმის, რას გამოთქვამს სტრუქტურის ცნება არა საერთოდ, არამედ სოციალურთან მიმართებით, რას ნიშნავს სოციალური სტრუქტურა. იგი სინამდვილის მხოლოდ წედმის საშუალებაა, ინსტრუმენტია, გარედან შეტანილი მოდელია, თუ თვით სოციალური სინამდვილისთვის დამახასიათებელი და ჩვენი შემეცნების გარეთ არსებული რეალობაა, რომელიც შემეცნების პროცესში შემოდის ჩვენ თვალსაწიერში და გამოიხატება შესაბამისი ცნებით. მოკლედ, საკითხი ისმის, კლასიკური გნოსეოლოგიის ენას თუ გამოვიყენებთ, სოციალური სტრუქტურა ობიექტური რეალობაა, რომელზედაც შემეცნების პროცესში ვახდენთ რეფლექ-

სიას, თუ ის სუბიექტური წარმონაქმნია, შემეცნების საშუალებაა, იქნებ სულაც შემეცნების პროცესში შექმნილი რეალობა. სულერთია, სოციალურ სტრუქტურას გავიგებთ როგორც შემეცნების პროცესში მექმნილ რეალობას, თუ როგორც სუბიექტის მიერ შემეცნების განსახორციელებლად მოაზრებულ ინსტრუმენტს, ორივე შემთხვევაში სოციალური სტრუქტურა სუბიექტური წარმონაქმნია, რომელსაც ობიექტურ სამყაროში რეფერენტი არ გააჩნია. სოციოლოგიაში დღემდე არაა ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი საკითხი სოციალური სტრუქტურა ობიექტურია თუ სუბიექტური. ამერიკელი სოციოლოგის ბლაუს მტკიცებით, ინგლისელი ანთროპოლოგების — რედკლიფ ბრაუნისა და მაიერ კორგსისთვის ტერმინი „სოციალური სტრუქტურა" „ეკუთვნის ემპირიულ რეალობას, ე. ი. დაკვირვებად ჯგუფებსა და იერარქიებს, რომელნიც საზოგადოებას ყოფენ და ფაქტობრივად სამყაროში ჩვენს გარეთ არსებობენ". ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ ლევი-სტროსისთვის „სოციალური სტრუქტურა აზრობრივი კონსტრუქციაა, რომელსაც თეორეტიკოსი ემპირიულ დაკვირვებათა ასახსნელად ქმნის და მხოლოდ ზოგად ნიშნებში ასახავს ემპირიულად დაკვირვებად მდგომარეობათა და ურთიერთობების კონკრეტულ მოდელებს" (95, 9).

ბლაუს მტკიცებით, „ზოგი ფიქრობს, რომ სოციალური სტრუქტურა თეორიაა, რომელიც აწესრიგებს ემპირიულ დაკვირვებებს, ზოგიერთის აზრით კი სოციალური სტრუქტურები სუბიექტის გარეემპირიულ რეალობაში არსებობენ და თეორიები კი არ არიან, არამედ ის, რაც თეორიის მეშვეობით უნდა აიხსნას". ფილოსოფიის ენაზე გადაყვანით ბლაუ ამტკიცებს, რომ სოციალური სტრუქტურის კონცეფცია შეიძლება ეფუძნებოდეს სუბიექტურ ან ობიექტურ ონტოლოგიას. თუ სოციალური სტრუქტურა განისილება, როგორც სიმბოლური ინტელექტუალური კონსტრუქცია ის სუბიექტურია, თუ განიხილება როგორც ობიექტური ემპირიული რეალობა, ის ობიექტურია (95, 25). ეფიქრობთ, რომ სოციალური სტრუქტურა უნდა განვიხილოთ, როგორც ობიექტურ კავშირთა და იერარქიათა სისტემა, რომელიც შემეცნებაში გვეძლევა და რომლის მოცემულობას გამოხატავს სოციალური სტრუქტურის ცნება. სოციალური სტრუქტურა არაა ერთგანზომილებიანი და ერთსახოვანი რეალობა. სოციალურ რეალობაში იმდენი სტრუქტურის აღმოჩენა შეიძლება, რამდენ კრიტერიუმსაც შევიმუშავებთ მათი დიფერენცირებისათვის. ამდენად, მართებულად ეღერს ბლაუს დებულება: „სოციალურ სტრუქტურას მე განესაზღვრავ, როგორც მრავალგანზომილებიან სივრცეს, რომელსაც ქმნის დიფერენციაციის ხაზები" (95, 26). სოციალური სტრუქტურის მრავალსახოვნობის საფუძველი სოციალურ რეალობაშია. შემმეცნებელი მისი ინტერესების შესაბამისად არჩევს განსაზღვრულ სტრუქტურულ განზომილებებს, რომელთა გარეთ შეიძლება უსასრულოდ მრავალი სტრუ-

ქტურული დაყოფისთვის მოინახოს კრიტერიუმი. სოციალური რეალობის სხვადასხვა ფორმები, ჯგუფები, ერთობები, საზოგადოებები, ფენები თუ სხვა შეიძლება სტრუქტურირდებოდეს მის წევრთა სოციალური სტატუსის, სოციალური როლების, სოციალური წარმოშობის, ცხოვრების წესის, სარწმუნოების, ენის, ტერიტორიალური დაყოფის, სოციალური სტრატიფიკაციის, ეთნიკური ნიშნების, თუ სხვა კრიტერიუმების მიხედვით. ყველა შემთხვევაში შემეცნებას აინტერესებს სოციალური რეალობის ერთი ან რამდენიმე განზომილება, რაც არ ამოწურავს დიფერენციაციის საფუძველს. უსასრულო რეალობის უსასრულო სტრუქტურაციაა შესაძლებელი, ჩვენზე მხოლოდ მათ შორის არჩევანია დამოკიდებული. ამდენად, სოციალურ რეალობას და სოციალურ სტრუქტურას შემმეცნებელი (ან შემეცნების პროცესი) არ ქმნის, რადგან ის შემეცნებისგან დამოუკიდებელი რეალობაა, რომელსაც სუბიექტი იმეცნებს.

სოციალური სტრუქტურის ანალიზში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სოციალური სტრუქტურის ობიექტების რაოდენობრივი მაჩვენებლები, ისე მათ შორის ურთიერთობის თვისობრივი ფორმები. ზოგჯერ რაოდენობრივ მხარეს იგნორირებას უკეთებენ, მაგრამ ეს არ არის მისაღები, რადგან როდესაც სტრუქტურის დონეებზე მსჯელობენ, აუცილებელია რაოდენობრივი ფაქტორის გათვალისწინება. სოციალური სტრუქტურის რამოდენიმე დონეს შორის ყველაზე ელემენტარულად ითვლება ოჯახის წევრთა ან სხვა სახის მცირე სოციალურ ჯგუფთა შიგნით არსებული ურთიერთობანი. ეს ურთიერთობანი შეიძლება დიფერენცირდებოდეს სტატუსის, სოციალური როლების, პროფესიის თუ სხვა მაჩვენებლების მიხედვით. გაცილებით მეტი სტრუქტურული მრავალფეროვნება ისახება როდესაც შემეცნების ობიექტი ხდება დიდი სოციალური ჯგუფები და მათ შორის ურთიერთობანი, რადგან ამ დონეზე სტრუქტურაციის შესაძლებლობანი უფრო მრავალფეროვანია ოჯახთან შედარებით. კიდევ უფრო რთული და მაღალი დონეა სოციალური ერთობების, კლასების, ფენების, წოდებებისა და საზოგადოებების დონეზე. დაბოლოს, გლობალური ურთიერთობანი (იქნება ეს რეგიონალური, კონტინენტალური, საკაცობრიო თუ სხვ.) სტრუქტურაციის ყველაზე დიდ შესაძლებლობებს ქმნიან. ამგვარად, სტრუქტურირება არის სოციალური რეალობის დაყოფა გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით.

სოციალური სტრუქტურის ცნება ორი მნიშვნელობით გამოიყენება — ვიწრო და ფართო. ვიწრო მნიშვნელობით სოციალური სტრუქტურა კლასობრივ ურთიერთობებს უიგივდება. მასში იგულისხმება საზოგადოების კლასებად და წოდებებად დაყოფა. კლასობრივ სტრუქტურაციას მარქსიზმის გარდა თანამედროვე სოციოლოგიის სხვა მიმართულებებიც იყენებენ, მაგრამ განსხვავებით მარქსიზმისაგან მათ სოციალური დიფერენცირების უფრო ფართოდ მომცველი და მრავალფეროვანი

კრიტერიუმები აქვთ. მარქსიზმი სოციალურ სტრუქტურას ძირითადად საკუთრებასთან აკავშირებს. როგორც ჩანს, მარქსის დროს საკუთრება მართლაც თამაშობდა ძირითად როლს, მაგრამ თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურირებისთვის ის ძირითად კრიტერიუმად არ გამოდგება. საკუთრებისა და ბატონობის გათიშვამ პოლიტიკური ფაქტორის წინა პლანზე წამოწევამ, საკუთრება, როგორც სტრუქტურაციის პრინციპი, უკანა პლანზე დაწია. სამაგიეროდ გაჩნდა ახალი კრიტერიუმები. პოლიტიკური ძალაუფლება, სოციალური სტატუსი, სოციალური და პროფესიული პრესტიჟი, განათლება, პროფესია და სხვის კრიტერიუმებიც, რომლებიც მარქსიზმში მეორადად განიხილებოდა, მაგალითად, შემოსავლის ოდენობა პირველად კრიტერიუმთა რიცხვში გადავიდა. შესაძლებელი გახდა საკუთრების გარეშე, კვალიფიკაციისა და განათლების საფუძველზე იყო ელიტის წარმომადგენელი. ასეთებია პოლიტიკური ლიდერები, მენეჯერები და სხვა ხელმძღვანელი ფენები, რომელნიც საკუთარი უნარისა თუ კვალიფიკაციის გზით მიღწევადი სტატუსის და შესაბამისი პრესტიჟის მფლობელნი არიან. მართალია, თანამედროვე სოციოლოგიაში გამოიყენება კლასობრივი დიფერენციაციის თეორია, მაგრამ კლასის ახლებური გაგების საფუძველზე. სოციალური სტრუქტურის ცნების ფართო მნიშვნელობა დაკავშირებულია მის გამოყენებასთან ყოველგვარი სტრუქტურირებისათვის - ეთნიკური, პროფესიონალური, ტექნიკური, სტატუსური, პრესტიჟული და სხვ. როგორც აღნიშნავენ, სოციალური სტრუქტურის ფართო გაგება უფრო ესადაგება სოციოლოგიის მიზნებს, რადგან სოციალურ პროცესებს უფრო სრულად და რეალისტურად წარმოგვიდგენს. სოციალური სტრუქტურის ცნების ფართო გაგებას ემყარება თანამედროვე სოციოლოგიაში დომინანტური სოციალური სტრატიფიკაციის თეორია. სოციოლოგ კომაროვს მიაჩნია, რომ სტრატიფიკაციას „პარსონსმა ჩაუყარა საფუძველი". ვფიქრობთ, რომ სტრატიფიკაციაში პრიმატი მაქს ვებერს ეკუთვნის. მთავარი ისაა, რომ სოციალური სტრატიფიკაციის ძირითადი პრინციპი, სოციალური უთანასწორობის გზით საზოგადოების სტრუქტურირება, ვებერმა განახორციელა. ვებერის დროიდან გაცნობიერდა ისიც, რომ თავისუფლება უთანასწორობასთან არის დაკავშირებული. ფილოსოფოსი ბერდიაევი თავის ნააზრევს ორი სახელით აღნიშნავს „თავისუფლების ფილოსოფია" და „უთანასწორობის ფილოსოფია". თუ საზოგადოება გათანაბრების პრინციპით მოქმედებს, იქ არც უთანასწორობა იქნება, არც თავისუფლება. ყველას თუ გაანთავისუფლებ უფლებებისა და საკუთრებისაგან, ყველა თანასწორი იქნება, მაგრამ თავისუფალნი არავინ. კლასობრივ დაყოფას სხვასთან ერთად ის ნაკლიც ახასიათებს, რომ უთანასწორობის პრობლემის იგნორირებას ახდენს. მაშინ როდესაც სტრატიფიკაცია უთანასწორობას, და აქედან გამომდინარე ვერტიკალურ მობილობას ემყარე-

ბა. სტრატიფიკაციის თეორიამ დიფერენციაციის არსებით კრიტერიუმად შრომის ხასიათი გამოაცხადა. შესაბამისად საზოგადოება იყოფა მმართველებად, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალად, ე. ი. თეთრსაყელოიანებად, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებად და ა. შ. სტრატიფიკაცია ხასიათდება იერარქიით, მაღალი და დაბალი ფენების არსებობის აღიარებით. სოციალურ უთანასწორობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. პიტირიმ სოროკინის მიხედვით ასეთია უფლებები და პრივილეგიები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა, სიმდიდრე და სიღატაკე, ძალაუფლება და გავლენა. სტრატიფიკაცია მრავალგანზომილებიანია: ღირებულებითი, სოციალურ-ურთიერთობითი და პიროვნების მოქმედებითი. თითოეულ მათგანს მრავალი კომპონენტი განსაზღვრავს: სტრატიფიკაცია კლასობრივ დაყოფაზე უფრო მეტ ფაქტორებს მოიცავს და ამიტომ უფრო ღირებულია.

3. სოციალურ სტრუქტურათა კვლევის ძირითადი მიმართულებანი და მეთოდოლოგიური პრინციპები

სტრუქტურული ფუნქციონალიზმი თანამედროვე სოციოლოგიის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა. ამ თეორიის სათავეები სპენსერის, შეფლეს და სხვა ორგანიცისტული სისტემის სოციოლოგიურ მოძღვრებებში გვხვდება. ამის მიუხედავად, სტრუქტურის მარქსისეული ანალიზის უპირატესობას აღიარებს ყველა ის ცნობილი სოციოლოგიც კი, რომელიც მარქსის თეორიას უპირისპირდება. ამერიკელი სოციოლოგების როსკო ჰინკლისა და ალვინ ბოსკოვის აზრით, „კარლ მარქსი იყო პირველი, ვინც შექმნა და დაამუშავა კლასის და მასთან დაკავშირებული მოვლენების ეკონომიკური საფუძვლის ყოვლისმომცველი თეორია, თუმცა მას არ მოუცია „კლასის“ განსაზღვრება იმ სახით, როგორც ამას სახელმძღვანელოებში ვხვდებით. ის, მიუხედავად ამისა, იქცა ეკონომიკურ ახსნათა კლასიკურ წყაროდ, რომელიც, რასაკვირველია, უნდა გავაკრიტიკოთ, მაგრამ რომლის უგულებელყოფა არ შეიძლება“. (26, 418).

სოციალური სტრუქტურის კვლევის მარქსისტული თეორიის პრიმატგზე მიუთითებს ცნობილი დასავლეთგერმანელი სოციოლოგი რალფ დარენდორფიც. მიუხედავად იმისა, რომ დარენდორფი აშკარად აცხადებს თავის მიზნად მარქსის კლასთა ბრძოლის თეორიის უარყოფას, მაინც აღიარებს, რომ „მარქსის იგნორირება შესაძლებელია, მაგრამ ასეთი მოქმედება გულუბრყვილო და ზედაპირულია. არც ერთი ფიზიკოსი არ მოახდენს აინშტაინის იგნორირებას იმის გამო, რომ ის მის პოლიტიკურ შეხედულებებს არ ეთანხმება. ჩვენ ამ გამოკვლევაში მარქსიდან ამოვდივართ, რადგან კლასთა თეორიის მარქსისტული ფორმულირება დღემდე პირველი და ერთადერთია“. (166, 122).

მარქსი აღნიშნავდა, რომ კლასები მას არ აღმოუჩენია და საზოგა-

დოების კლასობრივი სტრუქტურის თეორია უფრო ადრე შექმნეს ფრანგმა ისტორიკოსებმა, მაგრამ კლასის სწორედ მარქსისტული ცნება გახდა წამყვანი სოციოლოგიაში. ამიტომაა, რომ მარქსის თეორიის გარშემო წარმოებს ბრძოლა სოციალური სტრუქტურის საკითხებში.

სოციალური სტრუქტურის მარქსისტული თეორიისადმი მიმართების თვალსაზრისით თანამედროვე სოციოლოგია ორ ნაკადად იყოფა: ერთნი ინარჩუნებენ კლასის ცნებას და ცდილობენ მისი შინაარსი შეცვალონ სხვა ნიშნებით (გამოიყენონ რა მას სხვა კრიტერიუმებით: სოციალური სტატუსი, სოციალური პრესტიჟი, სოციალური ადგილი, სოციალური როლი და სხვა). მეორენი უარყოფენ როგორც კლასის ცნებას, ასევე მის შემქმნელ კრიტერიუმებს და ცდილობენ მის შეცვლას სოციალური ფენების, სოციალური კასტების, სოციალური წოდებებისა და ელიტის ცნებებით.

სოციალური სტრუქტურის ეკონომიკური კრიტერიუმით კლასიფიკაცია ამერიკულ სოციოლოგიაში გავრცელდა ევროპის სოციოლოგიიდან. პირველ ხანებში სტრუქტურის პრობლემა, როგორც თვით ამერიკელებიც აღნიშნავენ, „რჩებოდა დაქვემდებარებული და მეორადი სხვა ინტელექტუალური პრობლემების მიმართ", ამდენად მათ მხოლოდ ის აითვისეს, რაც შეიმუშავეს ევროპელმა სოციოლოგებმა: მაქს ვებერმა, ლეოპოლდ ფონ ვიზემ და სხვებმა. ამ პერიოდში ამერიკული სოციოლოგია სტრატიფიკაციის საფუძვლად იყენებდა ევროპაში დადგენილ კრიტერიუმებს; „კლასის ყველაზე ზოგადი კრიტერიუმები იყო წარმოებისადმი დამოკიდებულება; პროფესია, სიმდიდრე, შემოსავლის ოდენობა, საკუთრება, ქონება, ძალაუფლება და პრივილეგიები, შემოსავლის ტიპი, კვალიფიკაციის ხარისხი და ცხოვრების დონე ამ მიმართებით ნაკლებად იყო გამოყენებული. განათლება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არაეკონომიკურად დამახასიათებელი ნიშნებიდან. თუმცა ის ხშირად განიხილებოდა როგორც პროფესიის ან შემოსავლის შედეგი. ჩვეულებრივ იშვიათად იხსენიებოდა განსხვავება გემოვნებაში, მორალურ სტანდარტებში, მიზნებში, ღირებულებებსა ან კულტურაში. ეკონომიკურ კრიტერიუმზე აქცენტი უკანა პლანზე სწევდა ჯგუფური ორგანიზაციის სოლიდარობისა და გაცნობიერების საკითხებს". (26, 426).

უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა შეიცვალა: ამერიკულ სოციოლოგიაში სტრატიფიკაციის საკითხებმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. ამასთან დაკავშირებით უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა სტრატიფიკაციის ახალი მეთოდიკის შექმნას, განსაკუთრებით კი სტრატიფიკაციის ლოგიკის გამარტივებას, მის გადაყვანას წმინდა ემპირიული კვლევის ნიადაგზე, რაც იმდენად განვითარდა, რომ ევროპაში არ აღმოჩნდა შესაბამისი მეთოდები და ევროპელი სოციოლოგები იძულებული იყვნენ მიემართათ ამერიკელთა ამ ახალი მეთოდოლოგიური

საწყისებისათვის. ამ ფაქტის შესახებ კელნელი სოციოლოგები ერვიკ შოიხი და ჰანს იურგენ დაპაიმი წერენ: „როცა კელნში სოციალური ფენობრივი დაყოფის ემპირიულ გამოკვლევას ვაწარმოებდით, დაგვჭირდა ინსტრუმენტი სოციალურ ფენათა იდენტიფიცირებისათვის... ასეთი ინსტრუმენტი მაშინ გერმანიაში არ იყო და ორიენტირება მოგვიხდა ამერიკაზე" (171, 67).

სოციალურ სტრუქტურათა კვლევის ამ ახალი მეთოდოლოგიის არსი ისაა, რომ იგი სოციალური პრესტიჟის, სოციალური სტატუსისა და სოციალური როლის განსაზღვრისას, ეკონომიკურ კრიტერიუმებს უკუაგდებს და მათ ადგილას სვამს არაეკონომიკურ კრიტერიუმებს, ისეთებს, როგორიცაა ფუნქციერების უნარი; განათლება, დასპეციალების დონე და სხვა. ასეთ კრიტერიუმთა გამოყენებით სოციალური დიფერენციაციის ისეთი სურათი მიიღება, რომელშიც კლასის ცნება, როგორც მყარი სოციალური სტრუქტურის გამომხატველი, „გაწყალებულია". ამ შემთხვევაში, როგორც დარენდორფი აღნიშნავს, ძველი ახლით უნდა შეიცვალოს: ეს კი ხდება ძველის დაძლევით, რაც სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს:

1. თეორიის ნამდვილობის შეზღუდვით, მისი დაყვანით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ვითარებამდე („კაპიტალიზმი");

2. თეორიის ახალი ფორმულირებით მისი ელემენტების შეცვლის გზით;

3. თეორიის სრული უკუგდებით და მისი შეცვლით სოციალური სტრუქტურის ახალი თეორიით. (166, 79).

სოციალური სტრუქტურის თეორიის პირველი ტიპის გამომხატველია ლეოპოლდ ფონ ვიზეს მიერ წამოყენებული სოციალური სტრუქტურის თეორია. ვიზეს აზრით,სოციალური სისტემის ოთხი ტიპია ცნობილი: კარინული, ბურეუაზიული, დომინური და ინდუსტრიული, რომელთაც საკუთარი ფენობრივი სტრუქტურები ახასიათებთ. კარინულ სისტემაში ფენებად მაკავშირებელი და ფენების ურთიერთისაგან განმასხვავებელი არის სისხლი, რის შედეგადაც აქ დამყარებულია მოხუცთა ბატონობა — „გერონტოკრატია", დომინურ სისტემაში ბატონობს ომი და მიწა, რის შედეგადაც საზოგადოება იყოფა რაინდებად, მემამულეებად და ვაჭრებად, აგრეთვე თავისუფალ და ნახევრად თავისუფალ ანუ ყმა გლეხებად. ბურეუაზიულ სოციალურ სისტემაში სამი ფენაა: უმაღლესი, საშუალო და დაბალი — პროლეტარიატი. აქ შეიძლება კლასობრივ სტრუქტურაზე ლაპარაკი, რაც ადრე შეუძლებელი იყო. ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ფენებია ელიტები.

ამრიგად ვიზესთვის კლასები მხოლოდ განსაზღვრული ეტაპის სოციალურ სტრუქტურას გამოხატავს, კერძოდ კაპიტალიზმის სტრუქტურას. ანალოგიურ თვალსაზრისს, მაგრამ უფრო სრულყოფილად, ავი-

თარებს დრაიტცელიც. მისი აზრით, „ელიტის ცნება ინდუსტრიული საზოგადოების შედეგია. ისევე როგორც ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო „წოდებათა“ ცნება, ხოლო ბურჟუაზიულისათვის — კლასების ცნება, ასევე თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისათვის ნიმანდობლივია ელიტის ცნება. მამასადამე, წოდება, კლასი,ელიტა გამოხატავს იდეალური ტიპური ბატონობის სტრუქტურის ისტორიულ განვითარებას“. (167, 5).

სოციალური სტრუქტურის მარქსისტული თეორიისადმი დამოკიდებულების მეორე ტიპის წარმომადგენელია ფალუ დარენდორფი, რომელიც, უკუაგდებს რა კლასის ცნების მარქსისტული განსაზღვრის კრიტერიუმს, ცდილობს, კლასის ცნების ახალი ინტერპრეტაცია ჩამოაყალიბოს და ამ ნიადაგზე შექმნას სოციალური სტრუქტურის ერთიანი თეორია (კლასობრივი სტრუქტურის სახით), რომელიც ყველა საზოგადოებისათვის გამოდგება. მაგრამ არსებითად განსხვავდება მარქსის თეორიისაგან. დარენდორფის აზრით, მარქსთან კლასების ცნება პოლიტიკურ შეფასებებით და ფილოსოფიური მსოფლმხედველობით არის გაპირობებული და დარენდორფი თავის ამოცანად თვლის კლასის ცნების განთავისუფლებას ამ „მინარევებისაგან“. ჩვენ შეეეცდებით, კლასების ცნება და კლასების თეორია სოციოლოგიური ანალიზის ზუსტი ინსტრუმენტი გაეხადოთ, ისე რომ არ შეეაფერადოთ შეფასებებით (166, 2).

დაბოლოს, თეორიის მესამე ტიპი საერთოდ უარყოფს „კლასის“ ცნებას როგორც სოციალური ორგანიზაციის გამომხატველს და ცვლის მას სხვა ცნებებით (ფენები, კასტები, ელიტა და ა. შ. სახით).

სოციოლოგთა ეს ჯგუფი თვლის, რომ სოციოლოგიის ამოცანაა მცირე ჯგუფების კვლევა: ყოველგვარი ჯგუფები — დაწყებული კარის მეზობლებით დ დამთავრებული მსხვილ წარმოებაში ერთად მომუშაევებით, დაწყებული ოჯახური ურთიერთობით და დამთავრებული პროფესიული ერთიანობით — არის ცალკეული კვლევის ობიექტი. ამ სოციოლოგებში ერთიანდებიან როგორც მიკროსოციოლოგები, ისე სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ის წარმომადგენლები, რომლებიც კმაყოფილდებიან ე. წ. „სოციალური ატომების“ კვლევით და არ სურთ სოციალური სტრუქტურის უფრო დიდ ერთეულთა კვლევა, რადგან, მათი აზრით, იგი ემპირიული კვლევის შესაძლებლობის მიღმაა. ყოველ შემთხვევაში ისინიც კი, ვინც დიდ ერთეულებს იკვლევენ, შემოიფარგლებიან ფენის ცნებით და არ მიდიან კლასის აღიარებამდე.

მეთოდოლოგია, რომლითაც ხდება სოციალური სტრუქტურის კვლევა თანამედროვე სოციოლოგიის იმ მიმდინარეობებში, რომლებიც ფენობრივ სტრუქტურას იკვლევენ,აგებულია რამდენიმე საერთო პრინციპზე. კვლევა წმინდა ემპირიული ხასიათისაა, კვლევის მეთოდებად გამოყენებულია ანკეტური და ინფორმაციის მეთოდი; ანკეტური მეთოდით გარკვეუ-

ლი ობიექტური მონაცემების გზით ხდება ფენათა კლასიფიკაცია მათი პროფესიის, შემოსავლის, სოციალური მდგომარეობის, განათლებისა და სხვა კრიტერიუმების საფუძველზე. ამ მეთოდის დადებით მხარეებზე, ამერიკელი სოციოლოგი ლეონარდ ბრუმი აღნიშნავს: „როგორც მდგომარეობის ცვლადი, სტატუსთა სიმყარე შეიძლება განისაზღვროს ინდივიდის მაჩვენებელთა სიდიდის დახმარებით მთელ რიგ თანრიგებად დაყოფილი ატრიბუტების მიხედვით. ამ მაჩვენებელთა სამყაროს შესწავლით შეიძლება დადგენდეს: ჯერ ერთი, რამდენად კარგად „შეესაბამება" ერთმანეთს ატრიბუტები და სოციალური როლები, რომლებიც მათ მფლობელებს აკისრიათ, მეორეც, როგორ გამოიყურება მოცემული ინდივიდის ყოველმხრივი სოციალური მდგომარეობა იმავე საზოგადოებაში სხვა ინდივიდების სოციალურ მდგომარეობასთან შედარებით. განზოგადებისათვის არჩეული ატრიბუტები შესაძლებლობის ფარგლებში მდგომარეობის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ სოციალური წყობის ფუნქციონირებისათვის. ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ატრიბუტები, გამოყენებული ლენსკის მიერ, — სამუშაოს სახე, შემოსავლის სიდიდე, განათლების დონე და ეთნიკური კუთვნილება — კარგადაა შერჩეული თანამედროვე ამერიკის საზოგადოებისათვის". (94, 479).

გერმანელი სოციოლოგები შოიხი და დაპაიმი ამ სტატუსის განმსაზღვრელ მეთოდს უფრო კონკრეტულ სახეს აძლევენ. ისინი სამ მომენტს ასახელებენ: მეურნეობრივ მდგომარეობას, პროფესიისადმი კუთვნილებას და კულტურულ დონეს. ამ მაჩვენებელში არსებობს კიდევ ინდიკატორთა სიმრავლე; სახელდობრ, მეურნეობრივი მდგომარეობა წარმოდგენილია ოთხი ინდიკატორით; ესენია: ოჯახის უფროსის პიროვნული შემოსავალი, შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე, მატერიალური კეთილდღეობა და თითოეულ სულზე საცხოვრებელი ფართობი.

მეორე პუნქტი — პროფესიისადმი მიკუთვნება მხოლოდ ერთი ინდექსითაა წარმოდგენილი, სახელდობრ, პროფესიული წრეებით.

მესამე პუნქტი — კულტურული დონე ოთხ ინდიკატორს მოიცავს: სასკოლო განათლებას, კითხვის დონის ინდექსს, კონცერტებზე დასწრებას და კინოფილმების ნახვას. (171, 70-71).

მეორე მეთოდი, რომელსაც იყენებენ სოციალური სტრუქტურის კვლევის პროცესში, არის „მდგომარეობის გაცნობიერების" სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდი. აქ კვლევა წარმოებს არა ობიექტური მონაცემების საფუძველზე, არამედ კვლევის ობიექტის ინდივიდის თავისთავზე წარმოდგენის მიხედვით. ეს უკვე სოციალური სტატუსის სხვა და ამავე დროს წინმავალთან დაკავშირებული ცვლადია. ინდივიდის მიერ საკუთარი ანუ სხვის სტატუსთა სიმყარის გაცნობიერება ანუ გაგება აქ არაა არც დამთხვევა და არც იმის მოთხოვნა, რომ სუბიექტის

ᲛᲔᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ „ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ“ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ. „ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ“ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲪᲜᲔᲑᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲡᲣᲤᲠᲝᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ“ (94, 480). ᲡᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐᲐ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲣᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ. ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ, ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ, ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲣᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘᲪ, ᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲐᲥᲡ ᲕᲔᲑᲔᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ, ᲛᲐᲥᲡ ᲕᲔᲑᲔᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ-ᲢᲘᲞᲣᲠᲘᲡ ᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲝᲛᲘᲜᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲣᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ, ᲘᲡᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ. ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲘᲞᲘ ᲛᲐᲥᲡ ᲕᲔᲑᲔᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ; ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ „ᲘᲓᲔᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐᲨᲘ „ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲗᲐ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲡᲐᲥᲝᲜᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ. ᲔᲡ ᲐᲖᲠᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲖᲠᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲗ ᲔᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ ᲐᲒᲐᲠᲔᲑᲡ ᲣᲢᲝ�პᲘᲣᲠ ᲗᲐᲡᲘᲐᲗᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲬᲐᲛᲝᲬᲔᲕᲘᲗ“ (174, 195).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲙᲘᲜᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ-ᲢᲘᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲗᲔᲚᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ „ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ, ᲐᲨᲣᲥᲔᲑᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲡ“. ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓ ᲑᲠᲣᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲢᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲣᲚ-ᲐᲢᲠᲘᲑᲣᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲡ ᲛᲘᲕᲧᲐᲕᲐᲠᲗ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲑᲐᲓ, ᲤᲣᲜᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲧᲝᲤᲐᲛᲓᲔ. „ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲤᲣᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲘᲒᲘᲔᲕᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ“. ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲥᲡ ᲕᲔᲑᲔᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ-ᲢᲘᲞᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲞᲢᲣᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲖᲐᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘᲪ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲔᲑᲖᲔ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ ᲓᲝᲛᲘᲜᲐᲜᲢᲣᲠ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲫᲔᲜᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲓᲠᲐᲘᲢᲪᲔᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ „ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ — ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ-ᲢᲘᲞᲣᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐ-

ზოგადოების სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი არ გამორიცხავს პირველსაც, მაგრამ მეორე უფრო მეტს იძლევა". (167, 8).

თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიაში გაბატონებული სოციალური სტრუქტურის კვლევის მეთოდოლოგია დასაბამს მაქს ვებერთან იღებს. ეს განსაკუთრებით ეხება სტრუქტურულ ფუნქციონალიზმში გაბატონებულ საზოგადოების დანაწევრებას სოციალური პრესტიჟის, სოციალური როლის და სოციალური სტატუსის მიხედვით. როგორც პოლონელი ვლოდზიმეჟ ვესელოვსკი ასაბუთებს, „პრესტიჟის კრიტერიუმით ფენებად დაყოფა, როგორც დანაწევრების განსაკუთრებული განზომილება, რომელიც გამოაცალკევა მაქს ვებერმა, თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგების ემპირიული კვლევის ინტენსიური სფერო გახდა. ამერიკელმა სოციოლოგებმა მიიღეს ტერმინი Sozialstatus, რომელიც პიროვნების სოციალურ მდგომარეობას აღნიშნავს და რომელთანაც დაკავშირებულია გარკვეული ზომის პრესტიჟი. „სოციალური მდგომარეობა" განისაზღვრება უმთავრესად ისეთი სოციალური ატრიბუტებით, როგორიცაა სიმდიდრე, განათლება, კვალიფიკაცია. პრესტიჟი სოციალური მდგომარეობის სუბიექტური მხარეა, ცნობიერების ელემენტია". (39, 197) ვესელოვსკი გარკვეულად სისტემატური ფორმით წარმოადგენს პრესტიჟის მიხედვით საზოგადოების დანაწევრების ემპირიულ კვლევას და მიუთითებს სტრატიფიკაციის სამ განზომილებაზე. სტატუსის, კლასებისა და ძალაუფლების მიხედვით. მისი აზრით, „თანამედროვე საზოგადოებაში ამ განზომილებებს შედარებით დამოუკიდებლობა აქვს და დანაწევრებაზე მსჯელობისას საჭიროა მათი ანალიტიკური დიფერენცირება. ძირითადად ეს ეხება პრესტიჟის მიხედვით დანაწევრების ადგილს და დანაწევრების შინაგან პრობლემებს, რომელთაგან ავტორი გამოყოფს ოთხ ჯგუფს; ესენია:

1. პრესტიჟის დეტერმინანტების პრობლემებისადმი „ანალიტიკური" და „ოპერაციონალისტური" მიდგომა; ამასთან, შეიძლება პრესტიჟის კრიტერიუმით დანაწევრება პირველადად და მეორადად. პირველადია სიმდიდრე, ძალაუფლება, კვალიფიკაცია; მეორადია ამხანაგური ურთიერთობანი და ცხოვრების სტილი;

2. სოციალური იერარქიის ერთიანი ან დიფერენციალური აღქმისთვის საზოგადოებაში არსებულ ღირებულებათა სისტემის თუ სისტემათა როლი;

3. სოციალური სტატუსის მიხედვით დანაწევრების აღქმაში განსხვავება მცირე დასახლებებსა (communite) და დიდ ქალაქებში (metropolis), ასევე მთელი საზოგადოების მასშტაბით. ავტორს მართებულად მიაჩნია კაუფმანის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ლოკალური ჯგუფები თუ პიროვნება მთლიანად ფასდება, მაშინ, როდესაც დიდ ქალაქებში შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ ფორმალური სტატუსი, განსაზღვრუ-

ლი, მაგალითად, პროფესიული პოზიციით;

4. ავტორის აზრით, მნიშვნელოვანია დისკუსია დანაწევრების „კატეგორიულ“ და „კონტინუალურ“ თეორიათა მომხრეებს შორის. იგი უპირატესობას ანიჭებს კონტინუალურ თეორიას, რადგან ის უფრო დანაწევრებულად განიხილავს პიროვნების ძალაუფლებას და სხვა სოციალურ ატრიბუტებს. ავტორს ვრცლად აქვს წარმოდგენილი სოციალური პრესტიჟის მიხედვით საზოგადოების დიფერენციაციის მეთოდოლოგია. ჩვენთვის საინტერესო იყო იმის დემონსტრაცია, რომ ავტორი ამ მეთოდოლოგიის წყაროდ მიიჩნევს მაქს ვებერს, და ეს მეთოდოლოგია დღეს ეაცილებით უფრო მრავალმხრივია, ვიდრე მაქს ვებერს შეეძლო ამის წარმოდგენა.

4. პიროვნება, სტატუსი, როლი და სოციალური სტრუქტურა

ტრადიციულად სოციოლოგიაში პიროვნება ან სოციოლოგიის გარეთ განიხილებოდა, როგორც ფსიქოლოგიის პრობლემა, ან სოციოლოგიაში, სოციალურ სტრუქტურასთან მიმართების გარეშე. ორივე შემთხვევაში სოციოლოგიური თეორია არასწორად აიგებოდა, რადგან პიროვნება სოციალური სტრუქტურის ელემენტია და შეუძლებელია, სოციალური სტრუქტურის გაგება მისი ელემენტის შემეცნების გარეშე. XXეოცე საუკუნეში ინკელსმა და ზოგიერთმა სხვა სოციოლოგმა, გაამახვილეს ყურადღება სოციალური სტრუქტურისა და პიროვნების საკითხზე. როგორადაც არ უნდა გადაწყდეს სოციალური სისტემისა და ელემენტის ანუ მთელისა და ნაწილის მიმართება — ერთ შემთხვევაში სისტემისა და მთელის სასარგებლოდ, როცა სისტემა და მთელი ცხადდება განმსაზღვრელად, (დიურკჰეიმი), ან მეორე შემთხვევაში, როცა ელემენტი და ნაწილი ცხადდება სოციალური მთელის თუ სისტემის განმსაზღვრელად — ორივე ვითარებაში აღიარებულია მათ შორის კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა და ამდენად შეუძლებელია სოციალური სისტემის ელემენტის კვლევა საკვლევი სისტემის ველის გათვალისწინების გარეშე, ასევე სოციალური სისტემის კვლევა ელემენტის ფუნქცირების და ხასიათის გაუთვალისწინებლად. სოციალური სისტემის სოციალური სტრუქტურის ცვლილების კვლევა აუცილებლობით რომ უკავშირდება პიროვნების სტრუქტურას, როლებსა და ფუნქცირებას, ეს უკვე მაქს ვებერთან იქნა გაცნობიერებული, რადგან მან სოციალური გამოაცხადა გარკვეულ ურთიერთობათა სისტემაში ადამიანის ქცევად. ესე იგი არა ყოველგვარი ადამიანური ქცევა და მიმართება, - იქნება ეს ბუნებრივ თუ კულტურულ ნივთებთან, — არამედ ისეთი ქცევა, რომელიც მეორე ადამიანისგან მოითხოვს საპასუხო რეაქციას. ესე იგი ქცევა მიმართული სხვაზე, დამოკიდებულება „მესა“ და „შენს“ შორის, როცა ერთის ქცევა შესაბამის სოციალ-

ურ მოლოდინებს ემყარება მეორეს მხრიდან. სოციალური პირველ რიგში დაკავშირებულია მოქმედებასთან, მაგრამ არა ყოველგვარ მოქმედებასთან. "მისგან გამოირიცხება სუბიექტის დამოკიდებულება, როგორც ნივთთა სამყაროსთან, ისე საკუთარ თავთან და მოქმედება მხოლოდ სხვა ადამიანთა მიმართ დამოკიდებულებაში ატარებს სოციალურ ხასიათს". „სოციალური მოქმედება შეიძლება იყოს ორიენტირებული ქცევაზე წარსულში, აწმყოში ან მომავალში. მოქმედების ყველა სახეობა, მათ შორის გარეგანიც, არ იქნება სოციალური, აქ მიღებული აზრით. გარეგანი მოქმედება არ შეიძლება სოციალურად იწოდებოდეს იმ შემთხვევაში, თუ ის ორიენტირებულია მხოლოდ ნივთიერ ობიექტთა ქცევაზე. შინაგანი მიმართება სოციალური ხასიათისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის ორიენტირდება სხვათა ქცევაზე". (36, 625) სოციალურის ეს გაგება არაა ერთადერთი და, ბუნებრივია, ის შეიძლება სოციალურის ვიწრო გაგებათა წრეში მოექცეს, რადგან სოციალური, ფართო აზრით, ესაა ადამიანი და მისი ქმნილებანი. ვებერის მიერ შემოტანილი სიახლე ჩვენი საკითხის გადასაწყვეტად ისაა, რომ სოციალურის ასეთი გაგების შემთხვევაში შეუძლებელი ხდება სოციალური სტრუქტურის ინსტიტუტებისა და ცვლილებათა განხილვა პიროვნების სოციალური სტატუსის გარეშე. პიროვნების სოციალური სტატუსის ცნებაც ვებერის შემოტანილია სოციოლოგიაში. კლასიკური სოციოლოგია არ განიხილავდა სოციალურ სტრუქტურასა და სოციალურ ცვლილებებს ინდივიდთან მიმართებაში (ვებერისა და დიურკჰეიმის გამოკლებით). მას სოციალური სტრუქტურა და ცვლილებები გლობალური მასშტაბებით აინტერესებს. იგი სოციალურ ერთობათა სტრუქტურისა და ცვლილების თეორიას პიროვნების გათვალისწინების გარეშე განიხილავდა, უგულებელყოფდა იმას, რომ სოციალური სტრუქტურის ელემენტების და ცვლილების მამოძრავებელი პიროვნებანი და რომ არსებითად მათ მდგომარეობასა, პოზიციებსა და ფუნქცირებაზე დამოკიდებულია სოციალური სტრუქტურირება და ცვლილებაც. უნდა აღინიშნოს ამ საკითხში ზიმელის დამსახურება, რომელმაც სოციალური მოვლენები განიხილა მაკრო და მიკრო განზომილებაში. შემდგომში ამ მიმართებით მორენომ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი, როდესაც მაკრო სტრუქტურების მიმართ განმსაზღვრელად გამოაცხადა მიკროსტრუქტურები. სოციალურ სტრუქტურაზე პიროვნების როლის და გავლენის საკითხის დაყენება აღნიშნული წინამორბედებიდან ამოსვლით მოცემული აქვს ალექს ინკელსს შრომაში — „პიროვნება და სოციალური სტრუქტურა". მან გააანალიზა როგორც პიროვნების გავლენა სოციალურ სტრუქტურაზე, ისე სოციალური სტრუქტურის გავლენა პიროვნებაზე, ამასთან ერთად პიროვნებისა და სოციალური ინსტიტუტების, პიროვნებისა და სოციალური ცვლილების მიმართება და მათი კავშირი პიროვნების და სოციალური სტრუქტურის მიმართებასთან. ინკელსის მტკიცებით, „ვინც სოციალ-

ურ სტრუქტურას სწავლობს, ის ცდილობს ახსნას ინსტიტუციონალიზებულ ორგანიზაციათა ცალკეული ჯგუფების მოქმედების შედეგები. ამისთვის მან სწორად უნდა შეაფასოს ასეთ ორგანიზაციათა მნიშვნელობა, ან მათი გავლენა ადამიანის პიროვნებაზე. საბოლოო ანგარიშით ყველა ინსტიტუციონალური ორგანიზაცია გაშუალებულია ადამიანის ინდივიდუალური მოქმედებით, ამიტომ ყოველი ინსტიტუციონალური ორგანიზაციის შედეგები ნაწილობრივ მაინც დამოკიდებულია ადამიანის პიროვნებაზე გავლენისაგან, მაშასადამე ადამიანის პიროვნების სისტემა ხდება ერთ-ერთი დამატებითი ცვლადი სოციალური სტრუქტურის ამა თუ იმ ასპექტის ზემოქმედების ყოველი შეფასების დროს. პიროვნების თეორიის მოთხოვნილება, როგორც ჩანს, მეტად მწვავედ შეიგრძნობა იმ „ცვლადის" კვლევისას, რომელიც ჯამი, ან საბოლოო პროდუქტია ათასობით და მილიონობით ინდივიდუალურ გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა, მაგრამ განსხვავდება მასშტაბებით, საზოგადოებათა და კულტურათა მისედვით" (94, 274). დანაშაულისა და თვითმკვლელობის ანალიზის საფუძველზე, ინკელსი აჩვენებს, რომ აუცილებელია პიროვნების ფაქტორის გათვალისწინება საზოგადოების სტრუქტურასა და ცვლილებებში. ამავე დროს, ის თავს არიდებს სოციალური რეალობის პიროვნებაზე დაყვანას, არ ამცირებს სოციოლოგიური ფაქტების ღირებულებას, მაგრამ მიუთითებს, რომ პიროვნების ფსიქოლოგიური ფაქტორი აუცილებელია სოციალური სტრუქტურების და ინსტიტუტების, ასევე სოციალური ცვლილებების შესასწავლად. ინკელსი გამიჯნავს სოციალურ პირობებს და პიროვნებას. აღნიშნავს: „იმის აღიარება, რომ სოციალური პირობები და პიროვნება განსხვავებულია და გარკვეულწილად სოციალური მოქმედების დამოუკიდებელი დეტერმინანტებია, არის თავისებური საფუძველი შემდგომი დიფერენციაციისათვის, რაც ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს მოქმედების სპეციფიკურ სახეობათა ანალიზში" (94, 279). ანალოგიურად ელინდება კავშირი პიროვნებასა და სოციალურ ცვლილებებს შორის ერიხ ფრომმა ნაშრომში — „თავისუფლებიდან გაქცევა" — აჩვენა, რომ პიროვნების განსხვავებული მდგომარეობანი, მარგოობა და თავისუფლება, განსაზღვრავს საზოგადოების მობილობას, და რომ სოციალურ ცვლილებათა გაგება შეუძლებელია პიროვნების მდგომარეობათა გათვალისწინების გარეშე. ფრომი აჩვენებს, რომ თანამედროვე საზოგადოება, რომელმაც ადამიანს პიროვნული თავისუფლება მიანიჭა, ვერ უზრუნველყოფს მისთვის სოციალურ სტრუქტურაში მყარ და საბრისიან ყოფიერებას. ამიტომ ადამიანი გაურბის თავისუფლებას, უარს ამბობს მასზე. თანამედროვე საზოგადოება ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალიზებული ადამიანისათვის სხვა ადამიანებთან აქტიურ სოლიდარობას. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პირობები, რომლებზეც დამოკიდებულია ადამიანის ინდივიდუალიზაციის მთელი პროცესი, ვერ ხდება პიროვნების

პოზიტიური რეალიზაციის საფუძველი. ამავე დროს, ადამიანები კარგავენ პირველად კავშირებს, რომლებიც მათ საკუთარი ძალების რწმენას ანიჭებდა. ამიტომ ასეთი გათიშვა თავისუფლებას აქცევს აუტანელ ტვირთად, იგი ხდება ეჭვის წყარო, მიზანს და საზრისს მოკლებული ცხოვრება მოაქვს და მაშინ ასეთი თავისუფლებისგან განთავისუფლების ძლიერი ტენდენცია წარმოიშობა" (152, 40).

თანამედროვე ადამიანს მზარდ თავისუფლებასთან ერთად მზარდი იზოლირებაც და უბედურების გრძნობა ახასიათებს. შუა საუკუნეებში მისი მდგომარეობა განსხვავებული იყო. მას არ ჰქონდა პიროვნული თავისუფლება, მაგრამ ჰქონდა საზოგადოებრივ სტრუქტურაში მტკიცედ განსაზღვრული სტატუსი, ამიტომ "არ ყოფილა არც მარტო და არც იზოლირებული" შუასაუკუნეობრივი საზოგადოება „ერთი მხრივ იყო სტრუქტურირებული და ადამიანს უნერგავდა თვითდაჯერებულობის გრძნობას, მეორე მხრივ ადამიანი მას ბორკილებში ჰყავდა". (152, 45).

საზოგადოებაში პიროვნების ორი განსხვავებული მდგომარეობა განსხვავებულ სტრუქტურას ქმნის, რომელთა ცვალებადობა განისაზღვრება პიროვნების ამ მდგომარეობებით — იქნება ეს იზოლირებულობა, მარტოობა და თავისუფლება, თუ სტრუქტურაში მყარად მოქცევა პიროვნული თავისუფლების გარეშე.

ფრომი აანალიზებს საზოგადოების ცვლილებისდაკვალად პიროვნების ცვლილებას. „გვიანდელ შუა საუკუნეებში საზოგადოების ერთიანობა და ცენტრალიზაცია სუსტდება. საზოგადოების ყველა კლასში შეინიშნებოდა ინდივიდუალიზმის განვითარება, რომელიც გავლენას ახდენდა ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროზე. შუასაუკუნეობრივი სოციალური სტრუქტურის პროგრესირებადი რღვევის შედეგი იყო ინდივიდის წარმოშობა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით". (152, 46, 47).

ანალოგიურად ვლინდება კავშირი სოციალურ ინსტიტუტებსა და პიროვნებას შორის, რამაც მაქს ვებერთან პოვა საფუძვლიანი ასახვა. თუ მისი ძირითადი წანამძღვრებიდან ამოვალთ, რომლითაც სოციალური დაყვანილია სოციალურ მოქმედებაზე, ამ მოქმედების შედეგებშია სოციოლოგიისათვის საინტერესო სოციალური ინსტიტუტები გამოხატული. სოციალური მოქმედება ვებერთან ოთხი სახით ვლინდება: 1. მიზანრაციონალური — როცა მის საფუძველში გარე სამყაროს საგნებისა და სხვა ადამიანის განსაზღვრული ქცევის მოლოდინია. ეს მოლოდინი გამოიყენება რაციონალურად ასახული და მოფიქრებული მიზნის მისაღწევ პირობად ან საშუალებად; 2. ღირებულებით რაციონალური, რომელიც ემყარება განსაზღვრული ქცევის უპირობო ესთეტიკური, რელიგიური ან სხვა რომელიმე თვითკმარი ღირებულების რწმენას; 3. აფექტური, პირველ ყოვლისა, ემოციური, განპირობებული ინდივიდის აფექტური თუ ემოციური მდგომარეობით; 4. ტრადიციულ, — დამყარე-

ბული ხანგრძლივ ჩვეულებაზე. სოციალური მოქმედების ყველა ეს სახეობა ერთნაირად ზემოქმედებს სოციალურ სტრუქტურაზე, ცვლილებებზე და სოციალურ ინსტიტუტებზე.

სოციალური სტრუქტურა სოციალურ მოქმედებაშია გამოელენილი, სოციალური მოქმედებანი კი სოციალურ ურთიერთობათა სფეროა. „სოციალურ მოქმედებას აღგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა ლაპარაკია ისეთ სოციალურ ქმნილებებზე, როგორიცაა: „სახელმწიფო", „ეკლესია", „საზოგადოება", „ქორწინება" და ასე შემდეგ. სოციალური მოქმედება მთლიანად და სავსებით იმის შესაძლებლობაა, რომ განსაზღვრებადი მოქმედება თავისი საზრისით მეორის მოქმედებასთან თანაფარდობადი იყო, არის და იქნება" (36, 636). ვებერი მართებულად მოითხოვს, რომ არ დაეშვათ სუბსტანციურობის შეცდომა და არ წარმოეიდგინოთ სოციალური ინსტიტუტები სოციალურ მოქმედებათაგან მოწყვეტილად, რადგან ისინი ამ სახით რეალურად არ არსებობენ და ვერც იარსებებენ. „ამის შესახებ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ გვინდა, აღნიშნულ ცნებათა სუბსტანციურ გაგებას ავარიდოთ თავი, მაგალითად, სახელმწიფო სოციოლოგიური აზრით წყვეტს არსებობას, როგორც კი ქრება საზრისიანად ორიენტირებული სოციალურ მოქმედებათა ფუნქცირების შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა შეიძლება იყოს ძალზე დიდი, ან მინიმალური, მაგრამ მხოლოდ იმ აზრით და იმ ზომით, რითაც ის ნამდვილად არსებობდა ან არსებობს, არსებობდა ან იარსებებს მოცემული სოციალური ურთიერთობაც, არავითარი სხვა ნათელი საზრისი არ შეიძლება ჰქონდეს მტკიცებას რომელიმე სახელმწიფოს მიმართ, რომ ის არსებობს ან არ არსებობს" (36, 631). ამრიგად, წინარე თქმული იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ პიროვნების მდგომარეობის და მოქმედების გარეშე არ შეიქმნება სოციალური სტრუქტურის, ცვლილებისა და ინსტიტუტების სოციოლოგიური სურათი, რადგან რეალურად პიროვნების მდგომარეობა დაკავშირებულია სოციალურ სტრუქტურებს, სოციალურ ინსტიტუტებსა და სოციალურ ცვლილებებთან, სოციოლოგია კი ვებერისთვის სინამდვილის მეცნიერებაა და უნდა გამოხატავდეს იმას, რაც რეალურადაა.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ პიროვნების და სოციალური სტრუქტურების მიმართებაში პიროვნების მახასიათებლების განსაზღვრაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის დაყენება აქ უფრო ფართო განზომილებით შეიძლება ხორციელდებოდეს, ვინაიდან სოციალური სტრუქტურა, ინსტიტუტები და ცვლილებები ეხება და ახასიათებს საზოგადოებას, რადგან საზოგადოება ანუ ინსტიტუტები განსხვავებულ ინდივიდთა ორგანიზებული და გაფართოებული ურთიერთქმედებაა. საზოგადოება კონსტრუირებადი ფენომენია, რომელსაც ინდივიდებს შორის ურთიერთქმედება ქმნის. „ეს ინდივიდები ცდილობენ, ერთმანეთს შეეგუონ"

(მიდი). ამდენად, პიროვნების, სტრუქტურებისა და ინსტიტუტების მიმართების გარკვევა ნიშნავს პიროვნებისა და საზოგადოების დამოკიდებულების ანალიზს. ტერნერის მტკიცებით, „საზოგადოებასა და ინდივიდს შორის ურთიერთქმედებანი სოციოლოგიური თეორიის მეტად საინტერესო პრობლემებს ეკუთვნის, როგორ აისახება ერთი მეორეში? როგორ აფორმებს საზოგადოება ინდივიდებს? როგორ ქმნიან, ინარჩუნებენ და გარდაქმნიან საზოგადოებას ინდივიდები? პიროვნებისა და საზოგადოების რა თავისებურებანი ხდის მათ ურთიერთდაკავშირებულად და, ამავე დროს, დამოუკიდებელ ემერჯენტულ ფენომენებად?" (145, 219). ეს ის პრობლემებია, რომლებიც სოციალური სტრუქტურის საკითხების განხილვისას წამოიჭრება. ამ საკითხების ანალიზი აუცილებლად მიგვიყვანს პიროვნებათა ურთიერთქმედებაში მათი განმსაზღვრელი ფაქტორების ძიებასთან. რა არის პიროვნება? მონაწილეობს თუ არა ის მთლიანად ან მისი რომელიმე კომპონენტით სტრუქტურირებაში, სტრუქტურის ჩამოყალიბებისას რა მომენტებია განმსაზღვრელი და დაქვემდებარებული? პიროვნებისეულ ქმედებათა პროცესში პიროვნების ქცევა, მდგომარეობა, როლი თუ სხვა კომპონენტები რა ფუნქციებს ასრულებენ საზოგადოების სტრუქტურირებაში, როგორია თავის მხრივ სტრუქტურის ზემოქმედება პიროვნების ქცევაზე, მის მიერ როლების შესრულებაზე. სტრუქტურა მთელ პიროვნებაზე ზემოქმედებს თუ ცალკეულ როლებზე? მერტონის მტკიცებით, „სანამ შეეხებოდეთ სოციალური სტრუქტურის გავლენის წესებს ინდივიდის ამა თუ იმ ქცევის არჩევანზე, შევნიშნავთ, რომ ადამიანებს შეუძლიათ გადადიოდნენ ერთი ალტერნატივიდან მეორეზე იმდენად, რამდენადაც ისინი ჩაებმებიან სოციალური მოღვაწეობის სხვადასხვა სახეობაში" (93, № 3, 104). იგი აანალიზებს პიროვნების მიზნებისა და საშუალებების არჩევანის გავლენას სოციალურ სტრუქტურაზე. პიროვნების დამოკიდებულებით მიზნებსა და საშუალებებთან, იგი გაარჩევს ხუთ ძირითად ტიპს — კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, რეტრეტიზმი, ამბოხი და აჩვენებს, რომ თითოეული გავლენას ახდენს სტრუქტურაზე, თავის მხრივ სტრუქტურები — ქცევაზე. აღნიშნულიდან ცხადია, რომ სტრუქტურების განხილვა აუცილებლად მოითხოვს პიროვნების ანალიზს, მისი ძირითადი მახასიათებლების დადგენას. სოციოლოგიაში ესაა პიროვნების მდგომარეობა ანუ სტატუსი და მისი როლი სოციალური ფუნქციერების პროცესში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური სტატუსის ცნება სოციოლოგიაში მაქს ვებერმა დაამკვიდრა, თუმცა ზოგიერთი ამ ცნების პირველ გამომყენებლად ასახელებს ინგლისელ ისტორიკოსს მეინს. საქმე ის კი არაა, ვინ გამოიყენა ეს ტერმინი პირველად, არამედ ვის მიხედვით დამკვიდრდა იგი მეცნიერებაში. აქ კი მხოლოდ მაქს ვებერზე შეიძლება მითითება. მისგან მოყოლებული სოციალური სტატუსის განსაზღვრათა მრავალ-

სახეობა დამკვიდრდა, თუმცა შინაარსი უცვლელია. ესაა ადამიანის მდგომარეობა სოციალურ გარემოში, მისი პოზიცია, ადგილი სოციალურ სტრუქტურაში, რასაც განსაზღვრავს მისი როლი და შესაძლებლობები საშოქმედო ასპარეზის ფარგლებში. სოციალური სტატუსი დაკავშირებულია უფლებებთან და მოვალეობებთან, რაც გაგვაჩნია და რასაც ვასრულებთ საზოგადოებაში. სმელზერის თქმით, „ყოველ ადამიანს მრავალი პოზიცია აქვს საშყაროში, ყოველი ამ სოციალურ პოზიციათაგან, რომელიც გულისსმობს გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს, სტატუსია". მორენოს მტკიცებით, „სტატუსი, განსხვავებით მისი მატარებელი პიროვნებისაგან, უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობაა". „თუმცა სოციალური სტატუსის ცნება განსხვავებულად გამოიყენება სხვადასხვა შემთხვევაში, აქ ის შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობის აღსანიშნავად, რომელიც დგინდება უფლებათა, მოვალეობათა, პრივილეგიათა და თავისუფლებათა ტერმინებში, რომელთაც პიროვნება ღებულობს მისი მდგომარეობის წყალობით... სოციალური სტატუსის ცნება ეხება ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში" (მიბუტანი). „სტატუსი პოზიციაა განსაზღვრულ სქემაში. ესაა, უბრალოდ, მოვალეობათა და უფლებათა ერთობლიობა" (რალფ ლინტონი). რამდენი ნიშანიც არ უნდა შეიტანონ სტატუსის განსაზღვრებაში, — ზემოთ მითითებულ უკანასკნელ განმარტებაში პრივილეგიები და თავისუფლებაა დამატებული. — შესაძლოა სხვაც დაემატოს, ფაქტია, რომ ყველანი უფლებამოსილების ცნებათა მოცულობაში შედიან. ამიტომ სოციალური სტატუსის განსაზღვრისათვის სოციოლოგიას არ სჭირდება უფლება-მოვალეობათა გარდა სხვა ცნებების გამოყენება. მთავარია, რომ სოციალური სტატუსი პიროვნების განსაზღვრულობის მაჩვენებელია. პიროვნება კი სოციალურად ორგანიზებული ცხოვრების საფუძველია. არავითარი სოციალური ორგანიზაცია არაა პიროვნების მდგომარეობის განსაზღვრულობის გარეშე, ხოლო პიროვნების მდგომარეობის განსაზღვრულობა საზოგადოების დიფერენციაციის საშუალებას იძლევა. ამიტომაა, რომ ადამიანები „ერთმანეთის გაცნობისას, პირველ რიგში არკვევენ მათ განსაზღვრულობას და სტატუსს. ამ განსაზღვრულობის დასადგენად მრავალი კრიტერიუმი გამოიყენება — განსხვავებული ეპოქების, საზოგადოებათა ტიპების თუ სხვა მაჩვენებლების მიხედვით. არ არსებობს საზოგადოება, რომელშიც ადამიანს გარკვეული ადგილი არ ეჭიროს და ეს ადგილები არ განსაზღვრავდეს საზოგადოების დიფერენცირებას. როგორც ლეონარდ ბრუმი აღნიშნავს, ჩვენ შეიძლება წარმოვისახოთ საზოგადოება, რომელშიც ადამიანის სტატუსებს შორის არავითარი განსხვავება არ იქნება. გარდა ამისა, არც სოციალურ დიფერენციაციას ექნება ადგილი და სტრატიფიკაცია არ იარსებებს. მაგრამ ასეთი საზოგადოება რეალურად არ შეიძლება არ-

სებობდეს. სინამდვილეში ყოველთვისაა განსხვავება ადამიანთა მდგომარეობაში, მათ ადგილსა და როლში საზოგადოების ცხოვრების მიმართულებამ განსხვავებისათვის მრავალი კრიტერიუმი არსებობს. მიბუტანის თქმით, „დემოკრატიულ საზოგადოებაშიც კი ადამიანებს უკავიათ შედარებით მაღალი ან დაბალი პოზიციები. შეფასების ბევრი კრიტერიუმი არსებობს: ოჯახის უფროსის საქმიანობა, შემოსავლის ოდენობა, წარმოშობა, ეთნიკური კუთვნილება, ინტელექტუალურ მიღწევათა დონე და ა. შ.“. (159, 180). მთავარია მოინახოს კორელაცია ღირებულებებსა და ქცევას შორის, რაც განსაზღვრავს თანაფარდობას უფლებებსა და მოვალეობებს შორის. ყოველ შემთხვევაში, ყოველი კულტურული საზოგადოება ემყარება გარკვეულ დიფერენციაციას და სტრატიფიკაციას. განსხვავება შეიძლება იყოს კრიტერიუმებში, შესაბამისად სტრატიფიკაციის ხასიათშიც. ყოველი კულტურა, როგორც განსაზღვრულად მყარი ისტორიული წარმონაქმნი, დაფუძნებულია „მე“-ს სოციალურ სტრუქტურაზე, რომლითაც მისი წევრები ხასიათდებიან. ზოგჯერ სოციოლოგები მას სტატუსის კრისტალიზაციას უწოდებენ. მაგრამ არსებითად სტატუსის სიმყარეა ის ცნება, რომელიც გამოხატავს ადამიანის მდგომარეობას. ლეონარდ ბრუმის თქმით, „სტატუსთა სიმყარეს აღენიშნავთ როგორც ადამიანის მდგომარეობის ცვლადს“. მის გზით ირკვევა სოციალურ სტატუსთა და სოციალურ როლთა შესაბამისობა, ასევე გარკვეული ადამიანის სოციალური მდგომარეობის მიმართება სხვა ადამიანის მდგომარეობასთან. მთავარია, რომ ატრიბუტები თუ კრიტერიუმები, რომლითაც ვხელმძღვანელობთ, სტატუსთა კლასიფიკაციისათვის გამოხატავდნენ იმ გადამწყვეტ მნიშვნელობას, რაც ამა თუ იმ ვითარებაში განმსაზღვრელია ადამიანის მდგომარეობისათვის, მისი სოციალური ფუნქცირებისთვის. „როგორც მდგომარეობის ცვლადი, სტატუსთა სიმყარე შეიძლება განისაზღვროს ინდივიდის მაჩვენებელთა სიდიდის დახმარებით, სხვადასხვა განრიგის ატრიბუტებად დაყოფით, ამ მაჩვენებელთა სიმყარის შესწავლით. შეიძლება დადგინდეს, ჯერ ერთი, რამდენად კარგად შეესაბამებიან ერთმანეთს ატრიბუტები და სოციალური როლები, რომელნიც ენიჭება მათ მატარებლებს და მეორეც, როგორ გამოიყურება ამ ინდივიდის ყოველმხრივი სოციალური მდგომარეობა იმავე საზოგადოებაში სხვა ინდივიდთა სოციალურ მდგომარეობასთან შედარებით. გაზომვისათვის შერჩეული ატრიბუტები შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იყოს მდგომარეობათა მაჩვენებლები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სოციალური წყობის ფუნქცირებისთვის. ამ კრიტერიუმებიდან ამოსელით შეიძლება ჩაეთვალოთ, რომ ლენსკის მიერ გამოყენებული ატრიბუტები: საქმიანობის სახეობა, შემოსავლის ოდენობა, განათლების დონე და ეთნიკური კუთვნილება წარმატებითაა შერჩეული თანამედროვე ამერიკული საზოგადოებისათვის. სხვა საზოგა-

ღებათა და ეპოქების პირობებში შეიძლებოდა დაგვესახელებინა სრულიად განსხვავებული ატრიბუტები, ისეთები, როგორიცაა ასაკი, კეთილშობილობის წოდება ან, ვთქვათ, ფიზიკური ძალა" (94, 479). სტატუსი განმსაზღვრელია პიროვნების ვინაობისათვის, მაგრამ სტატუსი და პიროვნება არ არის იგივეობრივი. სხვა განსხვავებაზე რომ არაფერი ვთქვათ, პიროვნებას შეიძლება მრავალი სტატუსი ჰქონდეს, თუმცა, ეს სიმრავლე არ არის ისეთივე ხასიათის, როგორიც როლის შემთხვევაში, როლები უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე სტატუსი, რადგან თითოეულ სტატუსში რამდენიმე როლი იგულისხმება. ტიმაშევის თქმით, „როლი სტატუსის დინამიკური ასპექტია, როცა ინდივიდუმი ახორციელებს უფლებებსა და მოვალეობებს, ის როლს ასრულებს" (26, 505). პიროვნება რომ ოჯახის უფროსია, ეს მისი სტატუსია, მაგრამ როგორც ოჯახის უფროსი, ის გარკვეულ როლებს ასრულებს მისი ოჯახის წევრთა მიმართ, ერთ შემთხვევაში მშობლის, მეორეში მეუღლის, მესამეში მამის, მეოთხეში ბაბუის და ა. შ. თითოეული სტატუსი რამდენიმე როლში ვლინდება. იგი როლთა მთელ ქსელს მოიცავს, ამის მიუხედავად, ერთი სტატუსი პიროვნებას არ ამოწურავს, პიროვნებას რამდენიმე სტატუსი მაინც ახასიათებს. ის შეიძლება განისაზღვროს კანის ფერით, ეთნიკური წარმოშობით, მოქალაქეობით, სამსახურებრივი მდგომარეობით, ქონებით, სოციალური ფენებისადმი კუთვნილებით და სხვ. პიროვნების გასაგებად სტატუსთა სიმრავლეში ყველა ერთნაირი მნიშვნელობის როდია. სოციალური სტატუსის განმსაზღვრელობა ბევრადაა დამოკიდებული იმ სიტუაციაზე, რომელშიც ვცდილობთ პიროვნების სტატუსის დადგენას, მაგრამ ასევე დიდადაა დამოკიდებული პიროვნების თვისებებზე, მის კავშირთა სისტემაზე. როდესაც პიროვნების სოციალურ სტატუსს ვახასიათებთ, როგორც მის პოზიციას, არ უნდა ავურიოთ პოზიციის მნიშვნელობანი, ერთ შემთხვევაში პოზიციაში იგულისხმება დამოკიდებულება, რომელიც გვაქვს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მიმართ — იქნება ეს სხვა ადამიანები თუ ნივთები, ასევე დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ, მეორე შემთხვევაში კი პოზიციაში იგულისხმება ადგილი, რომელიც ეკიჭირავს სოციალურში. სოციალური სტატუსი სწორედ პოზიციის ამ მეორე მნიშვნელობის იგივეობრივია. სოციალური პოზიცია, ანუ სტატუსი ორი სახის შეიძლება იყოს: პირველი, ის, რაც მიღებულია მემკვიდრეობით, რომელიც პიროვნებას ახასიათებს, მაგრამ მის მიერ არ არის მოპოვებული, არამედ გადმოეცემა წინაპრებისაგან. მემკვიდრეობითი სტატუსი პიროვნებას აძლევს გარკვეულ უფლებებს და აკისრებს მოვალეობებსაც; მეორე სტატუსი, რომელიც მოპოვებულია, შეძენილია საკუთარი მოღვაწეობის შედეგად, მას მიღწეულ სტატუსს უწოდებენ. თუ პირველი სტატუსი ინდივიდისაგან დამოუკიდებელია, მეორე ინდივიდის აქტიურობაზეა დამოკიდებული, მისი ძალისხმე-

ვის შედეგია. მემკვიდრეობითი სტატუსი შეიძლება იყოს გარკვეული წოდებისა, თუ სოციალური ფენისადმი კუთვნილება, იქნება ეს კეთილშობილთა ფენის უმაღლესი თუ სამუალო რანგი, ან პლებეური წარმოშობა. მემკვიდრეობითია რასობრივი და ეთნიკური კუთვნილებაც, მემკვიდრეობითი სტატუსი ხასიათდება სიმყარით, რომელიც თაობებს გასდევს და ინდივიდს არ შეუძლია მისი მოცილება, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა უფლისწული, თუ მეფის შთამომავალი, უარს ამბობს მის მდგომარეობაზე, ასეთი იყო ჰერაკლიტეს მიერ უარის თქმა ბაზილევსის თანამდებობაზე და ფილოსოფიაში საკუთარი მცდელობით, ჭეშმარიტი ფილოსოფოსის სტატუსის დამკვიდრება. არის სხვა შემთხვევაც, მაგალითად ჩინეთში არსებობს წესი, რომლის მიხედვით თუ რომელიმე თაობის წარმომადგენელი მიიღებს კეთილშობილის სტატუსს, არა მარტო მისი შემდგომი თაობები იქნებიან ამ ტიტულის მატარებლები, არამედ მისი წინაპრებიც კეთილშობილებში ჩაირიცხებიან. ძირითადად კი მემკვიდრეობით სტატუსს სიმყარე ახასიათებს, შეძენილს — ცვალებადობა. და მაინც შეძენილი სტატუსით ყოველთვის შეიძლება ადამიანის ვინაობის განსაზღვრა, ის ყოველთვის ატარებს თავისში გარკვეულობას, ხოლო „პიროვნების განსაზღვრულობა ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია" (შიბუტანი). სტატუსის მიხედვით განისაზღვრება ადამიანის მოსალოდნელი ქცევები, ამდენად წინასწარ შეიძლება დადგინდეს, რა ქცევას უნდა მოველოდეთ ამა თუ იმ სტატუსის ინდივიდთაგან, ეს ნიშნავს, რომ „სოციალური სამყაროს სტრუქტურა ბევრ რამეში განისაზღვრება ექსპექტაციებით (მოლოდინებით), რომელნიც მოცემულია განსხვავებულ წყაროებში. ასეთ წყაროებად დრამატურგიის ანალოგიით მიჩნეულია სამი კომპონენტი: 1. ექსპექტაციები, ჩადებული „სცენარში", 2. სხვა „მსახიობთა" დამახასიათებელი ექსპექტაციები და 3. „აუდიტორიის" ექსპექტაციები. მნიშვნელოვანია სოციალური სტატუსის დადგენის წყაროები. სოციალური სტატუსი ორი სახის წყაროზე დამყარებით დგინდება — სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური წყაროები გულისხმობს სხვა ადამიანთა მიერ ინდივიდის აღქმის შეფასებას და ინდივიდის მიერ საკუთარი აღქმის შეფასებას. ინდივიდი პირველ რიგში ქმნის თავის თავზე წარმოდგენას, ვინ არის ის მის წარმოდგენაში, რა უფლებები და მოვალეობები აკისრია ამ წარმოდგენის მიხედვით, ეს „მე-კონცეფცია" სოციალური სტატუსის განსაზღვრებაში გარკვეულ როლს ასრულებს, მაგრამ მისი ზედმეტად შეფასება არ უნდა მოხდეს, ადამიანს თავის თავზე ხშირად უფრო მეტი წარმოდგენა აქვს, ვიდრე არის საკუთრივ. ამას ხელს უწყობს სუბიექტის მიერ საკუთარ თავზე კონცენტრირება, საკუთარი შესაძლებლობების იმაზე მეტად წარმოდგენა, რაც არის სინამდვილეში. ეს თავისებური ილუზიურობა, საზოგადოების წინაშე საკუთარი თავის წარმოდგენისა,

ნეიტრალდება სხვა ადამიანთა დაფასებით თუ შეფასებით, მათ მიერ სუბიექტის „მე-კონცეფციაზე“ აგებულ წარმოდგენათა აღიარებით თუ უარყოფით. ცხრაა საკმარისი, რას ფიქრობ შენს თავზე, აუცილებელია, სხვებმა აღიარონ შენი „მეს“ ადგილი, რომელიც საკუთარი წარმოდგენით შეიმუშავე. სტატუსი სხვადასხვა მიმართებაში ელინდება და სხვათა აღიარებას ემყარება. სუბიექტურის გარდა არსებობს ობიექტური წყაროები განსაზღვრული ობიექტური მონაცემებით — თანამდებობრივი მდგომარეობა, ქონებრივი ვითარება, მემკვიდრეობითი ინსტიტუტები, პრესტიჟი და სხვა. ყოველი მათგანი შეიძლება იყოს ფორმალიზებულ-დაკანონებული და ქმნიდეს ადამიანის ფორმალურ სტატუსს, რომელიც აღიარების მიუხედავად მიეწერება მას. არაფორმალური, დაუკანონებელი სტატუსები კი ძირითადად სოციალური გარემოს აღიარებაზეა დამოკიდებული. არსებობს მაღალი და დაბალი სტატუსები. ეს განისაზღვრება ძირითადად ღირებულებათა სისტემასთან, ღირებულებით იერარქიებთან მიმართებით. სოციალური ცვლილებების ბუნებიდან გამომდინარეობს სტატუსის ამაღლება თუ დაცემა. სოციალური ყოფიერების კიბეებზე ერთნაირადაა შესაძლებელი როგორც აღზევება, ისევე დაცემა და დამოკიდებულია როგორც ინდივიდზე, ისე სოციალურ გარემოზე. ინდივიდის მიერ საკუთარი სტატუსის მოსალოდნელ ქცევათა ისეთი განხორციელება, რაც შეესაბამება საზოგადოების სოციალურ ღირებულებებს, საზოგადოების მხრივ იწვევს ინდივიდის დაჯილდოებას და წახალისებას, რომლის ერთ-ერთი ფორმაა სტატუსის ამაღლება. მაგრამ თუ ინდივიდი სტატუსის შესაბამის ქცევას ვერ ავლენს და ანომიას აქვს ადგილი, მამინ ის კარგავს სტატუსს და ჩამოქვეითდება საზოგადოების თუ სოციალური ინსტიტუტების მიერ. ეს მისი დასჯის ერთ-ერთი ფორმაა. სტატუსის სხვა მახასიათებლები როლის ანალიზში გამოელინდება.

5. სოციალური როლები

პიროვნების განზომილებათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სოციალური როლების ფუნქცია. ადამიანის ყოფნა სამყაროში თავიდანვე მის სოციალურ განსაზღვრულობასა და შესაბამისად როლების შესრულებასთანაა დაკავშირებული. სამყარო ადამიანისათვის ის არენაა, სცენაა, სადაც თამამდება ადამიანისავე დადგმული პიესა, რომელშიც მას ყოველთვის განსაზღვრული ადგილი უკავია. ბერძნული ისტორიის ადრეულ საფეხურზევე გააცნობიერა ადამიანმა მისი ყოფიერების როლებრივი ფუნქცია და სამყარო თავიდანვე შეადარა სანახაობას, რომელშიც ჩვენ მაყურებლის, აქტიორის, ან გამააზრებლის როლი გვეკუთვნის. პირველმა პითაგორამ შეძლო ამ პრობლემის დასმა, მისი აზრით, ცხოვრება ჰგავს თამაშობებს, ზოგი მასში შეჯიბრის მონაწილეა, ზოგი გაცვლა-გამოცვლის, ზოგი კი ჭვრეტს ყოველიეე ამას. ზოგისთვის გართობაა

ძირითადი, ზოგისთვის მოქმედება, ზოგისთვის აზროვნება. არავინ არაა ამ საყოველთაო თამაშიდან გამოთიშული, მასში ყველა მონაწილეობს და ესაა მათი როლი სოციალურ ყოფიერებაში. თუმცა პითაგორა არ ანაწევრებდა ადამიანთა საზოგადოებას როლების შესაბამისად და არც ადამიანის გასაგებად გამოუყენებია მისი როლებრივი ფუნქცია. ის, რომ ადამიანთა ყოფიერება ამ სამყაროშია და მათი მოღვაწეობა საზრისიანი თამაშის ანალოგიურია, ეს მას გაცნობიერებული ჰქონდა. ეს ცნობიერება უფრო განვითარებულ სახეს ღებულობს პლატონთან, განსაკუთრებით მის „სახელმწიფოსა" და „კანონებში", თუმცა არა იმ დონეზე, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს კონს, რომელიც ამტკიცებს, რომ დიალოგ „კანონებში" პლატონი მიეიდა როლების თეორიამდე. ქრისტიანულმა აზროვნებამ საზოგადოების განხილვა, როგორც გარკვეული როლების შემსრულებელთა დასისა, უფრო მეტად გააცნობიერა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პლოტინის ნააზრევი. იგი ადამიანის ცხოვრებას ადარებს თეატრს, რომელშიც ადამიანები თამაშობენ და ამავე დროს განასხვავებს ამ წარმოსახვით თეატრს რეალურისაგან. „ყველაფერი ეს თითქოს სცენაზე ხდება, სადაც მოკლული მსახიობი გამოიცელის რა სამოსს, კვლავ გამოჩნდება ახლა უკვე სხვა სახეების განსასახიერებლად, მაგრამ ცხოვრებაში სიკვდილი ნამდვილია. და თუ სიკვდილიც სხეულის გამოცელაა, ისევე, როგორც სცენაზე სამოსისა, ანდა მავანისათვის სულაც სხეულის დაგოვება, როგორც იქ, სადაც მსახიობი წარმოდგენის შემდეგ საბოლოოდ ტოვებს სცენას, ხოლო შემდგომ კვლავ ბრუნდება, რათა სხვა წარმოდგენაში ახალი როლი ითამაშოს — მაშინ რაღად უნდა იყოს საზარელი ცხოველთა ერთმანეთში გარდასახვა, რაც ბოლოს და ბოლოს იმაზე ბევრად უკეთესია, რომ სულაც არ აღორძინდე აღარასოდეს? ასე რომ მოხდეს, სიცოცხლე შეწყდებოდა და სხვათა სახით აღარ აღორძინდებოდა, ახლა კი — სიცოცხლე ყველა ფერსა ჰქმნის. მედინ ქვეყანას მრავალფეროვნებას ანიჭებს და სახილველად სათნო, ცოცხალ სათამაშოებს ძერწავს მარადღღე"... (11).

„ხამს ისე შეეხედოთ მკვლელობას, ყოველგვარ სიკვდილს, ძარცვაგლეჯასა და ქალაქთა აღებას, თითქოს ეს თეატრონის სცენაზე ხდებოდეს. ყველაფერი ეს ხომ სცენაზე გადაადგილებაა, ნიღბების შეცვლაა. მსახიობთა ტირილი და ამოოხვრაა. აკი ამ ქვეყნად, წუთისოფლის ცალკეულ გამოვლინებებში კაცის შინაგანი სული კი არ ტირის და მწუხარებს, არამედ მისი გარეგანი აჩრდილი, თითქოს ყველგან დედამიწაზე თეატრალური ფიცარნაგები გაუმართავთო. ჭეშმარიტად, ამგვარია საქმეები კაცისა, რომელიც მხოლოდ მოთამაშე ბავშვია. სერიოზულ საქმეთა გამო სერიოზულადვე ბრუნვა აკი მარტოოდენ იმის მეოხებით ხამს, რაც კაცში ნამდვილად სერიოზულია. ყველაფერ დანარჩენში სათამაშოა იგი" (11).

პლოტინის ნააზრევის ლოსევისეულ ინტერპრეტაციაში ხაზგასმულია

პლოტინის მისწრაფება — სამყარო ახსნას როგორც ჰარმონია, რომელსაც უზენაესი არსება აწესებს. „ცხოვრება როგორც თეატრალური დადგმა. უფრო გარკვეულად ეს წინასწარდადგენილი ჰარმონია პლოტინს გამოხატული აქვს იმ ტექსტებში, სადაც იგი კაცთა და, საერთოდ მსოფლიოს ცხოვრებას სცენაზე მსახიობთა თამაშს ადარებს, პლოტინს სურს თქვას, რომ ეს საყოველთაო ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ფაქტობრივი შესრულება იმისა, რაც თავად მსოფლიო დრამის სიუჟეტში, მის სცენარშია იმთავითვე ჩაფიქრებული, ანუ ჩვენ ვიტყოდით, იმ გონებაში, რომელიც პლოტინს კოსმოსში მსოფლიო სულის მეოხებით განხორციელებულ უზენაეს იდეურ სფეროდ მიაჩნია“... გაუგებარია, როგორ შეიძლება ამ ჰარმონიის დახასიათება როგორც ადამიანის თავისუფლებისათვის ადგილის მიმცემის და როგორ შეიძლება ავაცილოთ ადამიანს მარიონეტის როლი, თუ გათამაშებულ დრამაში ის სხვის ნებელობას ასრულებს. ლოსევი კი სწორედ იმას ცდილობს, რომ პლოტინთან მონახოს ადამიანის თავისუფლების შეთავსება ღმერთის მიერ დაწესებულ ჰარმონიასთან. მისი აზრით, „პლოტინის მთელი ეს მსჯელობა უეჭველს ხდის იმას, რომ მისი ესთეტიკა კაცთა და საერთოდ, შიგნიკოსმოსური ცხოვრების სხვადასხვა მომენტებით განხორციელებული რომელიღაც წინასწარდადგენილი ჰარმონიიდან იღებს სათავეს. ერთი მხრივ, მსახიობები არაფერს ახალს არ ჰმატებენ იმ პიესას, რომელიც მსოფლიო გონებაშია იმთავითვე ჩადებული, მაგრამ მეორე მხრივ, მსახიობი მაინც საკუთარი როლის შემოქმედია, რაკი ერთსა და იმავე სიუჟეტს სხვადასხვა მსახიობი სრულიად სხვადასხვანაირად თამაშობს. სიცოცხლის თეატრალურ სცენასთან ამ გონებისშემარყეველ შედარებაში პლოტინი თავად ცხოვრების ზესასიცოცხლო განგებულების, მისი საბედისწერო ხასიათის შენარჩუნებასაც ახერხებს და, ამავე დროს, ეეებერთელა ადამიანურ თავისუფლებასაც“ (11). არსებითად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთსავე ვითარებასთან, როგორც ჰეგელთან. აბსოლუტური გონი ახორციელებს თავის მიზნებს ადამიანის მეშვეობით, ადამიანებს კი ჰგონიათ, რომ თვითონ მოქმედებენ. ფაქტობრივად მათ ისიც არა აქვთ გაცნობიერებული, რომ აბსოლუტური გონის მარიონეტები, მისი ნების შემსრულებლები არიან და თამაშობენ სცენაზე, რომლის არც ავტორს და არც დირიჟორს თვითონ არ წარმოადგენენ, ამიტომ ნამდვილი თავისუფლებისათვის აქ ადგილი არ რჩება. ადამიანის სამყაროს შედარება თეატრთან და ადამიანთათვის როლების მინიჭება იყო მიახლოება სოციალური სამყაროს იმ გაგებასთან, რომელიც შემდგომ სოციოლოგიური თეორიის სახეს იღებს, თუმცა ამ მიმართებით სოციოლოგიის გარეშე სფეროდან ყველაზე დიდი ნაბიჯი გააკეთა შექსპირმა, შეიძლება ითქვას, რომ მასთან ბევრია ის ელემენტი, რომელიც გამოდგება სოციოლოგიური თეორიის საწყისად და ამოსავლად.

სოციოლოგები ხშირად უთითებენ აღგილს პიესიდან — „როგორც გენებოთ“. ერთ-ერთ გმირს, ჟაკს, შექსპირი ათქმევინებს:

„მთელი მსოფლიო თეატრია, თითოეული
კაცი და ქალი მსახიობნი არიან მსოლოდ
აქ, ყველასა აქვს შემოსვლის და გასვლის დრო-ჟამი,
ასევე მრავალ როლს ასრულებს თითოეული
და სიცოცხლეში, რაც იყოფა შვიდ მოქმედებად,
უპირველესად, ძიძის ხელში ბღავის, ღრიალებს.
მერე მტირალა მოსწავლეა და ჩანთით ხელში
სახენათელი, როგორც დილა, ლოკოკინასებრ
ნელის ნაბიჯით და ბუზღუნით დადის სკოლაში.
შემდეგ სიყვარულს ჰმონებს იგი და ქურასავით
ხვნეშის, — ნაღვლიან ბალადას თხზავს, რათა შეამკოს
შეყვარებულის თვალ-წარბები. შემდეგში იგი
მეომარია — ავაზასებრ წვერ-ბალნიანი
და გინებაში გაწაფული მეეტლესავით;
პატივისათვის რას არ სჩადის: იბრძვის გულფიცხად,
მარად მზადაა თვით ზარბაზნის ლულაშიც გაძვრეს,
ოღონდ დიდება მოიპოვოს,— ეგ საპნის ბუშტი.
მოსამართლეა ის შემდეგში: მორეულ ღიპში
მთელი ყვერული უტენია; თვალს მკაცრად ავლებს
წვერშეკრეჭილი რიგიანად, თავგატენილი
ჭკვიანური თუ გაცვეთილი გამონათქმებით, —
ასე ასრულებს ის თავის როლს, მერე იმ ჩვენს გმირს
მეექვსე ხანა გამჭლეეებულ პანტალუნად ხდის,
ჰკიდია ქისა, უკეთია ცხვირზე სათვალე.
შარვალი, რასაც აგარებდა სიჭაბუკეში,
შემონახვია ჩინებულად, მაგრამ ამჟამად
ფართო გამხდარა მისი ხმელი ბარძაყებისთვის;
მისი კაცური და ბოხი ხმა გადაქცეულა
ბავშვურ ტიტინად: წრიპინებს და ჭყავის საშინლად.
უკანასკნელი მოქმედება, რაც უცნაური
და მრავალმხრივი ამ ამბავის დასასრულია,
გულმავიწყობის და მეორე ბავშვობის დროა:
დასცვივდა კბილნი, თვალთ დააკლდა და გემოვნებაც
წაერთვა სულ მთლად, არაფერი არ შერჩენია“. (15, 238).

მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის აზროვნება ყოველთვის მოძრაობდა ამ პრობლემის გარშემო, სოციალურმა ფსიქოლოგიამ და

სოციოლოგიამ მას ახალი მნიშვნელობა მიანიჭა და გახადა ადამიანის მეცნიერული გაგების ამოსავალი პრინციპი. კიმბალ იანგისა და ლინტონ ფრიმენის აზრით, „სიმბოლური ურთიერთქმედების თეორიის წარმომადგენელთაგან მოწოდებული ცნებებიდან ტერმინ „როლმა“ მიიქცია ყველაზე მეტი ყურადღება, ის გამოყენებულია როგორც სოციოლოგების, ისე ფსიქოლოგების მიერ“. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჯორჯ მიდს, რომელიც „მეს“, როგორც მსახიობის როლების, და საზოგადოების, როგორც თეატრის, განხილვით, უჩვენებს ადამიანის მოქმედების და სხვადასხვა ეტაპზე მისი მეობის გამოვლენის ფორმებს. ამ საკითხში პიონერი ჯეკობ მორენოც ამტკიცებს, რომ მიდთან ერთდროულად, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად შეიმუშავა როლების თეორია და აჩვენებს განსხვავებას მათ შორის. მორენოს თქმით, როლის თეორია მან შეიმუშავა ექსპერიმენტის გზით, ისეთი ცნებების შემოტანით, როგორიცაა „როლის თამაში“, „როლის მოთამამე“ და „როლის ტესტირება“. მიდმა კი როლი შემოიტანა როგორც დამკვირვებელმა შესაბამისი ტერმინებით: „როლის აღება“ და „სხვისი როლის აღება“. მიდი დაინტერესებული იყო კულტურული როლის არჩევით კულტურულ კონსერვაციაში, მაშინ როდესაც მე დავიწყე როლის თამაში Statu nascendi, დავიწყე ექსპერიმენტირება როლთა სპონტანური დინამიკური რეჟისურით“ (99, 171). ზოგიერთი სოციოლოგი როლის თეორიის პიონერებს შორის ასახელებს რალფ ლინტონს. ტიმაშევის აზრით, ლინტონმა შრომაში — „ადამიანის შესწავლა“ — წამოაყენა იდეალურ სქემათა თეორია, რითაც შეცვალა ნორმების ცნება. საზოგადოება ამუშავებს გარკვეულ იდეალურ სქემებს ადამიანთა მოსალოდნელი ქცევისათვის, ისინი ქცევის მოდელებია და მასთან დაკავშირებით, ლინტონმა წამოაყენა წინადადება სოციოლოგიაში სტატუსისა და როლის შემოტანის, რასაც დიდი მოწონებით შეხვდნენ“ (26, 505). იმასაც ამტკიცებენ, რომ ლინტონის მიერ სტატუსისა და როლის განხილვა თავისებური ეტაპი გახდა სოციოლოგიაში. მორენოს განაცხადი როლების თეორიის თანაავტორობის შესახებ რომ არ არის უსაფუძვლო პრეტენზია, ამას ადასტურებს სხვა სოციოლოგთა აღიარებაც. ტერნერის მტკიცებით, „ნაწილობრივ როლის მიღების მიდისეული კონცეფციით შთაგონებულმა ჯეკობ მორენომ ევროპაში ერთ-ერთმა პირველმა საკუთარი გამოკვლევებით შექმნა როლთა თეორია, რომელიც აისახა წიგნში — „ვინ უნდა გადარჩეს“ და ასევე ამერიკის ჟურნალებში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერილებში. მორენო სოციალურ ორგანიზაციას განიხილავდა როგორც როლთა ქსელს, რომელნიც შემოფარგლავენ და წარმართავენ ადამიანთა ქცევას“ (99, 227). მორენო განასხვავებს სამი სახის როლს და ამ განსხვავების საფუძველში დევს სოციალურ მოვლენათა საერთო მნიშვნელი. განსხვავება მხოლოდ იმისდა მიხედვით ხდება, რა სიტუაციებსა და მოთხოვნებზე პასუხად წარმოიშობიან ისინი. ერთ

შემთხვევაში გარკვეულ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა საფუძველზე ეთა-მაშობთ როლებს იმით, რომ ვიკმაყოფილებთ იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც არაცნობიერად ეასრულებთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს „ფსიქო-სომატურ როლებთან". მეორე შემთხვევაში კონკრეტული სოციალური სიტუაცია ჩვენგან მოითხოვს კონკრეტულ ქცევას და მისი შესრულება ნიშნავს „ფსიქოდრამატული როლების" გათამაშებას. მესამეა სოციალური როლები, როდესაც ადამიანი მოსალოდნელ როლებს თამაშობს, ანუ იქცევა იმის შესაბამისად, რასაც მისგან გარემოცვა მოელის. ყველა შემთხვევაში საერთოა სოციალური მოლოდინები, რომლებიც განაპირობებენ ადამიანის ქცევას, თუმცა ეს ქცევა ყოველთვის როდია მოლოდინის შესაბამისი. ასე რომ იყოს, ანომია არ იქნებოდა, ეს კი მხოლოდ წარმოსახვაში შეიძლება განსორციელდეს, როგორც დიურკჰეიმი ამბობდა, ანომია ყველა საზოგადოებისათვის ნორმალურია, მხოლოდ მისი მოძალება იწვევს პათოლოგიას, ესე იგი ადამიანის ქცევის გადახრა მოსალოდნელისაგან არ უნდა იყოს დიდი მაჩვენებლით წარმოდგენილი. ადამიანის ვინაობა დიდად არის დამოკიდებული მის როლებზე. ზოგჯერ ცალკეული როლი შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს მისი მეობის დასადგენად. ამიტომ, სოციოლოგებს შესაძლებლად მიაჩნიათ ზოგიერთ ასპექტში როლის გათანაბრება სტატუსთან, მაგრამ ალბათ არ ვიქნებოდით სწორი, თუ ამ გათანაბრებას დავეთანხმებოდით, რადგან, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს როლი, ის ერთი ჭრილია, ერთი ასპექტია, ერთი აგურია, ერთი ელემენტია და არა მთელი, მაშინ როდესაც სტატუსი ადამიანის მთლიანობაში წარმოდგენაა. მაშინაც, როდესაც გარეგადამწყვეტად ერთი რომელიმე როლი გვეელინება, რადგან სხვა როლები ავსებენ მის სურათს, ამ გზით იქმნება ადამიანის სტატუსი. როლები ყოველთვის სიმრავლით ხასიათდება, ესე იგი ყოველი სუბიექტი მრავალ როლში გამოდის. სტატუსი კი უმთავრესად მონისტური ბუნებისაა. ზოგჯერ შეიძლება ისიც არ იყოს ერთადერთი, მაგრამ ის არასოდეს არ არის როლივით მრავალრიცხოვანი. განსხვავება როლსა და სტატუსს შორის არ ნიშნავს მათი დაპირისპირების შესაძლებლობას, რადგან როლები ქმნიან სტატუსს. ზმორენოს მტკიცებით, „სტატუსი, მისი მატარებელი პიროვნებისაგან განსხვავებით, უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობაა, როლი კი სტატუსის დინამიკური ასპექტია. პიროვნება მოვალეობათა შესრულებით და უფლებათა განხორციელებით, რომლებიც მის სტატუსს შეადგენენ, თამაშობს განსაზღვრულ როლს"... ზოგალითად სოციოლოგის როლი შედგება უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობიდან, რომელიც მას, როგორც სოციოლოგს, აქვს. მართალია, მისი როლი სხვაა სტუდენტებთან მიმართებაში, სხვაა რესპონდენტებთან მიმართებაში, სხვაა თავის კოლეგებთან მიმართებაში. აქ როლისა და სტატუსის საკითხი მხოლოდ სოციალური სტრუქტურის მიმართებაში გვაინტერესებს. როლები დაკავ-

მირებულია სოციალიზაციასთან, რომლის პროცესში ადამიანი ეუფლება თავის როლებს. ტალკოტ პარსონსი როლების აღწერაში ხუთ მაჩვენებელს იყენებს: პირველი — ემოციურობა, მეორე — მიღების წესი, მესამე — „მე-მასშტაბი", მეოთხე — ფორმალიზაცია, მეხუთე, — მოტივაცია. სოციოლოგები აანალიზებენ როლთა კონფლიქტებს, ეს იმ შემთხვევაშია, როცა ადამიანი იმყოფება ორი შეუთავსებელი როლის ვითარებაში, რადგან როლი დაკავშირებულია მოვალეობასა და მოთხოვნებთან, წარმოიშობა კონფლიქტი. ხშირია შემთხვევა, როცა სამსახურებრივი მოვალეობა ხელს უშლის ოჯახური მოვალეობის შესრულებას. თუ პიროვნება სამუშაო საათების შემდეგაც აგრძელებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, სათანადო ყურადღებით ვერ მოეკიდება ოჯახის მოთხოვნებს და კარგავს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას.

სოციალური სტატუსი შეიცავს როლთა მთელ ერთობლიობას, რომელთაც თან ახლავს გარკვეული მოლოდინები. განასხვავებენ ორი სახის მოლოდინებს: ფორმალურს და არაფორმალურს. პირველი დაკავშირებულია კანონით დადგენილ ნორმებთან, რომელთა შეუსრულებლობა სანქცირდება სასჯელით, მეორენი დაკავშირებულია მოწონება-არმოწონებასთან და მათ მიმართ პოზიცია შეიძლება დუმილითაც კი გამოიხატოს. ადამიანი, რომელიც გარკვეულ საზოგადოებაში მისგან მოსალოდნელ თავდაჭერილობას ვერ იჩენს, ამ საზოგადოებაში მეორედ აღარ იქნება მიწვეული. მისაღები და მიუღებელი ქცევის მიმართ სანქცირება ნიშნავს დაჯილდოებას და დასჯას, წაქეზებას და თავშეკავებისკენ მოწოდებას. სასჯელიც და ჯილდოც დაკავშირებულია მოსალოდნელი როლების შესრულებასა თუ შეუსრულებლობასთან. ფორმალური როლების რიცხვი უსასრულოა, ზემოთ მითითებული პარსონსისეული კლასიფიკაცია ქმნის როლთა სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. როგორც აღინიშნა, ამ კლასიფიკაციაში ხუთი მახასიათებელია: პირველი — ემოციურობა, როდესაც განსხვავებულ გამოვლენას მოელიან ავადმყოფის მიმართ მკურნალისა და მისი ჭირისუფლისაგან: თუ ექიმისგან ავადმყოფის მდგომარეობით გამოწვეული ემოციებისაგან თავშეკავება მოითხოვება, ჭირისუფლისაგან სწორედ მძაფრი ემოციების გამოვლენაა მოსალოდნელი; მეორე განსხვავება არსებობს როლების მიღების წესში, რადგან როლთა ერთი ნაწილი თანდაყოლილი სტატუსითაა განსაზღვრული, მაგალითად ასაკობრივი მდგომარეობით გამოწვეული როლები, მეორე ნაწილი მიღწეული სტატუსიდან გამომდინარეობს. ეს როლები ცხოვრების პროცესში სუბიექტის მიერ მოიპოვება. სახელმწიფოს მეთაურის, ან მინისტრის როლი თანდაყოლილი კი არ არის, არამედ მიღებულია, მოპოვებულია, დამყარებულია ელექტორატის ნდობასა და არჩევანზე, ერთი მხრივ და მეორე მხრივ არჩეულის უნარზე — მართოს, თუ უხელმძღვანელოს საზოგადოებას; მესამე — „მე-

მასშტაბი". როგორც სმელზერი აღნიშნავს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს როლთა ლიმიტირებასთან, ან კიდევ მათ უსაზღვრო ფორმებთან, ექიმის პაციენტისადმი დამოკიდებულებაში განმსაზღვრელია ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შესაბამისად მკურნალის როლი, მაგრამ მშობლების შვილებისადმი დამოკიდებულებაში არ არის შეზღუდულობა მხოლოდ მათი ჯანმრთელობით, აქ მრავალმხრივი და თითქმის უსაზღვრო როლთა თამამია შესაძლებელი; მეოთხე — ფორმალიზაცია. ამ შემთხვევაში ქცევა მკვეთრად განსაზღვრულია კანონით დადგენილი ნორმებით, სხვა შემთხვევაში ქცევა თავისუფალია და არაა ჩარჩოებში ჩასმული, ან არ არის განსაზღვრული გარემე ფაქტორებით. პაციენტისაგან ექიმი გასამრჯელოს იღებს დადგენილი კანონის მიხედვით, მაგრამ ეს არ ვრცელდება მის ახლობლებზე. მეხუთე — მოტივაცია. განსხვავებული როლები განსხვავებულ ტიპებს გულისხმობენ, შესაბამისად როლს განსაზღვრავს მოტივები, რითაც როლის შემსრულებელი ხელმძღვანელობს. ეკლესიის მსახურის როლს განსაზღვრავს ღვთისმსახურების მოტივები, ბიზნესმენის როლს — ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფა. პარსონსი როლთა მახასიათებლებს განიხილავს ერთიანობაში.

როლთა მიმართ მრავალი საკითხის დასმა შეიძლება, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ სტატუსითა და როლით ვვებულობთ საზოგადოებამი იგივეობასა და განსხვავებას, რომ ისინი სოციალური დიფერენციაციის ძირითადი მაჩვენებლებია, იგივეობრივი სტატუსი და როლები იძლევა ერთიან სოციალურ სტრუქტურას, განსხვავებული სტატუსები და როლები განსხვავებულ სოციალურ სტრუქტურას, რომ სოციალური სტრუქტურაციის საფუძველს პიროვნებათა მდგომარეობისა და ქცევის ერთიანობა და განსხვავებულობა ქმნის. როგორც ტერნერი აღნიშნავს, „სოციალური სტრუქტურა აღიქმება, როგორც ცალკეულ ანალიტიკურ ელემენტთა რიგის შემცველი. პირველი — პოზიციათა ქსელისა, მეორე — მოლოდინთა შესაბამისი სისტემისა და მესამე — ქცევის გეზისა, რომელიც ხორციელდება ურთიერთდაკავშირებულ პოზიციათა კონკრეტული ქსელების მოლოდინთა შესაბამისად" (145, 228). მორენომ აჩვენა, რომ ყოველი ინდივიდი გარკვეულ სტრუქტურას ეკუთვნის. მისი აზრით, ეს სტრუქტურები ორი ჯგუფისაა — კერძო და სოციალური — ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური. შესაბამისად ის ქმნის მათი კვლევის ორ მეთოდს: ფსიქოდრამას და სოციოდრამას. მორენოს მტკიცებით, „ფსიქო და სოციო დრამის მეთოდები გვიჩვენებს, რომ ყოველი ინდივიდია, ან ინდივიდთა ჯგუფი, ერთდროულად ეკუთვნის კერძო და სოციალური სტრუქტურის სამყაროს. ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ სტრუქტურებს შორის დიფერენციაცია არსებობს ყოველ ჯგუფში — იქნება ეს ოჯახური, სამუშაო, სასკოლო, დამსვენებელთა,

ოფიციალური, თუ არაოფიციალური ჯგუფები“ (99, 179). საზოგადოება შედგება ფსიქოლოგიურ და სოციალურ სტრუქტურათა მქონე ჯგუფებისაგან და საზოგადოების კელევა ნიშნავს ამ ჯგუფებისა და შესაბამისი სტრუქტურების დადგენას, ამით მორენოს უნდა, საზოგადოება იხსნას სოციალური კონფლიქტებისაგან, უდავოა, რომ ერთდროულად რამდენიმე მეცნიერებამ: სოციოლოგიამ, სოციალურმა ფსიქოლოგიამ, ანთროპოლოგიამ აუცილებლად ჩათვალა ურთიერთობათა კელევის პროცესში ადამიანთა ქცევის და ყოფიერების დომინანტური ტენდენციების მაჩვენებლად შემოეტანა სოციალური სტატუსისა და როლის ცნებები. ტიმაშევი ამტკიცებს, რომ ამ საკითხზე „მნიშვნელოვანი თეორიული მოსაზრებანი მიღებულ იქნა კულტურული ანთროპოლოგიისაგან და არა ფსიქოლოგიის თუ სოციოლოგიის სფეროებიდან“, მაგრამ ამ ცნებათა გამოყენების თვალსაზრისით უპირატესობა სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიას ენიჭება.

6. კლასების მარქსისტული მოძღვრების კრიტიკა თანამედროვე სოციოლოგიაში

[თანამედროვე სოციოლოგია მიზნად ისახავს სოციალური კლასობრივი სტრუქტურის მარქსისტული თეორიის უარყოფას] ერთ შემთხვევაში ეს ხდება კლასობრივი სტრუქტურის მარქსისტული გაგების უკუგდებით; მეორეში კლასების მარქსისტული გაგება ნაწილობრივ მართლდება, ყოველ შემთხვევაში, ერთი კონკრეტულ-ისტორიული ფორმის მიმართ ცხადდება გამოსადეგად, თუ კლასის მარქსისტულ ცნებას ახლებური გაგებით შეცვლიან; მესამე შემთხვევაში მარქსის შეცდომად ცხადდება ის, რომ იგი კლასებსა და კლასობრივ სტრუქტურებს განიხილავდა ისტორიულად, რომელიც საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშობა და გარკვეულ საფეხურზეე ქრება. ამ ისტორიულობის საპირისპიროდ მტკიცდება, რომ კლასები მარადიული კატეგორიაა, რომ ისინი ყოველთვის არსებობდნენ და იარსებებენ. ყველა შემთხვევაში მარქსის კრიტიკა აუცილებლად ითვლება. იგი მრავალი მიმართულების მქონეა. ერთი საერთო ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ უარყოფენ მარქსთან კლასების ცნების არსებობას, აღმოაჩენენ წინააღმდეგობას კლასების კონსტრუირების მარქსისტულ გაგებაში და დაუმთავრებლად წარმოადგენენ კლასების საკითხს მარქსიზმში. თანამედროვე სოციოლოგიაში შედარებით ნაკლები ადგილი უკავია ანრი შამბრის მტკიცების ანალოგიურ აზრებს იმაზე, რომ „სოციალური კლასის კატეგორია მარქსს არ განუხილავს“. თუმცა მრავალი სოციოლოგის მსჯელობას ასეთი რადიკალური ხასიათი არა აქვს, მაგრამ მათ მაინც ზემოაღნიშნული ტენდენცია ახასიათებთ; ასეთია, მაგალითად, თეოდორ გაიგერის თვალსაზრისი. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის

ერთ-ერთ ამოცანად აცხადებს „მარქსის თეორიის დაცვას ბურჟუაზიული კრიტიკოსებისაგან“, იგი მაინც აკრიტიკებს ამ თეორიას, როგორც ეაყალბებულს მარქსისა და მარქსისტების მიერ. გაიგერის მტკიცებით, მისი ამოცანაა მარქსის თეორიის მეცნიერული მომენტების დაცვა თვით მარქსისაგე პოლიტიკური და ისტორიის ფილოსოფიური წანამძღვრებისაგან; მისი მტკიცებით, მარქსისტები გარკვეული სქემით უდგებიან სინამდვილეს, რომელიც სინამდვილიდან არ არის გამოყვანილი. გაიგერის აზრით, მარქსის თეორია „მხოლოდ ნაწილობრივ არის მეცნიერული, უფრო მეტად კი, პირიქით, პოლიტიკური და აგიტაციურია“. გაიგერი ისტორიულ ექსკურსს აკეთებს სოციალური სტრუქტურების თეორიის განვითარებაში და აღნიშნავს, რომ საზოგადოების ფენებად დაყოფა უძველესი საკითხია. იგი დღის წესრიგში იდგა მანამ, სანამ სოციოლოგია დამოუკიდებელი გახდებოდა. ეს საკითხი დასმული იყო ადამ ფერგუსონთან, შემდეგ, ადამ სმიტთან, მაგრამ მას შემდეგ, რაც მარქსი გამოვიდა ასპარეზზე, ამ საკითხზე, „მოძღვრების განმსაზღვრელია მარქსის თეორია და ბრძოლა წარმოებს მის გარშემო“. ამ დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, გაიგერის აზრით, კლასების შესახებ მოძღვრება მარქსთან სისტემატურობასაა მოკლებული. „მარქსს თავისი მოძღვრება საზოგადოებრივ კლასებზე სისტემატურ კავშირში არსად მოუცია“. „კაპიტალის“ ის ნაწილი, სადაც ეს უნდა გაეკეთებინა, დაუმთავრებელი დარჩა. გაიგერი მიუთითებს იმაზე, რომ „კაპიტალში“ მარქსი მსჯელობს სამ კლასზე, მაგრამ არ დაუსაბუთებია, რატომ სამზე და არა ორზე, ან მრავალზე, თუმცა ზოგჯერ ორზეც მსჯელობდა და მრავალზეც. გაიგერის დასკვნით, „მარქსს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა კლასებზე. ამ ბუნდოვანების, შინაგანი წინააღმდეგობისა და ცნებათა აღრეევის შედეგად მარქსის მოძღვრება გახდა ასპარეზი თვითნებური განმარტებისათვის. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს არა მის თეორიულ შინაარსში, არამედ იმაში, რომ იგი გახდა პოლიტიკური მოძრაობის დოგმატიკის ძირითადი ცენტრი“ (168, 13).

გაიგერი წინააღმდეგობას ხედავს მარქსის მიერ კლასის ძირითად ნიშნად „მანიფესტში“ საკუთრების ფორმის გამოცხადებისა და „კაპიტალში“ კი საზოგადოებრივ მეურნეობაში აღგილის და წარმოების პროცესში როლის თუ ფუნქციის გზით განსაზღვრებას შორის. გაიგერი აანალიზებს კლასების მარქსისტული ცნების შემეცნებით თეორიულ წანამძღვრებს, მნიშვნელობას და მიზანს, რომლისთვისაც მარქსმა ეს ცნება შექმნა. რადგან ცნებები მეცნიერული შემეცნების იარაღია, კლასების ცნების კრიტიკის ამოსავალი უნდა იყოს მისი შემეცნებითი განსაზღვრულობა. საკითხი უნდა დაისვას, რამდენად მეცნიერულია შემეცნებითი მიზანდასახულობა და რამდენადაა შესაძლებელი მასზე პასუხის გაცემა. უნდა შემოწმდეს, ნამდვილად ემსახურება თუ არა ცნების

შექმნა შემეცნებით მიზანს. გაიგერის აზრით, მარქსისტულ კლასების ცნებას, შემეცნების თეორიული მნიშვნელობის გარდა, მეტაფიზიკური საზრისიც აქვს. ეს ნიშნავს, რომ იგი ისტორიის ფილოსოფიის სფეროს განეკუთვნება, რადგან კლასთა საფუძვლად წარმოდგენილია საზოგადოებრივი წყობილების განვითარების ეტაპები, როგორც მსოფლიო ისტორიის შინაარსი, რომელიც მარქსს ემპირიულად კი არ შეუსწავლია, არამედ მეტაფიზიკურად დაადგინა.

მარქსი ისტორიის ფილოსოფიამი ემპირიკოსი რომ ყოფილიყო, დაინახავდა, რომ ისტორიას ხან მატერიალური განსაზღვრავს, ხან — იდეალური, ისტორიის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრულობის სქემა მხოლოდ აპრიორულ წანამძღვრებს ემყარება. გაიგერი მარქსის პერიფრაზირებას ახდენს და აღნიშნავს, რომ მარქსმა გადააყირავა ჰეგელის ისტორიის ფილოსოფია, თავის ნაცვლად ფეხებზე დააყენა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, რადგან მეტაფიზიკის გადაყირავება ისევ მეტაფიზიკას იძლევა (168, 25).

გაიგერის აზრით, მარქსის მეტაფიზიკურობა ვლინდება მომავლის უკლასო საზოგადოების შესახებ მოძღვრებაშიც, რაც ემყარება ისტორიის საზრისის არსებობის აღიარებას, მაგრამ ცდისეული მეცნიერება ისტორიის საზრისზე არაფერს გვეუბნება, ისტორიის საზრისი და მიზანი მხოლოდ მეტაფიზიკოსს შეუძლია სწამდეს. ამიტომ, „რამდენადაც საზოგადოებრივ კლასებზე მარქსისტული მოძღვრება ისტორიის ამ მეტაფიზიკას ეფუძნება, მას აკლია ყოველგვარი მეცნიერული მნიშვნელობა“ (168, 27).

თანამედროვე კაპიტალიზმში და სოციალიზმშიც, გაიგერის აზრით, კერძო საკუთრება, როგორც კლასის მაკონსტრუირებელი, არ არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სოციალური დიფერენციაცია მოისპო. მისი აზრით, სოციოლოგიაში შეიძლება კლასების ცნების დატოვება, მაგრამ სხვა მნიშვნელობით.

მაგალითად, თუ კლასის ცნებით ვგულისხმობთ მოსახლეობის ურთიერთკავშირს, ეს საესებით მისაღები და სინამდვილის შესაბამისი იქნება. ასევე მართებული იქნება, თუ ამ ცნებით აღნიშნავთ ჯგუფებს შორის პროფესიულ განსხვავებას, ან კიდევ ამ ცნებას გამოვიყენებთ სოციალურ-სტატისტიკური მნიშვნელობით, რომელიც ადამიანებს დაყოფს ჯგუფებად ასაკის, თაობების, საქმიანობის, შემოსავლის, საცხოვრებელი ადგილის, განათლების, ოჯახური ვითარებისა და სხვა მონაცემების მიხედვით.

საერთოდ, ყოველი დიდი საზოგადოება მრავალმხრივ სტრუქტურდება ეკონომიკურად, პოლიტიკურად, იდეურად, რწმენის, ეროვნების, ძალაუფლების მიხედვით. ამ სტრუქტურულ ერთეულებს აერთიანებს ის, რომ ისინი სოციალური ჯგუფები არიან, ამიტომ სტრუქტურაც ჯგუფურია და არა კლასობრივი. გაიგერი მარქსს უსაყვედურებს იმას, რომ მთელი საზოგადოების სტრუქტურა გაიგო როგორც ეკონომიკური სფე-

რო და საზოგადოება გააიგივა ეკონომიკურ ცხოვრებასთან. მისი აზრით, მარქსის მოძღვრების წინააღმდეგ მეტყველებს ზანგების პრობლემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ამერიკის ბედის განმსაზღვრელია, მაგრამ არა წარმოებითი ურთიერთობების, არამედ კანის ფერის საფუძველზე. ეკონომიკურისაგან განსხვავებული საფუძველი აქვს ებრაელთა პრობლემასაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გაიგერი ასკვნის, რომ კლასების მარქსისტული ცნების მიმართ შეიძლება დავიკავოთ შემომფარგლავი პოზიცია. შეიძლება იგი დავტოვოთ წარმოებით ურთიერთობათა საფუძველზე, მაგრამ სხვა ურთიერთობანი არ დაიყვანება კლასობრიეზე, თუმცა ისინი საზოგადოების სტრუქტურირების საფუძველს წარმოადგენენ, რომელთა ერთი სახეობა იქნება კლასი. შეიძლება საერთოდ შეიცვალოს კლასების ცნება ფენების, კასტების, წოდებების ცნებით. გაიგერის აზრით, რადგან კლასის ცნებას მარქსისტული ელფერი აქვს, მისი დატოვება სოციოლოგიაში არ ღირს და ის უნდა შეიცვალოს ფენების ცნებით.

სტრუქტურული ფუნქციონალიზმის საპირისპირო — ფენომენოლოგიური სოციოლოგიის ინგლისური სკოლის წარმომადგენელი დევიდ უელში წერილში — „ფუნქციონალიზმი და სისტემათა თეორია" — კრიტიკულად გადმოსცემს მარქსის სოციოლოგიის ძირითად პრინციპებს. უელშის აზრით, სოციალური სისტემის მარქსისტული მოდელი თვით მარქსთან არაა გარკეეული სახის მქონე. ამ გაურკეეველობის მიზეზი შეიძლება იყოს მარქსის შრომების დისციპლინათაშორისი ხასიათი. მიუხედავად ამისა, უელშის აზრით, მარქსი ეკუთვნის იმ მოაზროვნეებს, ვინც სოციალურ სამყაროს სისტემატური თვალსაზრისით განიხილავს. მისი თქმით, მარქსთან ინდივიდის კლასობრიეი კუთვნილება განისაზღვრება წარმოებაში მისი ადგილით და არაა დამოკიდებული თვით ინდივიდზე. ეს მარქსთან იწოდება „კლასად თავისთავად". იგი წარმოადგენს სოციალურ წესრიგში საკუთარი ადგილის გაცნობიერების პირობას. ეს გაცნობიერება კი ინდივიდს ხდის „კლასად თავისთვის". მაშასადამე, ინდივიდის სოციალური მოქმედება განისაზღერება სოციალურ სტრუქტურაში მისი კლასობრიეი მდგომარეობით, რომელიც გამუალებულია ამ მდგომარეობის გაცნობიერებით. მამასადამე, ინდიეიდების მოქმედება და მათ შორის დამოკიდებულება დეტერმინირებულია სისტემის ინსტიტუციონალიზებული კლასობრიეი სტრუქტურით. მოქმედება მთლიანად დამოკიდებული ხდება მატერიალურ ინტერესებზე. კლასობრიეი მდგომარეობა ძალაუფლების ობიექტური წყაროა. უელშის აზრით, მარქსის მოძღვრებაში მნიშვნელოვანია სოციალური სტრუქტურის თეორია, რომლის ძირითადი ელემენტი კლასის ცნებაა; მაგრამ სწორედ ისე, როგორც სხვა ძირითადი ცნებები, უელშს კლასის ცნებაც მარქსთან არ მიაჩნია ერთმნიშვნელოვნად. იგი წერს: „სრულიად განუსაზღვრე-

ლია კლასის მარქსისტული ცნება. კლასები განისაზღვრება ხან შემოსავლის წყაროთი, ხან წარმოებაში ადგილით, ხან ორგანიზებული ცნობიერებით, ხოლო ზოგჯერ — სამივე ნიშნით ერთად" (103, 137).

უელშის აზრით, არა მარტო სოციალური სტრუქტურა, არამედ საერთოდ სოციალური სინამდვილე შეუძლებელია იყოს ობიექტური ან ობიექტური პირობებით განსაზღვრული, სოციალური სინამდვილის ბუნება ცნობიერების შინაარსით განისაზღვრება, რადგან სოციალური სინამდვილე მნიშვნელობის მქონეა, რომელიც ინტენციონალობის შედეგია. ეს ნიშნავს, რომ სოციალური სინამდვილე სტრუქტურის სფეროა. ზოგადი ფორმით ეს არგუმენტი ზემოთ იყო განხილული. აქ შეიძლება აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ სოციალური სტრუქტურის შესახებ წარმოდგენის მინაარსი არის არა იმის შედეგი, რომ წარმომდგენი ამ მინაარსს სოციალურ სტრუქტურაში დებს, არამედ იმისა, რომ ეს მინაარსი წარმოდგენისაგან დამოუკიდებლად არის ასეთი და ეძლევა ამ სახით შემეცნებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სოციალური სტრუქტურა შეიძლება არსებობდეს სუბიექტების გარეშე. სოციალური სტრუქტურა ყალიბდება სწორედ ამ სუბიექტთა შორის მიმართებაში და მათი გზით. მაგრამ იგი არაა სუბიექტის ცნობიერებაზე დამოკიდებული. მე შემიძლია ჩავთვალო ჩემი თავი რომელიმე სტრუქტურის წევრად ან მოვიაზრო ჩემი თავი ამ სტრუქტურის შემქმნელად, მაგრამ ამის გამო მე არ გავხდები ამ სტრუქტურის წევრი და არც სტრუქტურა შეიქმნება ჩემი გზით. მე რომ რომელიღაც სტრუქტურას ვეკუთვნი, ეს მაძლევს უფლებას, ვიაზრო ჩემი თავი ამ სტრუქტურის წევრად. ამის გამოა სტრუქტურა ობიექტური და არა ადამიანებისაგან დამოუკიდებლად არსებობის გამო. სტრუქტურა ინტერპრეტაციაზე რომ იყოს დამოკიდებული, ნებისმიერი ინტერპრეტაციის შესაბამისად უნდა იყოს ნებისმიერი სტრუქტურები, მაშინ როდესაც ინტერპრეტაციათა სიმრავლის მიუხედავად სტრუქტურები ერთი და იგივეა. თუ ინტერპრეტაცია ჭეშმარიტია, იგი დამოკიდებულია სტრუქტურაზე. რასაკვირველია, სტრუქტურის ნებისმიერი ინტერპრეტაცია შეიძლება, მაგრამ სტრუქტურის შესაბამისი მხოლოდ ერთია მათ შორის.

დარენდორფი მარქსს უსაყვედურებს, რომ კლასთა სოციოლოგიური ანალიზის პირობად აქცია კლასთა დაპირისპირება, რის გამოც მიიღო ხელოვნური ორკლასიანი მოდელი, რომლის წინააღმდეგ ყველა შესაძლო არგუმენტი წამოაყენა გაიგერმა. დარენდორფის აზრით, მარქსმა კლასების საფუძვლად საკუთრება გამოაცხადა, მაგრამ არ აუხსნია საკუთრების ცნება. მას შეიძლება მრავალი მნიშვნელობა ჰქონდეს. — ბატონობის უფლება, კონტროლის უფლება — „მარქსთან ამ საკითხზე არაა ნათელი პასუხი". მარქსმა პოლიტიკური ბატონობა ახსნა ეკონომიკური ურთიერთობებით, მაგრამ არ უჩვენებია, თუ როგორ შეი-

ძლება ეს. დარენდორფის აზრით, მარქსის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია სოციოლოგიურის აღრევა ფილოსოფიურ სპეკულაციებთან მომავალ უკლასო საზოგადოებაზე, რომელიც ემპირიულად არ საბუთდება და დამყარებულია ისტორიის საზრისის ჰეგელისეულ კონცეფციაზე. ყოველივე ეს მარქსის თეორიის ძირითად პრინციპს აქცევს „დოგმად, რომელიც ხელს უშლის ცრურწმენებისაგან თავისუფალ კვლევას".

განსაკუთრებული კრიტიკის საგანია მარქსის კლასობრივი ინტერესების ცნება. გაიგერის აზრით, მარქსის თეორიის ყველაზე სუსტი მხარეა, მოძღვრება ობიექტური ინტერესების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო კლასთა დაპირისპირებას, არამედ „კლასის თავისთავად" გადაქცევას „კლასად თავისთვის", რაც ხდება ობიექტურ კლასობრივ ინტერესთა გაცნობიერებისა და შესაბამისად კლასობრივი იდეოლოგიის შექმნის.

გაიგერის აზრით, კლასებზე მარქსის მოძღვრების ფსიქოლოგიური მხარეა ეგოისტობრივი ინტერესების დაშვება, რომელიც იმპულსს აძლევს კლასთა ბრძოლას. იგი აქ მნიშვნელოვნად თელის ორ მომენტს: 1) მარქსისტები ვარაუდობენ, რომ ფსიქოლოგიური დეტერმინიზმი შეესაბამება ისტორიულს, ე. ი. ადამიანის ფსიქიკური პოზიცია შეესაბამება მის საზოგადოებრივ მდგომარეობას; 2) მარქსისტები მსჯელობენ ინტერესებზე, რომელნიც გაცნობიერებული არაა, ე. ი. ობიექტურია. გაიგერის აზრით, ასეთი ინტერესების არსებობა შეუძლებელია. ინტერესი, როგორც პიროვნების ნებელობა და განწყობა საგნისადმი, სუბიექტური მოელენაა. იგი შეუძლებელია ობიექტური იყოს, რადგან სუბიექტს არ შეიძლება ჰქონდეს ინტერესი, როგორც გარკვეული მიზნის ნებელობა, გაცნობიერების გარეშე. გარდა ამისა, გაიგერის აზრით, მარქსიზმში ინტერესები რაციონალიზებულია, რადგან იგი გაგებულია, როგორც კლასის ინტერესები, რომელიც კლასის თითოეული წევრის მიმართ ჯერარსობის ბუნებისაა და, თუ ჯერარსული არ სურთ ადამიანებს, ეს გაგებულია, როგორც საკუთარი ინტერესების გაუცნობიერებლობა. გაიგერის აზრით, ასეთ გაგებას ფსიქოლოგია ვერ დაეთანხმება. თუ მიზანი მიმართულია რაღაცაზე, მისი განხორციელების საშუალებანი შეიძლება იყოს რაციონალური, მაგრამ თვით მიზნის დასახვა გაიგერს არარაციონალურ აქტად მიაჩნია.

კლასობრივი ინტერესების მარქსისტული მოძღვრება დარენდორფის კრიტიკის ობიექტიც ხდება. მისი აზრით, მარქსთან კლასის მაკონსტრუირებელი პრინციპი საკუთრების ფორმაა, რომლიდანაც გამომდინარეობს კლასის მდგომარეობა. ამ მდგომარეობას სამი ასპექტი აქვს: 1. წარმოების საშუალებების საკუთრება და ბატონობა მის საფუძველზე; 2. აქედან გამომდინარე — მოხმარების პროდუქტების ქონება ან უქონლობა; 3. ორივე ამ ფაქტორთან დაკავშირებული ინტერესები. დარენ-

დორფის აზრით, მარქსისათვის ინტერესები არის კლასებად არაცნობიერად გამაერთიანებელი. ეს ინტერესები არსებობს არა წარმოდგენაში, არამედ სინამდვილეში, როგორც ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულების ფორმა. „ეს ყველაზე მძიმე აზრია, რადგან ჩვენ ინტერესები გვესმის, როგორც ფსიქოლოგიური სინამდვილე, მარქსს კი როგორც ობიექტური... როგორ არსებობს ეს ობიექტური ინტერესები მარქსთან? — ღიად რჩება". (166, 22).

დარენდორფის აზრით, კლასების შექმნის მარქსისტული თეორია წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, მტკიცდება, რომ კლასის კონსტრუირება ხდება სოციალური მდგომარეობით და ობიექტური ინტერესებით, მეორე მხრივ, მარქსი ამტკიცებს, რომ კლასები კონსტრუირდებიან პოლიტიკური გაერთიანებით. „გამოდის, რომ კლასების ერთიანობის პირობა ყოფილა არა სოციალური მდგომარეობა და ობიექტური ინტერესები, არამედ ცნობიერი მოღვაწეობა და საბოლოო მიზნებისაკენ სვლა". ეს ორი კრიტერიუმი განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნება — ერთი ობიექტურია, მეორე — სუბიექტური. თუ შეგნებულობა აკონსტრუირებს კლასის კლასობრიობას, მაშინ ის სუბიექტურის შედეგი ყოფილა.

დარენდორფის აზრით, მარქსმა ისტორიის ფილოსოფიის სასარგებლოდ უღალატა სოციოლოგიას. ეს გამოიხატა რამდენიმე პუნქტში; ესენია: 1. კლასების დაკავშირება კერძო საკუთრებასთან; ისტორიის ფილოსოფიას რომ არ შეეშალა ხელი, მარქსი დაინახავდა, რომ ძალაუფლება და აეტორიტეტი საკუთრებასთან არაა დაკავშირებული; 2. ამ თეზისიდან გამომდინარე, კლასთა ბრძოლის უნივერსალობის მტკიცება; 3. უკლასო საზოგადოების მიღწევის და კაპიტალიზმის, როგორც უკანასკნელი კლასობრივი საზოგადოების, მოძღვრების არაემპირიულობა; 4. სოციოლოგიისადმი ღალატად მიაჩნია დარენდორფს დიალექტიკის დასახვა განვითარების შინაგან კანონად.

აღსანიშნავია, რომ უკლასო საზოგადოების შეუძლებლობის მტკიცება, რომელიც საერთო აქვთ გაიგერს და დარენდორფს, ხშირად მეორდება სხვა კრიტიკოსებთანაც. ასე მაგალითად, ერიხ ფრომი ცდილობს დაამტკიცოს: „ანგარებას მივყავართ უსასრულო კლასთა ბრძოლამდე" და ამიტომ „კომუნისტების მტკიცება, რომ მათ სისტემაში კლასთა ბრძოლა კლასების მოსპობით პოვებს დასასრულს, ფიქციაა, რადგან მათი სისტემაც დაფუძნებულია უსაზღვრო ანგარებაზე, როგორც ცხოვრების შინაარსზე. ვიდრე ყველას ექნება სურვილი, რომ მეტი ჰქონდეს, კვლავ წარმოიქმნება კლასები და უცილობელი იქნება კლასობრივი ბრძოლა... ანგარება და მშვიდობა გამორიცხავენ ერთმანეთს". (151, 26).

ფრომის აზრით, ისტორიაში ყოველთვის არსებობდნენ გაბატონებული და ჩაგრული კლასები. „ჩაგრულები ამხობდნენ გაბატონებულებს, რათა თვითონ ებატონათ და ა. შ. უსასრულოდ. კლასთა ბრძოლამ შესაძლოა

მიიღოს შესუსტებული ფორმა, მაგრამ იგი არ შეიძლება შეწყდეს, სანამ ადამიანის გულში ბატონობს ანგარება. წარმოდგენა უკლასო საზოგადოებაზე სოციალისტურ ქვეყნებში... ისეთივე ილუზიური და საშიშია, როგორც ანგარებიან ხალხთა შორის მარადიული მშვიდობის იდეა" (151, 89).

ადამიანთა ბრძოლა და, საერთოდ, მათი საქმიანობა არის საზოგადოების ისტორიის შინაარსი, ამიტომ ადამიანის, საზოგადოებისა და ისტორიის გასაგებად განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ინტერესთა არსებისა და ბუნების ახსნას. ინტერესი შეიძლება მრავალმხრივი განხილვის საგანს წარმოადგენდეს, მას, როგორც ადამიანთა და სოციალურ ერთობათა ნებელობის მიმართულებას, შეისწავლის ინდივიდუალური და სოციალური ფსიქოლოგია. ამ შემთხვევაში ის არსებითად დაკავშირებულია ადამიანთა ღირებულებით ორიენტაციებთან და მათ პოზიციასთან გარე სამყაროსა და საკუთარი თავის მიმართ. ამ თვალსაზრისით ინტერესთა განსაზღვრებამ შეიძლება ასეთი სახე მიიღოს: „ინტერესები... უნდა გავიგოთ, როგორც ადამიანის უპირატესი მისწრაფება მოღვაწეობისა და ცოდნის განსაზღვრული სფეროებისადმი". ინტერესები დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, ღირებულებებთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათი ასახვაა ადამიანთა მიზნები და მისწრაფებანი. საერთოდ, ადამიანური ორიენტაციები, რადგან ღირებულებები ისეთი კატეგორიაა, რომელიც ადამიანის და გარემოს მიმართებას ასახავს, ადამიანის ორიენტირებას გარემოზე, მისი განწყობილებებითა და ნებელობით. ეს ორიენტირება და შესაბამისად ადამიანის მოქმედება შეუძლებელია არსებობდეს მიზნობრივ ვითარებათა გარეშე. ადამიანის მოქმედება ყოველთვის მიზნებით და, შესაბამისად, ინტერესებითაა განსაზღვრული. სასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანთა მოქმედება, თავისი შედეგებით, მისი მიზანდასახულობის ჩარჩოებს არ სცილდებოდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასეთი მიზანდასახულობის გარეშე არ არსებობს ადამიანის მოქმედება, ხოლო მას განსაზღვრავს ინტერესები. სოციალური მიზნობრიობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა ინტერესები, რომელნიც გამოიხატება ადამიანთა მიზნებისა და მოქმედების მოტივებით. ამდენად, ინტერესი, როგორც ინდივიდისა და სოციალური ერთობების, მოძრაობისა და მოქმედების განმსაზღვრელი, არ ეტევა მხოლოდ ფსიქოლოგიის ჩარჩოებში და სოციოლოგიის განხილვის საგანიცაა, რადგან სოციოლოგია სწავლობს ადამიანთა ერთობებს, მათ სტრუქტურებსა და ფუნქციებს, მათ როლებს; ყველა ამ შემთხვევაში გამაერთიანებელიც და დამაპირისპირებელიც არის ინტერესები. როგორც ინგლისელი სოციოლოგი შიბუტანი აღნიშნავს, ბევრი რამ შეიძლება ადამიანებს აკავშირებდეს ჯგუფებად: ასაკი, ეთნიკური წარმოშობა, სქესი, მაგრამ ასეთი დაკავშირების ერთ-ერთი გზაა ინტერესები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში „მონაწილეთა ყოველი საერთო ინტერესი

წარმოადგენს განვითარების საფუძველს". (159, 34).

ინტერესები დაკავშირებულია იდეებთან. იდეები გამოხატავს ინტერესებს, წარმოადგენს მათ ასახვას, მაგრამ იდეები და ინტერესები არაა ერთი და იგივე. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ იდეა ინტერესის გაცნობიერების შედეგად წარმოიშობა, მისი შემეცნების შედეგია. ეს ნიშნავს, რომ შეუცნობელი ინტერესი არაა ასახული შესაბამის იდეაში და არსებობს მის გარეშე.

სოციოლოგია სწორედ ამ დებულებას ხდის საფუძველად. როგორ შეიძლება არსებობდეს შეუმეცნებელი ინტერესები, — სვამს საკითხს სოციოლოგია, — თუ ინტერესი ადამიანის უპირატესი ორიენტირებაა ნივთთა ვითარებაზე? შეუმეცნებელი ინტერესების დაშვება ნიშნავს ობიექტურ ინტერესთა აღიარებას, ეს კი შეუძლებლად მიაჩნიათ იმის გამო, რომ სუბიექტთან დაკავშირებულია ინტერესები.

ინტერესების საკითხი მრავალი ასპექტის მქონეა. შეიძლება ინტერესები განვიხილოთ მათი სუბიექტების თვალსაზრისით, მაშინ საქმე გვექნება ინდივიდუალურ, ჯგუფურ და საზოგადოებრივ ინტერესებთან. ჯგუფებისა და სოციალური ერთობების ერთ-ერთი ძირითადი მაკავშირებელი სწორედ ინტერესებია, ხოლო ის ინტერესები, რომელნიც ამაღლებულია ჯგუფთა და ერთობათა ინტერესებზე, მთელი საზოგადოების ინტერესებია, მათში აისახება ის, რაც ყველას ორიენტაციის და მისწრაფების გამოხატულებაა. არსებობს ინტერესთა სხვა კლასიფიკაციაც. სახელდობრ, ინტერესები იყოფა მათი საგნის, ორიენტაციის მიხედვითაც. ამ შემთხვევაში ორი ჯგუფის ინტერესებს გაარჩევენ: მატერიალურს და სულიერს. მატერიალურად ითვლება მატერიალურ სამყაროზე ორიენტირებული და მათში გაბატონებული ინტერესები, ხოლო სულიერად — სულიერ სამყაროზე ორიენტირებული და მათში ძალისმქონე ინტერესები. განსხვავება მათ შორის არა მარტო ორიენტაციის საგანშია, არამედ ინტერესების ფორმირების წყაროშიც. მატერიალური ინტერესების ფორმირების წყარო მატერიალური მოთხოვნილებანია, სულიერისა კი — სულიერი მოთხოვნილებანი. ინტერესთა ფორმირების წყაროსა და საგანში განსხვავება წარმოადგენს ინტერესთა განსხვავებასაც. ინტერესები, რომელნიც გამომდინარეობს ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ვითარებებიდან, მათი მატერიალური ყოფის პირობებიდან და ადამიანებს ეელინებათ, როგორც ჯერარსრული ორიენტაციის გზა, წარმოადგენს ობიექტურ ინტერესებს, არა ობიექტურად არსებობის, არამედ ობიექტური ვითარებებით განსაზღვრულობის გამო. აქ შეიძლება ანალოგია გაკეთდეს ჭეშმარიტებასთან. ჭეშმარიტება ობიექტურია არა იმის გამო, რომ ის ობიექტურად არსებობს, არამედ იმიტომ, რომ ობიექტური ვითარებითაა განპირობებული. ასე რომ, ობიექტურია ინტერესები, რომელთაც იწვევს სუბიექტის ნებელობისგან დამოუკიდებე-

ლი სუბიექტის ყოფიერების ობიექტური ვითარებანი და ვრცელდება ამ ვითარებაზე. შესაბამისად სუბიექტური იქნება ინტერესები, რომელნიც სუბიექტის ნებელობის შედეგს წარმოადგენენ, და მათი მოტივები, ისე როგორც გავრცელების სფეროდ არ სცილდება სუბიექტის ცნობიერებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესების ანალოგია ჭეშმარიტებასთან არ შეიძლება სრული იყოს, რადგან ეს ორი ფენომენი მრავალ განზომილებაში ავლენს განსხვავებას. ინტერესი შეიძლება შემეცნებამდე არსებობდეს, ჭეშმარიტება კი მხოლოდ შემეცნების შედეგია. გარდა ამისა, ჭეშმარიტება, მიუხედავად გავრცელების სფეროსი, ერთი და იგივეა, იდეალურია, მაშინ, როდესაც ინტერესი გავრცელების სფეროთა შესაბამისად იყოფა მატერიალურ და სულიერ ინტერესებად.

ინტერესთა ობიექტურობის კრიტიკა არ ითვალისწინებს ობიექტურობის სხვადასხვა ფორმას. სახელდობრ, აკრიტიკებს მხოლოდ ობიექტურად არსებობას, მაგრამ ანგარიშს არ უწევს იმას, რომ შეიძლება რამეს სუბიექტურის ფორმა ჰქონდეს და მაინც ობიექტური იყოს, იმის გამო, რომ განპირობებულია ობიექტური ვითარებით. ინტერესი, როგორც გარკვეული ორიენტაცია, გამოწვეული სუბიექტისაგან დამოუკიდებელი, მისი ყოფიერების ობიექტური ვითარებებით, განსხვავებულია ინტერესისგან, რომლის წყაროც მხოლოდ სუბიექტის ნებელობაა. თუ ამ კუთხით განვიხილავთ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს, აღმოჩნდება, რომ შესაძლებელია სუბიექტი თუ სოციალური ურთობა მოქმედებდეს ნამდვილი ან მოჩვენებითი ინტერესების შესაბამისად. პირველი შესაძლებლობა ნამდვილდება მაშინ, როდესაც სუბიექტი თუ სოციალური ერთობა მოქმედებს მისი ვითარებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ბაზაზე, მაგრამ როდესაც სუბიექტი თუ სოციალური ერთობა მამოძრავებლად იღებს არა მისი მდგომარეობიდან გამომდინარე და ამ მდგომარეობის სწორად აღქმაზე დამყარებულ ინტერესებს, მაშინ, ის მოჩვენებითი ინტერესების ბაზაზე მოქმედებს. ეს არის მცდარი მოქმედების საფუძველი, რომელსაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ერთ შემთხვევაში იგი შეიძლება გამოწვეული იყოს თვით ინტერესების მაფორმირებელი პირობების არასაკმაო განვითარებით, მეორეში კი, პირობების ფორმირების მიუხედავად, მათი გაუცნობიერებლობით. რეალური და მოჩვენებითი ინტერესების ეს განსხვავება კარგად აქვს ფორმირებული ზდრაკომისლოვს. „ინტერესთა კლასიფიკაციის მეტად მნიშვნელოვანი საფუძველია მათი შესაბამისობა თვით სუბიექტის, ინტერესების მატარებლის ბუნებისადმი, ე. ი. ნამდვილი მდგომარეობისადმი. ამ თვალსაზრისით ინტერესები იყოფა: რეალურ, ე. ი. სუბიექტის ბუნებისადმი შესაბამის და მოჩვენებით ანუ ილუზორულ, ე. ი. მისი ბუნებისათვის შეუსაბამო ინტერესებად. ერთსაც და მეორესაც აქვს მოტივაციური მნიშვნელობა, ისინი მოქმედების მიზეზებია; მაგრამ მოჩვენებითი

ინტერესებით გამოწვეული მოქმედებანი მიმართულია მოქმედი სუბიექტის წინააღმდეგ, იქნება ეს ადამიანი, ჯგუფი, კლასი თუ საზოგადოება მთლიანად, ამიტომ იგი შეცდომაში შემყვანია". (68, 33-34).

კრიტიკოსები განსაკუთრებული გულმოდგინებით უარყოფენ ობიექტური ინტერესების ცნებას, მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება სუბიექტის ინტერესები სუბიექტის მიერ გაცნობიერების გარეშე არსებობდეს. ის ხომ ცნობიერ არსებას ახასიათებს და როგორ შეუძლია ცნობიერ არსებას, ადამიანს ჰქონდეს ინტერესი გაცნობიერების გარეშე. ერთი შეხედვით ვითარება მართლაც პარადოქსულია, მაგრამ ფაქტიურად ეს პარადოქსულობა მოჩვენებითია. არსებითად აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ობიექტურ წარმოებით ურთიერთობათა საკითხში.

საზოგადოებრივი ყოფიერება საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მოქმედება ცნობიერად წარიმართება; მაგრამ ამ მოქმედებაში დამყარებული ურთიერთობანი არაა მისი ცნობიერი მოქმედების ფარგლებში. ასევეა ინტერესებიც. ადამიანები გარკვეული ინტერესებით იწყებენ თავიანთ საქმიანობას, მაგრამ ის, რაც მათ ცნობიერად ამოძრავებს, არ ემთხვევა იმას, რაც ნამდვილი მამოძრავებელია. ისინი მათი ცნობიერების მიმართ ობიექტურნი არიან. ინტერესების ანალოგია წარმოებით ურთიერთობებთან გამართლებულია იმითაც, რომ მატერიალური ინტერესები წარმოებით ურთიერთობათა გამოხატულებაა. ისინი მოიცავენ როგორც საკუთრების ფორმებს, ასევე წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებს. ბრძოლა ამ სფეროებში არსებულ ინტერესთა შორის არის საზოგადოების განვითარების წყარო. მაგრამ ანალოგიას ინტერესებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის საზღვარიც აქვს, ე. ი. ინტერესების გაიგივება წარმოებით ურთიერთობებთან შეუძლებელია. ინტერესის ობიექტური მომენტი — სუბიექტის სოციალური მდგომარეობა განაპირობებს ინტერესის შინაარსსა და ბუნებას, მაგრამ ინტერესი მაინც დაკავშირებულია ცნობიერების მომენტთან. როგორც ზდრავომისლოვი წერს: „ინტერესი მარტო მდგომარეობა როდია, ის ისეთი მდგომარეობაა, რომელიც აისახება ცნობიერებაში; ამავე დროს ისეთი ცნობიერებაა, რომელიც გადადის მოქმედებაში". ინტერესების ანალიზის შედეგად ზდრავომისლოვი ადგენს ინტერესის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს. ინტერესებს ყოფს ოთხ ჯგუფად: 1. სუბიექტის სოციალური მდგომარეობა (ობიექტური მომენტი); 2. მდგომარეობის გაცნობიერების ხარისხი; 3. იდეალური მამოძრავებელი ძალები ანუ მოტივები (სუბიექტური მხარე) და 4. მოქმედება, როგორც სუბიექტის დამტკიცება ობიექტურ სამყაროში (ობიექტური მომენტი). ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ინტერესი რთული სოციალური კატეგორიაა, რომელშიც ჭეშმარიტების მსგავსად ობიექტური მოქცეულია სუბიექტურში, ინტერესის ობიექ-

ტურობა წყაროსა და საგნის ობიექტურობით განისაზღვრება, მაგრამ ობიექტურმე არ დაიყვანება, რადგან მას გააჩნია სუბიექტური მომენტი.

ფსიქოლოგისტები, რომელნიც გამორიცხავენ ობიექტური ინტერესების არსებობას და ამტკიცებენ, რომ ინტერესი, როგორც სუბიექტის სწრაფვის მოტივი, მხოლოდ სუბიექტური შეიძლება იყოს, ორ რამეს ვერ განარჩევენ ერთმანეთისაგან: 1) სუბიექტის სოციალური მდგომარეობით გამოწვეულ მის მოთხოვნილებებს და ამ მდგომარეობის გაცნობიერებას, ე. ი. ობიექტური პირობებით განპირობებულ იმის ჯერარსობას, თუ როგორი უნდა იყოს სუბიექტის მისწრაფებანი და ორიენტირება, 2) სუბიექტის ფაქტობრივ მისწრაფებებსა და ორიენტირებას. ობიექტური ინტერესი არის ჯერარსობა, რომელსაც გვიკარნახებს ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ თუ მას სწორად ვერ ავსახავთ, მაშინ ვმოქმედებთ სუბიექტური მოტივებით. განსხვავება ობიექტური ვითარებით გამოწვეულ ჯერარსობასა და სუბიექტის მოტივაციით განსაზღვრულ მოქმედებას შორის არის საფუძველი იმისა, რომ სოციალური სუბიექტების ყოფიერებაში განსხვავდეს ორი პერიოდი: თავისთავად და თავისთვის ყოფიერება. სოციალური სუბიექტი თავისთავადია მანამ, სანამ არა აქვს გაცნობიერებული მისი ყოფიერებიდან გამომდინარე ჯერარსობა და ნამდვილი ინტერესები, როდესაც ის შეიმეცნებს ამ ჯერარსობას და ინტერესებს, ხდება სუბიექტად თავისთვის. მარქსმა ეს გააანალიზა კლასების მაგალითზე. ჰეგელის ანალოგიურად მარქსმა გამოიყენა ეს ცნებები. ჰეგელთან აბსოლუტური იდეა, სანამ თავისთავს გააცნობიერებდა, იყო იდეა თავისთავად, ხოლო თავისთავის შემეცნების შემდეგ იქცეოდა გონად თავისთვის. არსებითად ეს არის ცნობიერების ორი მდგომარეობა. მარქსმა ეს გადაიტანა კლასებზე და აღნიშნა, რომ კლასი, რომელსაც არა აქვს გაცნობიერებული თავისი ჭეშმარიტი ინტერესები, წარმოადგენს კლასს თავისთავად, ხოლო კლასი, რომელიც გააცნობიერებს მის ნამდვილ ინტერესს, არის კლასი თავისთვის. როგორც ორანსკი აღნიშნავს, „ერთია ინტერესის ცნობიერება, ხოლო მეორე — თვით ინტერესი". ერთია ჩემი აზრი რაიმეზე, როგორც ჩემი ფსიქიკური განცდა, მეორე კი ის, რაზეც ვფიქრობ. ინტერესის ცნობიერება ფსიქიკური პროცესია, რომელიც ადამიანის თავში მიმდინარეობს. თვით ინტერესი კლასის ობიექტური მოთხოვნებია, რომელნიც განპირობებულია საზოგადოებაში ამ კლასის მდგომარეობით. ამრიგად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ობიექტური კლასობრივი ინტერესები და კლასის სუბიექტური ცნობიერება. განსხვავება კლასს თავისთავად და კლასს თავისთვის შორის მარქსისტულ ლიტერატურაში გამოხატულია, როგორც განსხვავება „არაკონსტიტუირებულ და კონსტიტუირებულ კლასებს შორის". (104, 240).

არაკონსტიტუირებული კლასი მოკლებულია საკუთარ კლასობრივ

ცნობიერებას, იდეოლოგიას და, საერთოდ, მდგომარეობის ასახვას. მის მოქმედებას განაპირობებს მოჩვენებითი ინტერესები, თუმცა ეს მას არა აქვს გაცნობიერებული. ისტორია უამრავ მაგალითს იძლევა კლასების საკუთარი ცნობიერების გარეშე მოქმედებისა. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ყოველგვარი ინტერესის გარეშე მოქმედებენ, უბრალოდ მათი მამოძრავებელი ინტერესები არ იყო მათივე მდგომარეობის გამომხატველი და მისგან გამომდინარე მოთხოვნებით განპირობებული.

ამრიგად, ობიექტური ინტერესებისა და გაუცნობიერებელი ინტერესების ცნებაც რეალური ვითარების ამსახველია.

ზემონათქვამი არ ნიშნავს, რომ ინტერესთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყვეტილია, რომ ინტერესთა გაგებაში სიძნელეები არ არსებობს. ინტერესების ობიექტურობის, მატერიალობის მტკიცება მრავალ სიძნელეს შეიცავს. უკანასკნელ დრომდე ინტერესების მარქსისტულ თეორიაში ინტერესი გაგებული იყო, როგორც სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებული, წარმოებით ურთიერთობათა იგივეობრივი. ასეთი თვალსაზრისი აქვთ გატარებული პლეხანოვს, ორანსკის და სხვებს. ინტერესის ასეთი გაგება სიძნელეებთანაა დაკავშირებული: რას უნდა წარმოადგენდეს ინტერესი, თუ ის არაა სუბიექტის უპირატესი ორიენტირება ვითარებებზე და როგორაა საერთოდ შესაძლებელი ინტერესი უსუბიექტოდ. ამიტომ ზდრავომისლოვის ნაშრომში ლაპარაკია ინტერესის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებზე და არა ობიექტურად არსებულ ინტერესებზე. არის სხვა სიძნელეებიც. სახელდობრ, როგორ უცვლის სახეს ინტერესებს განსხვავებულ ვითარებაზე გაერცელება. ან კიდევ, თუ ყველაფერი ან ობიექტურია და ან სუბიექტური, როგორ შეიძლება ინტერესი იყოს მათი გამაერთიანებელი. საერთოდ, ინტერესთა საკითხში მრავალი პრობლემაა, რომელთა გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

7. კლასების დარენდორფისეული თეორია

თანამედროვე სოციოლოგიის წარმომადგენლებს შორის არის განსხვავება კლასების ცნებისადმი დამოკიდებულებაში. ერთნი კლასის ცნებას ცვლიან ფენის ცნებით. მათი აზრით, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შეიძლება მრავალი განზომილებით განვიხილოთ, მაგრამ ამ მიზნისთვის კლასები არ გამოდგება, რადგან კლასების მარქსისტულმა გაგებამ ეს ცნება „სოციოლოგიური ანალიზისთვის სამიში გახადა". ამიტომ ისინი აყენებენ ფენის, წოდების, ელიტის და სხვა ცნებებს კლასის ნაცვლად. მეორენი იყენებენ ყველა ამ ცნებას და ამავე დროს, კლასების ცნებას გამოსადეგად თვლიან საზოგადოების სტრუქტურული ანალიზისთვის. დარენდორფს შესაძლებლად მიაჩნია, თავისი დამოკიდებულება მარქსთან შეადაროს ფიზიკაში აინშტაინის თეორიის დამოკიდებულებას წინარე თეორიებთან. დარენდორფი კრიტიკულად მიმოიხ-

ილავს კლასების საკითხში მარქსის წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა არგუმენტს. იგი ფიქრობს, რომ ამ კრიტიკოსებმა ვერ დაძლიეს მარქსი და მათი კრიტიკის შემდეგაც რჩება „გადაუწყვეტელი ამოცანები და პრობლემები", რასაც განაპირობებს ოთხი გარემოება: 1. ზოგიერთი სოციოლოგი იმღუდება იმის აღნიშვნით, რომ მარქსის ნათქვამი არ გამართლდა, მაგრამ მის ნაცვლად არ აყენებს ახალ თეორიას; 2. ზოგი სოციოლოგი კრიტიკის წანამძღვრად იღებს იმას, რაც კრიტიკის შედეგი უნდა იყოს, სახელდობრ, მარქსის თეორიის უაზრობას. ასეთი წანამძღვარი შეუძლებელს ხდის სტრუქტურული ანალიზისა და სოციალური კონფლიქტის გაგებას; 3. ზოგი კრიტიკოსი აკრიტიკებს არა მარქსის თეორიას, არამედ მათი წარმოსახვით შექმნილ „მარქსს", ე. ი. კრიტიკის საგანს ცვლიან და ამით საკუთრივ მარქსი დაუძლეველი რჩება; 4. კრიტიკოსები, რომლებიც მარქსის თეორიას ეხებიან, ვერ ითვალისწინებენ მთელი საზოგადოების ცვლილებას და მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე უთითებენ. დარენდორფი ამოცანად ისახავს: ა) მონახოს ისეთი თეორიული ფორმულირება, რომელიც ფაქტების კონსტატირებას გასცილდება; ბ) ეს გაიხადოს ამოსავლად თეორიისათვის, რომელიც ახსნის სოციალურ კონფლიქტებს არა ინდივიდუმების ქცევით, არამედ სოციალური სტრუქტურების პირობებით; გ) მისი ამოცანაა, განსაზღვროს ახალი თეორიის ნამდვილი ბუნება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; დ) ეს თეორია ისე უნდა აიგოს, რომ ითვალისწინებდეს მარქსის დროიდან ინდუსტრიული საზოგადოების ყველა ცვლილებას. ამ ამოცანის განხორციელების ყველა პირობად დარენდორფს მიაჩნია მარქსის თეორიის დაძლევა და ახალი თეორიის შექმნა. მისი აზრით, ახალი თეორია მოითხოვა შეცვლილმა სინამდვილემ. დარენდორფის აზრით, ასევე იყო ფიზიკაშიც: დიდი ხნის განმავლობაში სინათლის კორპუსკულური თეორია მისაღებად ითვლებოდა, რადგან მის საწინააღმდეგო ფაქტებს არ იცნობდნენ; შემდეგ აღმოჩნდა ისეთი ფაქტები, რომლებიც კორპუსკულური თეორიით არ აიხსნებოდა, ამიტომ იგი შეიცვალა ახალი, ტალღური თეორიით, მაგრამ ვერც ტალღურმა თეორიამ ახსნა ამ ჯგუფის ყველა მოვლენა. ამიტომ შეიქმნა ახალი, უფრო დიდი ზოგადობის თეორია, რომელმაც გააერთიანა კორპუსკულური და ტალღური თეორიის ძირითადი პრინციპები. დარენდორფის აზრით, სოციოლოგიაშიც უნდა შეიქმნას საზოგადოების ისეთი თეორია, რომელიც მხედველობაში მიიღებს მარქსის თეორიაში ახსნილ ფენომენებს და ასევე გააანალიზებს ახალი ინდუსტრიული საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას. ახალმა საზოგადოებამ მარქსის თეორიაში მხედველობის გარეშე დატოვებული სინამდვილე წარმოაჩინა. ეს არის საკუთრებისა და კონტროლის გათიშვა. ეს ფაქტი უნდა მოექცეს თეორიაში.

დარენდორფი ინარჩუნებს კლასის ცნებას, როგორც სოციალური

სტრუქტურული ანალიზის ძირითად ინსტრუმენტს. ამავე დროს მოითხოვს, დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ კლასის ცნებას სოციოლოგიაში, განსხვავებით სხვა დარგებისაგან, სადაც ეს ცნება იხმარება, მაგრამ სრულიად ნეიტრალურია. მაგალითად, ლოგიკაში, ბიოლოგიაში. როგორც კი სოციოლოგი ეცდება გამოიყენოს ეს ცნება, აუცილებელია მთელი სერიოზულობით გაანალიზდეს მისი შინაარსი და გაიწმინდოს პოლიტიკური ცრურწმენებისაგან. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება კლასის ცნება გახდეს „სოციოლოგიური ანალიზის ზუსტი ინსტრუმენტი", იგი მიმოიხილავს კლასის მრავალ განსაზღვრებას, თუმცა შეუძლებლად მიიჩნევს კლასის ყველა ცნების ანალიზს. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში პიტირიმ სოროკინი კლასის 32 ცნებას განარჩევდა.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში კლასის მრავალი ახალი ცნება იქნა ფორმირებული. კლასების განსაზღვრებაში ორიენტირებისათვის მათ კლასიფიკაციას ახდენენ იმის მიხედვით, თუ რა კრიტერიუმი უდევს საფუძვლად კლასის ამა თუ იმ ცნებას — ობიექტური თუ სუბიექტური. დარენდორფი აღნიშნავს, რომ კლასის განსაზღვრება ხდება ადამიანთა სოციალური სტატუსის მიხედვით: მათი წარმოდგენით სოციალურ სტრუქტურაში ადგილის შესახებ, ან პრესტიჟით, ანდა ფაქტორთა სიმრავლით, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, კრონერი, რომლის მიხედვით „სოციალური კლასები სოციალური ჯგუფებია და განისაზღვრება სამი ფაქტორით: 1. იგივეობრივი სოციალური ურთიერთობებით; 2. იგივეობრივი სოციალური სტატუსითა და 3. იგივეობრივი სოციალური ღირებულებებით". დარენდორფის აზრით, ვერცერთი განსაზღვრება ვერ აღწევს მიზანს, ე. ი. ვერ იძლევა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ნამდვილ სურათს, რის გამოც კლასის ცნება სოციოლოგიაში თავისებურ დისკრედიტაციას განიცდის. ვინც კლასებს განსაზღვრავს სტატუსით, პრესტიჟით, ცხოვრების წესით, ეკონომიკური ურთიერთობებით ან შემოსავლით, ფაქტობრივად სოციალურ ფენებს განსაზღვრავს და არა კლასებს. „კლასი სოციალური კონფლიქტის სტრუქტურული საფუძვლის ანალიზისათვის გამიზნული კატეგორიაა და იგი არსებითად განსხვავებულია ფენის ცნებისაგან, რომელიც სტატიკურად წარმოდგენილ იერარქიულ ნაგებობას აღწერს". (166, 82). დარენდორფის აზრით, თანამედროვე სოციოლოგიაში არსებობს ალტერნატივა — ან უარი ვთქვათ დისკრედიტირებულ კლასების ცნებაზე ან კლასები განვსაზღვროთ ახლებურად, რადგან კლასების ცნებას მოქალაქეობრივი უფლება აქვს, მასზე უარისთქმა შეუძლებელია, ისტორიულად არსებულ კლასის მრავალრიცხოვან ცნებათაგან ამოსავლად, დარენდორფის აზრით, კლასის მარქსისტული გაგება გამოდგება, მარქსის შემდგომ თეორიებს კი შეიძლება ჰქონდეთ ახალი თეორიისათვის მომამზადებელი საფეხურების მნიშვნელობა. დარენდორფი ცდილობს შექმნას ეს ახალი თეო-

რია. ამავე დროს, აღნიშნავს, რომ მისი თეორია გარკვეული თვალსაზრისით ეკლექტიკური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სრული ორიგინალობის პრეტენზია ამ თეორიას არა აქვს, იგი მრავალი თეორიის მომენტებს შეიცავს, მაგრამ ამავე დროს მათ უბრალო ჯამამდე არ დაიყვანება. დარენდორფი, ისე როგორც მისი წინამორბედები, ცდილობს მარქსის თეორიის „გაწმენდას". მისი აზრით, ამ თეორიის სოციოლოგიური ელემენტი უნდა გამოვაცალკეოთ მისი პოლიტიკური მოტივებისაგან. დარენდორფი აგრძელებს მაქს ვებერის ხაზს, რომელიც სოციალურ მეცნიერებას მიჯნავდა სოციალური პოლიტიკისაგან. განსაკუთრებით ორი ცნების მიმართ აელენს ამას დარენდორფი; ესენია: „კლასისა" და „კაპიტალიზმის" ცნებები. კლასებისა და კლასობრივი სტრუქტურის ცნებები გამოიყენება გარკვეული სოციალური მოდელის მიმართ, ასეთ მოდელს წარმოადგენს კაპიტალიზმი, რომელიც გახდა მარქსის ანალიზის საგანი. ორივეს მიმართ დარენდორფი მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ რას ხედავდა მარქსი სწორად და „რას დამახინჯებულად პოლიტიკურ ცრურწმენათა გამო". დარენდორფის აზრით, თანამედროვე სოციოლოგიის უკანასკნელი სიტყვაა სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, რომელიც იკვლევს სოციალურ სტრუქტურებს, სოციალურ პოზიციებს და სოციალურ როლებს მათ ცვალებადობაში.

მარქსის თეორიამ მოამზადა სტრუქტურული კვლევა, სტრუქტურათა დინამიკის ჩათვლით. ამ მიზნით მარქსის მიერ შედგენილი მოდელია „კაპიტალიზმი", რომლის ცვლილებას განაპირობებს კლასები. „ეს იყო მარქსის საუკეთესო მონაპოვარი". მაგრამ, დარენდორფის აზრით, მარქსმა კლასების გარდა სხვა ძალა რომ ვერ დაინახა, ეს მისი შეცდომა იყო. მაშინაც, თუ მარქსის თეორიას გავიგებდით როგორც კლასობრივი კონფლიქტის დომინანტობას ყველა სხვა კონფლიქტის მიმართ, შეცდომას დავუშვებდით, რადგან ასეთი განზოგადება გზას უკეტავს სტრუქტურული ცვლილების მეცნიერულ კვლევას მთლიანობაში. დარენდორფის აზრით, სტრუქტურული ცვლილებანი მრავალგვარია და მათი ამხსნელი ფაქტორებიც მრავალი უნდა იყოს. დარენდორფი აიგივებს სოციალურ ცვლილებას სტრუქტურულ ცვლილებასთან, მაგრამ თვით სტრუქტურული ცვლილებების მაკონსტრუირებელ ძალებში იგი ხედავს ორ დიდ ჯგუფს: ექსოგენურს და ენდოგენურს. პირველნი სტრუქტურული ცვლილებების ფაქტორი ხდება სტრუქტურის გარეთა სფეროდან, ხოლო მეორენი — სტრუქტურის შიგნით. პირველის ნიმუშად იგი ასახელებს ევროპელთა მიერ აფრიკის დაპყრობას, რასაც მოჰყვა აფრიკაში არსებული სტრუქტურების მსხვრევა. მეორის ნიმუშია ევროპაში საკუთრებისა და კონტროლის გათიშვა.

ექსოგენური სტრუქტურის შიგნით შეიძლება მრავალი ფაქტორი მოქმედებდეს: დაპყრობა, კულტურის გავრცელება დაპყრობის გარეშე

და სხვა. ენდოგენური სტრუქტურული ცვლილებაც მრავალი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული და მისი დაყვანა მხოლოდ კლასობრივ კონფლიქტზე დარენდორფს შეუძლებლად მიაჩნია, რადგან კლასობრივი კონფლიქტი მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია.

თანამედროვე სოციოლოგიაში განსხვავებული დამოკიდებულება ელინდება, როგორც სოციალური სტრუქტურის, ისე სოციალურ ცვლილებათა ხასიათისა და მიმართულების მიმართ. ერთნი უარყოფენ რევოლუციას, როგორც სოციალური მოძრაობის კანონს, და გამორიცხავენ მას სოციალური ცვლილებების მიზეზებიდან, მეორენი კი თავისებური პლურალისტური რევოლუციების ნიადაგზე დგანან.

დარენდორფი ეკუთვნის იმ ჯგუფს, რომელიც უარყოფს რევოლუციას, ებრძვის მარქსის რევოლუციურ ცვლილებათა თეორიას იმ მოტივით, რომ იგი გამორიცხავს თანდათანობით ცვლილებებს.

დარენდორფის აზრით, მარქსის დროიდან ევროპაში რევოლუცია არ მომხდარა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცვლილებებს არ ჰქონია ადგილი. დარენდორფის მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ სოციალური ცვლილება ხდება თანდათანობით, შესამჩნევი და უეცარი მსხვრევის გარეშე. ამიტომ, „როდესაც სტრუქტურულ ცვლილებებზე ვლაპარაკობთ, არ ეგულისხმობთ რევოლუციებს: როცა კლასთა კონფლიქტზე ვმსჯელობთ, არ ვამტკიცებთ, რომ იგი გარდუვლად რევოლუციამდე მიდის". დარენდორფის აზრით, ცვლილება არის სოციალური სტრუქტურის მუდმივი ასპექტი სხვა ფაქტორების გვერდით კლასთა დაპირისპირებაც იწვევს ცვლილებას, მაგრამ რევოლუცია კლასთა დაპირისპირებაში გამონაკლისია და არა წესი.

საპირისპირო პოზიციიდან უარყოფს მარქსის ნააზრევს ფრანგი მოაზროვნე რეველი. იგი დგას პლურალისტური რევოლუციების ნიადაგზე. თავის ნაშრომში „მარქსის თუ ქრისტეს გარეშე" — იგი ეხება ამერიკის განვითარების გზებს და აცხადებს, რომ თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია რევოლუციათა სიმრავლე, მაგრამ ეს რევოლუციები არ დაიყვანება ერთ სახეობამდე. დღეს ერთდროულად საჭიროა მრავალი სახის რევოლუცია, რადგან საზოგადოება მრავალი დაავადების მატარებელია. რევოლუცია კი არის ამ დაავადებათაგან განკურნვის გზა. რეველის აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში მხოლოდ ამერიკას შეუძლია „ჰქონდეს რევოლუციის წყაროს პრეტენზია შემდეგ მიზეზთა გამო: ეს ქვეყანა ხასიათდება ეკონომიკისა და მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდით, რაც აუცილებელია რევოლუციურ გარდაქმნათათვის. მან მიაღწია მეცნიერებისა და ტექნიკის, ასევე კვლევით სამუშაოთა განვითარების მაღალ დონეს. მისი კულტურა უფრო მეტად ორიენტირდება მომავალზე, ვიდრე წარსულზე. მასში ხდება ქცევის ნორმათა გადატრიალება; ასეთივე ვითარებაა

პიროვნების თავისუფლებისა და საყოველთაო თანასწორობის სფეროში. მან უარყო მისთვის ავტორიტარული მეთოდები და ყველა დარგში, განსაკუთრებით კი ხელოვნებაში, ცხოვრების წესსა და სინამდვილის აღქმაში, სტიმული მისცა შემოქმედებით ინიციატივას. დაუშვა მრავალი ურთიერთშემცველი და ურთიერთგაველენაში მყოფი სუბკულტურის თანაარსებობა".

რეველის აზრით, თანამედროვე საზოგადოება ვერ დასჯერდება პოლიტიკურ რევოლუციებს. მას, სულ მცირე, ხუთი სახის რევოლუცია მაინც სჭირდება: პოლიტიკური, სოციალური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული, აგრეთვე რევოლუცია საერთაშორისო და რასებს შორის ურთიერთობებში. რეველის მიხედვით, ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ხუთივე რევოლუციას აქვს ადგილი. იგი უარყოფს ევროპისა და აზიის ქვეყნებში მომხდარ რევოლუციათა შნიშვნელობას და ფაქტს. მისი აზრით, წარსულის რევოლუციათა წარუმატებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ მხოლოდ პოლიტიკურ ამოცანებს ისახავდა. მეტიც, საზოგადოებრივ სტრუქტურაში იგი ვერ ხედავს დღევანდელი სინამდვილის მიმართ კლასების კატეგორიის გამოყენების შესაძლებლობას. „მე-19 საუკუნის საზომები, რომელიც გამოიყენებოდა მოსახლეობის კლასებად დასაყოფად, ამჟამად გამოუსადეგარია ახალ პოლიტიკურ დაყოფათა მიმართ, რომლებიც დამოკიდებულია ამა თუ იმ სქესისადმი, ამა თუ იმ რასისადმი კუთვნილებაზე და ემყარება ესთეტიკურ გრძნობას, რაც აიძულებს ადამიანებს აკრიტიკონ ცხოვრების ესა თუ ის წესი". ახალ სტრუქტურათა გამოსახატავად რეველი იყენებს „კომუნიტის" ცნებას და მიაჩნია, რომ კომუნიტები ახდენენ მორალურ, კულტურულ და პოლიტიკურ რევოლუციებს. რეველი ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრის მოსპობის ამოცანას ცელის ერთი სქესის ადამიანთა მიერ მეორეთა ჩაგვრით. მისი აზრით, სქესობრივი თანასწორობის მოთხოვნა ძირითადია რევოლუციურ მოთხოვნათა შორის.

დარენდორფის აზრით, მე-19 საუკუნეში შესაძლებელი იყო, საკუთრება გამოგვეყენებინა კლასის მაკონსტრუირებელ პრინციპად. თანამედროვე ვითარებაში ეს შეუძლებელია, რადგან საკუთრება არაა კონტროლისა და, მაშასადამე, ბატონობის წყარო. კლასობრივი ურთიერთობა ნიშნავს ბატონობასა და დაქვემდებარებას, ამიტომ საჭიროა შეიცვალოს კლასთა წარმოქმნის კრიტერიუმები, რადგან საკუთრებამ დაკარგა კრიტერიუმის მნიშვნელობა, კლასები კი არსებობს და შესაბამისად კონტროლი და ბატონობაც არის, საჭიროა ახალი კრიტერიუმი. ასეთად გამოდგება ბატონობის ფორმა. ბატონობა დაკავშირებულია კონტროლთან, მაგრამ იგი არაა შეზღუდული წარმოების საშუალებებზე საკუთრებით; მეტიც, საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრინციპულად დამოუკიდებელი ტიპია. „ჩვენი თეორიის მიხედვით, ბატონობა ანუ ავტორიტარული სტრუქ-

ტურა როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკეული ინსტიტუტების კლასთა შექმნისა და კლასთა კონფლიქტის განმსაზღვრელი საფუძველია". საკუთრება ბატონობის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ არაა ერთადერთი. ამიტომ მარქსი ცდებოდა, როდესაც ბატონობის ყველა ფორმა საკუთრებით ბატონობაზე დაყავდა. დარენდორფის აზრით, მარქსი ლოგიკურ შეცდომას უშვებდა, როცა კერძო ფაქტორით განსაზღვრავდა ზოგადს, რადგან კლასის მაკონსტრუირებელი პრინციპი ბატონობაა, ამიტომ, დარენდორფის აზრით, კლასის წინასწარი განსაზღვრება შეიძლება ასეთი იყოს: „კლასები კონფლიქტში მყოფი სოციალური ჯგუფებია, რომელთა საფუძველი (და, მაშასადამე, სპეციფიკური ნიშანი) ბატონობის კავშირის ფორმაა, მასში მონაწილეობის ან მისგან გამორიცხვის სახით". (166, 139).

კლასის დარენდორფისეული გაგება ეხმიანება ამერიკულ სოციოლოგიაში გაბატონებულ შეხედულებას კლასებზე, რომლის მიხედვით „ეს ცნება აღნიშნავს განსხვავებას მათ შორის, ვინც საზოგადოებაში „მაღლა ან დაბლა" დგას. უფრო კონკრეტულად, ტერმინ „კლასით" აღინიშნება განსხვავება შემოსავლებში, სოციალურ ეკონომიკურ სტატუსში (ე. ი. ის პრესტიჟი, რომლითაც სარგებლობენ ადამიანები, როცა მაღალი შემოსავალი შეთავსებულია კარგ სამსახურებრივ მდგომარეობასთან) ხელისუფლების ელემენტებით, რომლებიც განსაზღვრავს, — შეუძლია თუ არა ადამიანს, სხვა დაიქვემდებაროს, თუ თვითონ უნდა დაექვემდებაროს სხვას". ისე როგორც დარენდორფი, ლიფსეტიც ფიქრობს, რომ კლასები მარადიული კატეგორიაა, რადგან საკუთრების ყველა ფორმის დროს არსებობს და საერთოდ კლასობრივი დაყოფის კრიტერიუმად გამოდგება სოციალური ქცევის ყოველი დეტერმინანტი. ეს ნიშნავს, რომ „კლასობრივი კრიტერიუმები განსაზღვრავს ოჯახურ ყოფას, სკოლაში წარმატებას, უმცირესობისადმი დამოკიდებულებას, პოლიტიკური პარტიის არჩევას, შობადობის კოეფიციენტს, დასვენებისა და გართობის ხასიათს, კულტურულ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, დაბოლოს, მასობრივი ინფორმაციის ზეგავლენის ხარისხს". (89, 9). მისი აზრით, კლასის ასეთი გაგება გაცილებით უფრო ფართო საზრისს ანიჭებს კლასებს, ვიდრე მარქსისტები.

დარენდორფის შემდგომი მსჯელობა ბატონობის ფორმათა შორის განსხვავებას ეხება, მისი აზრით, ბატონობა არ უნდა გავაიგივოთ ძალაუფლებასთან. იგი იმოწმებს მაქს ვებერის „ბატონობის ფორმების" ანალიზს და განასხვავებს ძალაუფლებას ბატონობისაგან. იგი ავტორიტეტულია, რომელიც სხვებისადმი ბრძანების საშუალებას გვაძლევს. ძალაუფლება პიროვნებასთანაა დაკავშირებული, ბატონობა კი პოზიციასთან. ეს უკანასკნელი გამოიხატება სხვებზე კონტროლის კანონიერ უფლებაში, მაშინ როდესაც ძალაუფლება უკანონოდ იძლევა კონტრო-

ლის საშუალებას. იგი უკანონო ბატონობაა, ავტორიტეტი — კი კანონიერი, სოციალური ინსტიტუციონალიზების ნორმებზე დამყარებული ძალაუფლება. (166, 140).

დარენდორფი კონტროლის უფლებათა დიფერენცირებას ახდენს. მიაჩნია, რომ კონტროლის ყოველი უფლება არაა კლასთა მაკონსტრუირებელი. მაგალითად, დემაგოგების ბატონობა მასებზე, მშობლებისა — შვილებზე, მეგობრისა — მეგობარზე. დარენდორფი განასხვავებს პოლიტიკურ ბატონობას სოციალურისაგან. მისი აზრით, პოლიტიკური ბატონობაც არაა კლასთა მაკონსტრუირებელი. იგი ემყარება იძულებას და დიხოტომიურია, ე. ი. მოსახლეობა იყოფა ამომრჩეველებად და არჩეულებად. ვინც პოლიტიკურად ბატონობს, იგი სოციალურად შეიძლება სხვა კლასის წევრი იყოს. დარენდორფის აზრით, სოციალური ბატონობის ფორმებით კლასების განსაზღვრება მხოლოდ მის თეორიაშია მოცემული, რის საფუძველზეც კლასების საკუთარ განსაზღვრებას განასხვავებს ყველა დანარჩენისაგან. ამიტომ ჩნდება, რომ მეურნეობრივი ბატონობით ჩამოყალიბებული კლასები სოციალური ბატონობით კლასთა დიფერენციაციის ერთ-ერთი ფორმაა. დარენდორფი ფიქრობს, რომ მის მიერ შექმნილი კლასების ცნება გამოდგება ინდუსტრიული საზოგადოების მიმართაც.

ზემოთ ნათქვამი ეხებოდა იმას, რომ მარქსი, დარენდორფის აზრით, მართალია, ხედავდა, მაგრამ ხედავდა არასწორად. დარენდორფის შემდგომი მსჯელობა ეხება იმას, რაც მარქსმა „საერთოდ ვერ დაინახა; ესაა მიმართება სოციალურ როლებსა და მათ პერსონალს შორის". დარენდორფი ემიჯნება კლასების მხოლოდ სუბიექტური ან მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით დადგენის ცდას. იგი ორივეს აცხადებს ცალმხრივად, რადგან ისინი ვერ ხედავენ, რომ „ძირითადი პრობლემა არის კლასთა დაფუძნება სოციალურ როლთა სტრუქტურულ არანეამენტზე და რომ ისინი შედგებიან პიროვნებათაგან. როგორ ხდება ამ ორის გაერთიანება? როგორ რეკრუტირდება სოციალური კლასები? როგორ ხდება ინდივიდუმი მათი წევრი? იგი კლასში იბადება, თუ შემდეგ ხდება კლასის წევრი?" (166, 153).

ამ შეკითხვებზე დარენდორფის პასუხი ასეთია: კლასთა კონფლიქტი აგებულია ავტორიტეტის განწყობაზე. ინდივიდი იმდენად ეკუთვნის ამა თუ იმ კლასს, რამდენადაც გარკვეულ როლს ასრულებს ავტორიტეტული ბატონობის სისტემაში. არ არსებობს პიროვნება როლის გარეშე და, მაშასადამე, კლასობრივი კუთვნილების გარეშეც. დარენდორფი უარყოფს შუმპეტერის მტკიცებას კლასის წევრობის თანდაყოლილობაზე. ისევე როგორც, როლის შეძენა შეიძლება საზოგადოებაში, კლასის წევრობაც შეძენადია. თუ მუშას ირჩევენ ინდუსტრიის ხელმძღვანელობაში, იგი იცელის როლსაც და კლასობრივ კუთვნილებასაც. დიფერენცირე-

ბულია ოჯახის კუთვნილებაც კლასისადმი. თუ ოჯახის უფროსი მენეჯერის როლს ასრულებს, იგი მენეჯერთა კლასს ეკუთვნის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი ცოლ-შვილიც მენეჯერთა კლასის წევრები არიან. ყოველი მათგანის კლასობრივი კუთვნილება უნდა განისაზღვროს მათი როლით საზოგადოებაში, თუ მათ მენეჯერისაგან განსხვავებული როლები აქვთ, ისინი არ იქნებიან მენეჯერთა კლასის წევრები.

მისი აზრით, გაბატონებულ კლასად არ ჩაითვლება ბიუროკრატები; თუმცა მათ გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ, მაგრამ, რადგან სხვების ბრძანებებს ასრულებენ, თვითონ გაბატონებულ კლასს არ მიეკუთვნებიან. გაბატონებულ კლასს მიეკუთვნებიან ისინი, ვისაც თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკურად გაბატონებული პოზიციები უკავიათ: მინისტრები, პარლამენტარები და სხვანი. „ინდუსტრიული საზოგადოების გაბატონებული კლასებია მმართველი პარტიები, მინისტრები და ჩინოვნიკები". (166, 252).

დარენდორფი მსჯელობს კლასობრივ ინტერესებზე, მაგრამ გაუცნობიერებელ ინტერესთა ნაცვლად მას შემოაქვს ფარული და მანიფესტური ინტერესების ცნება. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი ღირებულებებს. მიაჩნია, რომ ღირებულებანი გაბატონებული ინტერესებია; ინტერესები კი დაკავშირებულია როლებთან და იგი მსჯელობს როლთა ინტერესებზე. დარენდორფი აკრიტიკებს გაიგერს, რომელმაც უარყო მარქსის ობიექტური ინტერესები. დარენდორფს მიაჩნია, რომ მარქსი მართალია ობიექტური ინტერესების დაშვებაში, მხოლოდ ეს ინტერესები დაკავშირებულია როლებთან, იგი მოლოდინის ორიენტირებაა. განსხვავება ფარულ და მანიფესტურ ინტერესებს შორის იგივეა, რაც გაუცნობიერებელი და გაცნობიერებული ინტერესებისა. თუ ფარული ინტერესები ადამიანის ქცევას წარმართავს ცნობიერი ორიენტირებისაგან დამოუკიდებლად, მანიფესტურია ცნობიერ მიზანდასახულობად ქცეული ინტერესები, რომელნიც ფსიქოლოგიური რეალობანია და განაპირობებენ პიროვნების სურვილის, გრძნობისა და ნებელობის განსაზღვრული გზით წარმართვას.

„მანიფესტური ინტერესები ორგანიზებული ჯგუფების პროგრამაა". ეს ფსიქოლოგიური ფენომენი უახლოვდება კლასობრივი ცნობიერების სოციოლოგიურ ფენომენს. დარენდორფის აზრით, რეალობა მხოლოდ მანიფესტურ ინტერესებს და მათ ნიადაგზე აღმოცენებულ კლასობრივ ცნობიერებას ახასიათებს, ფარული ინტერესები კი მოკლებულია ასეთ რეალობას, რადგან ფარული ინტერესები არაა აღქმული, გაცნობიერებული, ამიტომ მათ რეალობასაც გამორიცხავს. დარენდორფის წინაშე დგება სიძნელე; თუ ფარული ინტერესები არარეალურია და რეალობა მსოლოდ მანიფესტურია, ეს იმას ნაშნავს, რომ რეალობა გაცნობიერების პროცესის შედეგია; მაშასადამე, კლასიც, როგორც რეალობა, მისი

ინტერესების გაცნობიერების შედეგად წარმოიქმნება და მაშინ ბატონობის ფორმები კარგავს კლასის მაკონსტრუირებელ მნიშვნელობას. ამ სიძნელეს თავი რომ დააღწიოს, დარენდორფი მიმართავს კლასის თავისთავადისა და კლასის თავისთვის მარქსისტულ ცნებებს. მისი აზრით, ფარული ინტერესების პირობებში კლასი თავისთავადია და მანიფესტური ინტერესები აქცევს მას კლასად თავისთვის. მაგრამ თუ ფარული ინტერესები გაუცნობიერებლობის გამო რეალობას მოკლებულია, ეს უნდა ეხებოდეს თავისთავადი კლასის ფენომენსაც, რადგან ისიც გაცნობიერების გარეშეა. ამიტომ ეს დამეება შეუძლებელია. დარენდორფს შემოაქვს ახალი ცნებები კვაზიჯგუფებისა და ინტერესთა ჯგუფის სახით. კვაზიჯგუფებია ფარული ინტერესებით გაერთიანებული და ისინი არარეალური არიან, კლასები კი გაცნობიერებულ ინტერესებთანაა დაკავშირებული. მაგრამ ყოველი ერთობა, რომელიც ცნობიერ ინტერესებს ემყარება, არაა კლასები; მაგალითად, ცნობიერ ინტერესებს ემყარება ოჯახიც, მეგობრების წრეც, ფეხბურთელთა გუნდიც და სხვა მეორადი ჯგუფები. დარენდორფი აიგივებს კლასს თავისთავად კვაზიჯგუფებთან და კლასს თავისთვის ინტერესთა ჯგუფებთან, მისი აზრით, კვაზიჯგუფების კლასად გადაქცევისათვის საჭიროა რეალურ პირობათა რიგი და მარგო ინტერესთა გაცნობიერება არაა საკმარისი. დარენდორფი იმოწმებს მალინოვსკის, რომელიც აყალიბებს ამ პირობათა რიგს. ესაა ქარგია, პერსონალი, განსაზღვრული ნორმები, მოღვაწეობა, ფუნქცია, მატერიალური ინსტრუმენტები. ყველა ეს პირობა, დარენდორფის ტერმინით აღინიშნება, როგორც ორგანიზაციის ტექნიკური პირობები. კლასის ფორმირებისათვის, ამ პირობათა გარდა, დარენდორფს აუცილებლად მიაჩნია ორგანიზაციის პოლიტიკური პირობები, რომელშიც იგი გულისხმობს პარტიების შექმნის თავისუფლებას, რომლის გარეშე კლასის შექმნა შეუძლებელია.

დარენდორფის წანამძღვარს საფუძვლად უდევს კლასის გაიგივება ბატონობასთან, რის გამოც ბატონობისთვის მებრძოლი ყოველი მანიფესტური ინტერესების მქონე ჯგუფი მიაჩნია კლასად. ტექნიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის პირობების გარდა, კლასის ფორმირებისთვის დარენდორფი აუცილებლად თვლის სოციალური ორგანიზაციის პირობას, რომელშიც ესმის კვაზიჯგუფების წევრთა კომუნიკაცია, ე. ი., თუ კვაზიჯგუფებს შორის ტერიტორიული კავშირი არაა, კლასები არ წარმოიქმნება. გამოდის, რომ სოციალური გაიგივებულია ტერიტორიულთან, მაშინ როდესაც კლასის შექმნის ყველა ძირითადი ფაქტორი სოციალურია. დარენდორფი მსჯელობს აგრეთვე კლასის წარმოქმნის ფსიქოლოგიურ პირობებზე, რაც ნიშნავს მანიფესტურ ინტერესებს.

საინტერესოა კლასობრივი კონფლიქტის დარენდორფისეული ანალიზიც. კლასობრივი კონფლიქტი მას ესმის, როგორც არსებული ეი-

თარების დამცველთა და მისი შეცვლის მომხრეთა შორის ბრძოლა. ყოველგვარი კონფლიქტი, დაკავშირებული სოციალური სტრუქტურის შეცვლასთან, კლასობრივია. კლასთა კონფლიქტი ნიშნავს სტრუქტურული ცვლილებების სამ სახეობას: 1. კლასთა კონფლიქტი იწვევს სტრუქტურულ ცვლილებას ბატონობის პოზიციების მქონეთა ტოტალური შეცვლით; 2. სტრუქტურული ცვლილება, რომელიც იწვევს მხოლოდ გაბატონებული პარტიების შეცვლას; 3. სტრუქტურული ცვლილებანი კლასთა კონფლიქტის გარედან რეგულირების გზით. დარენდორფის აზრით, პირველი გზა რევოლუციურია და არასასურველია, არც მესამეა საჭირო. მხოლოდ მეორე გზაა გამართლებული. — მაშასადამე, სოციალური ცვლილება პარტიათა ცვლილების სახით.

კლასთა კონფლიქტსა და კლასობრივ ურთიერთობებში, დარენდორფი აერთიანებს წარმოების პროცესში ყოველგვარ დაქვემდებარებას, დამოკიდებულებას მუშისა ოსტატთან, ოსტატისა — დირექტორთან და ა. შ. ამით იგი კლასობრივ სტრუქტურას აიგივებს პროფესიულთან, სტრუქტურული ცვლილებაც გაგებული აქვს პროფესიული კავშირების გზით ცვლილებად და ეს მიაჩნია დემოკრატიულ ცვლილებათა ფორმად. მისი აზრით, პროფკავშირული მოძრაობა უდევს საფუძვლად ინდუსტრიულ საზოგადოებაში კლასობრივ კონფლიქტს და ეს კონფლიქტი პროფკავშირული მოძრაობით კარგავს ინტენსივობას. კონფლიქტის გადაჭრის რევოლუციურ გზებს, მისი აზრით, ცვლის მეწარმეთა და მუშების წარმომადგენელთა მოლაპარაკება. კონფლიქტი კი არ უნდა გადაიჭრას, არამედ უნდა მოწესრიგდეს ნიველირების გზით. ამის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად მას მიაჩნია შრომითი დირექტორების თანამდებობა, რაც მუშათა წარმომადგენლებს უკავიათ. ესაა ინდუსტრიული საზოგადოების დემოკრატიზაცია, რადგან „ერთი ღამის განმავლობაში შეიძლება გახდეს მუშიდან მეწარმე, ანუ შრომითი დირექტორი, მენეჯერი". (166, 133).

პროფკავშირებთნ ერთად დარენდორფი განსაკუთრებული მნიშვნელობისად მიიჩნევს აღმზრდელობითი ორგანიზაციების ფუნქციათა შეცვლას. ის, რაც ადრე საკუთრებაზე, ოჯახზე, წარმოებაზე იყო დამოკიდებული, „ინდუსტრიულ საზოგადოებაში დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ განათლებაზე, უნარზე". ამიტომ ბატონობის სტრუქტურაში მარეკრუტირებლის როლს ასრულებს აღზრდა, რომლის მიღება განათლების დემოკრატიზაციის შედეგად ყველას შეუძლია. აღზრდის დონე ხდება განმსაზღვრელი ფენობრივი სტრუქტურიზებისას. თუ წარსულ საზოგადოებაში განათლების მიღება შეეძლო მხოლოდ მაღალი ფენის წარმომადგენლებს და, მაშასადამე, აღზრდის დონეს განსაზღვრავდა ფენისადმი კუთვნილება, თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში პირიქითაა — აღზრდის დონე განსაზღვრავს ფენისადმი კუთვნილებას. ამიტომ თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისათვის მთავარია

არა ის, თუ ვისი შვილია — პროლეტარის თუ ბურჟუასი, არამედ ის, თუ რა უნარი, განათლება და ინდუსტრიული დახელოვნება აქვს პიროვნებას.

აღზრდის ფუნქციების შეცვლამ, შელსკის აზრით, თანამედროვე საზოგადოება „კლასობრივიდან ნიველირებულ პროფესიულ საზოგადოებად აქცია". დარენდორფი ეთანხმება იმ იდეას, რომ თანამედროვე საზოგადოება ნიველირებულია, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებს, რომ ეს საზოგადოება კლასობრივიცაა, რადგან კლასებად დაყოფა პროფესიების მიხედვითაც შეიძლება. დარენდორფის აზრით, მაინც მთავარი ისაა, რომ სოციალური უთანასწორობა თანასწორობამ შეცვალა. იგი იმოწმებს მარშალის მიერ თანასწორობის სახეობათა ანალიზს და აღნიშნავს, რომ სამი სახის თანასწორობიდან (იურიდიული, პოლიტიკური და სოციალური) თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში სამივე განხორციელებულია. დარენდორფმა საბოლოოდ კლასობრივი დაყოფის ის სტატუსიც კი, რომელიც თვითონ შემოიღო ბატონობის სახით, შეცვალა პროფესიული დაყოფით. დარენდორფი ამ შეძახილებში აკრძალებს თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთი ლიდერის — ლეოპოლდ ფონ ვიზეს ხაზს. ვიზეს აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს დაპირისპირება არა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს, არამედ საქმიან ხალხსა და საქმისაგან დაშორებულებს შორის. საზოგადოების კლასობრივი დაყოფის საფუძვლად ვიზე თვლის პროფესიულ წოდებებს, რადგან, მისი აზრით, კლასობრივ კუთვნილებას განსაზღვრავს შემოსავალში განსხვავება, ხოლო შემოსავლის განსხვავებას განაპირობებს პროფესიათა სხვაობა. ვიზეს აზრით, გადამწყვეტი ფაქტორია შრომა და კვალიფიკაცია. შრომა არის შემოსავალთა განსხვავების წყარო, თუმცა საკუთრებასაც აქვს ნაწილობრივი როლი, რამდენადაც გავლენას ახდენს შემოსავალზე.

ვიზე აკრიტიკებს საზოგადოების კლასობრივ დაყოფას მდიდრებად და ღარიბებად. მისი აზრით, „ყოველი კაპიტალისტი არაა მდიდარი და ყოველი მდიდარი არაა კაპიტალისტი". თუ გლეხმა ოქრო დააგროვა, ის გამდიდრდება, მაგრამ კაპიტალისტი არ იქნება. ხშირად კაპიტალისტი ღარიბულად ცხოვრობს. ვიზეს აზრით, ცდებიან, როდესაც კლასებს წარმოადგენენ აღქმადად. ფაქტობრივად, ყველა სოციალური წარმონაქმნის მსგავსად, კლასები სულიერი მოვლენებია და მათ შორის განსხვავება ძირითადად განპირობებულია მათი შესაძლებლობებით. ამ აზრით, კაპიტალისტია ის, „ვისაც აქვს უნარი, წარმოების საშუალებანი ჩააყენოს თავის სამსახურში. პროლეტარიატს კი, პირიქით, ძირითადად აქვს სამუშაო ძალა, რომლითაც შეუძლია წარმოებას ემსახუროს". ერთიც და მეორეც შესაძლებლობის ფარგლებშია და მათი განხორციელება არაა აუცილებელი. მაშასადამე, ძირითადი ფაქტორებია შესაძლებლობა და შემოსავალი. სამიგომ კლასის განსაზღვრებაც მათგან უნდა გა-

მომდინარეობდეს. ამ კრიტერიუმით პროლეტარიატის განსაზღვრება ასეთ სახეს მიიღებს: „პროლეტარიატს ქმნის ის პიროვნებანი, რომელთაც საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ მიაღწიონ უმაღლეს შრომით შემოსავალს და საკუთარი არსებობა ხელფასით უნდა დაიკმაყოფილონ". (175, 29).

არაპროლეტარული კლასის სპეციფიკაა, რომ თავის საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სამუშაო ძალის გარდა სხვა საშუალებანიც აქვს. ვიზე საკუთარი კრიტერიუმის მომარჯვებით კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხუთ კლასს განასხვავებს: 1. ღატაკნი; 2. მუშათა კლასი; 3. წვრილი კაპიტალისტები; 4. შეძლებული კლასები; 5. ძალზე მდიდარი კლასები. ყოველი კლასის შიგნით ვიზე განარჩევს ფენებს. მუშებისა და მდიდარი კლასების დიფერენცირებისათვის გამოყენებული აქვს შეცვლადობის ხარისხის კრიტერიუმი. ამის მიხედვით მუშათა კლასი იყოფა სამ ფენად: 1. ყველაზე ადვილად შეცვლადი — უმთავრესად ხელით მომუშავენი, 2. ადვილად შეცვლადი — დაბალი პროფესიული დასპეციალების მქონენი და 3. ძნელად შეცვლადი — მაღალი კვალიფიკაციის მუშები. ყველა შემთხვევაში „კლასებად დაყოფა დაფუძნებულია შემოსავალსა და შესაძლებლობებზე". ვიზეს აზრით, მარქსის თეორია კლასთა შორის დამოკიდებულებათა ახსნაში კლასებიდან ამოდის, ე. ი. სუბსტანციური თვალსაზრისია; მისი თეორია კი კლასებს ხსნის მათი დამოკიდებულებებით; ე. ი. მიმართებათა თვალსაზრისია. „ჩვენი დაყოფის მიხედვით კლასები მიღწეითა და წარმატებებით განსხვავდებიან. კლასისათვის მისაკუთვნებლად გადამწყეტია ის, თუ რა შესაძლებლობებს ფლობს ვიღაც. ამაზე პასუხი არის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ ადგილს". (175, 62). ვიზე უარყოფს მარქსისტულ მოძღვრებას უკლასო საზოგადოების შესახებ იმ საბუთით, რომ ადამიანებს შორის შეუძლებელია სრული თანასწორობის დამყარება, რომ უთანასწორობის საფუძველი ყოველთვის იქნება ადამიანის ნიჭსა და უნარში განსხვავების სახით. ვიზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებს აღზრდის ინსტიტუტებზე. მისი აზრით, სოციალური სტრუქტურების გარდაქმნაში გადამწყეტი იქნება აღზრდის სისტემა, რაც განაპირობებს შესაძლებლობებისა და შემოსავლის გარდაქმნასაც.

8. სოციალური სტრატიფიკაცია

სოციალური სტრუქტურის კვლევაში ტრადიციული მსჯელობა იყო სოციალურ კლასებზე, წოდებებზე და ფენებზე, როგორც კლასთა შორის ჯგუფებზე. ყოველივე ეს ემყარებოდა სოციალური უთანასწორობის არსებობის აღიარებას. საზოგადოების ასეთ დაყოფას ზიმელმა 1909 წელს გამოცემულ შრომაში „სოციალური დიფერენციაცია" უწოდა. XX-20 საუკუნის პირველ მეოთხედში მაქს ვებერმა და პიტირიმ სოროკინ-

მა სოციალური და შესაბამისად ნაწილობრივ კლასობრივი დიფერენციაცია შეცვალეს ახალი ცნებით და ტერმინით — „სოციალური სტრატიფიკაცია", რომლის ძირითად სოციალურ ერთეულს სტრატა წარმოადგენს. ბიოლოგიიდან ნასესხები ეს ტერმინი მოწოდებულია, უფრო სრულად ასახოს სოციალური იერარქიის დანაწევრება, მოიცვას საზოგადოების ყველა ჯგუფი თუ ფენა. ეს ავტორები უპირისპირდებოდნენ თვალსაზრისს, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას მიაწერდა ტენდენციას ერთიანი, ნიველირებული, არადიფერენცირებული, ან ნაკლებ სტრუქტურირებული საზოგადოების შექმნისაკენ. ისინი უპირისპირდებოდნენ სოციალისტებისა და კომუნისტების მოძღვრებასაც უკლასო, უიერარქიო საზოგადოების შესახებ. პიტირიმ სოროკინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რევოლუციის შემდეგ რუსეთში იერარქიამ და დიფერენციაციამ უფრო მეტი გაქანება პოვა და აღმოფხვრის ტენდენციაც არ გამოუვლენია, — რომ თანასწორობისაკენ სწრაფვა, რომელიც დაისახა ევროპასა და ამერიკაში დემოკრატიის დამკვიდრების შედეგად, არაა საბოლოო მდგომარეობა, რადგან, „სამწუხაროდ, არ არსებობს გარანტიები, რომ პოლიტიკური თანასწორობის ტენდენცია არ იქნება გამოდევნილი საწინააღმდეგოთი". (135, 337). ანალოგიურ აზრს ავითარებდა მაქს ვებერიც — „აღთქმული თანასწორობა, რომელსაც ქმნის სოციალური შეფასება ხანგრძლივი დროის პერსპექტივის თვალსაზრისით, საიმედო არაა" (38, 151). ეს მოჩვენებითი თანასწორობა ამერიკაში მხოლოდ კლუბის წევრთა შორის ურთიერთობაში ვლინდება, ევროპის ქვეყნებში კი იქაც არაა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პიტირიმ სოროკინს მიაწერს როგორც სოციალური მობილობის, ისე სოციალური სტრატიფიკაციის თეორიის შექმნას. მხედველობაში აქვთ 1927 წელს გამოსული სოროკინის შრომა — „სოციალური მობილობა". მაგრამ თუ მობილობის მიმართ სოროკინის პრიმატი უდავოა, სტრატიფიკაციის შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით, რადგან სოციალური სტრატიფიკაციის შესახებ პირველი ნაშრომი ეკუთვნის მაქს ვებერს სათაურით — „სტრატიფიკაციის ძირითადი ცნებები", რომლის ერთ-ერთ პარაგრაფს ეწოდება „სოციალური სტრატები და მათი სტატუსი". ვებერისა და სოროკინის მიერ დაყენებული სტრატიფიკაციის საკითხი. ვებერისათვის სტრატიფიკაციის კრიტერიუმი ძალაუფლებაა. ადამიანთა დაყოფა ხდება იმის მიხედვით, ვინ მართავს და ვის მართავენ. ეს ძალაუფლება იქნება ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა სახის, ყველა შემთხვევაში საერთოა ერთის მიერ მეორისადმი საკუთარი ნებელობის თავს მოხვევა. აქედან გამომდინარე, ვებერი ძალაუფლებას ასე განმარტავს: „ძალაუფლებაში გვესმის ერთი ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის, შესაძლებლობა — ერთობლივ ქმედებაში მოახდინოს თავისი საკუთარი ნებელობის რეალიზაცია მასში მონაწილე სხვა

ადამიანთა წინააღმდეგობის მიუხედავადაც“. (38, 147). ძალაუფლება ლეგალურ საზოგადოებაში მსოლოდ კანონს ემყარება. კანონის არსებობა კი ნიშნავს არა მარტო სოციალური ნორმების დაწესებას, არამედ იმ მექანიზმის არსებობასაც, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლს საზოგადოებაში კანონების განხორციელებაზე. „კანონი არსებობს მაშინ, როცა არის იმის ალბათობა, რომ ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფი გარკვეულ წესრიგს დაიცავს, რომლის დროსაც იყენებენ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას, რათა მიაღწიონ ლოიალობას მოცემული წესრიგის მიმართ, ან სანქციას უწესებენ იმათ, ვინც წესრიგს არღვევს“. (იქვე). ძალაუფლებას იყენებენ გასამდიდრებლად, მაგრამ მარტო გასამდიდრებლად არა. მას იყენებენ სოციალური პატივის მოპოვებისთვისაც. თუმცა, ვებერის აზრით, სოციალური პატივი, პრესტიჟი თვითონაც ხდება ძალაუფლების საფუძველი ლეგალურ საზოგადოებაში პრესტიჟთა დანაწილების წესი „სოციალური წესრიგია“. ვებერი განასხვავებს სოციალურ წესრიგს ეკონომიკურისაგან. ეკონომიკური წესრიგი უფრო ვიწროა სოციალურთან შედარებით. ამ მესაკალი ნაწილით ვებერი ნიადაგს ამზადებს სოციალური სტრატიფიკაციის ასახსნელად. რამდენადაც სტრატიფიკაციის ძირითადი ცნებები „კლასები“, „სტატუსური ჯგუფები“ და „პარტიები“ საზოგადოების შიგნით ძალაუფლების განაწილების მოვლენებია. აღსანიშნავია, რომ ვებერი სტრატიფიკაციაზე მსჯელობს და სტრატას განიხილავს, მაგრამ, ამავე დროს, იტოვებს კლასობრივი სტრუქტურის პოზიციას. მხოლოდ კლასის კრიტერიუმად მარქსისაგან განსხვავებულ ინდიკატორებს მიმართავს. მისთვის კლასები ერთობლივი მოქმედების შესაძლო საფუძვლებია და კლასებზე მსჯელობას ის სამ პირობას უკავშირებს: 1. როცა ადამიანთა სიმრავლე გაერთიანებულია სპეციფიკური მიზეზობრივი კომპონენტით, რომელიც ეხება მათ სასიცოცხლო შანსებს; 2. ასეთი კომპონენტი წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ საქონელთა შეძენით ან შემოსავლის მიღების ეკონომიკური ინტერესებით; 3. ეს კომპონენტი განპირობებულია სიტუაციით, რომელიც ყალიბდება საქონლის ბაზარზე ან მრომის ბაზარზე. ტერმინი „კლასი“ ეხება ადამიანთა ყველა ჯგუფს, რომლებიც ამ სიტუაციაში წარმოიშობიან. როგორც ჩანს, ვებერი ძალაუფლების, კლასის, წესრიგის და სხვა კატეგორიათა განსაზღვრისას პრიმატს ყოველთვის ეკონომიკურ ფაქტორს და მასთან დაკავშირებულ სიტუაციებს ანიჭებს, რის გამოც მას ზოგჯერ მარქსთან აახლოებენ (ნეუსიხინი), მაგრამ ფაქტობრივად მათ შორის დიდი ზღვარია. უბრალოდ, ვებერი ვერ განთავისუფლდა იმ დარგის გავლენისაგან, რომელშიც მოღვაწეობდა თავიდან. ის დასაწყისში ეკონომისტი იყო, მერე კი სოციოლოგი გახდა. კლასობრივი დაყოფის ძირითად საფუძველს საბოლოოდ ვებერთან საკუთრება ქმნის — საკუთრების ქონება და მისი უქონლობა. ნეუსიხინი „ყოველგვარი ტიპის კლასობრივი სიტუაცი-

ის ბაზისური კატეგორიებია". „ადამიანთა კატეგორია, რომელიც არ არის დაკავშირებული საბაზრო ეკონომიკის სფეროში წარმოებასთან, მომსახურებასთან და არ სარგებლობს ბაზრის სამსახურით, არ არის კლასები, იგი ეკუთვნის სტატუსურ ჯგუფებს. კლასების შექმნა დაკავშირებულია ერთობლივი ეკონომიკური ინტერესების გაცნობიერებასთან. „ჩვენი ტერმინოლოგიის შესაბამისად კლასის შემქმნელი ფაქტორი უეჭველად ეკონომიკური ინტერესებია". (38, 149). „კლასი უნდა გავმიჯნოთ საზოგადოებისაგან. კლასობრივი ინტერესები არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მყარი კატეგორია, თვით კლასიც არ არის მყარი ერთობა და კლასობრივი ინტერესები განისაზღვრება სამუალო მაჩვენებლებით, ეს ინტერესები არ არის თავისთავადი სიდიდე, ისინი კომუნიკაციურ პროცესში იჩენენ თავს. კომუნიკაცია კი კლასთა შორის ურთიერთობაცაა." განსხვავებული კლასები — მუშები და მეწარმეები — ერთმანეთს ხელებიან შრომის ბირჟაზე, სამომხმარებლო საქონლის ბირჟაზე და წარმოებაში. „ებერი აღიარებს კლასობრივ ბრძოლას და განასხვავებს მას სტატუსურ ჯგუფთა მოძრაობისაგან. „ანტიკურობაში კლასობრივი ბრძოლის სუბიექტები იყვნენ გლეხები და მემამულეები, შემდეგ ხელოსნები და ქალაქელი კრედიტორები, ბრძოლა კონცენტრირებული იყო ეკონომიკური ინტერესების გარშემო. „კლასებისაგან განსხვავებით სტატუსური ჯგუფები ამორფული ანორმალური საზოგადოებაა. კლასობრივი სიტუაციის გვერდით განასხვავებს სტატუსურ სიტუაციას „როგორც ადამიანთა სასიცოცხლო ხვედრის ყოველგვარ კომპონენტს, რომელიც დეტერმინებულია პატივის სპეციფიკური პოზიტიური, ან ნეგატიური შეფასებით". (38, 151). კლასისადმი კუთვნილება ებერთან სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა, რაზეც მისი შრომის ინგლისური გამოცემის რედაქტორი, ტალკოტ პარსონსი შენიშნავს, „ებერი იყენებს „კლასის" (Klasse) ტერმინს განსაკუთრებული აზრით, რომელსაც ის უპირისპირებს Stande-ს. როგორც ჩანს, Klasse-ს, ალტერნატიული თარგმანი არა აქვს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სიტყვა სწორედ სპეციფიკური მნიშვნელობით გამოიყენება". (38, 153).

„ებერი კლასის განსაზღვრისათვის იყენებს სტატუსის ცნებას და აღნიშნავს: კლასი ადამიანთა ყოველგვარი ჯგუფია, რომელთაც ერთი და იგივე სტატუსი აქვთ და გვთავაზობს შემდეგ ტიპოლოგიას: 1. მესაკუთრეთა კლასი. მასში ინდივიდის კლასობრივი სტატუსი დეტერმინებულია ქონების სიდიდის დიფერენციაციით; 2. მომხვეჭელი კლასი, რომელშიც ინდივიდთა კლასობრივი სიტუაცია ბაზარზე მომსახურების ექსპლოატაციის შესაძლებლობითაა განპირობებული; 3. სოციალური კლასი, რომლის სტრუქტურა შედგება სტატუსთა მრავალფეროვანი სიმრავლიდან. „კლასისა და კლასის სტატუსის ცნებები აღნიშნავენ ტიპურ სიტუაციაში იგივეობის, ან მსგავსების ფაქტს, სადაც ადამიანები გან-

ისაზღვრებიან თავიანთი ინტერესებით. ამრიგად, კლასის მაფორმირებელია ინტერესები და სტატუსი, ამ უკანასკნელს კი განსაზღვრავს მომსმარებელთა თანაფარდობაზე კონტროლი. ამ თვალსაზრისით, ერთ კლასში ხვდება, მაგალითად, ყველა ის, ვისაც არა აქვს კვალიფიკაცია და საკუთრება. ვებერი განასხვავებს პოზიტიურად პრივილეგირებულ კლასებს, როგორც მესაკუთრეებს, ნეგატიურად პრივილეგირებულ, საკუთრებას მოკლებული კლასებისაგან. პოზიტიურად პრივილეგირებულ კლასებს რამდენიმე უპირატესობა აქვთ: 1. მათ შეუძლიათ ძვირფასს საქონელთა შეძენის მონოპოლიზება, უქონელთ ამის საშუალება არა აქვთ; 2. საქონელთა გაყიდვისას ისინი აკონტროლებენ მონოპოლიურ პოლიტიკას, უქონელთათვის ეს გამორიცხულია; 3. მათ შეუძლიათ საკუთრების დაგროვების მონოპოლიზება დამატებითი ღირებულების ნაწილის დაგროვებით; 4. ისინი აკონტროლებენ კაპიტალის აკუმულაციას და ბიზნესში ძირეული პოზიციების კონტროლის შესაძლებლობა აქვთ; 5. მათ შეუძლიათ განათლების პრესტიჟულ სახეობათა მონოპოლიზება. საპირისპირო სურათია საკუთრებას მოკლებულთა შემთხვევაში: 1. მათ საკუთრება არა აქვთ და თვითონ არიან სხვისი საკუთრების ობიექტები, ამიტომ არ არიან თავისუფალი; 2. ისინი დგანან კასტებს გარეშე, ესე იგი, ანტიკური გაგებით, პროლეტარიატია; 3. ისინი ეკუთვნიან ვალის მქონეებს; 4. ისინი არიან ღარიბები. მათ გარდა ვებერი გამოყოფს სამუალო კლასებს, რომელთაც ეკუთვნიან „დამოუკიდებელი გლეხობა და ხელოსნები, საზოგადოებრივ და კერძო სექტორში დასაქმებული ჩინოვნიკები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები და განსაკუთრებული მონოპოლისტური უფლების მქონე მუშები". საბოლოოდ ვებერი მიუთითებს ოთხ კლასზე: 1. მუშათა კლასი; 2. ქვედა, საშუალო კლასი; 3. ინტელიგენცია — დამოუკიდებელი საკუთრების გარეშე და ის პირები, რომელთა მდგომარეობა დამოკიდებულია ტექნიკურ ცოდნაზე — ინჟინრები, მოსამსახურეები და ჩინოვნიკები; 4. კლასები, რომელთაც საკუთრებისა და განათლების შედეგად პრივილეგირებული პოზიცია უკავიათ. ვებერი დიფერენციაციას აკეთებს მუშათა კლასისა და გლეხობის შიგნით და მიაჩნია, რომ მარქსიც „კაპიტალის" დაუმთავრებელ თავში ასეთ დიფერენციაციას აპირებდა. ყოველ შემთხვევაში, ვებერს მარქსთან საერთო აქვს საკუთრების განმსაზღვრელობის პრინციპი, რაც შეეხება სტატუსს, ეს ცნება მარქსს საერთოდ არა აქვს. ვებერი განასხვავებს მუშათა სამ ჯგუფს: კვალიფიცირებულს, ნახევრად კვალიფიცირებულს და არაკვალიფიცირებულს. ვებერმა ტრადიციული ცნება გამოიყენა, მაგრამ განსხვავებული შინაარსი ჩადო მასში. როცა კლასი დააფუძნა არა მარტო საკუთრებასა და ინტერესებზე, არამედ სოციალურ სტატუსსა და პრესტიჟებზეც. ამავე დროს, ვებერმა შემოგვთავაზა სოციალური სტრუქტურაციის ახალი პრინციპი, სოციალური სტრატი-

ფიკაცია და კლასის გვერდით სტრატის ცნებაც განსაზღვრა. ვებერმა სოციალური სტრატიფიკაცია სოციალურ სტატუსს დაუკავშირა და სტრატიფიკაციის შესახებ მსჯელობას იწყებს არა სტრატის, არამედ სტატუსის ცნების დადგენით. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვებერს სოციალური სტატუსის გზით შემოყავს მისი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი — ცხოვრების წესი, იგი აღნიშნავს: „ტერმინით — სოციალური სტატუსი — აღვნიშნავთ პოზიტიურ თუ ნეგატიურ პრივილეგიებზე რეალურ პრეტენზიას თუ სოციალური პრესტიჟი ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმთა ერთ ან მეტ რაოდენობას: 1. ცხოვრების წესი; 2. ფორმალური განათლება, რომელიც, პრაქტიკული თუ თეორიული სწავლების და ცხოვრების შესაბამისი წესის ათვისებაა; 3. დაბადების ან პროფესიის პრესტიჟი. სოციალური სტრატიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე. ვებერი განიხილავს სტრატიფიკაციულ და კლასობრივ სტატუსთა სიმრავლეს. განსაკუთრებით გამოყოფს საკუთრებისა და მენეჯერობის ინსტიტუტს. ვებერის აზრით, სოციალური სტატუსი განსაზღვრავს კლასობრივ სტატუსს. სტრატიფიკაცია განისილება როგორც სტრატებად საზოგადოების დაყოფა. „სოციალური სტრატა ადამიანთა სიმრავლეა გარკვეული ჯგუფის შიგნით, რომელთაც აქვთ პრესტიჟის განსაზღვრული სახეობა და დონე მიღებული პოზიციის გზით". აქვე ხაზგასმულია კლასისა და სტრატის კავშირი მათი დამთხვევის შესაძლებლობის გარეშე. სტრატების წარმოქმნის წყაროებია: 1. ცხოვრების სპეციფიკური სტილის განვითარება, რომელიც პროფესიასაც მოიცავს; 2. მემკვიდრეობითი ხარიზმა, რომლის წყაროა თანდაყოლილი პრესტიჟული მდგომარეობით მიღწეული წარმატება; 3. პოლიტიკური ძალაუფლება.

სოციალური სტრატიფიკაცია საშუალებას იძლევა, კლასობრივი დაყოფის მსხვილი სტრუქტურების ნაცვლად, გამოვყოთ მცირე და საშუალო ჯგუფთა სპეციფიკა, რაც ქმნის შესაძლებლობას, განვასხვავოთ სხვადასხვა მდგომარეობის, პრესტიჟის, ცხოვრების წესის ადამიანები. ცნობილია რაიმონ არონის ერთ-ერთი არგუმენტი მარქსისტების წინააღმდეგ: მომსახურების სფეროს ადამიანები არ თავსდებიან არც ბურჟუაზიისა და არც პროლეტარიატის ფარგლებში, მაშინ როდესაც სტრატიფიკაციის თეორია მათ შესაბამის ადგილს მოუნახავს. ამიტომ არის, რომ სოციალური სტრატიფიკაციის თეორიამ შეზღუდა კლასობრივი სტრუქტურის თეორიათა გავლენა. თანამედროვე სოციოლოგია პერსპექტიულად მიიჩნევს სოციალურ სტრატიფიკაციას. კლასობრივი საზოგადოების მოდელი კი არსებითად გადაგდებულია.

სოციალური სტრატიფიკაციის განსაზღვრება სოროკინთან ასეთია: „სოციალური სტრატიფიკაცია ადამიანთა მოცემული ერთიანობის კლასებად დიფერენციაციაა იერარქიულ რანგში. ის გამოხატულებას პოულობს მაღალი და დაბალი ფენების არსებობაში. მისი საფუძველი და არსება

უფლებათა და პრივილეგიათა პასუხისმგებლობისა და მოვალეობათა არათანაბარი განაწილებაა. სოციალურ ღირებულებათა, ასევე ძალაუფლებისა და გავლენის ქონება თუ არქონება ამა თუ იმ საზოგადოებაში". (135, 302).

სოციალური სტრატიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმთა საფუძველზე ახასიათებს ყველა ტიპის საზოგადოებას. თანამედროვე სოციოლოგები სოციოლოგიის არსებით საკითხად მიიჩნევენ სტრატიფიკაციის პრობლემატიკას. ინგლისელი ანტონ გიდენსის აზრით, სოციოლოგიის შესწავლის მნიშვნელოვანი ნაწილია სოციალური უთანასწორობის შემეცნება. ისმის კითხვები, რატომ არიან ერთნი უფრო მდიდარნი და უფრო დიდი ძალაუფლების მქონე. რაში ელინდება უთანასწორობა, როგორია თითოეულის შესაძლებლობა იერარქიული კიბის საფეხურების ამაღლების. მდიდარ საზოგადოებაში რატომ არსებობს სიღარიბე. გიდენსის აზრით, უთანასწორობა ქმნის სტრატიფიკაციას და სტრატიფიკაცია განისაზღვრება როგორც „ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის უთანასწორობის სტრუქტურირება" (51, № 9, 112).

გიდენსი განასხვავებს სტრატიფიკაციის ოთხ სისტემას: 1. მონობა, 2, კასტები, 3. წოდებები, 4. კლასები. სტრატიფიკაცია აქ გაგებულია ფართო აზრით და აერთიანებს საზოგადოების ყველა ტიპის დანაწილებას. სტრუქტურირების ყველა ფორმა განხილულია როგორც სტრატიფიკაციის სახე.

9. გაიგერი სოციალური ფენების შესახებ

კლასების კატეგორიისადმი თავისებურ დამოკიდებულებას ავლენს თეოდორ გაიგერი. იგი ნაკლები ყურადღებით ეკიდება კლასის ცნების განსაზღვრებასს. მისთვის მთავარია აჩვენოს კაპიტალისტური საზოგადოების მიმართ მარქსის სქემის გამოსადეგობა, ამავე დროს, უარყოს ამ თეორიის სისწორე თანამედროვე საზოგადოების მიმართ. მისი მტკიცებით, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება განსხვავებული სტრუქტურული მოდელისაა, ვიდრე მარქსის მიერ 100 წლის წინათ შემოთავაზებული მოდელი სახავდა. გაიგერი აკრიტიკებს მარქსის იმ ოპონენტებს, რომლებიც არ იცნობენ მარქსს და აკრიტიკებენ. მაგრამ გაიგერი ამას აკეთებს იმისთვის, რომ მარქსის თეორიის ჭეშმარიტება უარყოს თანამედროვე ვითარების მიმართ.

გაიგერის აზრით, მარქსის თეორია გაყალბებულია პოლიტიკური პოსტულატებით, მაგრამ ამ სიყალბეს ადგილი აქვს მის კრიტიკოსთა არგუმენტაციაშიც. გაიგერის აზრით, მარქსის კრიტიკოსები მარქსს უსაყვედურებენ ორკლასიანი სქემის შემოტანას და მის ნაცვლად აყენებენ მრავალფენიან სქემას. მაგრამ ამ კრიტიკოსებთან მარქსი ვულგარიზებულია, რადგან იგი არ ყოფილა დატყვევებული კლასთა მონიზმით. მარქსი ხედავდა საზოგადოების მრავალფენობრიობას, მაგრამ მიაჩნდა, რომ

ეს ფენები ნაწილობრივ კლასებზე დაიყვანება.

მარქსის მიხედვით საზოგადოება იყოფა მრავალ ფენად, რომელთა შორის ზოგი დაქვემდებარებული მნიშვნელობისაა (სუბორდინირებული ფენები), სხვები კი გადამწყვეტია (დომინანტური ფენები). გაიგერის აზრით, მარქსისაგან განსხვავებით, ფენები ყოველთვის არაა დაფუძნებული ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ფენობრივი სტრუქტურა იცვლება, დომინანტური იქცევა სუბორდინირებულად და პირიქით. მარქსი კი დომინანტურს და სუბორდინირებულს მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან. გაიგერი უარყოფს მარქსის წინააღმდეგ წამოყენებულ მეორე არგუმენტსაც: თითქოს მარქსის სქემაში ვერ მოთავსდებიან ჩინოვნიკები, დირექტორები, პროფესორები და ინტელიგენცია. გაიგერის აზრით, მარქსი წარმოებით ურთიერთობათა სიმრავლის დამვებით აღიარებს ფენათა მრავალრიცხოვნებასაც. გაიგერი ამტკიცებს, რომ ინტერესთა დაპირისპირება არსებობს არა მარტო კლასებს შორის, არამედ კლასებს შიგნითაც; მაგრამ არის მთელი კლასისათვის საერთო ინტერესებიც. არც საშუალო ფენების არგუმენტი გამოდგება მარქსის წინააღმდეგ, რადგან მარქსი მხედველობაში იღებდა საშუალო ფენებსაც, მაგრამ დომინანტურად თვლიდა ორ კლასს, დანარჩენი მათ შემვსებად მიაჩნდა. მარქსი საზოგადოებას განიხილავდა დინამიკურად და არა სტატიკურად. მიუხედავად ამ დადებითი მომენტების აღნიშვნისა, გაიგერი დაასაბუთებს, რომ სინამდვილის განვითარების თანამედროვე ეტაპი არ შეესაბამება მარქსის თეორიას. ასე მაგალითად, „მარქსის თეორია აგებული იყო შუშათა კლასის შეფარდებითი და აბსოლუტური გაღატაკების აღიარებაზე, მაგრამ ეს კანონი არ გამართლდა, იგი არ არსებობს არც როგორც ფაქტი და არც როგორც ტენდენცია“. აქედან გამომდინარე, მეორე არგუმენტი ამტკიცებს, რომ მარქსის შეხედულების საპირისპიროდ, მუშათა კლასის რაოდენობა კი არ იზრდება, არამედ, პირიქით, მცირდება. იზრდება მოსამსახურეთა და საშუალო ფენების რიცხვი. შეიძლება მოსამსახურეებიც და, საერთოდ, ინტელიგენციაც მოთავსდეს მარქსის სქემაში, მაგრამ ეს ხელოვნური იქნება. ფაქტობრივად, „კლასობრივ საზოგადოებაში ინტელიგენცია, როგორც ფენა, ქმნის კუნძულს, რომელიც, ვებერისა და მანჰაიმის სიტყვებით, თავისუფლად ვარირებს“.

წარმოებაში იზრდება ავტომატიზაცია და მექანიზაცია, რაც მრავალ მუშას ცვლის, ამავე დროს, მოითხოვს მოსამსახურეებს. ამიტომ მატულობს მოსამსახურეთა და წვრილ მწარმოებელთა რაოდენობაც, რომლის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ხდება დიდი მიგრაცია სოფლიდან ქალაქში. უკანასკნელ 150 წლის განმავლობაში დიდი ქალაქების მოსახლეობა ოცდასამჯერ გაიზარდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქალაქის მოსახლეობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ორ მესამედს აღწევს. „ქალაქის მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტია დასავ-

ლეთ ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ასე მაგალითად, ინგლისში, ბელგიასა და ჰოლანდიაში იგი უდრის 80 %-ს, გერმანიაში — 71 %-ს, ამერიკაში — 70 %-ს, აუსტრალიასა და კანადაში — 66 %-ს, საფრანგეთში — 56 %-ს. რასაკვირველია, ქალაქის მოსახლეობის ზრდა, მისი ხვედრითი წონის გადიდება ძირითადად პროლეტარიატის ხარჯზე ხდება, მაგრამ ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იყოს ქალაქის სამუშაო ფენათა ზრდა". (54, 54).

ჰაგაიგერს სურს, მოსამსახურეები დასახოს განსაკუთრებულ ჯგუფად, რომელსაც განსხვავებული კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ. გაიგერის აზრით, მოსამსახურეთა პოზიცია კლასისადმი კუთვნილებით კი არ განისაზღვრება, არამედ მათი ადგილით. განმსაზღვრელია ის, რომ მოსამსახურეები წარმოებაში კი არ არიან დასაქმებული, არამედ კანტორაში; ამ აზრით ისინი მეწარმესთან უფრო ახლოს დგანან. გაიგერის მიხედვით, მუშისათვის დამოუკიდებლობის მიცემა არც კაპიტალიზმს შეუძლია და არც სოციალიზმს. საერთოდ, ინდუსტრიულ საზოგადოებაში დამოუკიდებელ მეწარმეთა შემცირების ტენდენცია არსებობს. მუშათა ფენებად დასაყოფად გაიგერი იყენებს შეცვლადობის კრიტერიუმს ადვილადშეცვლადისა და ძნელად შეცვლადის სახით. ძნელადშეცვლადი ანუ კვალიფიცირებული მუშები პროლეტარები კი არ არიან, არამედ სამუშაო ფენა. განსხვავებით წვრილ მწარმოებელთა სამუშაო ფენისაგან, ესენი ახალი სამუშაო ფენებია. კვალიფიკაციის მიხედვით დაიყოფიან მოსამსახურენიც. ამ კრიტერიუმის უპირატესობა ისაა, რომ ის ერთნაირად მოიცავს მუშებსაც და მოსამსახურეებსაც და ამავე დროს ობიექტურიცაა.

გაიგერის აზრით, მარქსი განსაკუთრებით ცდებოდა სამუშაო ფენების ბედის წინასწარხედვაში, რადგან მათ გაპროლეტარებას წინასწარმეტყველებდა კაპიტალის კონცენტრაციის შედეგად. მაგრამ მარქსის მოდელი, გაიგერის თვალსაზრისით, სამრეწველო საზოგადოებისთვის იყო გამოსადეგი. მან არ გაითვალისწინა აგრარული ურთიერთობანი, სადაც სამუშაო მწარმოებელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება. გარდა ამისა, მრეწველობაშიც სულ უფრო მეტია წვრილი საწარმოები ატელიეების, კომბინატებისა და სხვათა სახით, რომელნიც ზოლამ აღწერა „ქალთა ბედნიერებაში". გაიგერის აზრით, იქაც, სადაც მარქსის წინასწარმეტყველება გამართლდა (მაგალითად, კაპიტალის კონცენტრაციის საკითხში), შედეგები სულ სხვა მივიღეთ. კაპიტალისტის ნაცვლად გაჩნდა მეწარმე. იგი ხელფასს ღებულობს და არაა წარმოების საშუალებათა მესაკუთრე. ასეთი სტრუქტურა საჭიროა ინდუსტრიული საზოგადოებისათვის საერთოდ, სოციალიზმის ჩათვლით.

გაიგერი კლასობრივი სტრუქტურის საწინააღმდეგოდ მიმართულ არგუმენტაციას ორი მიმართულებით ავითარებს. ჯერ ერთი, იგი უარყ-

ოფს კლასობრივი სტრუქტურის საფუძვლად წარმოებით ურთიერთობათა აღიარებას. ამით საზოგადოების კლასობრივ დაყოფას აცლის ტრადიციულ საფუძველს და მას ცვლის პოზიციისა და როლის ცნებებით. გარდა ამისა, გაიგერი უარყოფს კლასთა კუთვნილების სუბიექტურ ფაქტორსაც, რომელსაც მარქსი უკავშირებდა კლასობრივ ცნობიერებას, როგორც კლასობრივი ინტერესების გამომხატველს. გაიგერს მიაჩნია, რომ კლასობრივი კუთვნილების სუბიექტური მაჩვენებლის უარყოფით უარყოფს მარქსის საზოგადოებრივი თეორიის ძირითად პრინციპს — საზოგადოებრივი ცნობიერების საზოგადოებრივი ყოფიერებით განსაზღვრულობას. მას მიაჩნია, რომ მარქსის ეს თეზისები ადვილად უარსაყოფია, რადგან „მისი წამოყენებიდან 100 წლის შემდეგ პროლეტარიატს არა აქვს ერთიანი ცნობიერება, თუმცა გააჩნია ერთიანი ყოფიერება". პროლეტარიატის ნაწილი სხვაგვარად აზროვნებს, რაც, გაიგერის აზრით, იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატის კლასობრივი მდგომარეობა არ ქმნის მის საყოველთაო კლასობრივ ცნობიერებას. გაიგერს შეუძლებლად მიაჩნია ისეთი ვითარება, როდესაც საყოველთაობის ანუ ერთობლიობის გამომხატველ ცნებაში არ იგულისხმება ამ ერთობლიობის ყველა წევრისთვის ცნების ნიშანი. განვითარებამ არ დააადასტურა მარქსის წინასწარმეტყველება. ამ შემთხვევაში მარქსიზმი ჰეგელისებურად მოქმედებს: „თუ ფაქტები არ შეესაბამება თეორიას, მით უარესი მათთვის. ამიგომ მარქსიზმი სქოლასტიკაა, ხოლო მარქსი ევანგელისტი". გაიგერის აზრით, თანამედროვე სინამდვილის შესასწავლად მარქსს კი არ უნდა მივმართოთ, არამედ უშუალოდ სინამდვილეს; ისე როგორც ფიზიკოსები თავის წინაპრებს კი არ ემყარებიან, არამედ ექსპერიმენტს. „ასევე უნდა მოხდეს მარქსის მიმართ; მან საზოგადოების პანთეონის ნიშაში უნდა დაიკავოს ადგილი". გაიგერი საყვედურობს მუშათა კლასს იმის გამო, რომ „მარქსის „კაპიტალი" გახდა მუშათა მოძრაობის ბიბლია".

მას შემდეგ, რაც კლასობრივი სტრუქტურის მარქსისეულ თეორიას უარყოფილად მიიჩნევს, გაიგერი ცდილობს ამ თეორიის ადგილზე სოციალური სტრუქტურის შესახებ ახალი მოძღვრება დააყენოს. პირველ ყოვლისა, იგი კლასის ცნებას ცვლის ფენის ცნებით. გაიგერის აზრით, კლასობრივი დაყოფა არასდროს ყოფილა დომინანტური ფენობრივი მდგომარეობა; იგი მხოლოდ ტენდენციის სახით არსებობდა და მან ინდუსტრიულ საზოგადოებაში ვერ პოვა განვითარება. გაიგერის თვალსაზრისით, ფენობრივი სტრუქტურის ცვალებადობა რომ გავიგოთ, უნდა შევცვალოთ სოციალური სტატიკა სოციალური დინამიკით, სუბსტანციონალური თვალსაზრისი — პროცესუალურით, ფენების ფოტოგრაფიული კონსტატირება — ფენათა დინამიკის კინემატოგრაფიული სურათით. ასეთი განხილვა, გაიგერის აზრით, ნათლად დაგვანახვებს, რომ საზოგა-

ღოების სტრუქტურის ცვლილება მარქსის საწინააღმდეგოა, მარქსი საზოგადოებრივ სტატიკას ისეთ ვითარებაში სახავდა, როცა საშუალო ფენები ძირითადად პროლეტარდებიან, ნაწილი კი კაპიტალისტებად იქცევა.

არსებითად, საშუალო ფენებს ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა: მსხვილი კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომელნიც მათ გაკოტრებას ცდილობდნენ, და მუშათა კლასის მიერ კერძო საკუთრების უარყოფის წინააღმდეგ.

გაიგერი თვლის, რომ ვერც საშუალო ფენები და ვერც მოსამსახურეები ვერ თავსდებიან კლასობრივ მოდელში, მაშინ როდესაც ფენობრივი სტრუქტურა მოიცავს ყველა მათ. კლასობრივი სტრუქტურის უარმყოფლად ფენობრივი დინამიკის გვერდით გაიგერი ასახელებს შემოსავალსაც. მარქსის მიხედვით, შემოსავალი არ განსაზღვრავს კლასისადმი კუთვნილებას. რამდენსაც არ უნდა იღებდეს მუშა, იგი, როგორც წარმოების საშუალებებს მოკლებული, მაინც მუშად რჩება. თუ ეს ასეა, კითხულობს გაიგერი, მაშინ რატომ მიანიჭა მარქსმა გაღატაკებას ესოდენ დიდი მნიშვნელობა? რადგან ხელფასის ამაღლება მიაჩნია კლასობრივი სტრუქტურის უარმყოფლად, ხოლო ამერიკაში ვლინდება მუშის ხელფასის გადიდების ტენდენცია, ამიტომ გაიგერი ამერიკას იყენებს როგორც კლასობრივი მოდელის უარყოფის ნიმუშს.

თვითონ გაიგერიც აღიარებს, რომ მომხმარებლის პოზიცია გადამწყვეტი შეიძლება იყოს ცალკეულის სტატუსისთვის, მაგრამ შემოსაველის ცვალებადობის გამო ის არ გვაორიენტირებს ნათლად.

საბოლოოდ გაიგერის მთელი ცდა ემსახურება იმას, რომ დაასაბუთოს თანამედროვე საზოგადოებისთვის სოციალური კონფლიქტის შედეგობა. მისი აზრით, „ამჟამად ინდუსტრიულ საზოგადოებაში კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის შეიძლება ლაპარაკი ინტერესთა დაახლოებაზე, კლასობრივი დაპირისპირება კი უკანა პლანზე გადავიდა“. (168, 194).

გაიგერის აზრით, ეს იმის შედეგია, რომ დღეს მუშა და კაპიტალისტი კი არაა, არამედ მომხმარებელთა ფენები; როგორც მუშა, ისე მეწარმე მომხმარებელია. გაიგერის აზრით, კლასობრივი სტრუქტურის უარმყოფელია მენეჯერთა ინსტიტუტი. ბურნჰამის მსგავსად ის აღიარებს, რომ მოხდა მენეჯერთა რევოლუცია, რის შედეგადაც გაბატონდა ის ფენა, რომელიც მართავს და აკონტროლებს, ამიტომაც — შემოსავალში პრივილეგირებულია. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, გაიგერი უარყოფს კლასების ცნებას, შესაძლებლად მიიჩნევს კლასების ტერმინის დატოვებას იმ შემთხვევაში, თუ მისით აღნიშნული იქნება პოზიციები, რომელთაც ფენები უკეთ გამოხატავს. ამდენად, გაიგერი გვევლინება კლასობრივი სტრუქტურის უარმყოფელად და ფენობრივი სტრუქტურის თეორი-

ის ერთ-ერთ წარმომადგენლად.

10. ელიტური სტრუქტურის თეორია

სოციალური სტრუქტურის კვლევის მეთოდოლოგიის და კლასების ცნებათა მიმოხილვის შემდეგ, შეიძლება დაისვას საკითხი იმის შესახებ, რაც განხილვის ერთ-ერთი მიზანია, სახელდობრ სოციალური სტრუქტურის ერთეულთა გამომსახველი ცნების — ელიტის შესახებ. ამ შემთხვევაში განხილვა შეიძლება სამი მიმართულებით წარიმართოს:

1. უშუალოდ ელიტური სოციალური სტრუქტურის კვლევა, თანამედროვე საზოგადოების ემპირიული ანალიზის საფუძველზე.

2. თანამედროვე სოციოლოგიაში არსებული ელიტური სტრუქტურის თეორიების განხილვა და მათი შედარება სოციალურ სინამდვილესთან.

3. თანამედროვე სოციოლოგიაში სტრუქტურის გამომხატველი ცნებების სოციოლოგიური ანალიზი. შრომა მიზნად არ ისახავს არც პირველ და არც მეორე პუნქტს, მისი მიზანია მხოლოდ მესამე პუნქტი. მაგრამ აქაც განსაზღვრული დაზუსტებაა საჭირო. როგორც აღინიშნა, სტრუქტურის ცნების გამომხატველად თანამედროვე სოციოლოგიაში გამოიყენება: ფენის (სტრატის), კლასის, წოდებისა და ელიტის ცნებები. აქ განიხილება ელიტის ცნების ორი ასპექტი: 1) ელიტის ცნების დადგენისა და განსაზღვრის კრიტერიუმი, 2) ელიტის ცნების იდეოლოგიური მნიშვნელობა.

[სოციოლოგიური ანალიზისათვის ელიტის ცნება პირველად გამოიყენეს ვილფრედო პარეტომ, მოსკამ და მიხელსმა — შემდგომ ის განავითარა მათმა მიმდევარმა სორელმა.]

[პარეტოსთვის ისტორია ელიტათა მუდმივი ცელაა. ყოველი საზოგადოება იყოფა უმრავლესობა — მასებად და უმცირესობა — ელიტებად. საზოგადოების ხასიათი განისაზღვრება ელიტის ხასიათით. პარეტო ელიტას განსაზღვრავს თანდაყოლილი ფსიქოლოგიური თვისებებით. ელიტა ის ადამიანებია, რომელთაც უმაღლესი მაჩვენებლების უნარები გააჩნიათ. ელიტაა ყველა, ვინც ხასიათდება უაღრესად გამორჩეული უნარებითა და თვისებებით] ელიტა ბუნებრივი ნიჭით, თუ შრომით მაღლდება საშუალო ადამიანებზე. ტერმინ ელიტის მთავარი იდეალი უპირატესობაა... ფართო აზრით, ელიტაში მესმის ისეთ ადამიანთა საზოგადოება, რომელნიც უმაღლესი ჭკუის, მოხერხებულობის, ხასიათის უნარებს ფლობენ. ელიტა იყოფა ორ ნაწილად: 1. მთავრობამი განმსაზღვრელ როლთა მქონენი ანუ სამთავრობო ელიტა და 2. დანარჩენი ანუ არასამთავრობო ელიტა.]

[ელიტისადმი კუთვნილება არაა აუცილებელი, მემკვიდრეობით გადადიოდეს. შვილებს არა აქვთ მშობელთა გამორჩეული თვისებები, ამიტომ ხდება ძველი ელიტების შეცვლა ახლებით, დაბალი ფენებიდან გამო-

სულებით. ეს პროცესი მუდმივია. სოციალური ცელილებები ელიტათა ცირკულაციით აისსნება. ხდება უსასრულო წრე-ბრუნვა, რომლის მამოძრაველია ცბიერებასა და ძალას შორის მუდმივი ბრძოლა. როდესაც ბატონდება ცბიერთა ელიტა, ის გამოდევნის იმ ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ ძალის გამოყენების უნარი. ერთ მხარეს დგას ძალასმოკლებული, მაგრამ ცბიერებით აღჭურვილი ელიტა, მეორე მხარეს — ძალის მქონე, მაგრამ რომ არ იცის ძალის გამოყენების ხერხები, ისეთი ადამიანები, როგორც კი ეს უკანასკნელი გამონახავს ბელადს ცბიერთა წრიდან გამოყოფილს, ცბიერების უნარით დაჯილდოებულს, მაშინ ერთიანდება ძალა და ცბიერება და უკუაგდებენ ცბიერებს. ასე ხდება ელიტათა მუდმივი ცელა — ცბიერები ძლიერებს ცელიან, ძლიერნი ცბიერთ. ეს მუდმივი ცელა საზოგადოებისთვის სასარგებლოა. „ისტორია არისტოკრატიის სასაფლაოა". (105, 267).

ელიტათა მუდმივი ცირკულაცია ხელს უწყობს სოციალური სისტემის წონასწორობას, იმ ზომით, რა ზომითაც ის უზრუნველყოფს იმათ ვერტიკალურ მობილობას, ვისაც აქვს უფრო მეტი პირადი ღირსებანი, — საუკეთესოებს. ამავე დროს, ხელს უწყობს საზოგადოებაში ცელილებებს, რადგან ელიტათა ცირკულაციას მოსდევს იდეათა ცირკულაცია. ელიტა არაა არც მთლად ღია და არც მთლად დახურული. გაბატონებული ჯგუფი ძალაუფლების შესანარჩუნებლად მიმართავს ცბიერებასაც და ძალასაც, მაგრამ მას ქვემოდან აწვებიან და მუდმივ განახლებას განიცდის. თავისუფალი ვერტიკალური ცირკულაცია სოციალური ჰიგიენის გზაა. როცა ცირკულაცია წყდება, საზოგადოებას ან შიდა რევოლუცია ემუქრება ან გარედან დანგრევა. ცირკულაციაში გართულებები რევოლუციით წყდება. ცირკულაციას შეიძლება ახლდეს ძალადობა და ძარცვა, მაგრამ საბოლოოდ ისიც სასარგებლოა. „ვინც ზერელედ მსჯელობს, ცნობიერებას აჩერებს მასობრივ მკვლელობებსა და ძარცვებზე, რომელნიც თან სდევს გადატრიალებას, მაგრამ ისინი არ უფიქრდებიან, რომ ეს სამწუხარო მოვლენებიც სასარგებლოა, რადგან მასობრივი მკვლელობანი და ძარცვები იმის გარეგანი მაჩვენებელია, რომ ხდება ძლიერთა მიერ სუსტთა შეცვლა" (ტრაქტატი).

ელიტა, რომელიც მოკლებულია საკუთარი პოზიციის დაცვის უნარს, დაცემის ეითარებაშია, მას რჩება ერთადერთი გზა — ადგილი დაუთმოს ახალ ელიტას, რომელსაც აქვს სიმამაცე, რაც არ ჰქონია გაბატონებულს.

პარეტოს აზრით, ორი მოტივაცია განსაზღვრავს ელიტის გაბატონებას: „კომბინაციის ინსტინქტი" ანუ მანიპულაციური ტენდენციები და „ჯგუფის შენახვის ინსტინქტი" ანუ კონსერვატიზმი. პირველი წარმოშობს ელიტის ტიპს, რომელსაც პარეტო აღნიშნავს ცნებით „მელა-სპეკულანტის ტიპი", მეორე წარმოშობს „ლომი-რანტიეს ტიპს". ორივე ტიპი ხელისუ-

ულებისაკენ ისწრაფვის. ან ერთი ბატონობს, ან მეორე, მაგრამ ორივეს ბატონობა არის ელიტის ბატონობა. ელიტა პარეტოსთან განსაზღვრულია, როგორც „ადამიანთა ის კლასი, რომელთაც აქვთ უმაღლესი პოზიციები თავისი მოღვაწეობის სფეროში". ეს მოღვაწეობა შეიძლება მრავალსახოვანი იყოს, მაგრამ ძირითადად პარეტოსთან მაინც პოლიტიკური მოღვაწეობა რჩება, როგორც ელიტის განმსაზღვრელი. ამიტომ ელიტის პირველი თეორიები წარმოადგენს პოლიტიკური სტრუქტურის თეორიების გაგრძელებას. პარეტოსთვის ძირითადია იმის დადგენა, რომ „მმართველი ელიტა ხელისუფლების სათავეშია ძალისა და მანიპულაციის, იძულებისა და შეთანხმების რაღაცნაირი შეერთების წყალობით" (26, 422).

გაეტანო მოსკა ეკუთვნის იტალიელ სოციოლოგთა იმ პლეადას, რომელიც დაინტერესებული იყო საზოგადოების ელიტური სტრუქტურის ანალიზით. მათ შეძლეს გამხდარიყვნენ ელიტური საზოგადოების თეორიის პიონერები. მოსკა პარეტოზე უმცროსი და მიხელსზე უფროსი იყო, თუმცა ორივეზე უფრო დიდხანს იცოცხლა (1858-1941). სიცილიის ქალაქ პალერმოში დაბადებული გაეტანო მოსკა 1877 წელს შედის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე. პირველი თეორიული შრომა „მართვის თეორია და პარლამენტური მართვა", უნივერსიტეტის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ გამოაქვეყნა. სხვადასხვა დროს სამართალს ასწავლიდა პალერმოს, ტურინისა და რომის უნივერსიტეტებში. სოციოლოგიის ისტორიაში ის შევიდა ნაშრომით: „პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები". (1896), სამი წლის შემდეგ ეს ნაშრომი თარგმნეს ინგლისელებმა და გამოაქვეყნეს სათაურით „მმართველი კლასი". ეს სახელწოდება უფრო მოერგო ამ შრომის შინაარსს და მოსკა ცნობილია როგორც მმართველი კლასის თეორეტიკოსი. იგი ეკუთვნოდა ზომიერ ლიბერალთა ჯგუფს, მეგობრობდა ბენედეტო კროჩესთან. ისინი ერთ პარტიასაც ეკუთვნოდნენ. მართალია, ანტიფაშისტური განწყობილებისა იყო, მაგრამ ანტიფაშისტურ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღია.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურიზაციის საკითხში მოსკას ერთმნიშვნელოვნად ეკაეა ორკლასიანი საზოგადოების პოზიცია და მიაჩნდა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე საზოგადოება ყოველთვის ორი კლასისაგან შედგებოდა — მმართველი და მართული კლასებისაგან. ელიტის საკითხის დასმაში მოსკას პარეტოსთანაც აქვს პრიორიტეტი და მათ შორის მოსკას მიერ წამოწყებული დავა საფუძველს მოკლებული არ იყო. საკითხის ისე ნათლად დაყენება როგორც მოსკას შრომაშია, არაა არც პარეტოსთან და არც მიხელსთან. მოსკას აზრით, ცივილიზაციის ყველა საფეხურზე „არსებობს ადამიანთა ორი კლასი — მმართველთა და მართულთა. პირველი მცირერიცხოვანია, მაგრამ უფლე-

ბებით აღჭურვილი. იგი ასრულებს ყველა პოლიტიკურ ფუნქციას, მონოპოლიურად ფლობს ძალაუფლებას და მისი საშუალებით მიღებულ შედეგებს. მისი ფუნქციაა მართვა და კონტროლი იმ მრავალრიცხოვანი კლასისა, რომელსაც მართული ეწოდება. ეს კონტროლი შეიძლება იყოს კანონიერი ან უკანონო, მაგრამ მაკონტროლებელი ყოველთვის ელიტაა. თანამედროვე სოციოლოგიაც იმ აზრისაა, რომ საზოგადოება ელიტური სტრუქტურისაა, რომ არსებობენ მმართველი ელიტები და მართული მასა. მოსკა მმართველი კლასის სინონიმად პოლიტიკური კლასის ცნებას იყენებს, თუმცა ზოგიერთი ამ ცნებებში სხვადასხვა რამეს მოიაზრებს. პოლიტიკური კლასის ცნებაში გულისხმობენ ძალაუფლებასთან დაკავშირებულ ზედა ფენას. მმართეელი კლასის ცნებაში, პოლიტიკასთან დაკავშირებული უმცირესობის გარდა, მოიაზრებენ ელიტის სხვა ჯგუფებსაც — ეკონომიკური, ინტელექტუალური, სასულიერო, სამხედრო თუ სხვა (100, 186).

ძნელი დასადგენია სცილდება თუ არა ერთი ან მეორე შინაარსი ელიტის ცნებას. თუ მოსკა პირველში გულისხმობს მხოლოდ პოლიტიკურ ელიტას, ხოლო მეორეში — პოლიტიკურის გარდა ეკონომიკურს, ინტელექტუალურსა და ა. შ., მაშინ შეიძლება მათ შორის შინაარსობრივ განსხვავებაზე მსჯელობა. მაგრამ საეჭვოა, რომ მმართველ კლასში მოსკას არ გაერთიანებინა ყველა სახის ელიტა და პოლიტიკური კლასი მხოლოდ ძალაუფლებისმქონეებით შემოეფარგლა. თუ ავტორი ამ ორ ცნებას განასხვავებდა, რაგომ იყენებდა ამ ცნებებს სინონიმურად? ეფიქრობთ, შეუძლებელია ავტორის ნააზრევი ინტერპრეტატორებს უკეთ გვესმოდეს. ავტორი კი ამტკიცებს, რომ აღრე ერთ ცნებას იყენებდა, უფრო გვიან — მეორეს. მისი სიტყვებით, „ცხოვრებაში ყველა ვაღიარებთ მმართველი, ან როგორც აღრე ვუწოდეთ, პოლიტიკური კლასის არსებობას“.

მოსკას აზრით, მმართველი კლასის სტრუქტურის მიხედვით ხდება საზოგადოებისა და სახელმწიფო მმართველობის განსაზღვრა. მოსკა ორ პოლიტიკურ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას. ყოველ მმართველ კლასში გამოყოფილია ერთი ინდივიდი, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას, იქნება ეს მემკვიდრეობითი მმართველი კლასის შემთხვევაში, მეფისა თუ იმპერატორის გვერდით, პრემიერ-მინისტრი. რესპუბლიკის შემთხვევაში პრეზიდენტის გვერდით აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. შესაძლებელია სხვა კომბინაციაც. ყველა შემთხვევაში მმართველ კლასს აქვს ძალაუფლების განმახორციელებელი ცენტრი.

მეორე პოლიტიკურ ფაქტად მოსკა მიიჩნევს სამართავი კლასის დაწოლას მმართველ კლასზე. მართვის განხორციელება ხდება ზემოდან დაგეგმილი დირექტივებით. სამართავი კლასი ამ დირექტივებსა და

ნორმებზე რეაგირებას ახდენს და ეს რეაგირება შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან გლობალური წინააღმდეგობის ფორმით. მართვისთვის აუცილებელია სამართავი კლასის მასას სჯეროდეს მმართველთა პოლიტიკისა. ძალადობა დიდხანს ვერ შეუნარჩუნებს მმართველ კლასს ხელისუფლებას. ამიტომ საჭიროა სამართავი კლასის თანხმობის მინიმუმის უზრუნველყოფა მაინც საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მოსკა მმართველი კლასის ფორმირების მრავალ წყაროს ასახელებს, იქნება ეს მემკვიდრეობითი ძალაუფლება, სიმდიდრე, რომელიც შეიძლება იყოს გავლენისა და პრესტიჟის წყარო, იქნება ეს, ვებერის ენაზე რომ ვთქვათ, ხარიზმული უნარი, როდესაც სუბიექტს შეუძლია მასაზე მოახდინოს ზეგავლენა ინტელექტით, ფიზიკური სიძლიერითა თუ სიმამაცით. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პრიმიტიულ საზოგადოებაში, სადაც მოხერხება და ძალა განსაზღვრავს ბელადის არჩევანს. ელიტის პიროვნული თვისებებიდან მოსკა განსაკუთრებით გამოყოფს მართვის ხელოვნებას, რომელიც სამართავ კლასს დაარწმუნებს მმართველის ძლიერებაში და უზრუნველყოფს მისდამი მორჩილებას. მოკლედ, ელიტის შერჩევის კრიტერიუმებში მოსკა ასახელებს მრავალ ფაქტორს და ყოველ მათგანს რეალურად აქვს მნიშვნელობა.

უკანასკნელ პერიოდში მათგან განსაკუთრებით წინ წამოიწია ცოდნა და კვალიფიკაცია, თუმცა მოსკას მიერ დასახელებულთაგან არცერთს არ დაუკარგავს მმართველი კლასის შერჩევის კრიტერიუმის მნიშვნელობა. ისიც აღსანიშნავია, რომ საეროს გვერდით მმართველ კლასში საეკლესიო ფენებიც შეყავს, რომელნიც ეკლესიის მართვის პარალელურად პოლიტიკურ მმართველობასაც ახორციელებენ, ზოგჯერ უშუალოდ, ზოგჯერ ნაწილობრივი ჩარევით. თვით ეკლესიასაც შიგნით მმართველობის მტკიცე იერარქია გააჩნია. მოსკა, განსხვავებით პარეტოსაგან, ემყარება არა ფსიქიკურ ფაქტორებს, არამედ ორგანიზაციის პრინციპებს. მმართველი კლასის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მიაჩნია ორგანიზებულობა, რაც მასას აკლია და რის გამოც ხდება შესაძლებელი ათეული დარაზმული და ორგანიზებული ელიტის წარმომადგენელი მართავდეს ათასობით არაორგანიზებულ მასას. მოსკას აზრით, პოლიტიკური მეცნიერების ამოცანაა დაასაბუთოს, რომ დემოკრატია განუხორციელებელია, რადგან უმრავლესობის დარაზმვა შეუძლებელია. „ასი ადამიანი, რომელნიც მოქმედებენ ურთიერთგაგებით და ერთობლივად, გაიმარჯვებენ ათასზე, რომელნიც მოქმედებენ განმხოლოებულად, ცალ-ცალკე. პირველთათვის შეთანხმებული მოქმედება უფრო აღვილია, ისინი ხომ ასნი არიან და არა ათასი“ (100, 189); მმართველ კლასს, სხვა უპირატესობებთან ერთად, მოსკა მიაწერს გადამწყვეტ მნიშვნელობას საზოგადოების პოლიტიკური ტიპებისა და ცივილიზაციის დონის განსაზღვრისთვის. ერთსახოვანი და ერთფეროვანი მასა ამ საქმისთვის

გამოუსადეგარია. ძირითადი კრიტერიუმი მმართველი კლასია, მისი მეშვეობით განისაზღვრება სახელმწიფო მონარქიულია, თუ რესპუბლიკური, ძალაუფლება მემკვიდრეობითია თუ შეძენილი, თუ მემკვიდრეობითია, შეზღუდულია თუ შეუზღუდველი. არისტოტელეს და მონტესკიეს მიერ სახელმწიფოთა კლასიფიკაციაზე დამყარებით, მოსკა ცდილობს აჩვენოს ახალი კლასიფიკაცია, რომელიც არ ეტევა დასახელებულ მოაზროვნეთა ჩარჩოში, ამტკიცებს, რომ წარმოიშვა გარდამავალი ტიპის სახელმწიფოები, რომელთაც შუალედური ადგილი უკავიათ მონარქიას, არისტოკრატიას, დემოკრატიასა და რესპუბლიკებს შორის. თვით ერთი ტიპის სახელმწიფოებს შორისაც სხვადასხვა ქვეყანაში დიდი განსხვავებაა. მოსკა უარყოფითად აფასებს დემოკრატიის თეორიას, რომლის მამამთავრად რუსოს მიიჩნევს. იგი სამოქალაქო მმართველობისა და სოციალური გადატრიალების წინააღმდეგია, ამიტომ მას ლიბერალურ კონსერვატორებს მიაკუთვნებენ.

მოსკას მტკიცებით მმართველთა კლასისთვის ძირითადია ძალაუფლება და ქონება, თუ სამღვდელოება ფლობს ამ ორ ღირებულებას, მასაც შეუძლია მოვიდეს მმართველობაში და შექმნას კლერიკალური სახელმწიფო. თვით სიმდიდრესა და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის ისეთი მიმართებაა, რომ ერთი ქმნის მეორეს. მოსკა ხაზს უსვამს მმართველი კლასის მცდელობას დაამკვიდროს საკუთარი ბატონობა და გაახანგრძლივოს მმართველის სტატუსი იმით, რომ მემკვიდრეობითად აქცევს მმართველობას. მმართველი არისტოკრატია არჩევნების პირობებშიც ინარჩუნებს ძალაუფლებას, ნაწილობრივ ქონებისა და ნაწილობრივ მემკვიდრეობის საფუძველზე. მოსკას არა აქვს გაცნობიერებული მესაკუთრეთა და მმართველ კლასებს შორის გათიშვა, ასევე მესაკუთრეთა და მენეჯერთა განსხვავება. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ძალაუფლებას ჯერ დეფაქტოდ იგდებენ ხელთ და მერე ცდილობენ დეიურედ დაიმკვიდრონ. ყოველი მმართველი კლასი ცდილობს თავისი ბატონობა გაამართლოს და წარმოადგინოს ის როგორც ღვთით მონიჭებული. ზოგიერთი ამ მიზნით იყენებს აღზრდის სისტემას და სოციალიზაციას. ავტორი ამის ილუსტრირებას ახდენს გუმპლოვიჩის მაგალითზე, რომლის მტკიცებითაც მმართველები მარტო სისხლით კი არ გამოირჩეოდნენ მართულებისაგან, არამედ მორალური პრინციპებითა და აღზრდის სისტემითაც. მოსკას მიაჩნია, რომ ასეთი უპირატესობის საბუთად ინტელექტი არ გამოდგება, რადგან დიდი ინტელექტუალების შვილები არ გამოირჩევიან წინაპრის გენიალობით და საშუალო შესაძლებლობისანი იბადებიან. განათლებისა და გარემოს გარდა მმართველი კლასისთვის მთავარია სულიერი წყობა, ნებისყოფის სიძლიერე, სიამაყე, გამომგონებლობისა და აქტივობის ფორმები. მოსკა მთელ ისტორიას განიხილავს როგორც ბრძოლას მმართველებსა და მართულებს შორის

ძალაუფლების მოპოვების და შენარჩუნებისათვის. მმართველი კლასი მხოლოდ მაშინ ეცემა, როცა კარგავს იმ სულიერ უპირატესობებს, რაც მას აქვს მართულებთან შედარებით, ან კიდევ თავის უნარებს ვერ ანვითარებს გარემო ცვლილებების შესაბამისად. მოსკას არა აქვს პასუხი კითხვაზე, რაშია კაცობრიობის ბედნიერება? მმართველი კლასების მიერ პოზიციების შენარჩუნებასა და სტაბილურობაში, თუ მასების ამბოხში, რომლის შედეგად მართულები ხდებიან მმართველნი. ყოველ შემთხვევაში, მოსკას რომ გადატრიალება არ უყვარს, ეს არაა სადაო, მაგრამ მას მიაჩნია, რომ კაცობრიობის ყოფიერების საზრისზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. მთავარია ელიტა მოწოდების მიხედვით მართადეს და მართულნი ემორჩილებოდნენ მას.

პარეტოსა და მოსკას გვერდით ელიტური სტრუქტურის ავტორებს შორის ასახელებენ გერმანელ სოციოლოგს რობერტ მიხელსს (1876-1936), რომლის ძირითადი ნაშრომი „პოლიტიკური პარტიის სოციოლოგია დემოკრატიის პირობებში“ გამოქვეყნდა 1911 წელს. მიხელსი ეხება პოლიტიკისა და პოლიტიკური ცნობიერების ძირეულ საკითხებს. მისი განხილვის სფეროში მოქცეულია დემოკრატიისა და ოლიგარქიის არსებობის, დემოკრატიის შესაძლებლობისა და მისი ოლიგარქიაში გადაზრდის პრინციპები. ნაჩვენებია მასების აუცილებლობა საზოგადოების ყოველგვარი წყობისთვის და ამავე დროს ბრბოს მოქმედების ძირითადი განზომილებანი. საზოგადოებაში უმცირესობისა და უმრავლესობის მიმართება და უმცირესობის ორგანიზაციული უპირატესობა ქაოტურ ბრბოსთან შედარებით. გაანალიზებულია პარტიების წარმოშობა და ბელადების როლი. ნაჩვენებია მასების უშუალო ბატონობის შეუძლებლობა. გაანალიზებულია ბიუროკრატიზმი თანამედროვე ბიუროკრატიულ საზოგადოებაში და სხვ.

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებაში მასის არა მარტო აუცილებელ ყოფიერებას, არამედ მისი შესაძლებლობებისა და უნარის ანალიზსაც. მიუთითებს ბრბოს მიერ მოქმედების ნაკლებად გააზრებაზე და საკითხების გადაწყვეტაში მის არაკომპეტენტურობაზე. ავტორისთვის ნათელია, რომ „სიტყვები და ქცევები გაცილებით ნაკლებად მოისაზრება ბრბოს მიერ, ვიდრე ცალკეული ადამიანების, ან იმავე ბრბოს მცირე ჯგუფების მიერ. ბრბო გამოდევნის ინდივიდს და მასთან ერთად მის პიროვნულობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას“. ეს იმას ნიშნავს, რომ მასა არ შეიძლება სუვერენული იყოს, რომ „ყველაზე აუცილებელ გადაწყვეტილებათა მისაღებადაც უშუალოდ და დამოუკიდებლად სუვერენული მასები უუნარონი არიან“ (97, № 3, 56).

საერთოდ, მიხელსს მიაჩნია, რომ მასების პირდაპირი ბატონობა და სიტყვა „დემოკრატიის“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობის შესაბამისად სახელმწიფოს მართვის მოწყობა შეუძლებელია როგორც ფაქტობრი-

ვად, ისე ფორმალურ-ტექნიკურადაც. მისი წიგნის ერთ-ერთი თავი სწორედ ასე იწოდება: „მასების პირდაპირი ბატონობის ფორმალურ-ტექნიკური შეუძლებლობა“.

არამარტო მასების, არამედ პარტიების ბატონობის განხორციელებაც შეუძლებელია მათში გაერთიანებული ათასობით ადამიანის გამო. თვით მრავალრიცხოვანი პარტიების მართვაც კი შეუძლებელია წარმომადგენლობითი ინსტიტუტის გარეშე. ესოდენ დიდი მასის გამოყენება გადაწყვეტილებათა პირდაპირ მისაღებად პრაქტიკულად განუხორციელებელია. აუცილებელი ხდება პარტიული წარმომადგენლებისა და დელეგირების პრინციპის გამოყენება. მით უფრო ეს ეხება სახელმწიფოსაც. „წარმოიშობა მოთხოვნილება დელეგატებზე, რომელნიც მასების ინტერესების გამომხატველად გამოდიან და აიღლებენ მათი ნებელობის შესრულებას“ (97, № 3, 56). სახელმწიფო დემოკრატიულია ორი აზრით: თუ მასში ხალხი ერთობლივად იღებს გადაწყვეტილებას, ან წარმომადგენლობით-დემოკრატიულია რესპუბლიკის ფორმით. პირველი გზა გამორიცხულია. ამიტომ მხოლოდ რესპუბლიკები განასახიერებენ დემოკრატიას. ისე როგორც მოსკას, მიხელსსაც მიაჩნია, რომ ორგანიზაციის პრინციპი საზოგადოების დემოკრატიულად მართვის საქმეში განმსაზღვრელია. მისი მტკიცებით, „ორგანიზაციის გარეშე დემოკრატიის მოაზრება შეუძლებელია“. თავისი ნებელობის განსახორციელებლად ადამიანთა ყოველი ჯგუფი უნდა ცდილობდეს ორგანიზებას. ვისაც ამის უნარი არ აღმოაჩნდება, ის ვერ მართავს. მასებს რომ არა აქვთ ორგანიზაციის უნარი, ამიტომ არ გამოდგებიან მმართველ კლასად. „პოლიტიკურად აუცილებელი ორგანიზაციის პრინციპი, რომელიც გვერდს უვლის მასების არაორგანიზებულობის სცილას, თავის თავში შეიცავს ხარიბდის ყველა საფრთხეს“. წყაროები, რომელთაგან კონსერვატიული ნაკადები დემოკრატიის კალაპოტში მიემართებიან, რათა მასში გამოიწვიონ გამანადგურებელი წყალდიდობანი და ამახინჯებენ ამ კალაპოტს, იწოდება ორგანიზაციად“ (97, № 3, 55).

ავტორის მტკიცებით, დიდი ჯგუფებიც ვერ წარმართავენ საზოგადოებას ორგანიზებულად. ამიტომ საჭიროა წარმომადგენლობითი დემოკრატია, რომელშიც დელეგატების რაოდენობა შეზღუდული იქნება. მათ შორის კი აუცილებელია ერთ-ერთი პიროვნების წინ წამოწევა, რომელსაც ინიციატივის უფლება მიენიჭება. ის თანდათან იჭერს ბელადის პოზიციას. მიხელსი მოითხოვს პარტიულ, პროფკავშირულ და სახელმწიფო მმართველობის ლიდერდა მოსამზადებელი ქსელის შექმნას და მათთვის გამოცდების მოწყობას. მას მიაჩნია, რომ მმართველი ელიტა უნდა იყოს განათლებული, შეიარაღებული კანონების ცოდნით. „არ შეიძლება იმის დაუნახავობა, რომ ეს სასწავლო დაწესებულებანი მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობენ მუშათა მემკვიდრეობითი ელიტის

შექმნას და მუშათა ბელადების კასტის შექმნით ზრდიან ბელადების ბატონობას პარტიულ მასებზე. ბელადები, რომელნიც თავდაპირველად მხოლოდ მასების ნებელობას ანხორციელებდნენ, მასებისაგან განთავისუფლებით დამოუკიდებელნი ხდებიან".

ავტორის აზრით, ორგანიზაციის აღიარება ოლიგარქიის ტენდენციის გამოხატვაა და არისტოკრატიული ნიშნების მქონეა. ყველა ორგანიზაცია მიუთითებს მის წევრთა დაყოფას მმართველ უმცირესობად და მართულ უმრავლესობად. მასების კომპეტენტურობის უარყოფა გზას უხსნის ელიტის ბატონობას.

მიხელსის აზრით, კულტურის ისტორიის დაბალ საფუხურზე ბატონობდა ტირანია, „დემოკრატია შეიძლებოდა წარმოშობილიყო საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ უფრო გვიანდელ და მაღალი განვითარების სტადიაზე, თავისუფლება, ე. ი. უპირატესობა და მთელი საზოგადოებრიობის საქმეებში მონაწილეობა, მხოლოდ მცირედთა ხვედრია. ახალი დროის დამახასიათებელია ამ უფლებათა უფრო ფართო წრეებზე გავრცელება. დგება ე. წ. დემოკრატიის ერა, მაგრამ განვითარების შესაბამისად დემოკრატია კვლავ საწინააღმდეგო მიმართულებით შეტრიალდება, ორგანიზაციის გაძლიერებით დემოკრატია ქრობას იწყებს. დემოკრატიის განვითარება ხდება პარაბოლას გზით. ამჟამად ის დაღმავალი ხაზით მიდის. ცხოვრების წესად შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციის ზრდის შესაბამისად ბელადების ძალაუფლების გაფართოება" (97, № 3, 58). მიხელსის აზრით, რაც უფრო იზრდება ორგანიზაცია, სულ ერთია იქნება ეს დემოკრატიულ სახელმწიფოში, პოლიტიკურ პარტიასა თუ მუშათა პროფკავშირში, სულ უფრო მეტი ნოყიერი ნიადაგი იქმნება მმართველობისა და მართულების დიფერენციაციისათვის. მასების კონტროლი და მმართველობა შეცვლილია პროფესიონალების კონტროლითა და მმართველობით. თანდათან ფორმირდება განცალკეევებული ბიუროკრატია თავისი იერარქიებით. მუდმივი ორგანიზაცია საჭიროებს მუდმივ ბელადებს. დემოკრატიაში მასები მცირერიცხოვან ინდივიდთა დელეგირებას ახდენენ. მათ ეძლევათ რწმუნება მუდმივად წარმოადგინონ მასების ინტერესები და მართონ მათი საქმეები. რას ნიშნავს ეს? დემოკრატიის სიკვდილის დასაწყისს, რომელიც ჯერ კიდევ რუსომ შეამჩნია. როდესაც ხალხი სხვას ანდობს თავის ბედს, ის უკვე აღარაა თავისუფალი. მტკიცება, თითქოს მთავრობა წარმოადგენს საზოგადოებრივ აზრსა და ერის ნებელობას, იმას ნიშნავს, რომ ნაწილი მთელად გამოვაცხადოთ. დელეგირება, მიხელსის აზრით, უაზრობაა. დემოკრატიასა და მონარქიას შორის განსხვავება ძალზე მცირეა, სუვერენულ ხალხს შეუძლია ერთის ნაცვლად რამდენიმე პატარა მეფე აირჩიოს და ძალაუფლებას უთმობს ერთ ან რამდენიმე წარმომადგენელს. ამომრჩევლისა და არჩეულის მიმართება უმცირესობასა და უმრავლესობას შორის

მჭიდრო კავშირზე არ მიუთითებს. „ფაქტობრივად ამომრჩეველთა ძალაუფლება არჩევის აქტის დამთავრებასთან ერთად მთავრდება. დეპუტატი თავის თავს ხალხის ბედ-იღბლის გამგებლად მიიჩნევს და არის კიდეც ასეთი“. (97, N 3, 60). მიხელსი დემოკრატიისა და ოლიგარქიის, ელიტისა და მასის მიმართებას ძირითადად პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურისა და მმართველობის განხილვით აანალიზებს. ამიტომ მის მსჯელობაში დიდი ადგილი ეთმობა პარტიული ბიუროკრატიისა და ბელადების, პარტიული მასებისა და ხელმძღვანელების მიმართებას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან შრომა დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური პარტიების სოციოლოგიურ ანალიზს ეძღვნება. მასების, პარტიებისა და ბელადების გარდა მიხელსი აანალიზებს პარტიებისა და პარლამენტარების, მასებისა და მმართველობაში გასული პარტიული ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას და აქაც მიუთითებს დემოკრატიის ოლიგარქიით შეცელას. „პარლამენტის ბელადები როგორც სოციალისტები, ისე ბურჟუები, უფლებებს მიითვისებენ და დახურულ კორპორაციებს ემსგავსებიან. პოლიტიკურ პარტიებში ბელადების ბატონობა და მათი მისწრაფება, დემოკრატიული ორგანიზაციები მართონ ოლიგარქიული პრინციპით,უფრო მძაფრად ელინდება პროფკავშირულ მოძრაობაში“ (97, № 5, 83). მიხელსის მტკიცებით, პარტიის ლიდერები აღიარებენ პროფკავშირებში ოლიგარქიის არსებობას, ხოლო პროფკავშირული ლიდერები — პარტიაში ოლიგარქიას, მაგრამ თითოეული თავის ორგანიზაციაში ოლიგარქიის არსებობას უარყოფს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ორგანიზაცია ბიუროკრატების მიერ ოლიგარქიული პრინციპით იმართება. მიხელსის აზრით, ბელადები, რომლებიც მასებმა შექმნეს, შემდგომში გვევლინებიან მათ ბატონებად. „ეოქდიზმის“ გაფორმებასთან ერთად ბელადები ცალკე კასტებად ყალიბდებიან. ამას ხელს უწყობს ხელმძღვანელობაში დიდი ხნით ყოფნა. დროთა განმავლობაში ისინი მასებს გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობისაგან მთლიანად ანთავისუფლებენ და თვითონ ღებულობენ გადაწყვეტილებებს, რომელნიც ხშირად მასების საწინააღმდეგოა. ეს იწვევს მასებსა და ბელადებს შორის წინააღმდეგობას, მაგრამ „ამ წინააღმდეგობიდან ბელადები ყოველთვის გამარჯვებულები გამოდიან. მეტიც, დემოკრატიული და რევოლუციური პარტიების ხელმძღვანელებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ აღჭურვილ იქნენ ყველა უფლებით და გააკარონ საკუთარი პოლიტიკა, დამოუკიდებელი მათი გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისაგან“ (97, № 5, 46). ყოველივე ეს მიუთითებს ოლიგარქიაში დემოკრატიის გადაზრდაზე. ბელადები უარს აცხადებენ ხალხის ნებელობის გამომხატველ რეფერენდუმებსა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაზე. დაპირისპირებაა მართულებსა და მმართველებს შორს, პირველთა ნების გაუთვალისწინებლობა თანამედროვე საზოგადოების ძირი-

თადი ნიშანია, თუმცა თეორიულად ბელადები მასებს უნდა ემყარებოდნენ და მათზე უნდა იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ ფაქტობრივად ბელადებს განუსაზღვრელი უფლებები აქვთ და ბატონობენ მასებზე. „პარტიებში ბელადების განუსაზღვრელი უფლებების თეზისი საჭიროებს განმარტებას. თეორიულად ბელადი დამოკიდებულია მასების ნებელობაზე. მათი მხრიდან მცირედი უკმაყოფილებაც კი საკმარისია, რომ ბელადებმა დაკარგონ მდგომარეობა. ყოველ მომენტში შესაძლებელია ბელადის გადაყენება და შეცვლა. მასა არაა ბატონობის უნარის მქონე, მაგრამ მის ყოველ წევრს აქვს ამის უნარი“ (97, N 7, 76).

მასებისა და ბელადების მიმართების გარკვევის შემდეგ მისელსი აანალიზებს დამოკიდებულებას ბელადებს შორის და აჩვენებს ელიტის შიგნით ხელისუფლებისთვის ბრძოლას. ბრძოლა წარმოებს სხვადასხვა თაობის ბელადებს შორის. ახალგაზრდები უტევენ ხანდაზმულებს. ბრძოლა წარმოებს პროლეტარული წარმოშობისა და ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ ბელადებს შორის. ბრძოლას აქვს ადგილი პარტიულ და პროფკავშირულ ბელადებს შორის. ებრძვიან ერთმანეთს სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის მქონე ბელადები. ხდება გათიშვა რევიზიონისტებსა და მარქსისტებს შორის, სინდიკალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. ბრძოლა წარმოებს პირადი მოტივების გამოც. ბრძოლის დროს გამოიყენება დემაგოგიის ყველა ფორმა. გაბატონებული ბელადები მოითხოვენ დისციპლინის დაცვას. ამბოხებულნი არსებული დისციპლინის წინააღმდეგნი არიან. ორივე მასების სახელით მოქმედებს. „დემაგოგები მასობრივი ნებელობის პირმოთვნეები არიან. მასების ამაღლების ნაცვლად მათ (დაბალ) დონემდე ეშვებიან, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ყალბი კარგად შენიღბული საფარის ქვეშ დაიჩოქონ მასების წინაშე და მოაჩვენონ თავი ერთგულებად, ფაქტობრივად კი მათ უღელში აბამენ და ბატონობენ მათი სახელით“. (97, N 7, 76).

ბელადებს შორის ბრძოლის ერთერთი ფორმაა გაბატონებულთა მიერ ამბოხებული ბელადებისთვის გარკვეული პრესტიჟული თანამდებობების გამონახვა, რითაც ბოლოს უღებენ მათ ამბოხს, უქმნიან მატერიალური არსებობის პირობებს და ოპოზიციონერებიც ადვილად სჯერდებიან უმნიშვნელო როლებს. ასევე ხდება ახალგაზრდა და ხანდაზმული ბელადების ურთიერთობაში. ახალგაზრდები ხანდაზმულებს ითმენენ მათ გვერდით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილი აქვს „არა ელიტათა ცვლას, არამედ მათ რეორგანიზაციასა და შერწყმას“. (97, N 7, 77).

ახალგაზრდა ბელადები, სანამ ღონეს მოიკრეფენ, ურიგდებიან ხანდაზმულების მითითებებს, მაგრამ შემდგომ გმობენ მათ საქმიანობას, თუმცა ბოლოს თვითონაც ძველ ხაზს აგრძელებენ. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ყოველივე ეს კეთდებოდა მატერიალური უზრუნველყოფისათვის და მათ ამოძრავებდათ პირადი მოტივები.

მიხელსის წიგნისადმი დართულ კომენტარებში ელადიმერ ეოსტოკოვი სამართლიანად აღნიშნავს: „მიხელსის წიგნის ამ თავიდან ბევრი რამ ისე ეღერს, თითქოს ეს წიგნი დღესაა დაწერილი. მის ზოგიერთ დებულებას სიამოვნებით მოაწერდნენ ხელს თანამედროვე პოპულისტები. რა არის ეს? ისტორიულ სიტუაციათა დამთხვევა, თუ მიხელსმა მართლა შეძლო ხელმძღვანელ უმცირესობასა და სახელმძღვანელო მასებს შორის გამოეელინებინა ურთიერთობათა ზოგიერთი უნივერსალური კანონზომიერება ისე, როგორც განსხვავებულ ხელმძღვანელ უმცირესობასა და სახელმძღვანელო მასებს შორის, ასევე სხვადასხვა ხელმძღვანელ თაობებს შორის ურთიერთობათა კანონზომიერება. ძნელია სადაოდ გახადო, რომ მიხელსის წიგნში გაშიშვლებულია ეოქდიზმის ზოგიერთი სოციალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტოლოგიური კანონზომიერება და პარადოქსები. მასებსა და მათ მიერ არჩეულ ხელმძღვანელებს შორის ფორმით დემოკრატიული, ფაქტობრივად ოლიგარქიულ ურთიერთობათა ფსიქოლოგია და პრაქტიკა. ეს ფსიქოლოგია და პრაქტიკა საუკუნის დასაწყისშიც და დღესაც ემყარება მმართველთა და მართულთა ცნობიერების თავისებურებებს, გამოიყენება იგივე სტერეოტიპები ელიტური და მასობრივი ცნობიერებისა,პოლიტიკური მოქმედების იგივე მეთოდები და ხერხები". (იქვე, გვ. 79). თუ როგორ ეთამაშებიან მმართველები ხალხს და თუ როგორ მანიპულირებენ ხალხის სახელით, ამას მიხელსი აჩვენებს როგორც პარტიული და პროფკავშირული ბელადების, ასევე სახელმწიფოს მმართველების მაგალითზე. მისი წიგნის ერთერთი თავი „ბონაპარტისტული იდეოლოგია" ეძღვნება ხალხის სახელით სახელმწიფოს მმართველობაში მანიპულირების საკითხს. ავტორი მიუთითებს ნაპოლეონ I- ზე და აღნიშნავს: „სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ნაპოლეონ I- ისთვის მნიშვნელოვანი იყო, იგი ჩაეთვალათ ხალხის რჩეულად. ის ხაზს უსვამდა იმას, რომ თავის ძალაუფლებას ფრანგი ხალხის ნებას უმადლის. ხალხის პლებისციტის გზით ტახტზე ასული აღწევს იმას, რომ მისი ძალაუფლების საფუძვლებს მასებში ხედავდნენ. ხალხის მიერ მოწონებული და სახელმწიფოს სამართლით გამეფებული ერთპიროვნული დიქტატურა ხალხის სუვერენიტეტის ბონაპარტული სახეობაა". (97, N 9, 50). იმავე გზით მიდიოდა ნაპოლეონ III- ც. თავის თავს ხალხის ნებელობის აღმასრულებელ ორგანოდ აცხადებდა. ამტკიცებდა, რომ მასების იარაღი და წარმომადგენელია. მიხელსის მტკიცებით, „ბონაპარტიზმი ბატონობის თეორიაა, საერთო ნებელობიდან აღმოცენებული, მაგრამ მისგან განთავისუფლებული და ცალკეულ ნებელობად გამხდარი. მას დემოკრატიული წარმომობა არადემოკრატიული აწმყოს საშიშროებათაგან იცავს". (იქვე). ბონაპარტიზმი გამორიცხავს ჩინოვნიკთა თუ ბიუროკრატთა ფენისთვის ძალაუფლების განაწილებას. ბონაპარტისტი საკუთარ თავს თვლის ხალხ-

ის ნების უშუალო განმხორციელებლად, რომელსაც არ სჭირდება ელიტის საშუალო ფენის მიერ ხალხის ნებელობის გამუალება თუ გადამცემი რგოლის როლის შესრულება. ნაპოლეონ მესამემ პარლამენტარიზმისაგან გაანთავისუფლა ხალხი და მათთან უშუალო კავშირის ფორმად პლებისციტი გამოაცხადა. მიხელსი აჩვენებს, როგორ არ აკმაყოფილებს დემოკრატიული საწყისებიდან წარმომდგარ დიქტატურას ოლიგარქიული ბატონობის ფორმა და მცირეთა ბატონობა როგორ იცვლება იმპერატორის სუვერენული ბატონობით, ყველაფერი კი ხდება ხალხის სახელით. ხალხი კმაყოფილია, რომ პლებისციტის გზით და არა მემკვიდრეობის საფუძველზე აირჩია იმპერატორი. ხალხისთვის პლებისციტური ცეზარიზმი რესპუბლიკის იდეალის ხორცშესხმაა. მასებს სიამოვნებთ იმის თქმის შესაძლებლობა, რომ „იმპერატორი არ იქნებოდა ის, ვინც არის, მე რომ არ შემექმნა ასეთად. ის მე ავირჩიე." ეს ნიშნავს, რომ „დემოკრატია მშვენივრად უთავსდება ტირანიას. თავის მხრივ, არჩეული იმპერატორიც კმაყოფილია იმით, რომ ხალხის ნებით მოვიდა, მისი იდეების „მატარებელია". ეს ნიშნავს იმას, რომ „დემოკრატიის პირობებში ბელადები ხელმძღვანელობის უფლებას აფუძნებენ მასების დემოკრატიულ ყოველისმომცველ ძალაუფლებაზე". ბონაპარტისტები მანიპულირებენ ხალხის სახელით და თუ ვინმე მათ წინააღმდეგ გამოდის, ხალხზე „ზრუნვით" ამტკიცებენ. „ხალხს არ უნდა წავართვათ რწმენა". ეს რწმენა კი იმაშია, რომ ხალხმა დიქტატორს ნდობა გამოუცხადა და მის წინააღმდეგ ლაშქრობა ხალხის საწინააღმდეგო გამოსვლად აღიქმება. პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურები საბოლოოდ პარტიას, ხალხს და სახელმწიფოს საკუთარ პიროვნებაზე დაიყვანენ. ამტკიცებენ „პარტია ეს მე ვარ", „სახელმწიფო ეს მე ვარ". ოლიგარქიული იდეოლოგია საბოლოოდ ანადგურებს ყოველგვარ დემოკრატიულ იდეას. აქაც ბევრი რამ ეღერს თანადროულად. როგორც მართებულად მიუთითებენ, თანამედროვე მმართველების მხრივ ბონაპარტიზმის გამოვლენაა საკითხის ისე დაყენება, რომ ძალაუფლება მათთვის თვითმიზანია, ხოლო ყოველივე დანარჩენი მხოლოდ საშუალებაა ძალაუფლების მოპოვების ან შენარჩუნების გზაზე.

მიხელსთან დიდი ადგილი ეთმობა კლასობრივი მდგომარეობით განსხვავებული ფენების მოსვლას პროლეტარულ მოძრაობაში, იქნება ეს ბურჟუაზიის, ჩინოვნიკების, ინტელიგენციის წარმომადგენლების თუ სხვათა სახით, ასევე ეროვნულ უმცირესობათა ჩართვას სოციალურ მოძრაობაში (ებრაელების, რომელთაც „საშშობლო არა აქვთ", თუ სხვა უმცირესობათა წარმომადგენლებისა), რომლებიც იმპერიის ამოცანებს იმპერიული ერის წარმომადგენლებზე უკეთ ანხორციელებენ. ავტორი აანალიზებს გარეშეთა მამოძრავებელ მოტივებს, იქნება ეს ოჯახური ტრადიცია, თუ პირადი სიმპათია პროლეტარიატისადმი, ან კიდევ სა-

ზოგადოებაში ადგილის დაკარგვა, საზოგადოებისაგან გაკიცხვა და სხვა. ისინი ხშირად ხელმძღვანელობენ დევიზით „უკეთესია პირველი იყო პროლეტარულ ვალილეაში, ვიდრე მეორე — არისტოკრატიულ რომში“ (97,№ 11, 62). ავტორი ცალკე აანალიზებს პროლეტარიატიდან გამოსული პარტიული ბელადების სოციალურ პაბიტუსს და აფიქსირებს მათ განსხვავებას ბურჟუაზიიდან გამოსულებისაგან. აქვე ნაჩვენებია საზოგადოებაში გაბატონებული და ბატონობის ობიექტთა შორის მიმართებაში არსებული სხვადასხვა მოტივების დომინანტობა. საკითხი ეხება სოციალურ ცვლილებებს მუშათა პარტიების სტრუქტურაში. თავდაპირველად მუშათა კლასის კეთილდღეობისთვის მებრძოლ პარტიებში ჩნდება განსაკუთრებული ფენა — მუშათა არისტოკრატია, რომელსაც აწუხებს არა მარტო პარტიის წარმატებები, არამედ პირადული მოტივებიც, პრესტიჟი და მატერიალური უზრუნველყოფა. ამ სოციალურ ცვლილებათა გზით ხდება „მუშათა პარტიების გაბურჟუება“, რაც სამ ელემენტზე დაიყვანება: 1. პარტია თავის რიგებში იღებს წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს; 2. ამას მოსდევს ელექტორატის პრობლემებთან დაკავშირებული მოელენები და 3. პარტია მიმართავს არა მუშათა კლასს, არამედ მთელ ხალხს, მუშათა პარტია სახალხო პარტია ხდება. პროლეტარიატის რიგებიდან გამოიყოფიან თვალსაჩინო ორატორები და მწერლები, რომლებიც მყარად ეუფლებიან პარტიის ხელმძღვანელ პოსტებს. ისინი „ეძებენ და პოულობენ მოღვაწეობის ახალ შესაძლებლობებს, ასევე ახალ და უფრო შინაარსიან ცხოვრებას. ეს მათ უქმნის შესაძლებლობას, ამაღლდნენ სოციალური კიბის საფეხურებზე, რადგან აქვთ პრესტიჟული, თანაც სარფიანი ადგილები“, (97,N 13, 46). ეს ცვლის მათ ფუნქციებს და ამ გზით მიღებული „პროლეტარული ელიტა თავისი საზოგადოებრივი ფუნქციის რადიკალურ ცვლილებამდე მიდის, ფიზიკური შრომის ადამიანიდან ხდება გონებრივი შრომის ადამიანად, რაც მას აძლევს უტყუარ პრივილეგიებს და იწვევს მასში მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს“ (97, N 13, 47). ყოფილი მუშა ხდება ჩინოვნიკი. მას აკმაყოფილებს მისი მდგომარეობა როგორც პრესტიჟის, ისე ხელფასის მხრივ. პარტიებსა და პროფკავშირებში ხელფასიანი ჩინოვნიკების რიცხვი სულ უფრო იზრდება. მუშა თანდათან კარგავს ტრადიციულ სტატუსს და დგება წვრილი ბურჟუის პოზიციაზე. ის ელიტის რიგებში შედის როგორც პროფესიონალურად, ისე ეკონომიურად. იცვლება მისი რწმენაც და ბრძოლის ფორმებიც. მას უკვე არ აწუხებს ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის ამოცანები. იგი მატერიალურად უზრუნველყოფილია, უკავია პრესტიჟული თანამდებობა და ავიწყდება სოციალურ ცვლილებათა მოთხოვნები. ისე როგორც ეკლესია არის წვრილი ბურჟუისა და გლეხის შვილებისთვის საეკლესიო იერარქიაში წარმატებების მოპოვების გზა, ასევე მუშათა მოძრაობა და პარტია ხდება სოციალურ პირამიდაზე ამაღლებ-

ის გზა. მართალია, ისინი ვერ ადიან ბურჟუაზიის დონეზე, მაგრამ წერილი ბურჟუები მაინც ხდებიან. მიხელსის აზრით, პროლეტარიატს იმით შეუძლია ინუგეშოს თავი, რომ არა მარტო მას აკლდება შეგნებული და დაწინაურებული ნაწილი, არამედ — მის მოწინააღმდეგე ბურჟუაზიასაც, რადგან მისი ზოგიერთი წარმომადგენელი გადადის პროლეტარიატის ბანაკში და იბრძვის საკუთარი კლასის წინააღმდეგ. მუშათა კლასის გაბურჟუების პარალელურად მიმდინარეობს ბურჟუაზიის იდეოლოგიური გაპროლეტარება.

ნაშრომის ბოლო, შემაჯამებელ, თავში ავტორი უბრუნდება დემოკრატიისა და ოლიგარქიის მიმართების საკითხს. ეს სათაურიდანაც ჩანს: „დემოკრატია და ოლიგარქიის რკინისებური კანონი". ამ თავში მიმოხილულია სოციალური მოძრაობის თეორიები, დადებითი შეფასება ეძლევა მარქსიზმს, ვინაიდან მან ისტორიას საფუძველად დაუდო კლასობრივი ბრძოლის პრინციპი, მაგრამ მიუღებლადაა მიჩნეული უკლასო საზოგადოების თეორია. მიხელსი თვლის, რომ საზოგადოებაში ყოველთვის იქნება გაბატონებული კლასი (იგი საზოგადოების ურყევი და მუდმივი ელემენტია) და იქნება ის კლასიც, რომელზედაც ბატონობენ. გაბატონებულია უმცირესობა, ხოლო ვიზეც ბატონობენ შეადგენს უმრავლესობას. ესეც ისტორიის გარდუვალი კანონზომიერებაა ისევე, როგორც დემოკრატიის გადაზრდა ოლიგარქიაში. მიხელსი დადებითად აფასებს ვილფრედო პარეტოს ელიტის ცირკულაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც წარმოებს ბრძოლა გაბატონებულ უმცირესობასა და ბატონობის სურვილით შეპყრობილ სხვა უმცირესობებს შორის, რაც მთავრდება გაბატონებულთა შეცვლით ან კიდევ მათი მორიგებით. თავისი ნაშრომის დასკვნით ნაწილში მიხელსი აღნიშნავს: „წინა თავებში ზოგადად ჩვენ მიერ აღნიშნული სოციოლოგიური მოვლენები დემოკრატიის მეცნიერულ მოწინააღმდეგეებს საჭიროზე მეტ არგუმენტებს აწვდის. ისინი ნათლად უთითებენ ცივილიზებული კაცობრიობის გაბატონებული, ანუ პოლიტიკური კლასის გარეშე არსებობის შეუძლებლობაზე, გაბატონებული კლასი, თუნდაც შემადგენლობის ნაწილობრივი ცვლილებებით, ერთადერთი ფაქტორია, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში გარდუვალი მნიშვნელობა აქვს. ამგვარად, მთავრობა (ან სხვა შემთხვევაში სახელმწიფო) შეიძლება მხოლოდ უმცირესობის ორგანიზაცია იყოს, რომელიც ცდილობს საზოგადოების დანარჩენ ნაწილს თავს მოახვიოს სამართლებრივი წესრიგი, იგი ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება უმრავლესობის ქმნილება. კაცობრიობის უმრავლესობა არასდროს არ იქნება საკუთარი თავის მმართველი, მაშინაც კი თუ უკმაყოფილო მასა გაბატონებულ კლასს წაართმევს ძალაუფლებას" (97, N 17, 44).

პოლიტიკური ძალაუფლების საფუძველზე ელიტური სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და სოციალური სტრატიფიკაციის გაგების ცნებობრივი

ანალიზი მიღებული აქვს იაეგის თავის შრომაში — „საზოგადოებრივი ელიტები. მოძღვრება სოციალური ძალაუფლების პრობლემებზე". იაეგი იძლევა ელიტის ცნების რამდენიმე განსაზღვრებას: 1) „ელიტის ფუნქციები არის ადამიანებს შორის მიმართებანი, რომლებიც მათ სოციალურ სტრუქტურებს ძალაუფლებასა და ავტორიტეტთან მიმართებაში აყენებენ". 2) „ეს მიმართებანი წარმოშობს ბატონობის სტრუქტურას, რომელიც შეიძლება იყოს ფორმალური, ან არაფორმალური, ე. ი. საკითხი ისმის იმის თაობაზე, ფაქტობრივად ვის ხელშია ძალაუფლება, რადგან ზოგჯერ ძალაუფლება არაა ინსტანცირებული". 3) „ელიტები თანამოქალაქეთა მეტ-ნაკლებად შეკავშირებული ჯგუფებია, ან სტრუქტურული აგრეგატები, რომლებიც მსგავს ან იმავე მიზნებს ისახავენ და სოციალურ ძალაუფლებას აღწევენ. ეს მოცემული სტრუქტურის შიგნით ნიშნავს იმის შესაძლებლობას, რომ გაატარონ მათი წარმოდგენები და გრძნობები". 4) „გლობალურ-საზოგადოებრივი ელიტით, ლოკალური ელიტისაგან განსხვავებით, აღენიშნავთ ელიტის ყოველ წევრს, რომელთაც განსაზღვრულ წრეში (ან გლობალური საზოგადოების სტრუქტურაში) შეუძლიათ ასრულებდნენ ძალაუფლებას, ჰქონდეთ ავტორიტეტი და გაელენა" (170, 144).

იაეგის კიდევ აქვს ელიტის რამდენიმე განსაზღვრება, მაგრამ იმავე შინაარსით. ამიტომ ამ განსაზღვრებათა ანალიზიც საკმაო სურათს მოგვცემს იმისა, თუ რა კრიტერიუმია გამოყენებული ელიტის ცნების დასადგენად. პირველ განსაზღვრებაში ლაპარაკია სოციალური სტრუქტურის დაყოფაზე ადამიანთა შორის მიმართებათა მიხედვით, მაგრამ ეს მიმართებანი არაა ყველა სახის დამოკიდებულება ადამიანებს შორის, იგი ამ დამოკიდებულების მხოლოდ ერთ სახეს წარმოადგენს. ესაა ძალაუფლებისა და ავტორიტეტის დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, ელიტის ფუნქცირება გაგებულია როგორც ბატონობის ფუნქცია და ის, რაც მასთან მიმართებაში იმყოფება, — ბატონობა-დაქვემდებარება. ამრიგად, კრიტერიუმი და ძირითადი შინაარსი ამ პირველ განსაზღვრებაში არის ძალაუფლება, ბატონობა დაქვემდებარების აზრით. მეორე განსაზღვრება ანალიზს უკეთებს ამ ძალაუფლების ნომინალობა-რეალობას და აღნიშნავს, რომ სოციალურ სტრუქტურაში სოციალური ინსტიტუტების ორგვარი ძალაუფლება შეიძლება არსებობდეს: ერთი, როცა სოციალური ინსტიტუტი თავისი ელიტური აპარატით მაღალი ინსტანციაა ინსტიტუციონალიზმის თვალსაზრისით, მაგრამ ფაქტობრივად არ წარმოადგენს იმის შესაფერისს, რაც უნდა იყოს. თუ დავაკონკრეტებთ, ეს შეეხება ისეთ პოლიტიკურ არხებს, როგორიცაა, მაგალითად, პრეზიდენტის აპარატი, სადაც ფაქტობრივად პრემიერ-მინისტრია ბატონპატრონი, ან კიდევ სამეფო დინასტია, სადაც ფაქტობრივად აღმასრულებელი ხელისუფლებაა გამგებელი. ამის ნიმუშია ინგლისის სახელმწიფო

ორგანიზაცია. ბეკერის დახასიათებით, ინგლისში სამეფო ხელისუფლება თავდაპირველად იყო ღვთიური უფლების მქონე, შემდეგ თანდათან მივიდა კონსტიტუციურ მონარქიამდე, რომელშიც მეფის ღვთიური უფლებიდან მივიღეთ ის, რომ მეფე გამოცხადდა „მხოლოდ სიმბოლოდ", ხოლო ფაქტობრივი ძალაუფლება ხელთ აქვთ მინისტრებს, რომლებიც მეფის ნებისაგან დამოუკიდებლად აღწევენ ხელისუფლებას. აქ ფორმალურადაა მეფის ხელისუფლება შენარჩუნებული, ფაქტობრივად კი არა მარტო საჯარო ძალაუფლება, არამედ მეფის ოჯახის წევრების უფლებებიც განსაზღვრულია. მაშასადამე, განსხვავება ფორმალურ და რეალურ ძალაუფლებას შორის გამოიხატება ელიტათა შორის განსხვავებამიც: ფორმალური ძალაუფლების და რეალური ძალაუფლების მქონე ჯგუფები წარმოადგენენ ელიტებს, მაგრამ განსხვავებული როლებით სოციალურ სტრუქტურაში.

ამ განსაზღვრებაში ლაპარაკია არა მხოლოდ ძალაუფლებამი დაწესებულ და აღიარებულ განსხვავებაზე, არამედ ისეთ განსხვავებაზეც, როცა ძალაუფლების გათიშვა ხდება ოფიციალურ და არაოფიციალურ, ინსტანცირებულ და არაინსტანცირებულ ჯგუფებს შორის.

მეორე განსაზღვრება, მიუხედავად იმისა, რომ მასში პოლიტიკური ბატონობის სხვა ასპექტია მოცემული, მაინც აზუსტებს და ავსებს პოლიტიკური ბატონობის ცნებას და არ წარმოადგენს სხვა სახის სოციალური სტრუქტურის დახასიათების ცდას.

ელიტის ცნების მესამე განსაზღვრებაში ხაზგასმულია პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, ადამიანთა ერთობლივი მისწრაფება სტრუქტურების შექმნისკენ, რომელთაც აერთიანებს საერთო პოლიტიკური მიზნები. ეს ერთიანობა დამოკიდებულია მათ პოლიტიკურ იდეალთა ერთობლიობაზე, რაც საშუალებას აძლევს მიაღწიოს ხელისუფლებას; მაგრამ ამით მათი მიზანი არ ამოწურულა, ხელისუფლება მათ ხელში გამოდის როგორც იარაღი, საშუალება, რომლითაც ისინი თავიანთ ნებელობას ახვევენ მასებს; მათ ეს ხელისუფლება სჭირდებათ საკუთარი ბატონობისათვის.

მეოთხე განსაზღვრება იძლევა განსხვავებას ელიტის ცალკეულ წევრს, ელიტასა და ელიტათა ერთობლიობას შორის ისევ პოლიტიკური სტრუქტურის შიგნით. როგორც ელიტური სტრუქტურის ცალკეულ წევრს, ასევე ცალკე აღებულ ელიტურ ჯგუფს და მათ დაკავშირებასაც აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი — ძალაუფლების გატარება, ავტორიტეტი და გავლენა.

ამ თეორიის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ როგორც პოლიტიკური ელიტის თეორიას, ასევე მხოლოდ ელიტის ძალაუფლებითი კრიტერიუმით დადგენილ ცნებას ერთი საერთო ნაკლი აქვთ: ისინი ცალმხრივად წარმოადგენენ ელიტურ სტრუქტურას და ამ სტრუქტურის გამომხ-

ატველ ცნებასაც. როსკო პინკლის და ალვინ ბოსკოვის დახასიათებით, ელიტური სტრუქტურის თეორიაში პარეტო „ხაზს უსვამს სტრატიფიკაციის პროცესულ ასპექტს, ელიტის კონტროლის მექანიზმებსა და ელიტათა პირად დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც შეესაბამება ამ საკონტროლო მექანიზმებს.

ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური ძალაუფლება სტრატიფიკაციურ ანალიზში წარმოგვიდგება უზომო გამარტივების სახით. არსებითად ორივე თეორია წარმოადგენს იმის „ცალმხრივი" ანალიზისადმი დაბრუნებას, რაც თავის საუძველში „მრავალმხრივია" (26, 422).

მაშასადამე, პარეტოს თეორიის ცალმხრივობა გამოიხატება იმით, რომ პოლიტიკურ სტრუქტურაში მხოლოდ ერთი მომენტითაა განსაზღვრული სტრატიფიკაცია — ძალაუფლების მომენტით. იგივე ცალმხრივობა ახასიათებს ელიტის ცნების იმ ანალიზს, რომელიც აქვს იაეგის. აქაც ელიტის ცნება დაყვანილია ძალაუფლების ნიშნამდე. ამიტომ დრაიტცელის აზრით, „იაეგის შრომის გადამწყვეტი ნაკლი ის არის, რომ ის არაისტორიულად განიხილავს ელიტის ცნებას, რაც გამოწვეულია ამ ცნების ცალმხრივი განხილვით, მხოლოდ ძალაუფლებასთან დაკავშირების გამო". ამ ნაკლოვანებათა ანალიზის შესაბამისად თანამედროვე სოციოლოგიაში სახე იცვალა ელიტის თეორიამ და შესაბამისად — ელიტის ცნებამაც.

ოსიპოვი აღნიშნავს,რომ ამჟამად „არსებობს „ელიტის" თეორიის რამდენიმე ვარიანტი: 1. მისტიკურ-ირაციონალისტური თეორია, რომელსაც ელიტა გამოყავს შეუცნობადი და ზებუნებრივი საწყისებიდან, 2. ტექნოლოგიური თეორია, რომელიც ელიტას თვლის ტექნიკის განვითარების კანონზომიერ პროდუქტად, 3. ბიოფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ელიტის წარმოშობას ხსნის ადამიანთა ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური უთანასწორობით" (105, 240).

ოსიპოვის ეს კლასიფიკაცია იმდენად ელიტის თეორიებს არ ეხება, რამდენადაც მათი წარმოშობის ახსნას. აქ ელიტის თეორიათა კლასიფიკაცია ელიტათა წარმოშობის გზების მიხედვითაა. ელიტის თეორიების სხვა სახის კლასიფიკაციაც არის შესაძლებელი, სახელდობრ, იმ ნიშნის მიხედვით, თუ როგორ ხსნიან ელიტას — როგორც საერთოდ სოციალური სტრუქტურის დამახასიათებელს, თუ როგორც სოციალური სტრუქტურის ამა თუ იმ საფეხურის შედეგს. ან კიდევ იმის მიხედვით, თუ რა ესმით ელიტაში და რა კრიტერიუმები აყალიბებენ ელიტის ცნებას. ჩვენი მიზანი სწორედ ამ უკანასკნელი კლასიფიკაციის გადმოცემაა.

თანამედროვე სოციოლოგიაში ელიტის ცნების მნიშვნელობა გაფართოვდა და პოლიტიკური ელიტის ნაცვლად დაიწყეს მსჯელობა ყოველგვარი სახის ელიტაზე, რაც ინდუსტრიული საზოგადოების ძირითად სტრუქტურულ ფენომენადაა მიჩნეული. დრაიტცელის აზრით, ელიტისადმი კუთვ-

ნილება განისაზღვრება ფაქტობრივი ან ფიქტიური სიმძლავრით, იქნება ეს ნივთიერ-ფაქტობრივი თუ სულიერ-იდეალური ბუნებისა. დრაიტცელის აზრით, ეს ცნება თანამედროვე საზოგადოების ცნებაა. ამდენად, დღის წესრიგშია ამ ცნების სოციოლოგიური ანალიზი, რაც განსხვავდება როგორც ელიტის თეორიის ანალიზისაგან, ასევე ელიტის ცნების შემეცნებით — თეორიული, ლოგიკური და ენობრივი ანალიზისაგან.

ელიტის ცნების სოციოლოგიური ანალიზისთვის ამოსავლად დრაიტცელი იღებს ამ ცნების ყოველდღიურ წინამეცნიერულ მნიშვნელობას. ჩვეულებრივ ელიტას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობენ: მაგ., „ფეხბურთელთა ელიტა", „გერმანელი ხალხის ელიტა", „პროლეტარიატის ელიტა". ყველა ამ შემთხვევაში ცნების მნიშვნელობა წარმოდგება მისი სიტყვიერი მნიშვნელობიდან. თავდაპირველად ეს სიტყვა ლათინური „eligere "-დან — „არჩევანი" გადავიდა ფრანგულში და მიიღო „elire"-ს ფორმა, აქედან მე-18 საუკუნის დასასრულს — გერმანულ ენაში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა Elite-ს სახით, რაც ასევე „არჩევანს" ნიშნავს. ეს სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა, რომელმაც განსაზღვრა ამ ცნების თავდაპირველი მნიშვნელობაც. ელიტის ცნებას სამი მნიშვნელობით ხმარობენ, იგი გამოხატავს: 1) საუკეთესოთა ბატონობის მოთხოვნას, რომლის მიხედვით ამოცანაა ხალხის, საზოგადოების, ჯგუფის ხელმძღვანელობა საუკეთესოთა და უძლიერესთა მხრივ. ეს ერთგვარი ანტიციპაციაა იდეალური მდგომარეობისა, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია. 2) ფაქტობრივ თვისებრიობას საუკეთესო კვალიფიკაციის სახით. მაგ., ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდები. 3) იდეოლოგიური თეორიების ფორმას, რომელიც მოწოდებულია გამოხატოს საუკეთესო იდეოლოგია.

ეს სამი მნიშვნელობა ელიტის ცნების სამ ელემენტს შეადგენს: პირველი — უტოპიურს, მესამე — იდეოლოგიურს, მეორე კი — ძირითად და თავდაპირველ ელემენტს კვალიფიკატორულის სახით.

ელიტის უტოპიური მნიშვნელობა წარმოიშვა მანამ, სანამ ელიტის ცნება ჩამოყალიბდებოდა: სახელდობრ, ელიტის პირველი უტოპიური თეორიებია: პლატონის საუკეთესოთა ბატონობის, წმინდანის და რელიგიური თეორიები; შემდგომში — უტოპიური თეორიები, დაწყებული სენ-სიმონით და დამთავრებული ნიცშეთი.

იდეოლოგიური ელემენტი დამახასიათებელია ჟორჟ სორელის, პარეტოსა და მათთან ახლო მდგომი იდეოლოგიისათვის. იდეოლოგიური ელემენტი ელიტას გამოყოფს სოციალური კლასიდან როგორც ხელმძღვანელს. ელიტის ცნების უტოპიური და იდეოლოგიური ელემენტები ურთიერთდაკავშირებულია. ისინი ერთი ფენომენის ორ მხარეს წარმოადგენენ. მაგრამ მათ შორის განსხვავება მაინც არის. იდეოლოგიური ელემენტი პოლიტიკური აქციების გზით მოითხოვს განხორციელებას,

უტოპიური კი არა — ის მხოლოდ ცნობიერებაში არსებობს, როგორც არსებული საზოგადოების საპირისპირო.

ელიტის იდეოლოგიურ ელემენტს ეკუთვნის ნაციონალ-სოციალიზმში არსებული ელიტის ცნებაც. ეს სოციოლოგიურად დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი ცნება სამი ელემენტისაგან შედგება: პირველი — ელიტის გათიშვა მასისაგან; ნაციონალ-სოციალისტებმა დებულება „შენ ხარ არარა, შენი ხალხია ყველაფერი", ასე გადააკეთეს: „შენ ხარ არარა, შენი ფიურერია ყველაფერი". ამით გათიშეს მასა და ელიტა. მეორე ელემენტი არის რასების ცნება, მესამე კი — ფიურერის პრინციპი. დრაიტცელის აზრით, ელიტის ნაციონალ-სოციალისტური გაგება იყო ბარბაროსობა ცივილიზაციაში. დრაიტცელი ფიქრობს, რომ ელიტის ცნება ყველა იდეოლოგიისთვისაა დამახასიათებელი და მათ შორის მარქსისტულისთვისაც. მისი აზრით, აქ ელიტის ცნება შეცვალა კადრების ცნებამ, რაც იმავე მნიშვნელობისაა. ფაქტობრივ ელიტას, დრაიტცელის აზრით, წარმოადგენს პარტია, რომელიც წარმართავს მოძრაობას, ხოლო ამ პარტიაში ხელმძღვანელები არიან პროფესიონალი რევოლუციონერები. სოციალისტურ საზოგადოებას დრაიტცელი, ვიზე და ინდუსტრიული საზოგადოების სოციოლოგიის სხვა წარმომადგენელნი თვლიან ელიტური სტრუქტურის საზოგადოებად, მაგრამ მათ შორის არაა ერთიანობა თვით ამ სტრუქტურაში ელიტათა წყობის შესახებ. ვიზე ფიქრობს, რომ სოციალიზმის ქვეყნებში ამჟამად ისეთი მდგომარეობაა, როგორიც იქმნება „ბომბდაცემულ სახლში, რომლის შედეგადაც ზედა ნაგებობები ჩაიწია და ქვედა ამოიწია, ე. ი. მოხდა ელიტათა შეცვლა".

ვიზეს აზრით, „ელიტებს ეკუთვნიან პოლიტიკურად და კულტურულად ცნობილნი, აგრეთვე მორალურად სამუალოზე მაღლა მდგარნი". ამის შესაბამისად ვიზე იძლევა ელიტური სტრუქტურის ასეთ სურათს: „მონოპოლისტები, მწარმოებლები და ხელის მუშები, მუშები და მოსამსახურენი, ინტელექტუალისტები, პატარა რენტის მქონე პენსიონერები, მოხუცები, ავადმყოფები და გამოძევებულნი, რომლებმაც დაკარგეს უმაღლეს ფენაში ადგილი და ვერ დაიბრუნეს იგი". (175, 69-74).

ვიზეზე უფრო მარტივად წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების ელიტურ სტრუქტურას, დრაიტცელი, რომელიც განასხვავებს ორ ელიტას — პარტიულ და სამეურნეო ელიტას. დრაიტცელის აზრით, „ორი კომუნისტური ელიტა არსებობს: ერთი მხრივ, პარტიის აპარატი უზრუნველყოფს მცირე პოლიტიკური ელიტის ხელისუფლებას, მეორე მხრივ, ის მეურნეობის მმართველთა და სპეციალისტთა ელიტას აძლევს ამ ხელისუფლებაში განსაზღვრული მონაწილეობის უფლებას და ამით მას აკავშირებს მაღალ შემოსავალთან და პრესტიჟთან. აკადემიური ელიტა ეხმარება პარტიას გეგმების შედგენაში, მაგრამ არა აქვს გავლენა პარტიულ ელიტაზე. ის პარტიული ელიტისთვის რეზერვია, რომლიდან-

აც პარტიის ხელმძღვანელები რეკრუტირდებიან". (167, 38).

რადგან სოციოლოგების უმრავლესობა კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებას მიიჩნევს ინტეგრირებულ ტიპად თანამედროვე ინდსტრიული საზოგადოების სახით, ამიტომ ისინი აღგენენ „ერთიან სტრუქტურას" ამ საზოგადოებათათვის. ასე მაგალითად, რაიმონ არონი შრომაში — „სოციალური სტრუქტურა და მმართველი კლასები" — განარჩევს 5 სახის ელიტას: „პოლიტიკური ლიდერები, მთავრობის ადმინისტრატორები, ეკონომიკის დირექტორები, მასების ლიდერები და სამხედრო ზედაფენა". არონის აზრით, განსხვავება ინდუსტრიული საზოგადოების ორ ტიპს შორის — კაპიტალისტურისა და სოციალისტურის სახით — არის არა სტრუქტურაში (რადგან ორივე ელიტური სტრუქტურისაა), არამედ ელიტათა შერჩევის პრინციპში: არონის აზრით, „დემოკრატიულ სახელმწიფოებში ელიტის შერჩევა ხდება დელეგატირების, ხოლო ტოტალიტარულ სახელმწიფოებში — ავტოკრატიული პრინციპით".

დრაიტცელის აზრით, „ყოველი რევოლუციური გადატრიალება ადასტურებს იდეოლოგიური და უტოპიური ელემენტების კავშირს. სანამ გადატრიალება მოხდება, ელიტის უტოპიურ ელემენტთან გვაქვს საქმე, გადატრიალების შემდეგ კი ელიტა თვითონ ხდება გაბატონებული და ის ამართლებს თავის ბატონობას იდეოლოგიით. ამით „იდეოლოგიური ელიტის ცნებაში" მოქცეულია უტოპიური ელიტის ცნებაც. ასეთ ელიტას სჯერა თავისი რჩეულობა და, სადაც ეს საეჭვოდ ხდება, იქ იწყება ბრძოლა ხელისუფლებისათვის". (167, 39).

დრაიტცელის აზრით, ელიტის ცნება ძირითადია ლიბერალურ თეორიებში და ის გამოიხატება ტრაიჩკეს გამოთქმაში: „მილიონობით მიწათმოქმედი, მჭედელი და ღურგალი უნდა იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ათასი მკვლევარი, მხატვარი და პოეტი".

დრაიტცელის შეხედულებით, ელიტის ორივე ელემენტი — იდეოლოგიურიც და უტოპიურიც მიუღებელია ინდუსტრიული საზოგადოებისათვის. ამ საზოგადოების სტრუქტურის განსაზღვრისას კრიტერიუმი უნდა იყოს კვალიფიკატორული ელემენტი. ეს საზოგადოება ელიტურია, მაგრამ არა იდეოლოგიური და უტოპიური ელემენტების, არამედ კვალიფიკაციის ბაზაზე. ამ საზოგადოებაში ძალაუფლებასა და ბატონობასთანაა დაკავშირებული ელიტა, მაგრამ ეს ძალაუფლება, ეს სიმძლავრე კვალიფიკაციით მიიღება და არა სხვა ნიშნებით.

ზოგადად ყოველი ისტორიული საზოგადოება შეიძლება განხილულ იქნეს ელიტურ საზოგადოებად. მაგრამ ეს ელიტები სხვადასხვა საფუძველზე იყო მიღებული: წოდებრივ საზოგადოებაში წოდებრივ პრესტიჟზე, კლასობრივში — საკუთრებაზე და, ნაწილობრივ, განათლებაზე დაყრდნობით, განათლებულთა ელიტა ჯერ კიდევ კაპიტალისტურ საზოგადოე-

ბაში წარმოიშვა და, მამასადამე, კვალიფიკატორულ ელიტას ამ საზოგადოებაში ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ, დრაიტცელის აზრით, ამ სტრუქტურის ნამდვილი არენა ინდუსტრიული საზოგადოებაა, რომელშიც გადადის ბურჟუაზიული, ინდუსტრიულ საზოგადოებაში ელიტის დემოკრატიზაცია წარმოებს იმით, რომ ელიტობა არ განისაზღვრება არც წოდებით, არც საკუთრებით, არც პარტიისადმი მიკუთვნებით. ესაა პირად უნარზე დამყარებული ელიტები მეწარმეთა სახით. ელიტის ცნების შექმნის პროცესში განსხვავება არის კაპიტალიზმის ინდუსტრიულ საზოგადოებად ტრანსფორმირების შედეგი; ეს განსხვავება კარლ მანჰაიმს წარმოდგენილი აქვს ოთხი ნიშნით: 1) ელიტები მცირერიცხოვანი პრივილეგირებული ჯგუფებიდან ხდება მრავალრიცხოვანი; მცირე ელიტათა ხელმძღვანელობას ცვლის მორალური ელიტები; 2) ელიტები არაა ჩაკეტილი ჯგუფები, რომელთა სტრუქტურაში შეღწევა მოითხოვდეს დაბრკოლებების გადალახვას; ელიტები გახდა „ღია ჯგუფები"; 3) ელიტათა არჩევის სისტემა ემყარება დემოკრატიზმის პრინციპს; სახელდობრ, აირჩევიან მათი ფუნქცირების პრინციპის მიხედვით; 4) ესება ამ ფუნქციონერთა ურთიერთდაკავშირების დემოკრატიულ საწყისებს.

დრაიტცელი არ ეთანხმება იმათ, ვისაც ელიტის განმსაზღვრელ კრიტერიუმად განათლება მიაჩნია. ეს არ შეესაბამება, მისი აზრით, ინდუსტრიული საზოგადოების მოთხოვნებს. ეს არის ჰუმანიტარული პრინციპი. ინდუსტრიული საზოგადოება მოითხოვს ფუნქციონერებს, საწარმოთა გამგებლებისა და მმართველების სახით. ამის პირობაა ცოდნა, მაგრამ იგი არაა საკმარისი. მისი რეალიზაციისთვის ფუნქციონირების უნარია საჭირო. ეს ქმნის ელიტის „ობიექტურობას" და ეს ობიექტურობა ემთხვევა მის „ღირებულებას", რომელიც „შეესაბამება საზოგადოების სტატუსში რანგობრივ ადგილს, პრესტიჟის სქემას და საზოგადოების ინსტიტუციონიზებულ ნორმობრივ სტრუქტურას".

ელიტური სტრუქტურა ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი მაჩვენებელია. ამ საზოგადოებაში პრესტიჟი, როლი, პატივისცემა განისაზღვრება კვალიფიკაციით, ფუნქცირების პრინციპით, სამიტომ, დრაიტცელის აზრით, ეს საზოგადოება თავისუფალია სოციალური ანტაგონიზმისაგან. იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ ადამიანების განსხვავებული უნარი აქვთ და სადაც ამ განსხვავებულ უნართა სრული გამოვლენა შესაძლებელი ხდება, იქ არის სწორედ თანასწორობა და სოციალური სამართლიანობაც. ასეთია ინდუსტრიული საზოგადოება. ამ საზოგადოებაში ორი ძირითადი ელიტა არსებობს: ერთია მეცნიერ-ტექნიკოსთა, მეორე კი — მენეჯერების ანუ მრეწველობის ხელმძღვანელებისა; ერთნი ქმნიან პირობებს მეორეთა ფუნქციონირებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებაში სხვა სახის ელიტები არ იყვნენ; ელიტები ყველა სფეროშია, რადგან კვალიფიკაცია ყველგან ვლინდება:

სამხედროში, სულიერში, პარტიულ და იდეოლოგიურ სფეროსა და სხვა. ამის შესაბამისად ყოველ საზოგადოებაში ელიტათა მრავალფეროვნებაა: პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, მეურნეობრივი და სხვ. ელიტის ცნების ძირეული კრიტერიუმი ფუნქციერებაა, მაგრამ მას მეორე დამატებითი კრიტერიუმი სჭირდება აღიარების სახით. შეიძლება პრივილეგირებულ მდგომარეობას ორი გზით მიაღწიონ — პოზიციის დაპყრობით და პოზიციის აღიარებით; პირველი გზა არაა კვალიფიკატორული ელიტის გზა, მხოლოდ მეორე იძლევა კვალიფიკატორულ ელიტას. საქმე ისაა, რომ ადამიანს შეიძლება ფუნქცირების უნარი პქონდეს, მაგრამ თუ ივი შედეგებში არ ჩანს, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებამ არ აღიარა მისი უნარი და ამ სუბლიმაციის გზით ვერ აღწევს ელიტის მდგომარეობას.

ასეთი დათრგუნვის შემთხვევაში ადამიანი მიეკუთვნება იმათ რიცხვს, ვისაც მოწოდება აქვს, მაგრამ არენა არ გააჩნია ამის განსახორციელებლად, საზოგადოების მხრივ აუღიარებლობის გამო. ყოველივე ეს მას სოციალ-ფსიქიურად საზოგადოებისაგან გარიყულად აქცევს. ბლუმის აზრით, ასეთი ვითარების სოციოლოგიური ანალიზისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატიფიკაციის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდი, უშუალოდ სუბიექტის გამოკითხვა: მისი აზრი მის უნარსა და ადგილზე სოციალურ სტრუქტურაში. აღიარების კრიტერიუმის შემოღება შესაძლებელს ხდის, „ელიტის ცნებიდან გამორიცხონ არა მარტო ისინი, ვინც, მიზანს ვერ მიაღწიეს", ვინც ჯგუფთა შიგნით უმაღლესი პოზიციები ვერ დაიკავეს... არამედ ისინიც, რომელთაც აქვთ უმაღლესი პოზიციები". (167, 69).

ზემოგანხილულ მოსაზრებებში ელიტის ცნების აუცილებელ კომპონენტად დასახელებულია: შერჩევა, ცოდნა, ფუნქცირება, აღიარება, ხელმძღვანელობა; თითოეულ მათგანს შეესაბამება შესაბამისი ფორმები. შერჩევის დახასიათებას იძლევა ოტო შტამერი მრომაში — „ელიტის პრობლემა დემოკრატიაში". მისი აზრით, ელიტის შერჩევა შეიძლება ხდებოდეს ოთხი გზით; ესენია: დელეგირება, მოწვევა, თვითდამატება და პროტექცია. შერჩევის თითოეული ფორმა განსხვავებულ ელიტურ სტრუქტურას იძლევა. დემოკრატიული საზოგადოების ელიტური სტრუქტურა დამყარებულია დელეგირებაზე. ესაა უმრავლესობის ნება-სურვილის გამომხატველი. მოწვევა დამახასიათებელია უძლიერესების მიერ უმრავლესობაზე თავისი ნებისყოფის თავსმოხვევის ვითარებისათვის. ამ გზით ირჩევენ იდეოლოგიურ და სულიერ არისტოკრატიას, „თვითდამატება" იმის მაჩვენებელია, რომ გადამწყვეტია არა უმრავლესობა ან უმცირესობა, არამედ პიროვნული მოქმედების შედეგი. რაც შეეხება შერჩევის მეოთხე ფორმას, პროტექცია მოკლებულია ობიექტურობას, რადგან ის პიროვნული უპირატესობის მიღების სუბიექტურ პრინციპს ემყარება: ინდივიდუალური თვითნებობის შედეგია. ის ეწინააღმდეგება

ჯგუფთა ინტერესებს, უკანონობის ფორმის მატარებელია.

ცოდნა ანუ განათლება, რომელიც ელიტის შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმია, შელერის მიხედვით, ორი სახისა შეიძლება იყოს: თეორიული და ფუნქციობის ცოდნა. თეორიული ცოდნა არაა საკმარისი ფუნქციობისთვის. ფუნქციობა მოითხოვს თეორიულ ცოდნას, მაგრამ ყოველ თეორიულ ცოდნას არ მოაქვს ფუნქციობა. მხოლოდ ის თეორიული ცოდნა, რომელიც ფუნქციობის უნართან არის დაკავშირებული, შეიძლება გახდეს ელიტის პრესტიჟის ნამდვილი მიმნიჭებელი ინდუსტრიულ საზოგადოებაში. ამიტომ ინდუსტრიული საზოგადოება ვითარდება „წმინდა ცოდნიდან" განათლებითი ცოდნის გზით ფუნქციობის ცოდნამდე", როდესაც ფუნქციობის უნარის განსაზღვრა სურთ სუბიექტის მიმართ, სვამენ კითხვას არა იმის თაობაზე, თუ ვინ არის და რა არის ის, არამედ იმის შესახებ, თუ რა შეუძლია ან რა იცის. „პირველ კითხვას შეესაბამება წოდებრივ-სტაბილური საზოგადოება, მეორეს ელიტურ-მობილური საზოგადოება" (167, 86).

ფუნქციობითი კვალიფიკაცია ორი გზით წარმოებს: რაციონალური ცოდნის და ფიზიკური უნარის ან ნიჭის უპირატესი შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალებით. პირველი გზით მიიღებიან აკადემიური და ტექნიკური პროფესიები, მეორით — სპორტსმენები და ხელოვანნი. აქედან გამომდინარე, ფუნქციობა სოციოლოგიურად განისაზღვრება, როგორც საწარმოო ძალთა მიმართ მოთხოვნების ინდივიდუალური ან კოლექტიური შედეგი. აღიარების კატეგორია სოციალური ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად ხდება ელიტურ თეორიაში, რადგან, ჯერ ერთი, აღიარების გარეშე ელიტაში შეღწევა მხოლოდ ძალის გზით შეიძლება მოხდეს (რაც, ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის ავტორების აზრით, არ არის ამ საზოგადოების ძირითადი ტენდენციის გამომხატველი) და, მეორე, აღიარების მოპოვების გარეშე შეუძლებელი ხდება ფუნქცირება და, მაშასადამე, უნარის გამოვლენაც. ყოველი ადამიანური მოქმედება, ბრუნერის აზრით, აღიარებისაკენაა მიმართული. ადამიანი მოქმედებს იმისთვის, რომ სხვებმა აღიარონ. მისი პრესტიჟი, როლი და ადგილი სოციალურ სისტემაში აღიარების გზით განისაზღვრება.

ელიტის შემდეგ კომპონენტს შეადგენს ხელმძღვანელობა. ყოველი ელიტური ფუნქციის განხორციელება დაკავშირებულია ხელმძღვანელობასთან; საზოგადოებაში ყოველთვის არის „ზედა და ქვედა", „მაღალი და დაბალი" პოზიციები, ე. ი. „ხელმძღვანელები და ისინი, ვისაც ხელმძღვანელობენ". ელიტა არის „ხელმძღვანელი ფენა" და საკითხი დგება ხელმძღვანელობის ფუნქციების შესახებ. მაქს შელერი განასხვავებს ხუთი ტიპის ხელმძღვანელს; ესენი არიან: „წმინდანები, გენიოსები, გმირები, ცივილიზაციის ხელმძღვანელები და დატკბობის ხელოვანები". მასების ხელმძღვანელობა შეიძლება დაწესებულებათა და ჯგუ-

ფურ სტრუქტურათა გზით. პირველს შეესაბამება ხელმძღვანელობა წარმოების, ხელოვნების, სპორტის და სხვა სფეროებში, მეორეს — ხელმძღვანელობა პარტიის, მრეველის და სხვა მასობრივი ერთობებისადმი. ხელმძღვანელობის ორივე სახე ერთმანეთში გადადის, რადგან დაწესებულებები არ არსებობს მასების გარეშე, ხოლო მასობრივი ერთობანი — დაწესებულებათა გარეშე.

ყველა ამ კომპონენტისაგან შემდგარი ელიტის ცნება საბოლოოდ, დრაიტცელის აზრით, შემდეგ სახეს მიიღებს: „ელიტას შეადგენს ჯგუფებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში უმაღლეს პოზიციათა ის მპყრობელები, რომლებმაც ამ პოზიციებს მიაღწიეს არსებითად (პიროვნულ) ფუნქცირებულ ცოდნაზე ორიენტირებით შერჩეული საფუძველზე და აქვთ პოზიციის ძალა, როლი, ძალაუფლება ან გავლენა მათ ჯგუფობრივ ინტერესებში სოციალური სტრუქტურის შენარჩუნების ან შეცვლისთვის; ელიტებია ისინი, ვინც დომინანტურ ნორმებს უშუალოდ ატარებენ, ან მათ პრესტიჟის საფუძველზე შეუძლიათ მოწინავე როლი ითამაშონ, და მათი ჯგუფების შიგნით დანარჩენთა ქცევა ნორმატიულად განსაზღვრონ" (167, 71).

ელიტის ცნების ამ განსაზღვრებაში, ზემომოყვანილი განსაზღვრებებისაგან განსხვავებით, დრაიტცელი ხაზს უსვამს ელიტის არა ძალაუფლებით, არამედ კვალიფიკატორულ ფუნქცირებას და ამით, მისი აზრით, ეს ცნება საბოლოოდ იქცევა იმ ინდუსტრიული მოდელის გამომსატველად, რომელშიც ელიტური სტრუქტურა განმსაზღვრელია არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ყველა სფეროში: მეურნეობრივში, სოციალურსა და სოციალურის ყველა იმ მრავალფეროვნებაში, რაც საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.

ელიტის ცნება, დრაიტცელის აზრით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ „ინდუსტრიული საზოგადოების თეორია, რომლის ფორმულირება თანამედროვე სოციოლოგიის ცენტრალურ ამოცანად უნდა დაისახოს, არ შეიძლება ელიტის ცნების გარეშე არსებობდეს" (167, 154).

ელიტის ცნების კრიტიკული ანალიზი მოწოდებულია, ელიტის ცნება განიხილოს როგორც შემეცნების თეორიული, ასევე სოციალური დანიშნულების თვალსაზრისით. საერთოდ, ელიტის ცნების სოციოლოგიური ანალიზი შეუძლებელია ამ ცნების მხოლოდ ერთი მხრივ განხილვის საფუძველზე, სახელდობრ, მისი ისტორიული განვითარების და ფაქტობრივი კრიტერიუმის დადგენით, როგორც ამას აკეთებს დრაიტცელი. ელიტის ცნების ისტორიულობა მიუთითებს იმის გამუქების აუცილებლობაზეც, რა გარემოებებმა გამოიწვია მისი წარმოშობა: იყო ეს წმინდა შემეცნებით თეორიული ინტერესის შედეგი, თუ დაკავშირებული სოციალური ჯგუფების ინტერესებთან. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია თეო ტილდერსის შრომა: „ელიტის თეორიის საზოგა-

ღოებრივ-პოლიტიკური ფუნქციის შესახებ". ტილდერსი აღნიშნავს იმ ნაკლოვანებას ელიტის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაში, რომელიც, მისი მრავალრიცხოვნების მიუხედავად, არ იძლევა ამ თეორიის პოლიტიკურ მნიშვნელობას. „ელიტისა და მასების შესახებ უამრავი ლიტერატურაა, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა მასში საკითხს, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მასებისა და ელიტის თეორიებს, დამოუკიდებლად მათი სისწორისა თუ მცდარობისგან" (172, 735).

ტილდერსი აანალიზებს ელიტისა და მასების თეორიას და აღნიშნავს, რომ ამ თეორიამ მიიღო იდეოლოგიის ფორმა: ეს ნიშნავს, რომ ის, მეცნიერული ფუნქცირების მიუხედავად, წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის. როგორც სოციალურ იდეოლოგიას, მას ეკისრება გაბატონებული კლასების ინტერესების გამოხატვა. მას შემდეგ, რაც სოციალური კლასი ძალით აღწევს გაბატონებას, ტილდერსის აზრით, მას სჭირდება მორალური გამართლებაც, რადგან ყოველი კლასი დარწმუნებულია იმაში, რომ ძალით დიდხანს ვერ იბატონებს, ამიტომ გაბატონებული კლასები ქმნიან მითებს მათი ზეციური წარმოშობის, მარადიულობის, რასობრივი მოწოდებისა და ისტორიული აუცილებლობის შესახებ: „ელიტად და მასებად ხალხის დანაწილება მსგავს ფუნქციას ასრულებს".

ტილდერსი აანალიზებს იმ მიზეზებს, რომლებმაც ელიტის თეორია კაპიტალიზმის განვითარების მხოლოდ დღევანდელ დონეზე წამოაყენეს და რომელთა შედეგად ელიტის თეორია მანამდე არ ყოფილა. ტილდერსის აზრით, ყოველ კლასს ესაჭიროება თავისი ბატონობის გამართლების საშუალება და ყოველ მათგანს ჰქონდა შესაბამისი საშუალებანი. წოდებრივი საზოგადოებისათვის ასეთი იყო სისხლი და ევარობრივი წარმოშობა, ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის — საკუთრება და განათლება; მაგრამ ამჟამად, ტილდერსის აზრით, ბურჟუაზიული საზოგადოება სულ უფრო დემოკრატიული ხდება და საკუთრებითი ბატონობის გამართლება სულ უფრო არადამარწმუნებელია. ამიტომ ამ ეტაპზე საჭირო გახდა უფრო დამაჯერებელი კრიტერიუმი, როგორც ბატონობის ღირებულებითი მასშტაბი. ასეთია: „ფუნქციობა და ფუნქციობის უნარი". ამ თეორიის მიხედვით, გაბატონებული ფენები გამოირჩევიან ცნობიერებით. მათ ახასიათებთ „განსაკუთრებული ფუნქციობის უნარი, განათლება, სპეციალობა და სპეციალობითი პოზიცია — გახდნენ ხელმძღვანელი კრიტერიუმი სოციალური ელიტებისადმი მიკუთვნების პროცესში". მოჩვენებითობა, რაც ამ გზით კლასის ბატონობას ამართლებს, ტილდერსის აზრით, ემყარება ბუნებრივად მოცემულ სულიერ უნართა წინ წამოწევას, მაგრამ ტილდერსი აღნიშნავს, რომ ამ მოჩვენებითი შირმის მიღმა „იმალება ელიტის წარმოშობის საბოლოო წყარო და არავის შეუძლია უარყოს, რომ ელიტათა წარმოშობის საბოლოო წყა-

რო ძალაუფლებისადმი სწრაფვაა“.

ტილდერსი განიხილავს ელიტის ცნების სოციალურ ფუნქციას და აღგენს სოციალური სტრუქტურის იმ ძირეულ მომენტებს, რომელთა გამართლებას ემსახურება ელიტის ცნება. მისი აზრით, ასეთი ძირეული მომენტებია: პატივისცემის, განსაკუთრებულობის, ძალაუფლებისა და გამოყოფის პრეტენზიები. ელიტურ ფენას აღწევენ არა მხოლოდ ფაქტობრივი ბატონობით, არამედ მაშინაც, როცა კულტურული, ინტელექტური და მორალური ფენა იმსახურებს პატივისცემას და მათ მიაწერენ დიდ ღირებულებას. მართალია, აქ წოდებრივი ურთიერთობა არაა, მაგრამ ეს არის შეძენილი ელიტობა, რომლის უხეში გამოხატულებაა სამხედრო მოსამსახურეთა შორის ოფიციალურ უმაღლეს ფენათა პატივისცემის ზრდა წოდებათა ზრდის შესაბამისად. კულტურულ ელიტას არა აქვს ასეთი რანგები, მაგრამ ის ფარულად ატარებს მის ასეთ დაყოფას. პატივისცემის უფლებაზე დამყარებული ელიტობა, ერთი შეხედვით, მეტად დემოკრატიულია, რადგან ყველას შეუძლია მისი მოპოვება, ვინც გამოიჩენს შესაბამის უნარს. განსაკუთრებულობის პრეტენზია იმავე ინსტიტუტს წარმოადგენს. აქაც არის მოჩვენებითობა, რომ ამ განსაკუთრებულობას ყველამ შეიძლება მიაღწიოს, საყოველთაო გახდეს. მაგ., ხელოვნების დარგის მუშაკთა განსაკუთრებულობის გზით ელიტად გამოყოფის საწინააღმდეგოა ხალხური ხელოვნების განვითარება, პროფესიული თეატრების გვერდით სახალხო თეატრების აღმოცენება. „სახალხო თეატრის მოძრაობამ დაამსხვრია კულტურის მატარებელი საზოგადოების იზოლაცია და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება დემოკრატიზებულ იქნა“. იგივე როლი შეასრულა კურორტებმა და დასვენების საყოველთაო კერებმა, ასევე ტურიზმმა... ყველაფერი ის, რაც განსაკუთრებული ფენების კუთვნილება იყო, საერთო კუთვნილებად იქცა. მაგრამ, ტილდერსის აზრით, ეს დემოკრატიზაცია მაინც არ ნიშნავს განსაკუთრებულობის მოსპობას ყველა სფეროში. „ხელმძღვანელი ფენების განსაკუთრებულობა უფრო ღრმა აზრისაა: დისტანციის პათოსი, სპეციალობის ბრწყინვალება, ხელმძღვანელობის სიბრძნე“. ამ გზით განსაკუთრებულნი მოითხოვენ მათ უფლებათა აღიარებას. კიდევ უფრო ღრმაა ძალაუფლების განხორციელების პრეტენზია. ძალაუფლების მქონენი გამოყოფილნი არიან, როგორც განსაკუთრებული ფენა, მაგრამ აქაც დემოკრატიზება ხდება მათი არჩევითობის და ამომრჩეველთა წინაშე პასუხისმგებლობის გამო. დაბოლოს, არის გამოყოფის პრეტენზია, რომელიც ყველა ზემოდასახელებულში შედის, მაგრამ ცალკეც დაისმის. იგი გამოწვეულია უმაღლესი კვალიფიკაციით, ან განათლებით, აქაც დემოკრატიზაციაა, რომელიც თითქოს ამ განსაკუთრებულობას ნიღბავს იმით, რომ განათლებისა და კვალიფიკაციის მიღების უფლება ყველას გააჩნია. მაგრამ, ისე როგორც სხვა სახის დემოკრატიზაციები, ესეც წმინდა ფორმალურია. ტილდერსის აზრით, „თეო-

რიულად ყოველ ადამიანს აქვს უფლება დააფუძნოს წარმოება, მაგრამ ამავე დროს ეს უფლება პრაქტიკულად მხოლოდ იმისათვის არის ქმედითი, ვისაც გააჩნია საამისოდ საჭირო საშუალებანი. ეს კი ნიშნავს, რომ კასტათა შემქმნელი საფუძვლები არ იცვლება ამ მდგომარეობათა რაციონალიზებით" (172, 737).

ტილდერსის აზრით, არათუ არ ისპობა დაპირისპირება ელიტასა და მასას შორის, არამედ ამკარად გაფორმებულ ელიტათა გვერდით წარმოიშობა „ფარული ელიტებიც", რომელნიც ფაქტობრივად ხელმძღვანელ პოზიციებს არ ფლობენ, მაგრამ აქვთ მისწრაფება ასეთი პოზიციებისაკენ. ამის შედეგად ისინი საკუთარ თავს გამოყოფენ მასებისაგან სუბიექტივისტურად, თავის თავს მიაკუთვნებენ ელიტას.

ტილდერსის აზრით, ელიტის თეორიის ჭეშმარიტება შეუძლებელია, რადგან ის იდეოლოგიას წარმოადგენს. მისი ძირითადი ამოცანაა — „ირაციონალური ძალაუფლებითი სტრუქტურა რაციონალურად აღიარ-ოს". ყოველი იდეოლოგია ორ მხარეს შეიცავს: ერთი მხრივ, ის გარკვეულ ფაქტობრიობას გამოხატავს და, მაშასადამე, მთლიანად მცდარი არაა; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებდა; მეორე მხრივ, ის ემსახურება რაღაც არაბუნებრივის ბუნებრივად დასახვას. ელიტის თეორიის ფაქტობრივი მარცვალი ემყარება ორ ძირითად ნიშანს: განსხვავებული ნიჭის არსებობას და ხელმძღვანელობას. ფაქტია და ბანალური ჭეშმარიტებაა მტკიცება, რომ არიან განსხვავებული ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანები და რომ საზოგადოებას ჰყავს ხელმძღვანელები; მაგრამ აქედან გამოყვანილი პრეტენზიები ელიტის თეორიისა სულაც არაა ისეთივე ბანალური. ფაქტია ისიც, „რომ გაბატონებულთა სწრაფვა ელიტური გზით კასტურობის გამართლებისაკენ საფუძველსაა მოკლებული... ფუნქციობადი ელიტები გულისხმობს პიროვნებათა თავისუფალ შეჯიბრს თანაბარი შანსების პირობებში; თანამედროვე საზოგადოებაში კი გაბატონებულ კლასს არა აქვს ასეთი შეჯიბრის უნარი და აყალბებს მას. ამ გაყალბებას ხელს უწყობს არსებული საგანმანათლებლო და აღზრდის სისტემა" (172, 739).

ელიტური თეორიის კრიტიკულ შეფასებას ახდენს დასავლეთგერმანელი სოციოლოგი რენატე მაინტციც თავის შრომაში — „კრიტიკული შენიშვნები ფენების ფუნქციონალისტურ თეორიაზე". მაინტცის აზრით, ელიტური ფენების თეორია მოწოდებულია არსებული უთანასწორობის დაკანონების და გამართლებისათვის. ელიტური თეორია არსებითად იმ აზრს ავითარებს, „რომ სოციალური დიფერენცირება, სხვადასხვა სოციალური პოზიციების ინსტიტუციონალური უთანასწორობის აზრით, საზოგადოებისათვის აუცილებელი სელექციური მოქმედებაა და გარდუვალად ფუნქცირებს". მხოლოდ ეს უთანასწორობა არაა სოციალური წარმოშობისა. იგი ბიოლოგიური საწყისების მქონეა, რომელიც სოციალურ-

ში პოვებს გამოხატულებას, რადგან თითქოს სელექცია ემყარება იმას, „რომ მოცემულია სხვადასხვა ტალანტი სულიერი, მატერიალური და იდეალური პოზიციების შესასრულებლად, რომელიც შემდგომ განათლებით აღიზრდება“. მაინტცის შეხედულებით, ამ თეორიის ერთ-ერთ ძირითად წინააღმდეგობას წარმოადგენს ის, რომ ფაქტობრივად მისი შესაბამისი სინამდვილე უნდა ხორციელდებოდეს ადამიანებს შორის შეუზღუდველი შეჯიბრის პირობებში, მაშინ, როდესაც ეს შეჯიბრი „შეზღუდულია ფენობრივი ასპექტით“; ე. ი. ფენებად დაყოფა უნარის მედეგი კი არაა, არამედ საფუძველია სოციალური სტრატიფიკაციისა. მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი რაინერ ლეპსიუსი თავის სტატიაში — „ადამიანებს შორის უთანასწორობა და სოციალურ ფენებად დაყოფა“ — ანალიზს უკეთებს უთანასწორობის სოციალურ საფუძვლებს და აღნიშნავს, რომ კვალიფიკაცია სულაც არაა უთანასწორობის საფუძველი, კვალიფიკაცია მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგია. „შრომის დანაწილების ასპექტით არ არსებობს რანგობრივი განსხვავება გენერალურ დირექტორს, მდივანს, დაზგის ოსტატს, ხელოსანსა და დამხმარე მუშას შორის. შესაბამისი ფუნქციის შესასრულებლად ისინი თანაბრად აუცილებელნი არიან... შრომის დანაწილება ვერ დააფუძნებს და ვერც ახსნის რანგობრივ რიგს“. პოზიციათა უთანასწორობა, თუ ყველა პოზიციის დაკავება ყველას შეუძლია — იგი არაა უთანასწორობის წყარო, მაგრამ „პოზიციათა უთანასწორობიდან სოციალური უთანასწორობა აღმოცენდება მაშინ, როდესაც განსაზღვრული პოზიციებისა და პრივილეგიური მდგომარეობისაკენ გზები დაკეტილია“. ლეპსიუსის აზრით, პოზიციათა უთანასწორობასა და სოციალურ უთანასწორობას შორის ხიდი გაიდება იქ, სადაც პოზიციები არაა დამოკიდებული კვალიფიკაციასა და განათლებაზე და მის მისაღებად საჭიროა დამატებითი პირობები. სწორედ ასეთია ბურჟუაზიული საზოგადოების სტრუქტურა; სააქციო საზოგადოებაში გამგეობის წევრებად აირჩევიან მხოლოდ ისინი, ვისი კაპიტალიც ამ საზოგადოების საერთო კაპიტალის ორ მესამედს შეადგენს. ფორმალურად მუშას შეუძლია იყოს სააქციო საზოგადოების როგორც წევრი, ისე მისი მმართველობის აპარატის მონაწილე, მაგრამ ფაქტობრივად ეს გამორიცხულია, რადგან მას არა აქვს ამის ძირითადი პირობა — კაპიტალი; ისე როგორც ფორმალურად ყველას შეუძლია მიიღოს განათლება, მაგრამ ფაქტობრივად ამის განხორციელება ღარიბთათვის შეუძლებელია სწავლის ხარჯების დაფარვის უუნარობის გამო. ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ, როგორც ემპირიულმა გამოკვლევებმა ცხადყო, დასავლეთგერმანელი მუშების შვილთა 86 % ისევ მუშა ხდება, მაშინ როცა მაღალი თანამდებობის მქონეთა ან პროფესორთა შვილების 80 % ისევ მაღალ კვალიფიკაციას იძენენ.

ლეპსიუსი სწორად ხსნის ელიტური სტრუქტურის წარმოშობის სო-

ციალურ საფუძვლებს. მისი აზრით, პოზიციური უთანასწორობა, რომელიც სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელია, მოითხოვს მის დაკანონებას და გამართლებას. „პრივილეგირებულ პოზიციათა მფლობელებმა თავიანთი პოზიცია მთელი საზოგადოებრივი ხაზით უნდა დააკანონონ. ეს დაკანონება ხდება როგორც ფენათა შიგნით, ისე ფენებს შორისაც. ასე წარმოიშობა ფენების ამსსნელი სისტემა, რომელშიც არსებული სოციალური უთანასწორობა პრინციპული თანასწორობის პრეტენზიაზე უნდათ დაამყარონ“ (171, 60). ისინიც კი, ვინც ფუნქციონალიზმის სისტემის დამცველებს წარმოადგენენ, შეუძლებლად მიიჩნევენ სოციალური სტრატიფიკაციის მხოლოდ დასპეციალებაზე ან კიდევ კვალიფიკაციათა განსხვავების გზით შემოსაელის ოდენობათა განსხვავებაზე დაფუძნებას და შემოსაელითი დიფერენცირების დამატებით პირობად თელიან სოციალური პრესტიჟის მიხედვით დიფერენცირებას.

შოიხისა და დაპაიმის აზრით, „სოციალური პრესტიჟი წინა სტრუქტურაშიც არსებობდა, მაგრამ ამჟამად უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციონალური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წინათ“. (171, 90). ელიტური თეორიის ერთ-ერთი გამაანალიზებელი და დამცველი დრაიტცელიც იძულებულია აღიაროს, რომ ელიტურ თეორიას აქვს იდეოლოგიური ხასიათი, რომ სწორედ ეს განაპირობებს ელიტის ცნების იდეალურ ტიპურობას, მის ცალმხრივობას სინამდვილის მიმართ.

დრაიტცელის აზრით, „ელიტის ცნება, ერთი მხრივ, სოციალური სტრუქტურის ფაქტობრივად მოცემულ მომენტს აღნიშნავს, მეორე მხრივ, იგი არის სულიერი მოძრაობის გამომხატველი, რომლიდანაც ნაწილობრივ მაინც წარმოიშობა ყოველი სოციალური სტრუქტურა. ელიტის ცნებაზე გავლენას ახდენს არა მარტო სინამდვილე, რომლის შესახებაც მას ქმნიან, არამედ მისი შემქმნელი საზოგადოებაც... სოციალურ ცნებას, ერთი მხრივ, ყოფიერება განსაზღვრავს, მეორე მხრივ კი — პერსპექტივა, რომლისთვისაც ის არის გამიზნული... სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან სოციალური მეცნიერებანი, ერთი მხრივ, საზოგადოებაზე დამკვირვებელია, მაგრამ მეორე მხრივ დასაკვირვებელი საზოგადოების ნაწილი. თუ ისინი ამას არ გააცნობიერებენ, არის საშიშროება, რომ იქცევიან „თიხისფეხებიან კოშკად“.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა გვესმის ელიტაში, ვინ ეკუთვნის ელიტას, რაგომ მოითხოვს საზოგადოება ელიტას. ეს იდეოლოგიური მომენტები მტკიცე კავშირშია ფაქტობრივი სოციალური სქრუქტურის ელემენტებთან და მას ეკუთვნის. ორივე წარმოადგენს „სუბიექტური“ მონახაზისა და ობიექტური „ფაქტის“ ურთიერთზეგავლენას თუ დაკავშირებას.

ამრიგად, სოციოლოგიის ის წარმომადგენლებიც კი, რომლებიც უშუალოდ ასაბუთებენ ელიტის თეორიას და ახდენენ ამ ცნების სოციოლოგიურ ანალიზს, არ მიიჩნევენ მას მხოლოდ ფაქტობრიობის გამომსახველად და

სოციალური დანიშნულებისაგან განთავისუფლებულად.

ელიტური სტრუქტურის თეორია ცდილობს, სტრატიფიკაციის საფუძველი — საკუთრებისადმი დამოკიდებულება, წარმოებაში სოციალური ადგილი და შემოსავალში წვლილი — დაიყვანოს უკანასკნელ ორზე და ამით გამორიცხოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი — საკუთრებისადმი დამოკიდებულება. მართალია, თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია არა მარტო იმას, ვისაც საკუთრება აქვს, არამედ იმასაც, ვინც ამ საკუთრებას მართავს ან სახელმწიფო და სამხედრო ბედაფენას ეკუთვნის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკუთრებამ დაკარგა მნიშვნელობა; ეს იმის მაჩვენებელია, რომ საკუთრებასთან ერთად სხვა კრიტერიუმებიც იჩენენ თავს სტრატიფიკაციაში, რომ ესაა ურთიერთზემოქმედება ამ სხვადასხვა მომენტებისა, რომლებშიც ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაინც საკუთრების მომენტია. ამერიკელი სოციოლოგი მილსი ამის შესახებ წერს: ამერიკული უმაღლესი წრეები ხშირად განიხილებიან თვალსაზრისით, თუ რას ფლობენ ისინი; ხოლო ისინი ფლობენ უფრო მეტს, ვიდრე სხვა ადამიანები. იმ ადამიანების წარმოდგენით, რომლებიც საქმეს განიხილავენ ასე, გაბატონებული ელიტა უბრალოდ შედგება პირებისაგან, რომელთაც აქვთ იმის მაქსიმუმი, რაც საერთოდ შეიძლება ჰქონდეთ. ამას, ჩვეულებრივ, მიაკუთვნებენ: ფულს, ხელისუფლებას, პრესტიჟს და ასევე ცხოვრების წესს, განსაზღვრულს ამ დოელათის მფლობელობით. მაგრამ ადამიანები, რომელნიც ელიტას შეადგენენ, მხოლოდ ისინი როდი არიან, ვისაც ყველაზე მეტი აქვს: მათ არ ექნებოდათ „ყველაზე მეტი, რომ არ ეკავოთ განსაკუთრებული პოზიციები უმნიშვნელოვანეს სოციალურ ინსტიტუტებში, ეს ინსტიტუტები კი წარმოადგენს სიმდიდრის, პრესტიჟის, ძალაუფლების განხორციელების მთავარ საფუძველს“. (96, 31).

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ელიტის ცნების გამოყენება დაუშვებელია საზოგადოების სტრუქტურის კვლევისას, მაგრამ ის არ შეიძლება კლასის ცნების შემცველი იყოს. ელიტა კლასის შიდა დიფერენციაციის მაჩვენებელია და არა გლობალური სტრუქტურისა. ბურჟუაზია სხვა კლასების მიმართ ელიტურია, მაგრამ თვით ამ კლასში შეიძლება გაირჩეს ელიტათა სხვადასხვა ფენები და თუ ამ ფენებს პირამიდის სახით წარმოვიდგენთ, პირამიდის წვერზე მოთავსდება ის ზედაფენა, რომელიც განაგებს ძირითად პოზიციებს სახელმწიფოში, საკუთრებასა და წარმოებაში. ასევე განაწილებასა და მოხმარებაში.

11. თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურის ერთ-ერთი მოდელი

თანამედროვე ევროპულ და ამერიკულ სოციოლოგიაში სოციალური სტრუქტურის ემპირიული კვლევისადმი უფრო მეტი ინტერესი ჩანს,

ვიდრე პრობლემის თეორიული გააზრებისადმი. უკანასკნელ პერიოდში ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სოციოლოგიაც მაღალ დონეზეა, ჩატარდა სოციალური სტრუქტურის ემპირიული გამოკვლევები, ზოგიერთი მათგანის მეთოდიკა გამოყენებულ იქნა სხვა ინდუსტრიულ საზოგადოებათა შესასწავლადაც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ამერიკის, ვისკონსინის უნივერსიტეტის თანამშრომელთა რაიკის, კოსტელოს, ხეიჩენის და სპრეიგის მიერ შემუშავებული მეთოდიკით ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის და ევროპის ექვსი ქვეყნის გამოკვლევა. პირველი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სოციალური სტრუქტურის შესწავლა 1980 წელს. ერიკ რაიკმა შემდგომში ეს კვლევები გააგრძელა ევროპის ქვეყნებში. ეს ავტორები თავიანთ თავს მარქსისტებად თვლიან, მაგრამ მათი კვლევის მეთოდიკა მარქსისტული საკუთრების პრინციპის გვერდით მოიცავს მაქს ვებერისეულ ბატონობის პრინციპსაც. ეს არის მარქსისა და ვებერის გაერთიანების თავისებური ცდა. ავტორების მტკიცებით, „გამოკვლევის მიზანია მარქსისტული პოზიციით კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების კლასობრივი სტრუქტურის ანალიზი. მიღებულ ემპირიულ ინფორმაციაში აისახება პრობლემათა ფართო წრე, მათ რიცხვში: კლასობრივი დიფერენციაცია, სახელმწიფო და კერძო მეწარმეების ურთიერთქმედება, სოციალური და პროფესიული მობილობის მოდელები, სამუშაოსა და ოჯახში მოვალეობათა განაწილებაში სოციალურ-დემოგრაფიული განსხვავებანი, შემოსავალთა უთანასწორობა, კლასობრივი სტრუქტურის სოციალურ კლასობრივი მდგომარეობის და კლასობრივი ცნობიერების ურთიერთკავშირი“ (83, 153). ავტორთა აზრით, მარქსისტთა შორის თანამედროვე დასავლეთში არაა აზრთა ერთიანობა კლასის ცნების განსაზღვრაში, რადგან ყველა თავისებურ კრიტერიუმს იყენებს მისი ფორმირებისათვის. გამოიყენება: ექსპლუატაციის, წარმოებითი ურთიერთობების, წარმოების წესის, საკუთრების და სხვა ცნებები, თანაც არც ამ ცნებათა შინაარსის და არც მათი ურთიერთმიმართების გაგებაში არაა აზრთა ერთიანობა. ავტორები ამოდიან კლასობრივ სტრუქტურაში სამი პოზიციის განსხვავებიდან: 1. ბაზისური კლასობრივი პოზიციები, 2. წინააღმდეგობრივი პოზიციები წარმოების მოცემული წესის ფარგლებში და 3. წინააღმდეგობრივი პოზიციები წარმოების წესთა შორის. ბოლო ორი კლასობრივ ურთიერთობათა სისტემის წინააღმდეგობრივი პოზიციებია. პირველი, ბაზისური კლასობრივი პოზიცია ორწევრიანი მოდელის განსახიერებაა, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის დაპირისპირებისა, რაც საკუთრების ქონება-არქონებას ემყარება. საკუთრებისა და კონტროლის გათიშვამ, მენეჯერთა ინსტიტუტის შექმნამ, შეცვალა ინდუსტრიული საზოგადოების სტრუქტურა.

აღმოჩნდა ადამიანთა ჯგუფი მენეჯერების სახით, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ მუშებს, მაგრამ თვითონ არიან ექსპლოატაციის ობიექტი დამქირავებლების მხრივ. ამიტომ მათი მდგომარეობით ისინი ერთდროულად ორ პოლარულ კლასს ეკუთვნიან — ესაა წინააღმდეგობრივი პოზიცია წარმოების წესის შიგნით. წარმოების წესთა შორის წანააღმდეგობრივი პოზიცია კი იმით გამოიხატება, რომ კაპიტალისტურ წარმოებაში არის წარმოების რამდენიმე არაკაპიტალისტური ფორმა, ე. ი. სუფთა სახით კაპიტალიზმი არ არსებობს, მასში თანაარსებობს მარტივი საქონლური წარმოება, ფეოდალიზმის ნამთები და ისეთი კლასებიც, რომლებიც ექსპლოატატორებიც არიან და ექსპლოატირებულებიც, მაგალითად წვრილი მწარმოებლები, ექიმები, ადვოკატები, სწავლულები, ისინი თვითონ აკონტროლებენ საკუთარ შრომას, მაგრამ, ამავე დროს, მოკლებული არიან საკუთრებას. მკვლევართა აზრით, ეს თეორია არაა სინამდვილის უშუალო გამომხატველი, ის უფრო იდეალურ-ტიპურია,მასში აბსტრაქცია კეთდება ადამიანთა მთელი ჯგუფებიდან. არ არის გათვალისწინებული ამა თუ იმ კლასის წარმომადგენელთა ოჯახის წევრების სტატუსი, — იქნება ეს დიასახლისები, პენსიონერები, თუ მოსწავლეები, მათ არც დამოუკიდებელი პოზიციები გააჩნიათ და არც მექანიკურად მიეკუთვნებიან იმ კლასს, რომელსაც ოჯახის უფროსი ეკუთვნის. საინტერესოა, რომ ამ საკითხს თანამედროვე სოციოლოგიაში ტრადიციულისაგან განსხვავებით ხშირად განიხილავენ. ტრადიციულ სოციოლოგიაში ოჯახი მთლიანად მიეკუთვნებოდა იმ კლასს, რომელსაც ეკუთვნოდა ოჯახის უფროსი და თაობათა შორის მობილობის თეორიის ამოსავალი იყო მტკიცება — თუ ერთი თაობა ერთ კლასს ეკუთვნის, მეორე თაობა შეიძლება სხვა კლასს ეკუთვნოდეს, მაგრამ არ იყო განსაზღვრული, ახალი თაობა, სანამ პროფესიას დაეუფლება, რომელ კლასს უნდა მიკუთვნებოდა.

მარქსის ტრადიციების გაგრძელებით ამერიკელი ავტორები განასხვავებენ „კლასს თავისთავად" „კლასისაგან თავისთვის". პირველი გამოხატავს კლასს, როგორც სოციალური სტრუქტურის ელემენტს, მეორე გამოხატავს ორგანიზებულ, კლასობრივ ბრძოლაში ჩაბმულ, ანუ თავისი ამოცანების ცნობიერების მქონე კლასს. ავტორები მიუთითებენ კლასის სტრუქტურის, კლასობრივი ბრძოლის და კლასის ფორმირების კავშირზე. ისინი ცდილობენ, მოახდინონ კლასის მარქსისტული ცნების ოპერაციონალიზება, მათი აზრით, კლასობრივი დიფერენციაციის დასადგენად პროფესიონალური დაყოფა გამოუსადეგარია. კრიტიკას ვერ უძლებს გამოკითხვის გზით კლასობრივი კუთვნილების დადგენაც, ე. ი. ამა თუ იმ კლასთა თვითიდენტიფიკაციის მეთოდი და არც ასეთი ტიპოლოგიის თეორიული კრიტერიუმი არსებობს, რადგან რესპონდენტებს ერთი და იგივე ტერმინიც კი განსხვავებული შინაარსით აქვთ მოაზრებული. კლასის

გამომხატველი ცნების შესაქმნელად ისეთი ინდიკატორი უნდა მოინახოს, რომელიც პროფესიათა გვერდით აჩვენებს სოციალურ პოზიციასაც, ასეთად ავტორებს მიაჩნიათ უფლების, ბატონობისა და დაქვემდებარების გამომხატველი ინდიკატორები, კერძოდ: გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღება, საკუთარი შრომის დაგეგმვის ფორმები, სხვებზე სანქციების დაწესების უფლება. ასე მაგალითად, მსჯელობა „ნახევრად ავტონომიურ მოსამსახურეებზე" გულისხმობს, რომ ისინი თვითონ წარმართავენ საკუთარი შრომის პროცესს და თვითვე აკონტროლებენ, სხვისი გაკონტროლების უფლების გარეშე. მკვლევრები იმუშავებენ კლასობრივი ტიპოლოგიის სქემას, რომელიც თავისი ხასიათით პლურალისტურია და საშუალებას იძლევა, შედგეს მოსახლეობის სკალა კლასობრივი კუთვნილების მიხედვით გასანაწილებლად. კლასობრივი პოზიციის სამი ძირითადი ტიპია აღებული: პირველი — ბაზისური, მეორე — წინააღმდეგობრივი კაპიტალიზმის შიგნით, მესამე — წინააღმდეგობრივი კაპიტალისტურ და მარტივ სასაქონლო წარმოებას შორის. ეს სხვადასხვა ვარიაციაში, საკუთრებისა და ბატონობისადმი მიმართების თვალსაზრისით, შვიდ კლასობრივ პოზიციას იძლევა.

1. ბაზისური კლასობრივი პოზიცია. ბურჟუაზია. წარმოების საშუალებათა მფლობელნი. ყიდულობენ სამუშაო ძალას, უშუალოდ ღებულობენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, ძალაუფლების იერარქიას პირდაპირ აკონტროლებენ.

2. წინააღმდეგობრივი პოზიცია კაპიტალისტური წარმოების წესის შიგნით. მენეჯერები. წარმოების საშუალებებს არ ფლობენ, ყიდიან შრომას, უშუალოდ მონაწილეობენ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებაში, ბატონობენ და ექვემდებარებიან.

3. სუპერვაიზერები. წარმოების საშუალებებს არ ფლობენ, ყიდიან შრომას, სამუშაო ადგილის გარეთ გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობენ, ბატონობენ და ექვემდებარებიან.

4. ბაზისური კლასობრივი პოზიცია. მუშები. წარმოების საშუალებებს არ ფლობენ, ყიდიან შრომას, სამუშაო ადგილის გარეთ არ მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღებაში, ექვემდებარებიან.

5. კაპიტალისტურ და მარტივ სასაქონლო წარმოებას შორის წინააღმდეგობრივი კლასობრივი პოზიცია. ნახევრად ავტონომიური მოსამსახურეები. წარმოების საშუალებებს არ ფლობენ, ყიდიან შრომას, სამუშაო ადგილის გარეთ გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობენ, ექვემდებარებიან.

6. ბაზისური კლასობრივი პოზიცია. წვრილი ბურჟუაზია, წარმოების საშუალებებს ფლობენ, და შრომის პროცესში სრული თვითმმართველობა აქვთ.

7. წინააღმდეგობრივი პოზიცია კაპიტალიზმსა და მარტივ სასაქონ-

ლო წარმოებას შორის. წვრილი მეწარმენი. წარმოების საშუალებებს ფლობენ, შეზღუდული რაოდენობით ყიდულობენ დაქირავებულ შრომას, იღებენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, აკონტროლებენ ხელისუფლების იერარქიას, უშუალოდ იყენებენ მათ შრომით პროცესში და ქირაობენ მუშათა გარკვეულ რაოდენობას.

აღნიშნულ მკელევრებთან ბურჟუაზიული კლასის დასადგენად ორი კრიტერიუმია გამოყენებული: საკუთარი ბიზნესით დაკავებულობა და დაქირავებულ მუშაკთა რაოდენობა. მენეჯერებისა და სუპერვაიზერთა გამოსაყენებლად სამი კრიტერიუმია გამოყენებული: გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა, ძალაუფლება და მმართველობის სისტემაში მდგომარეობა. გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის გაზომვა ხდება რესპონდენტებისათვის შემდეგი კითხვების დასმით: მონაწილეობენ თუ არა ისინი მმართველობითი პოლიტიკის ფორმირებაში? თუ მონაწილეობენ, რომელში? გამოყოფილია რვა სფერო: ბიუჯეტი, ინვესტიციები, საქონელი და ა. შ. გამოკითხულმა უნდა აღნიშნოს სამი ქვემოთ დასახელებული პუნქტიდან ერთ-ერთი: 1. უშუალოდ ვმონაწილეობ მმართველობითი პოლიტიკის შემუშავებაში (ამას ვაკეთებ ან ჩემი გადაწყვეტილებით, ან ზემდგომი ინსტანციის დავალებით, ან როგორც ჯგუფის წევრი, რომელსაც მაქვს გადაწყვეტილებათა გამოტანის უფლება); 2. კონსულტაციას ეუწევ იმათ, ვინც გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებაში უშუალოდ არ ვმონაწილეობ; 3. გადაწყვეტილებათა მიღებაში არც უშუალოდ და არც შუალობითად არ ვმონაწილეობ. ამის შემდეგ პასუხები ჯამდება ერთ ცელადში, რომელსაც სამგანზომილებიანი სკალა აქვს. ეს არის გადაწყვეტილებათა მიღება, რომელიც ეხება დაქირავებულ მუშაკებს: 1. უშუალოდ მონაწილეობს თუნდაც ერთი გადაწყვეტილების მიღებაში; 2. აქვს სათათბირო ხმა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის გარეშე; 3. არ მონაწილეობს გადაწყვეტილებათა მიღებაში. ავტორები აკრიტიკებენ იმ სოციოლოგებს, ვინც ძალაუფლების თუ ავტორიტეტის ცელადის გასაზომად იყენებს კითხვას: „აკონტროლებთ თუ არა თქვენ ვინმეს მუშაობას?“ ან კიდევ: „გყავთ თუ არა დაქვემდებარებულნი?“ ასეთი კითხვების ნაკლი ის არის, რომ მათზე პასუხებში არ ჩანს განსხვავება რეალური ძალაუფლების მქონეთა და სუპერვაიზერებსა, ანუ კონტროლის, თუ მეთვალყურეობის განმხორციელებელთა შორის. ასეთ კითხვებზე დადებითად უპასუხებს პრობლემური ჯგუფის ხელმძღვანელიც და ბრიგადირიც, თუმცა არც ერთ მათგანს არა აქვს ფორმალური ძალაუფლება. ამიტომ ავტორები გვთავაზობენ დამზუსტებელ კითხვათა რიგს ძალაუფლებისათვის, რომელიც ეხება მხოლოდ დაქირავებულ მუშაკებს: 1. სანქციის გამომყენებელი სუპერვაიზერი, 2.

დავალების მიმცემი სუპერვაიზერი, 3. ნომინალური სუპერვაიზერი, 4. არასუპერვაიზერი. ძალაუფლების გასაზომ, თუ მმართველობის სისტემაში პოზიციების დამდგენ, ცვლადს აღგენდნენ არა მარტო გადაწყვეტილებათა მიღებისა და ძალაუფლების შესახებ კითხვებით, არამედ მათ გარდა უსვამდნენ კითხვას — რა თანამდებობა აქვს: ხელმძღვანელის, სუპერვაიზერის, თუ რიგითი მუშაკის? აღწერილ ცვლადთა საფუძველზე ავტორები აკონსტრუირებენ ერთ განმაზოგადებელ პოზიციას, რომელიც გამოხატავს მმართველობის იერარქიაში სხვადასხვა მდგომარეობას: 1. მენეჯერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს და თავისი ფორმალური სტატუსის შესაბამისად ხელმძღვანელი ან სუპერვაიზერია, ყოველ შემთხვევაში რაღაცა გზით აქვს რეალური ძალაუფლება; 2. მენეჯერ-კონსულტანტი, რომელიც რჩევას აძლევს გადაწყვეტილების გამომტან ხელმძღვანელებს; 3. არახელმძღვანელი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ არა აქვს ფორმალური, ან რეალური ძალაუფლება; 4. სუპერვაიზერი, რომელსაც სანქციების გამოყენების და მითითებების მიცემის უფლება აქვს და ფორმალურ იერარქიაში ხელმძღვანელია, მაგრამ გადაწყვეტილებათა გამოტანაში არ მონაწილეობს; 5. არამენეჯერები, არასუპერვაიზერები.

ავტორები მიუთითებენ სიძნელეებზე, რომლებიც თავს იჩენენ ნახევრად ავტონომიურ მოსამსახურეთა პოზიციის განსაზღვრაში, აღნიშნავენ, რომ თვითმმართველობის ყველაზე დიფერენციული მაჩვენებელია საკუთარი შრომის დამოუკიდებლად დაგეგმვა და ორგანიზება, ყოველ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ავტონომიურობის მაჩვენებელი ცვლადის გაზომვა. საკითხი შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად იმას, ხელოსანი თვითონ გეგმავს თავის შრომას, თუ დაგეგმვა და სამუშაოს შესრულება გათიშულია? ამის გასარკვევად ისმის შემდეგი კითხვა — „მოითხოვს თუ არა თქვენი სამუშაო დამოუკიდებელ დაგეგმვას", მასზე პასუხების შესაბამისად ავტონომია ასე იზომება: 1. მაღალი რანგის ავტონომია, როცა რესპონდენტი თვითონ გეგმავს თავის სამუშაოს და მონაწილეობს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებაში; 2. სავარაუდო მაღალი ავტონომია; 3. ზომიერი ავტონომია, როცა მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს გეგმავს და მონაწილეობს ტრივიალურ საკითხთა გადაწყვეტაში; 4. უმთავრესად თუ სავარაუდოდ ზომიერი ავტონომია; 5. დაბალი ავტონომია, როცა სამუშაოს დაგეგმვის შესაძლებლობა არა აქვს, ხოლო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაში მონაწილეობს, უშუალოდ სამუშაოსთან არაა დაკავშირებული; 6. ავტონომიის უქონლობა. ავტორები წვრილ ბურჟუას განსაზღვრავენ, როგორც მეწარმეს, რომელსაც დაქირავებული მუშახელი არა ჰყავს, მაგრამ წარმოების საშუალე-

ბანი მას ეკუთვნის, ან შეიძლება ერთი კაცი პყავდეს დაქირაველული; მუშათა კლასს კი მიაკუთვნებენ იმათ, ვინც ხელფასს ღებულობს. ამ კატეგორიის მუშაკებიდან სხვადასხვა ნიშნით გამორიცხავენ გარკვეულ ჯგუფებს, დარჩება წმინდა მუშები.

კლასები	დამოკიდებულება დაქირავ. შრომისადმი	დაქირავებულ მუშაკთა რიცხვი	მენეჯერთა პოზიცია	ავტონომია
	არ არიან			
ბურჟუაზია	დაქირავებულნი	10 და მეტი	X*	X
წვრილი მწარმოებლები	„ „	2-9	X	X
წვრილი ბურჟუაზია	„ „	0-1	X	X
მენეჯერები და	დაქირავებული			
სუპერვაიზერები	მუშაკები	X	X	X
მათგან:				
მენეჯერები		X	1	X
მენეჯერ-კონსულტანტები		X	2	X
სუპერვაიზერები		X	4	X
ნახევრად ავტონომიური				
მოსამსახურენი		X	3,5**	1,3
მუშები		X	„ „	4,6

ამერიკელებმა ეს კვლევა ჩაატარეს სატელეფონო გამოკითხვით. ისინი ამტკიცებენ, რომ ამერიკის კლასობრივ სტრუქტურაში მუშათა კლასი ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური კატეგორიაა, მომუშავეთა ნახევარია და დაქირავებულ მუშაკთა 54 %. ეს ადამიანები მოკლებულნი არიან თავიანთი სამუშაოს კონტროლირების საშუალებას, აქტიურად ვერ მოღვაწეობენ დაგეგმვისა და გადაწყვეტილებათა გამოტანისას. ამის საფუძველზე მკვლევრები უარყოფენ შესაძლებლობას — ამერიკა უპირობოდ ჩაითვალოს „სამუალო კლასის საზოგადოებად". მხოლოდ ვიწრო კულტურული და იდეოლოგიური აზრით შეიძლება ამერიკა გამოცხადდეს ასეთ საზოგადოებად. მკვლევრები იმასაც აღიარებენ, რომ სოციალურ სტრუქტურაში ამა თუ იმ კლასის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კრიტერიუმით ხდება სტრუქტურაცია. ამერიკის საზოგადოების მიმართ კრიტერიუმების შეცვლის შემთხვევაში შეგვიძლია ერთ შემთხვევაში მუშებად ჩაითვალოს 35 %, მეორეში — 57 %. ავტორები ესებიან კლასობრივი და პროფესიული დაყოფის

1. * ნიშნავს — ეს კრიტერიუმები ამ ადამიანების მიმართ გამოყენებულია.

2. ** გადაწყვეტილების გამომტანი არამენეჯერი. მის განკარგულებაში არავინაა და ფორმალურ იერარქიაში არ ეკუთვნის მმართველებს. მისი პოზიცია ნახევრად ავტონომიურს უახლოვდება.

მიმართებას. ტრადიციულ მარქსისტულ განასერში ფიქრობენ, რომ კლასობრივი დაყოფა არსებითად განსხვავდება პროფესიულისაგან. პირველი სოციალურია და განმსაზღვრელი, მეორე ტექნიკურია და დაქვემდებარებული. მკვლევრებს ამერიკის მაგალითზე გაკეთებული აქვთ კლასობრივი და პროფესიული დაყოფის ცხრილი, რომელიც ასე გამოიყურება:

პროფესიონალური კატეგორიები	ზენკური	კონსულტანტ ზენკური	სუპერვაიზერები	ჯამი ზენკური	ნაკლებად ინტერნირული მოსამსახურეები	მეშები	წვრილი ბურჟუაზია	ზენარმეები	ჯამ	N*
პროფესორები	21,1	12,5	18,3	51,7	20,1	12,8	9,3	5,9	100	143
ინჟინრები	20,6	13,3	16,2	50,1	18,5	24,2	1,8	5,4	100	44
მასწავლებლები**	18,3	3,7	5,1	27,5	64,3	7,2	1,4	0	100	51
ზენკერები და სუპერვაიზერები	39,0	5,8	9,8	54,6	3,3	4,8	9,5	27,7	100	174
კლერკები	4,9	2,5	17,0	24,4	3,8	66,6	2,0	3,2	100	279
გამყიდველები	5,3	8,0	0,8	14,1	20,5	43,8	15,6	6,1	100	88
მომსახურების სფეროს კვალიფიცირი მეშვეები***	1,6	0,6	24,0	40,2	8,2	36,8	40,0	10,8	100	70
ხელოსნები	8,3	4,1	15,3	27,7	12,5	47,2	6,9	5,7	100	164
ოსტატები	3,4	11,9	51,2	93,5	54,7	1,7	0	0	100	29
დაზის მეშვეები და ტრანსპორტელები	1,8	1,1	9,1	12	1,1	82,5	3,3	1,1	100	225
სხვადასხვა მეშვეები****	3,4	2,1	4,8	10,3	3,4	70,6	5,7	10,1	100	71
მომსახურების სფეროს არაკვალიფიცირი მეშვეები	6,4	1,7	6,2	14,3	3,3	65,7	14,4	2,2	100	125
ფერმერები	0	6,8	0	6,8	0	0	33,5	59,7	100	22

უეჭველია, კლასსა და პროფესიას შორის არსებობს კავშირურთიერთობა, მაგრამ აქაც მათ შორის კავშირის ფორმები დამოკიდებულია კრიტერიუმებზე, მკვლევართა მტკიცებით, თუ 13 კრიტერიუმს აიღებთ, კლასსა და პროფესიას შორის შედარებით მეტი დამორება იქნება, თუ 27 კრიტერიუმს აიღებთ, გარკვეული დაახლოება მოხდება, მაგრამ დამთხვევა არასოდეს. ავტორები ყურადღებას მიაქცევენ სქესით განპირობებულ კლასობრივ განსხვავებასაც, ფიქრობენ, რომ ქალები უფრო მეტად არიან პროლეტარიზებული, ვიდრე მამაკაცები. მომუშავე ქალებ-

---

* — წინა განაწილებაა გამოთელისას გამოყენებული.

** — პირველი და მეორე სფეროს სკალის მოსამსახურენი, უნივერსიტეტის მასწავლებლები შედიან პროფესიონალებში.

*** — მასში შედის პარიკმახერის, სტიუარდესას, მზარეულის და სხვ. პროფესიები.

**** — სასოფლო-სამეურნეო მუშების ჩათვლით.

ის 54 %-ია მუშა, კაცების კი 40 %. ამერიკელი მუშათა კლასის უმრავლესობა ქალებია — 53, 6 %, სამაგიეროდ მენეჯერებისა და სუპერვაიზერების როლში ქალები უფრო ნაკლებად გამოდიან, ვიდრე მამაკაცები, ასევე ნაკლებია ქალები კაპიტალისტებს შორის, წერილ ბურჟუაზიაში ორივე სქესი თანაბრადაა წარმოდგენილი. კაცები ქალებთან შედარებით სოციალური მობილობითაც გამოირჩევიან. კლასობრივი განსხვავება აისახება რასებშიც. შანგების 64 % და თეთრკანიანების 46 %-ია მუშები. შანგთა 7 %-ია მენეჯერი, წერილი ბურჟუაზია კიდევ უფრო ნაკლებადაა წარმოდგენილი — 2,4 %-ია შანგი. ავტორების დასკვნით, სოციალური მდგომარეობის მიხედვით, თეთრკანიანი მამაკაცები მოსახლეობის ყველაზე პრივილეგირებული კატეგორიაა. მათი 20 % კაპიტალისტებია, ან მაღალხელფასიანი მენეჯერები. ამერიკის მუშათა კლასის 70 % კი ქალები და ეროვნული უმცირესობანია. ასეთია, ავტორების აზრით,ამერიკის კლასობრივი სტრუქტურის დესკრიპტული სურათი.

12. ნომენკლატურა, როგორც კლასი

საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა დასავლეთელ მოაზროვნეებში სხვადასხვაგვარად აღიქმება. ჩვეულებრივად სოციალური სინამდვილის სურათი პირველ რიგში ამ სინამდვილეზეა დამოკიდებული და თეორიამ სინამდვილე ისე უნდა გამოხატოს, როგორც ის არის, მაგრამ სოციალური სინამდვილის სურათი არაა ერთსახოვანი მაშინაც, როდესაც სინამდვილე იდენტურია. სინამდვილის სურათის მრავალფეროვნებას განაპირობებს იმ მეთოდებისა და პრინციპების შერჩევა, რითაც ვუდგებით სინამდვილეს; განაპირობებს კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებულია ამ სინამდვილის მიმართ: მართალია, საბოლოოდ ამ კრიტერიუმთა და მათი გზით მიღებულ სინამდვილის სურათთა მრავალფეროვნებასაც სინამდვილის მხარეთა თუ ასპექტთა მრავალსახიანობა განსაზღვრავს, მაგრამ მაინც სწორედ სინამდვილე შეიძლება გახდეს განსილვის საგანი მრავალი განზომილებით. სწორედ ასეთი მრავალსახოვანი მიდგომის შედეგია სინამდვილის განაზრების სხვადასხვა თეორიაში მიღებული სურათები. სოციალური სინამდვილის სტრუქტურის მარქსისტული თეორია, რომლის ამოსავალი კრიტერიუმია საკუთრებისადმი დამოკიდებულება, ყოველი სინამდვილის მიმართ გამოყენებული, განსხვავებულ მოდელს მოგვცემს, ვიდრე იმავე სინამდვილისადმი მისადაგებული მაქს ვებერის მიერ შემუშავებული ბატონობისეული კრიტერიუმის განხილვა იძლევა. თანამედროვე თეორიებში სულ უფრო მეტად გამოიყენება ვებერისეული ბატონობის პრინციპის კრიტერიუმი და ეს ხდება, როგორც კაპიტალიზმად, ისე სოციალიზმად წოდებულ ინდუსტრიული საზოგადოების სახეობათა მი-

მართ. ასეთი კრიტერიუმის განხილვის შემთხვევაში სურათი შეიძლება განსხვავებული იყოს იმისდა მიხედვით, ბატონობის ფორმები რა ჯგუფების მიმართ იქნება გამოყენებული. ერთ-ერთ ასეთ სურათს ქმნის ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, საბჭოთა სინამდვილის შემსწავლელი ბონის ინსტიტუტის დირექტორი შ. ს. ეოსლენსკი წიგნში — „ნომენკლატურა". ეოსლენსკი მოსაწყენად თვლის კლასთა წარმოქმნის მარქსისტული თეორიის პრინციპებს,რომლებიც ფორმულირებულია ენგელსის წიგნში — „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". ამ წიგნის ძირითად იდეებს არასარწმუნოდაც მიიჩნევს, რადგან მასში კლასთა წარმოქმნა პირველყოფილი საზოგადოების რღვევის ნიადაგზეა განხილული და არაფერი არაა ნათქვამი კლასთა წარმოქმნის თანამედროვე პრინციპებზე. მისი მტკიცებით, კლასთა წარმოქმნა საზოგადოებაში ყველა ეტაპზე მიმდინარეობს და თვითონ გვიხატავს რუსეთის რევოლუციის მიჯნაზე და შემდგომ პერიოდში ახალი კლასის წარმოქმნის სურათს. განსაკუთრებით აინტერესებს ბიუროკრატიის კლასობრივი შემადგენლობა, მისი ეტაპობრივი განვითარების პირველ საფეხურზე პროფესიონალ რევოლუციონერთა სტრუქტურად ჩამოყალიბება ლენინის მიერ, შემდგომ კი სტალინის მიერ ადმინისტრაციულ-პარტიული ბიუროკრატიის, ნომენკლატურული კადრების გზით, ახალი კლასის ფორმირება. ერთი შეხედვით უნდა გვეფიქრა, რომ ახალი კლასის ძიებისას, ეოსლენსკი პარტიაზე მიუთითებდა, რადგან პარტიას საკმაოდ მყარი სტრუქტურა გააჩნია, მაგრამ ეოსლენსკი ფიქრობს, რომ ყველა სოციალური ჯგუფი არ შეიძლება იყოს კლასის განსახიერება რაოდენობის მიუხედავად. პარტია მისთვის უფრო ამორფული და კომპლექსური ძალაა, რომლის შიგნითაც უნდა მოხდეს სტრუქტურირება, რადგან საზოგადოების ანალოგიურად პარტიაშიც ორი ჯგუფია: განმკარგულებელნი და აღმასრულებელნი. ეოსლენსკის მტკიცებით, კლასი არის ყოველი ის ფენა, რომელსაც მართვის სისტემაში განსხვავებული უფლებები გააჩნია და გამორჩეულია სოციალურ იერარქიასა თუ სოციალურ ყოფიერებაში. სოციალური იერარქიის სათავეში, როგორც ხელისუფლებისათვის ბრძოლის, ისე ძალაუფლების აღების შემდეგაც, ავტორის აზრით, რუსეთში პროფესიონალ რევოლუციონერთა ჯგუფი იყო მოქცეული პარტიულ სტრუქტურაში. როდესაც საკითხი დადგა ლენინის წინაშე — ვინ უნდა მოახდინოს სოციალური გადატრიალება და რომელი უნდა იყოს ძირითადი რგოლი სოციალურ მოძრაობაში, ლენინმა ასეთად მიიჩნია „პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაცია", რომლის მეშვეობით ის აპირებდა „რუსეთის გადაბრუნებას". ლენინის აზრით, ეს ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო არქიმედეს ბერკეტი. რევოლუციაში ბევრი მონაწილეობდა, რომელნიც რევოლუციონერად ითვლებოდნენ, მაგრამ ფაქტობრივად რევოლუციის თანამონაწილენი იყვნენ, ძირითადად კი

სხვა საქმიანობას ეწეოდნენ. იყენენ რწმენით, თუ მსოფლმხედველობით რევოლუციონერებიც. ლენინი არ ეყრდნობოდა არც ერთს და არც მეორეთ, ის მოითხოვდა ისეთ ადამიანთა ორგანიზაციას, რომელთათვის ერთადერთი საქმიანობა იქნებოდა რევოლუციური მოღვაწეობა. მათ ხელში რევოლუციონერთა ყველა სხვა ფენა მხოლოდ სტატისტების როლს თამაშობდა. ასეთი ადამიანები იცხოვრებდნენ პარტიის სახსრებით და ყველა სხვა სოციალური საბრუნავისაგან თავისუფლდებოდნენ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, საიდან რეკრუტირდებოდნენ ისინი. მათ ჰქონდათ საერთო მიზანი — პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა. არ იყო საეჭვდებულო, ისინი ყოფილიყვნენ თეითონ პროლეტარები. ეოსლენსკის აზრით, ერთ-ერთი პარადოქსი ლენინის თეორიისა ის იყო, რომ მუშათა საქმისათვის მებრძოლი ორგანიზაცია არ უნდა ყოფილიყო მუშათა ორგანიზაცია, მეორე ის, რომ დემოკრატიისათვის მებრძოლი ეს ორგანიზაცია თეითონ არ უნდა ყოფილიყო დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული. მას მოეთხოვებოდა მკაცრი კონსპირაცია, რასთან შედარებითაც დემოკრატიულობა ლენინს ბავშვურ თამაშად მიაჩნდა. ლენინის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო „აგენტთა სამსედრო ორგანიზაცია". პროფესიონალ რევოლუციონერებს უნდა განეხორციელებინათ კონტროლი პარტიის ყველა დანარჩენ წევრებზე. პარტიული ორგანიზაციის წევრობა აუცილებელი მოთხოვნა იყო. ეს ნიშნავდა, რომ ორი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა: პროფესიონალ რევოლუციონერთა და პარტიის ორგანიზაციები. სახელი მათ საერთო ჰქონდათ — პარტია. ფაქტობრივად ეს იყო ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორუელის რომანში — „ინგლისი — 1984 წელი" — აღწერილი ორგანიზებული ჯგუფები. პარტია დაიყო ორ ჯგუფად: გაბატონებულ პარტიულ ელიტად — პროფესიონალ რევოლუციონერთა და მათდამი დაქვემდებარებულ მასად. ელიტას ამოძრავებდა ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი, მისთვის საჭირო იყო რევოლუცია. მისი აღმასრულებელი ძალა — მუშათა კლასი, ანუ რევოლუციის პოლიტიკური არმია. ამრიგად, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში გამოიყო პროფესიონალ რევოლუციონერთა ჯგუფი. ეოსლენსკის აზრით, კლასის საკუთრივი გაგებით, ეს ჯგუფი არ უდრის კლასს, ის უფრო დეკლასირებული ელემენტია, რადგან არ ეკუთვნის არც ერთ სოციალურ კლასს, მაგრამ, ამავე დროს, საერთო ინტერესებითა და პარტიის მიმართ ძალაუფლებით ბატონობის პოზიციაზე დამყარებული კლასობრივი სტრუქტურის განსახიერებაა. მიზნად გამოცხადებული იყო პროლეტარიატის დიქტატურა, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ფაქტობრივად პროფესიონალ რევოლუციონერთა დიქტატურა დაამყარა. ფენა, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე მხოლოდ პარტიის სხვა წევრებზე ბატონობდა, ძალაუფლების მოპოვების შემდეგ მთელ საზოგადოებაზე ბატონობს: ეს არაა

პროლეტარიატის დიქტატურა, რადგან პროფესიონალ რევოლუციონერთა უმრავლესობა არასოდეს ყოფილა პროლეტარი. პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაცია საზოგადოების მცირერიცხოვანი ფენა იყო, რომელმაც გადატრიალების შემდეგ დაამყარა პარტიის დიქტატურა და სათავეში თვითონ მოექცა. ეს იყო პირველი ეტაპი გაბატონებული კლასის ფორმირების გზაზე. მისი ორგანიზატორის — ლენინის გარდაცვალების შემდეგ იცვლება გაბატონებული კლასის შერჩევის კრიტერიუმი და ახალი ფენა ბატონდება, რომელიც სტალინმა აპარატის კუთვნილება გასადა და მონათლა ნომენკლატურად. „ნომენკლატურა — ესაა: 1. ხელმძღვანელ თანამდებობათა ჩამოთვლა, რომლის შეცვლას თუ დაკავებას ახდენს არა უწყების ხელმძღვანელი, არამედ ზემო ინსტანცია; 2. ჩამოთვლა იმ პირთა, რომელნიც ასეთ თანამდებობას იკავებენ, ან მათ დასაკავებლად რეზერვში არიან (45, 211-212). ნომენკლატურა უნდა ყოფილიყო დიდი სამმართველო აპარატის შემვსები, ამისთვის მცირერიცხოვან, პროფესიონალ რევოლუციონერთა ელიტა არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ახალი კრიტერიუმის გამონახვა, რომლის საფუძველზე შეიქმნებოდა ახალი ფენა. კრიტერიუმთა შორის იყო ორგანიზაციის წევრობა — პარტიის თუ კომკავშირის, პოლიტიკური საიმედოობა და წარმოშობით არ უნდა ყოფილიყო დიდგვაროვანთა წრიდან. ჩვეულებრივ კვალიფიკაცია უნდა იყოს განმსაზღვრელი, მაგრამ კვალიფიცირებულები ნაკლებად ექვემდებარებიან დიქტატს. ამიტომ პარტიულ ელიტას უფრო აწყობდა არაკვალიფიცირებულნი, რომელნიც გრძნობდნენ, რომ სხვის სკამზე ისხდნენ. დამსმელთა მიმართ მადლიერება ამოძრავებდათ, მათი დამახასიათებელი იყო მორჩილება და დამსახურებისადმი ლტოლვა, რითაც უნდა გაემართლებინათ მაფზე დამყარებული იმედი. ასე ხდებოდა ნომენკლატურის ფორმირება. სტალინმა შექმნა ნომენკლატურის ქსელი ლოზუნგით — „კადრები წყვეტენ ყველაფერს" და ამ გზით მიღებული მმართველი კადრების ფენა მასთან ისეთსავე როლს თამამობდა, როგორსაც „კომპოზიტორის ხელში ნოტები, რომელთა გზით მიიღება საჭირო სიმფონიური. ეს იყო დირექტივების განმხორციელებელთა ფართო ფენა, რომელნიც ზემო ინსტანციისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და მორჩილების ვითარებას ინაზღაურებდნენ ქვემო ინსტანციებიდან სრული დაქვემდებარების მოთხოვნით და მათზე განუსაზღვრელი ბატონობით. დირექტივაში განცხადებული დიქტატორის ნება, ზეპირი მითითების თუ მინიშნების ფორმით, იქცეოდა უცილობლად შესასრულებელ სახელმძღვანელო კანონად ქვემო ინსტანციებისათვის. პარტიული აპარატი, რომელიც შედგებოდა თავისუფალი პარტიული ფუნქციონერებისაგან, დასაწყისში პარტიის შიგნით ახორციელებდა ხელმძღვანელობას და კადრების შერჩევას, შემდგომში კი სახელმწიფოში ყველა მმართველი ორგანოს კადრების შერჩევა მხოლოდ პარტიულ აპარ-

აგს მიენდო. მთელი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა კომპლექტდებოდა პარტიული რეკომენდაციებით, რომელთაც კანონის ძალა ჰქონდათ. რეკომენდაციების სისტემა განსაზღვრავდა იერარქიის ზემო ინსტანციების ნებელობის კანონისეულობას ქვეშა ინსტანციებისათვის. ყველა არჩევითი თანამდებობა ფორმალურად იყო არჩევითი, ფაქტობრივად პარტიაშიც და სახელმწიფოშიც დანიშვნა ხდებოდა. მოხდა პარტიის ბიუროკრატიზაცია, რომელიც არსებითად ორი ფენისაგან შედგებოდა — მბრძანებელთა და შემსრულებელთა. ასეთი პრინციპით აიგო მთელი საბჭოთა საზოგადოება. მბრძანებელთა კლასის შიგნით იყო იერარქია, რომლის სათავეში იდგა სტალინი, შემდეგ მოდიოდა სამდივნო, ორგბიურო, ცენტრალური კომიტეტი და ა. შ. ეს ბიუროკრატიზებული აპარატი ცვლის ლენინის კრიტერიუმით შერჩეულ გაბატონებულ ფენას. 1924 წლისათვის 3500 თანამდებობას ანაწილებდა უშუალოდ ცეკას სამდივნო, ხოლო 1500 თანამდებობაზე უწყება ნიშნავდა კადრებს ცეკას სააღრიცხვო გამანაწილებელ სექტორთან შეთანხმებით. ვოსლენსკი იმოწმებს სტალინის ნაშრომს — „ლენინიზმის საკითხები", სადაც სტალინი ამტკიცებს : პარტიის შემადგენლობა, თუ მხედველობაში გვექნება ხელმძღვანელი ფენები, შედგება 3-4 ათასი უმაღლესი ხელმძღვანელისაგან, ესაა პარტიის გენერალიტეტი, შემდეგ მოდის 30-40 ათასი საშუალო ხელმძღვანელი, ეს პარტიული ოფიცრობაა, შემდეგ მოდის 100-150 ათას პარტიულ ხელმძღვანელთა დაბალი ფენა, ეს პარტიის უნტეროფიცრებია. ვოსლენსკი ვარაუდობს, რომ გენერალიტეტში იგულისხმება სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტები, საოლქო და სამხარეო კომიტეტები, საშუალო რანგის ხელმძღვანელებში იგულისხმებიან რაიონული და საქალაქო პარტკომიტეტების წევრები; მესამეში პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები და კომიტეტთა, თუ ბიუროთა წევრები. ვოსლენსკი აქ აანალიზებს ნომენკლატურისა და ბელადის მიმართებას. იგი დიადური ხასიათისაა. ნომენკლატურის ინტერესების გამომხატველია ბელადი, ხოლო ბელადის ხაზის განმხორციელებელი — ნომენკლატურა, ბელადი შეიძლებოდა გასწორებოდა ცალკეულ წევრებს, მაგრამ ნომენკლატურის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, მიმართ ის ლოიალური იყო. ნომენკლატურამ გამოღვევნა და მოსპო პროფესიონალ რევოლუციონერთა ლენინური გვარდია. ამიგომ ელიტური სტრუქტურის განვითარების მეორე ეტაპია პროფესიონალ რევოლუციონერთა ნაცვლად ნომენკლატურის ბატონობა. ასე რომ, განახლებულ ბიუროკრატთა კლასმა მთლიანად აიღო ხელში ბატონობის სადავეები. ვოსლენსკის მტკიცებით, „სსრკ-ს ახალი გაბატონებული კლასის წარმოშობა სამ ეტაპად განსორციელდა: პირველი ეტაპი იყო ძველი რუსული საზოგადოების წიაღში პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის „ახალი კლასის" ჩანასახის შექმნა; მეორე ეტაპი

იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამ ორგანიზაციის ხელისუფლების სათავეში მოსელა და ორი მმართველი ფენის შექმნა: უმაღლესი პროფესიონალ რევოლუციონერთაგან შემდგარი გაბატონებული ფენისა და მათ ქვემდებარე სტალინური ნომენკლატურის; მესამე ეტაპი იყო ლენინური გვარდიის ლიკვიდირება სტალინური ნომენკლატურის მიერ" (45, 218). ამ სამეტაპოვანი პროცედურის თითოეულ საფეხურს ჰქონდა თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები და გარკვეული საზრისიც. ბოლშევიკები მუშათა კლასს უკავშირდებოდნენ არა მისდამი სიმპათიის, არამედ საკუთარი თავისადმი სიყვარულის გამო. ისინი პროლეტარებს ჰპირდებოდნენ გადიქტატორებას, ფაქტობრივად კი იყენებდნენ საკუთარი დიქტატურისათვის. ისინი შეუბრალებელნი იყვნენ მტრისადმი, მაგრამ ღრმად სწამდათ მარქსიზმი. მათი ბელადი და ხორცშესხმა იყო ლენინი. ნომენკლატურის ბელადი და ხორცშესხმა კი იყო სტალინი. ისიც შეუწყნარებელი იყო, მაგრამ მარტო მტრების კი არა, პარტიულების მიმართაც. „სინდისთან გარიგება შეცვალა სინდისის უქონლობამ". მარქსიზმის სისწორისადმი რწმენა — ფრაზეოლოგიამ და ციტატებმა. ასე რომ, „კომუნისტები რწმენის მიხედვით შეცვალა კომუნისტებმა სახელწოდების მიხედვით". ეს იყო ახალი კლასის და არა უკლასო საზოგადოების შექმნის პროცესი, რომელიც პირველ ეტაპზე წინააღმდეგობაში ვარდებოდა რწმენასთან, მეორე ეტაპზე კი მხოლოდ სიტყვებთან. ლენინელებთან რწმენა და საქმე განსხვავდებოდა, სტალინელებთან — სიტყვა და საქმე. ამ გზაზე სისასტიკე ბუნებრივია, რადგან „კლასობრივი საზოგადოების წარმატებით აშენება იმაზე ფიქრით, რომ აშენებ უკლასო საზოგადოებას, ისევე შეუძლებელია, როგორც ოჯახის წარმატებით დაგეგმვა, თუ ფიქრობ, რომ ყარყატს მოყავს ბავშვები" (45, 219). ახალი კლასის ფორმირების სამსაფეხუროვანი სქემა საერთოა სოციალიზმის მშენებელი ყველა ქვეყნისათვის. ამდენად, სოციალიზმი არ აღმოჩნდა კლასობრივ საზოგადოებათა მიღმა. შეიცვალა კლასი და „საბჭოთა საზოგადოების მმართველი კლასი ნომენკლატურაა". მაგრამ იქვე ავტორი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „მმართველი კლასი" არც თვითონ აცხადებს თავის თავს კლასად და არც ავლენს მკვლევრების წინაშე თავის სახეს. ამიტომ ისინი ყოველთვის აყენებენ კითხვას: „რითი გამოვყოთ ეს ახალი კლასი? სადაა მისი საზღვრები? სიძნელე ისაა, რომ ახალი კლასი ჩვეულებრივი მოსამსახურეებისაგან არ გამოირჩევა, არც გარეგნული ნიშნებით და არც მდგომარეობით. ვოსლენსკის აზრით, სახეზეა არა „სოციალური სქემა, არამედ რეალური ცხოვრება. რეალურ ცხოვრებაში კი საზოგადოებრივ ფენებს შორის საზღვრები ყოველთვის რამდენადმე წაშლილია ცალკეულ შემთხვევათა დიდი მრავალფეროვნებით. გამოსავალი მხოლოდ იმაშია, რომ ახალ კლასს თვითონ აქვს წარმოდგენა თავის საზღვრებზე და ეს მის-

თვის აუცილებელია, რამდენადაც „მმართველთა კლასმა და მისმა ხელმძღვანელობამ ზუსტად უნდა იცოდეს, ვინ მედის მასში, ესაა ნომენკლატურის ობიექტური საზრისი". ნომენკლატურა, რომელიც გარეგნულად ინტელიგენციის ერთ-ერთი რაზმია, რომლის პროფესია მართვაა, და ოდნავ მესამჩნევი განსხვავებული მდგომარეობა აქვს, ფაქტობრივად მას „განსაკუთრებული ადგილი უკავია შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში". სოციალიზმის დროს ნომენკლატურა მთელი საზოგადოების ორგანიზატორი ცხოვრების ყველა სფეროში. ნომენკლატურა საბჭოთა საზოგადოების გაბატონებული კლასია. მან იცის ეს და იბურება საიდუმლოების საფარველში. ნომენკლატურულ თანამდებობათა ყველა მონაცემი საიდუმლოა. მათი სიები, წიგნად დაბეჭდილი, ადამიანთა მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვს ეგზავნება". (45, 221). ვოსლენსკი პარალელს აელებს ბურჟუაზიის და ნომენკლატურის გაბატონების პროცესთა შორის, მისი აზრით, ისინი საპირისპირო გზით ბატონდებიან. ბურჟუაზია ჯერ ეკონომიკურად ბატონდება და შემდეგ აღწევს პოლიტიკურ ბატონობას. ნომენკლატურა ჯერ ძალაუფლებას იგდებს ხელში და შემდეგ ბატონდება ეკონომიკურად. მისი უპირველესი ამოცანაა საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ეკონომიკური ხელმძღვანელობა კი მეორადია. „ნომენკლატურაში ძირითადი ძალაუფლებაა, საკუთრება კი არა, ძალაუფლება. ბურჟუაზია მქონებელთა კლასია და ამიტომაა გაბატონებული. ნომენკლატურა გაბატონებული კლასია და ამიტომ მქონებელი".ნომენკლატურისთვის ძალაუფლება ყველაზე უფრო დიდი ტკბობის წყაროა, მისი მოყირჭება შეუძლებელია. ყველა შემთხვევაში ნომენკლატურას ეკუთვნის მთელი ძალაუფლება და ყველა შესასრულებელი გადაწყვეტილება ნომენკლატურის მიერ მიიღება. ნომენკლატურის შიგნით ხდება ფუნქციათა განაწილება. არასწორი იქნებოდა ფიქრი, თითქოს ყველაფერს ცეკა წყვეტდეს, უფლებათა ნაწილს ის სხვა რგოლებსაც უტოვებს. ასე მაგალითად: ყველა თანამდებობაზე ნომენკლატურა ნიშნავს. ან რეკომენდაციას აძლევს, მაგრამ ნომენკლატურის შიგნით ამას იერარქიის სხვადასხვა საფეხური ახორციელებს. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცეკამ რომ დანიშნოს, საყვედურს არავინ ეტყვის, მაგრამ ნომენკლატურის სხვა ჯგუფები ამას გაკვირვებული დუმილით შეხვდებიან, რადგან ეს რაიკომის პრეროგატივაა, თავისებური წესიც კი არსებობს, რომლის მიხედვითაც ნომენკლატურაში ზემდგომმა არ უნდა შეცვალოს ქვემდგომი. ყოველ ნომენკლატურისტს აქვს მისთვის განკუთვნილი ბატონობის სფერო. აქ შეინიშნება ნომენკლატურის რეჟიმის მსგავსება ფეოდალიზმთან". აეტორი მარქსსაც კი იმოწმებს იმის დასასაბუთებლად, რომ ნომენკლატურის და ფეოდალიზმის სტრუქტურა ანალოგიურია.

ვოსლენსკი აანალიზებს ვერტიკალური მობილობის გზებს, რომლის

შედეგად ყალიბდება ახალი კლასი. აჩვენებს, რომ ამ პროცესმაც განიცადა ევოლუცია. ლენინის დროს პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის შექმნა შედარებით უმტკივნეულო იყო. ყოველ შემთხვევაში ბევრი გარკვევა არ სჭირდებოდა იმას, ვინ იყო ამ კოპორტის წარმომადგენელი. მაგრამ სტალინის მიერ ჩამოყალიბებულმა ბიუროკრატიამ, ნომენკლატურის სახელით წოდებულმა, მოითხოვა შერჩევის უფრო მრავალსახოვანი კრიტერიუმები, ამიტომ საჭირო გახდა ყოველი კანდიდატურის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაცია, როგორც საკუთარი ნაამბობის, თუ ნაწერის, ავტობიოგრაფიის თუ სხვა მასალების სახით, ასევე სხვების დახასიათება და შემდეგ კომპეტენტური ორგანოების მიერ დამოწმება. ამ ორგანოებში შედის როგორც უმაღლესების, ასევე პარტიული კომიტეტები. ლენინი ხელმძღვანელი კადრების შერჩევაში მოითხოვდა ოთხი პრინციპის დაცვას: 1. კეთილსინდისიერება, 2. პოლიტიკური პოზიცია, 3. საქმის ცოდნა და 4. ადმინისტრაციული უნარი. ამ სქემის მიხედვით საქმის ცოდნა ლენინისთვისაც მეორეხარისხოვანი იყო პოლიტიკურ კეთილსაიმედოობასთან შედარებით. პირველ პლანზე კი კეთილსინდისიერება დააყენა. სტალინმა ეს უკანასკნელი საერთოდ უარყო და პოლიტიკური საიმედოობა გამოაცხადა განმსაზღვრელად. შესარჩევს მოეთხოვებოდა სწრაფვა დაწინაურებისაკენ და ამ მიზნით ყველაფრისათვის მზადყოფნა, ე. ი. კარიერიზმი. ნომენკლატურაში მოხვედრის თავისებური წინასაფეხური არსებობს, ეს სარეზერვო არმიაა, როგორც იტყვიან, მჭიდეში მოხვედრილი, რომელთაგან უფროსების კეთილგანწყობის შემთხვევაში, რეკრუტირდება ნომენკლატურა. ავტორი დაწვრილებით აყალიბებს იმ პროცედურას, რაც უნდა გაიაროს ნომენკლატურაში მოხვედრის მსურველმა. პირველი და აუცილებელი ნაბიჯია პარტიის წევრობა, უპარტიო ნომენკლატურა გამორიცხულია, მაგრამ პარტიულობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია, შემდეგ უნდა გაიაროს სხვა ეტაპები, გახდეს აგიტატორი, აგიტატორთა ბრიგადირი, ჯგუფის პარტორგი, პარტკომის წევრი, პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე და ბოლოს სასტარტო მოედანია პარტკომის მდივნობა, იმდენად, რომ ეს უკვე ნახევრად ნომენკლატურაა. ამავე დროს, მთელი ამ გზის გაელისას უნდა გამოირჩეოდეს მაამებლობით და პარტიულ ამხანაგებთან ურთიერთობით. უნდა ეცადოს, პარტკომის მდივნად ორისამი ვადით მაინც აირჩიონ, ამის შემდეგ გარანტირებული აქვს წინსვლა. ნომენკლატურაში მოსახვედრად მას უწევს შემოწმების გაელა უშიშროებისა და პარტიული ორგანიზაციების სხვადასხვა ინსტანციაში. მოხდება შეთანხმება სხვადასხვა ინსტანციასთან, შემდეგ დაიწერება დამტკიცული დახასიათება და ბოლოს დანიშვნის ბრძანება. ამით ის ჩარიცხულია ნომენკლატურაში. ავტორი სვამს კითხვას — შეიძლება თუ არა ნომენკლატურიდან ამოვარდეს მუშაკი? ფორმალურად შესა-

ძლებელია. მაგრამ ფაქტობრივად არა, თუ რაღაც უჩვეულო კონფლიქ-
ტი არ მოხდა. ეოსლენსკის აზრით, ნომენკლატურა ეგავს ბურჟუაზიულ
საზოგადოების ჩინოვნიკთა ფენას, მაგრამ ეს მსგავსება გარეგნული.
მათ საერთო არაფერი აქვთ. ჩინოვნიკობა ასრულებს სასელმწიფო
ორგანოების ნებას, მაშინ როდესაც ნომენკლატურა ამ ორგანოებს თვი-
თონ უკარნახებს თავის ნებას. ჩინოვნიკები პრივილეგირებული მსახ-
ურებია. ნომენკლატურისტები ხელისუფლების მქონე ბატონები. ნომენ-
კლატურაში ჩინოვნიკებისაგან განსხვავებული იერარქიაა. ნომენკლა-
ტურა ყველა ვითარებაში, როგორც არ უნდა გადაარგუფონ, იტოვებს
კაბინეტს და პირადი მომსახურების მანქანებს. ნომენკლატურის თან-
ამდებობიდან განთავისუფლება იმავე ორგანოს საქმეა, რომელმაც დანი-
შნა, მაშასადამე ახალ თანამდებობაშეც ის ნიშნავს. ეს კი მხოლოდ
ნომენკლატურის თანამდებობაზე შეუძლია დანიშნოს. ნომენკლატურის
წევრობა არ იკარგება მაშინაც, როდესაც პენსიაზე უშვებენ, ის ხდება
პერსონალური პენსიონერი — ადგილობრივი, რესპუბლიკური, ან საკავ-
შირო. ფაქტობრივად ეს პენსია პერსონალური კი არაა, არამედ ნომენ-
კლატურული. მაშინაც კი, როცა პიროვნება ფორმალურად ამოვარდება
ნომენკლატურიდან, ის გარკვეულ პრივილეგიებს მაინც ინარჩუნებს. ეს
ნიშნავს, რომ ნომენკლატურის გასხვისება, თუ გაუცსოება შეუძლებე-
ლია. „ნომენკლატურის გასხვისება იმიტომ არ შეიძლება, რომ ის თან-
ამდებობა კი არაა, არამედ კლასი". საკითხის ასეთი დაყენება მოითხ-
ოვს პასუხს კითხვაზე: <u>რა მიმართებაა ნომენკლატურასა, ანუ ახალ
კლასსა და პარტიას შორის?</u> ფორმალურად პარტია უნდა იყოს საზოგა-
დოების წარმმართველი და ხელმძღვანელი, ფაქტობრივად კი მისი მცირ-
ედი ნაწილია ასეთი. პარტია ნომენკლატურისთვის თავიდანვე იყო
დამხმარე ელიტა, რომლიდანაც რეკრუტირდება ნომენკლატურა. განვი-
თარების თანამედროვე დონეზე რაც უფრო დაშორდა გაბატონებული
და დამხმარე ელიტა ერთმანეთს, პარტია მით უფრო გახდა ნომენკლა-
ტურის მსახური. საქმის ისე დასახვა — თითქოს ეს პარტია იყოს მუშა-
თა და მისი ხელმძღვანელები მუშათა კლასის წარმომადგენლები,
მოჩვენებითობაზეა აგებული. ისე როგორც ამერიკელ კაპიტალისტებში
ურევია ყოფილი ფეხსაცმლისმწმენდელი, მაგრამ ამის გამო ეს არაა
ფეხსაცმლისმწმენდელთა კლასი, ასევე ნომენკლატურულმა მუშაკმა
ერთი ორი წელი თუ იმუშავა მუშად, ეს არ ნიშნავს, რომ ის მუშათა
კლასის წრიდანაა. საბჭოთა კავშირში არავითარი პროლეტარული
ნომენკლატურა არაა, ნომენკლატურა რეკრუტირდება ყველა ფენიდან,
პარტია კი გამოცხადებულია სახალხო პარტიად. ხომ არ ნიშნავს ეს
იმას, რომ მთელი საზოგადოების წარმომადგენლები არიან ნომენკლა-
ტურისტები და საზოგადოება დემოკრატიულია? ეოსლენსკი ამაზე უარყ-
ოფითად უპასუხებს. ნომენკლატურის ფსიქოლოგიური ნიშანია საკუ-

თარი წარსულის სოციალურ გარემოსთან მტრული დამოკიდებულება და ისინი ამ ფენის წარმომადგენელნი არ არიან — მხოლოდ საკუთარ თავს წარმოადგენენ. ნომენკლატურა დეკლასირებულთა კლასია, რომელიც სხვა კლასებზე მაღლა დგას.

ანალიზი, რომელსაც ავტორი ვეთავაზობს, არაა საზოგადოების სტრუქტურის სრულყოფილი სურათი, თანაც ის უფრო ისტორიული ხასიათისაა, ვიდრე სოციოლოგიური. შეინიშნება, რომ ავტორი სპეციალობით ისტორიკოსია. მართალია, კლასის ისტორიულ ფორმირებას აანალიზებს, მაგრამ კრიტერიუმი, რომელსაც იყენებს ნომენკლატურის გამოსაყოფად, სხვა ფენების მიმართ არა აქვს გამოყენებული.

ალექს ინკელსის შრომაში — „სოციალური სტრუქტურა და მობილობა სსრ კავშირში — 1940-1950“ — სოციალური სტრატიფიკაციის თვალთახედვით განსხვავებულია საბჭოთა საზოგადოების ცხრა ფენა: პირველია მმართველი ელიტა, რომელშიც შედის პარტიისა და მთავრობის სელმძღვანელები, სამხედრო ზედაფენა და უმაღლესი ჩინოვნიკები; მეორეა ინტელიგენციის უმაღლესი ფენა, სწავლულები, ლიტერატურისა და ხელოვნების უაღრესად მაღალი ფენის წარმომადგენლები. ძალაუფლება მათ ნაკლები აქვთ, მაგრამ პრივილეგიები და მდგომარეობა ისეთივე მაღალი, როგორც პირველ ჯგუფს. აქვე შედიან ლენინური და სტალინური პრემიის ლაურეატები, რომელთაც განსაკუთრებული სტატუსი აქვთ; მესამე მუშათა კლასის არისტოკრატიაა, მასში შედის დამკვრელური შრომის წარმომადგენლები, სტახანოველები, კვალიფიციური მუშა-რეკორდისტები, რომელთაც აქვთ მაღალი ხელფასი, შრომისა და ყოფის განსაკუთრებული პირობები, და საზოგადოებაში სარგებლობენ მაღალი პრესტიჟით; მეოთხე ადგილზეა ინტელიგენცია, საშუალო დონის მმართველები, მცირე საწარმოთა ხელმძღვანელები, უმაღლესი სკოლის მუშაკები, დიპლომირებული სპეციალისტები და ოფიცრები. მათი ცხოვრების დონე საშუალო მუშის დონეზე გაცილებით უფრო მაღალია; მეხუთეა „თეთრსაყელოიანები“, წვრილი მმართველები, ბუღალტრები, საკანცელარიო მუშაკები და მოსამსახურეები. მათი პრესტიჟი ემყარება იმას, რომ ასეთი თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა გარკვეული განათლება, რითაც ისინი გამოცალკევდებიან მუშათა კლასის რიგებიდან, რომლის განათლება საშუალოდ 4-5 კლასია; მეექვსეა „წარმატებული“ გლეხები, ე. ი. მოწინავე კოლმეურნეობებისა და მეურნეობების მუშაკები, მათ შორის მილიონერ კოლმეურნეობათა, სადაც შრომის შეღავათიანი პირობებია; მეშვიდეა სამუალოდ და მცირედ კვალიფიცირებული მუშები, რომელთა ცხოვრების პირობები ძალზე მოკრძალებულია; მერვეა „გლეხობის სამუალო ფენები“, რომელნიც ძლივს ღებულობენ საარსებო მინიმუმს. მათ გვერდით დგანან ქალაქის

ნაკლებად კვალიფიცირებული მუშები, დაბალი განათლებით, მძიმე შრომით, და მცირე ხელფასით; მეცხრე ადგილი უჭირავს შრომით ბანაკებში მყოფთ. მათ არავითარი უფლებები არ აქონიათ და ფაქტობრივად ანაზღაურების გარეშე მუშაობენ. „ზეკების“ რიცხვი მილიონობით განისაზღვრება. თუ დავაკვირდებით ამ სტრატიფიკაციას, მას სოციალისტური საზოგადოების ბევრი ელემენტი აკლია, ე. ი. მთელ შრომისუნარიან მოსახლეობას არ მოიცავს, მაგალითად მასში ვერ აისახა უმუშევრები, რომელთაც ოფიციალურად „დროებით უმუშეერის“ სტატუსი აქონდათ, მაგრამ ჩვეულებრივი უმუშევრები იყვნენ, ოღონდ დახმარებას ვერ ღებულობდნენ, რადგან უმუშევართა დახმარების სისტემა ჩვენში არ არსებობდა, უმუშევრობის არარსებობის მოტივით. ამკარად უმუშეართა გარდა, ამ ცხრილში არაა ასახული ფარული უმუშევრობის მდგომარეობაში მყოფნი, ისინი, ვინც მუშაობს მისი კვალიფიკაციისთვის დაბალ თანამდებობაზე. ეს ნაკლოვანებანი შეიძლება აიხსნას იმით, რომ აქ სტრატიფიკაციის კრიტერიუმი შეზღუდულია. კომაროვის აზრით: „ინკელსის სოციალური სტრატიფიკაციის სისტემა ორი ძირითადი ტენდენციის გადაკვეთაზე ფორმირდება. პირველი გამოწვეულია ინდუსტრიალიზაციის ობიექტური მოთხოვნით, ხოლო მეორე იდეოლოგიით და პოლიტიკური ძალაუფლებით“ (80, 68).

ინკელსის სტრატიფიკაციიდან პირველი ოთხი ჯგუფი თუ ფენა ელიტურ სტრუქტურას მიეკუთვნება, ისინი მთავრობის ხაზის გამტარებელია, იღებენ დიდ ანაზღაურებას და სარგებლობენ მაღალი სოციალური პრესტიჟით.

13. სოციალური მობილობა

ა. სოციალური სივრცე და სოციალური მობილობა

სოციალური ყოფიერების დახასიათება საჭიროებს მის განზომილებათა შესახებ მსჯელობას. ისე როგორც ყოფიერების არსებობის ძირითადი ფორმები დრო და სივრცეა, სოციალური ყოფიერების არსებობის ძირითადი ფორმებიც სოციალური დრო და სოციალური სივრცეა. ამჯერად სოციალურ მობილობასთან დაკავშირებით ვეაინტერესებს სოციალური სივრცე, ამიტომ მხოლოდ მის თავისებურებებზე შეეჩერდებით. სოციალური სტატუსი განესაზღვრეთ როგორც ინდივიდის ადგილი. ადგილი სივრცისეული ცნებაა, ჯერ კიდევ არისტოტელე განსაზღვრავდა სივრცის მესაბამის ადგილის ცნებას. საკითხი ისმის — რა ადგილზეა ლაპარაკი, როდესაც სოციალურ სივრცეს ვუთითებთ? ადგილი სივრცეში გეომეტრიულად ნიშნავს იმ კოორდინატების განსაზღვრას, რომელშიც ნივთი თუ არსება იმყოფება. თუ ადამიანზეა ლაპარაკი, უნდა განისაზღვროს მისი

ადგილსამყოფელი, მაგრამ სოციალური სტატუსი არ არის ასეთი გეომეტრიულ-სივრცითი ადგილი. მასში ის კი არ იგულისხმება, სად იმყოფება ინდივიდი, — მოსკოესა თუ პარიზში, როგორც გეომეტრიული სივრცის გარკვეულ მონაკვეთში, — არამედ რა ადგილი უჭირავს მას სოციალურ სტრუქტურაში, სოციალურ იერარქიაში. ეს კი ნიშნავს, რომ, როგორც გეომეტრიული სივრცის შემთხვევაში, გარკვეული ათვლის წერტილები უნდა ჰქონდეს მხოლოდ სოციალური ფენომენების სახით, რომელზეც გავზომავთ ინდივიდის სოციალურ ადგილს იერარქიაში. როგორც სტატუსი, ისე მობილობა, სოციალურ სივრცეს გულისხმობს. ადგილი თუ სოციალური პოზიცია, ისე როგორც სოციალური დისტანცია, ყოფნა სოციალური იერარქიის მაღალ თუ დაბალ საფეხურზე — ყოველივე ეს სოციალურ სივრცეს უკავშირდება, რაც თავის მხრივ არსებითად განსხვავებულია გეომეტრიული სივრცისაგან. სოციალური არ არსებობს არა მარტო დროსა და სივრცის, არამედ მოძრაობის გარეშე. მხოლოდ აქაც უნდა განვასხვავოთ ფიზიკური მოძრაობა სოციალური მოძრაობისაგან ანუ მობილობისაგან. სოციალური მოძრაობა ანუ მობილობა მიმდინარეობს სოციალურ სივრცეში. როდესაც ვამბობთ, მეფის მასხარასა და მეფეს შორის დიდი მანძილია, აქ გეომეტრიული მანძილი არ იგულისხმება. კიდევ მეტი, გეომეტრიულად მათ შორის არაა დაშორება. მასხარა მეფეს თან ახლავს ყოველთვის. მაშასადამე, მათ შორის დიდ მანძილში იგულისხმება სოციალური იერარქიის საფეხურებს შორის დაშორება, რამეთუ მეფედან მასხარამდე, ისე როგორც მასხარადან მეფემდე, სოციალური სივრცის დიდი მონაკვეთია გასაველი. თუ ზემოდან ქვემო მიმართულებით ვიმოძრავებთ, მეფის შემდგომი საფეხური იქნება მისი ოჯახის წევრები, შემდეგ სამეფო კარზე თავმოყრილი დიდებულები, შემდეგ მეფის მიერ თანამდებობაზე დასმული პირები, რომლებიც სამეფო კარს ემსახურებიან, შემდეგ თავადები, აზნაურები, სამღვდელოება და ა. შ. თუ ქვემოდან ავყვებით, ასეთსავე მრავალსაფეხურიან იერარქიას მივიღებთ. მაშასადამე, სოციალური სივრცე განსხვავებულია გეომეტრიულისაგან და სოციალური ერთეულები სოციალურ სივრცეში შორდებიან თუ უახლოვდებიან ერთმანეთს, და მათი მოძრაობა სოციალური მობილობაა. გეომეტრიული და სოციალური სივრცის განსხვავება იმითაც გამოიხატება, რომ სოციალურად დაშორებულნი გეომეტრიულად, შესაძლოა, ძალიან ახლოს იყვნენ და, პირიქით, გეომეტრიულად დაშორებულნი სოციალურად შეიძლება ძალიან ახლოს იყვნენ. ინგლისის და ესპანეთის მეფეები გეომეტრიულად დაშორებულნი, მაგრამ სოციალურად იდენტურნი არიან, შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება უცვლელ გეომეტრიულ სივრცეში სოციალურად რადიკალურად შეიცვალოს. რუსეთის პირველი პრეზიდენტი მოსკოვში იყო პრეზიდენტობის დროსაც და ამჟამადაც, როდესაც რეალურად საჩინო ადგილი არ უჭირავს. ეს ნიშნავს, რომ სოციალური სივრცე ეხება

მსოლოდ ადამიანთა სამყაროს, შესაბამისად სოციალური ადგილი, სოციალური დისტანცია, სოციალური გადაადგილება — ყველაფერი ეს ადამიანთა სამყაროსეულია. სადაც ადამიანთა სამყარო არაა, ბუნებრივია, არც სოციალური სივრცე და მისგან წარმოებული რეალობები იქნება. ამიტომ, პიტირიმ სოროკინი სოციალური სივრცის ასეთ განსაზღვრებას გვთავაზობს: „სოციალური სივრცე ის სამყაროა რომელიც შედგება დედამიწის მოსახლეობისაგან... შესაბამისად სოციალურ სივრცეში ადამიანის ან სხვა სოციალური მოვლენის მდგომარეობის განსაზღვრა ნიშნავს, განისაზღვროს მისი (მათი) მიმართება სხვა ადამიანთა და სოციალური მოვლენებისადმი, რომელიც აღებული იქნება ათვლის წერტილებად" (135, 98). ამ თვალსაზრისით, სოციალური დისტანცია გაიზომება სოციალური იერარქიის იმ საფეხურებით, რომელთა ყოფიერება განისაზღვრება საზოგადოებაში აღიარებული და გაბატონებული ღირებულებათა სისტემით. სოციალური ადგილი გაიზომება ათვლის სისტემებთან მიმართებით, რომელთა ვითარება სოციალურ ველში, იქნება ეს ეკონომიკური, ინტელექტუალური, პოლიტიკური, რელიგიური, მნეობრივ-ღირებულებითი თუ სხვა სოციალური ველები, თავისებურად მოპოვებული პოზიციაა ამ ველებთან დაპირისპირებაში ან მათ ათვისებაში. ბურდიეს მტკიცებით, „ფიზიკურად რეალიზებული სოციალური სივრცე ფიზიკურ სივრცეში განაწილებულ დოვლათთა და მომსახურების, ასევე ინდივიდუალურ აგენტთა და ჯგუფთა სხვადასხვა სახეობანია, რომელნიც ლოკალიზებული არიან ფიზიკურად (საცხოვრებელი ადგილი) და აქვთ შესაძლებლობა ამ მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან დოვლათთა თუ მომსახურებათა მითვისების, რაც დამოკიდებულია მათ ხელთ არსებულ კაპიტალზე, ასევე ფიზიკურ დისტანციაზე, რომელიც მათ ამ დოვლათთაგან აშორებს, თავის მხრივ ეს დისტანცია კაპიტალზეა დამოკიდებული". (31, 40). ეს სოციალური დიფერენციაცია იწვევს ფიზიკურ სივრცეში დიფერენციაციასაც (რითაც ვლინდება ფიზიკურ და სოციალურ სივრცეს შორის კაშირი, მაგრამ არა იგივეობა), კერძოდ, ერთ ფიზიკურ სივრცეში მოკალათდება მატერიალურ ღირებულებათა მფლობელები. მთელი უბანი შეიძლება მათ ეკუთვნოდეთ ან რომელიმე ქუჩა; მეორეში მკვიდრდება ქოხმახებში მცხოვრებნი. თუ პირველი არისტოკრატიის თუ ელიტის უბანია, მეორე — მუშათა და ბოგანოთა. მსგავსი დაპირისპირება შეიძლება მოინახოს დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მიმართებაში. როცა დედაქალაქი ინტელექტუალურ და ეკონომიკურ, სოციალურ ველთა მწვერვალებს ფლობს, პროვინცია კი ინტელექტუალურად და ეკონომიკურადაც მეორეხარისხოვანია, თუ მთლად გაუფასურებული არაა. გეომეტრიულ სივრცეში რომც დაირღვევს ეს დაყოფა და სოციალურად დამორებული ჯგუფები ერთ უბანსა თუ ქალაქში ერთმანეთს სივრცობრივად დაუახლოვდნენ, ამით მათ შორის სოციალური დამორებულობა არც წაიშლება

და არც შესუსტდება, რადგან ფიზიკურ სივრცეში სიახლოვე უმნიშვნელოა სოციალური სივრცის თვალსაზრისით. ამიტომ, ბურდიეს თქმით, „საჭეოა რწმენა, თითქოს სოციალურ სივრცეში ძლიერ დაშორებულ აგენტთა შორის სივრცული დაახლოება ან თანაცხოვრება თავისთავად იყოს სოციალური დაახლოების მომენტი. სინამდვილეში არაფერი არაა ისე ერთმანეთისაგან დაშორებული, თანაც აუტანლად, როგორც ერთმანეთისაგან სოციალურად დაშორებული ადამიანები, რომელნიც ფიზიკურ სივრცეში ერთიმეორის გვერდით აღმოჩნდნენ" (31, 47). მაშინაც, როდესაც სულიერად პლებეები მობილობის შედეგად დედაქალაქში სახლდებიან, დადიან მუზეუმებსა და თეატრებში, რათა ამ სოციალურ ველში ეზიარონ სულიერ ღირებულებებს, ეს არ არის იმის მაჩვენებელი, რომ ისინი ითვისებენ ამ ღირებულებებს. ადამიანს უნდა ჰქონდეს არა მარტო ეკონომიკური, არამედ კულტურული კაპიტალიც, რათა ეზიაროს სულიერ ღირებულებებს და შესაძლოა მაშინაც ვერ მოხვდეს რჩეულებში, თუ არაა გაერთიანებული რომელიმე ელიტურ საზოგადოებაში ან კლუბში. ამდენად, გეომეტრიული სივრცე, რომელიც დღევანდელ პირობებში ადვილად გადასალახავია, როგორც სახელმწიფოს, ისე პლანეტის მასშტაბით, არაა მთავარი, მთავარია სოციალური სივრცე და მისით შექმნილი დისტანცია, რომლის გადალახვა გაცილებით ძნელია და საჭიროებს მეტ ძალისხმევას თუ პირობებს, ვიდრე საგრანსპორტო საშუალებანია, რომელნიც ძლევენ გეომეტრიულ, მაგრამ არა სოციალურ დისტანციებს.

სოციალური მობილობის გასარკვევად სოციალური სივრცის მოკლე დახასიათება აუცილებელი იყო, რათა განგვესაზღვრა, რომ აქ სოციალურ მობილობაზეა ლაპარაკი და არა სივრცეში გადაადგილებაზე. ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ველები სხვებთან ერთად განსაზღვრავენ ადამიანის ადგილს საზოგადოებაში. მათთან დაახლოება თუ დაშორება არის იმ პოზიციის მაჩვენებელი, რითაც ადამიანი ყოფიერობს სოციალურ სამყაროში. სოციოლოგიის ამოცანაა, გაარკვიოს ადამიანის სოციალური პოზიცია სოციალურ ველთა სიმრავლეში ანუ სოციალურ სამყაროში იმდენად, რომ ბურდიე შესაძლებლად მიიჩნევს, სოციოლოგია განსაზღვროს როგორც „სოციალური ტოპოლოგია", ე. ი. მოძღვრება ადგილის შესახებ. „პირველ ყოვლისა, სოციოლოგია სოციალური ტოპოლოგიაა. ასე შეიძლება გამოვხატოთ სოციალური სამყარო მრავალგანზომილებიანი სივრცის ფორმაში, რომელიც აგებულია დიფერენციაციის და დანაწილების პრინციპით. ფორმირებულია განსაზღვრულ სოციალურ უნივერსუმში მოქმედ თვისებათა ერთობლიობით, რომელთაც შეუძლიათ, მათ მფლობელს მიანიჭონ ამ უნივერსუმში ძალა და ხელისუფლება. ამრიგად, აგენტები და ჯგუფები ამ სივრცეში მათი შეფარდებითი პოზიციებით განისაზღვრებიან". (31, 55, 56).

ბ) სოციალური მობილობა და სოციალური სტატუსი

სოციალური ცხოვრება არასდროსაა ერთ წერტილზე გაყინული. მას ახასიათებს მუდმივი მოძრაობა-ცვალებადობა, ძველის წარმაელობა, ახლის წარმოშობა. ამ ცვალებადობის მუდმივი თანამგზავრია სოციალურ აგენტთა და სუბიექტთა თუ ჯგუფთა პოზიციების ცვლილებაც, მათი გადაადგილება ერთი პოზიციიდან მეორეზე, რაც 1927 წლიდან, როდესაც პიტირიმ სოროკინმა ამერიკაში პირველი შრომა გამოსცა სათაურით — „სოციალური მობილობა", ამ ტერმინითაა ცნობილი. სოროკინის მტკიცებით, „სოციალურ მობილობაში გაიგება ინდივიდის ან სოციალური ობიექტის (ღირებულების), ე. ი. ყოველივე იმის, რაც შექმნილია და გარდასახულია ადამიანის მოღვაწეობით, გადასვლა ერთი პოზიციიდან მეორეში". (135, 373). ერთ პერიოდში საბჭოთა სოციოლოგებმა სცადეს სოციალური მობილობის ტერმინის შეცვლა სოციალური გადაადგილებით. 1970 წელს მოსკოვში გამოვიდა მ. რუტკევიჩისა და ფ. ფილიპოვის შრომა — „სოციალური გადაადგილებანი", რომლის შესავალში აღნიშნულია, რომ ავტორთა მიერ სათაურად გამოყენებული ტერმინი — „სოციალური გადაადგილება" — საბჭოთა ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული არაა, ამიტომ' უნდა აიხსნას; მანამდე გამოიყენებოდა „სოციალური მობილობა" და „სოციალური მოძრაობა", მაგრამ მათთან და განსაკუთრებით სოციალურ მობილობასთან შედარებით „სოციალურ გადაადგილებებს", ავტორების აზრით, რამდენიმე უპირატესობა აქვს: 1. მეცნიერულ ტერმინებს მოეთხოვება სიზუსტე და უფრო ზუსტი სოციალური გადაადგილებაა. ამის დასასაბუთებლად განიხილავენ სოციალურის ორ მნიშვნელობას — ფართო აზრით, როგორც საზოგადოების სინონიმს და ვიწრო აზრით, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაკუთრებულ სფეროს. ეს ვიწრო გაგება სოციალურ გადაადგილებათა მიმართ ისეთივე მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ, როგორც სოციალური სტრუქტურის მიმართ, რადგან გადაადგილება ამ სტრუქტურის ჩარჩოებში შეისწავლება. ავტორების აზრით, სოციალურ სტრუქტურაში პროფესიონალური სტრუქტურა მთლიანად არ შედის. ამიტომ სოციალური გადაადგილება გამოიყენება კლასობრივ ცვლილებათა მიმართ. მაშასადამე, ტერმინი — „სოციალური" არ იქნება საზოგადოების იგივეობრივი და არც შრომის მიხედვით ჯგუფებად დაყოფა, არამედ გამოხატავს სოციალურ-კლასობრივსა თუ სოციალურ-ფენობრივს. მობილობა შეუძლებელია მოაზრებულ იქნეს სტაბილურობის გარეშე. ამას კი უფრო ზოგადად გამოხატავს ცვალებადობა-მდგრადობის დაპირისპირება. სოციალური მობილობა მოიცავს სოციალურ სტრუქტურაში ყოველგვარ ცვლილებას, მათ შორის მუშათა კლასისა და გლეხობის დაახლოებასაც, მამინ როდესაც სოციალური მობილობა, როგორც სოციალური გადაადგილების ანალოგი, არ მოიცავს სო-

ციალური სტრუქტურის ამგვარ ცვლილებებს, პირიქით, მოწოდებულია, ამ ურთიერთობათა განსაკუთრებული სახე გამოხატოს — ინდივიდის და ოჯახთა გადაადგილება სოციალური სტრუქტურის ერთი რგოლიდან მეორეში. შაშასადამე, სოციალურ მობილობას აქვს უფრო მოგადი მნიშვნელობა, ვიდრე საჭიროა. „ამიტომ ტერმინი — სოციალური გადაადგილებანი — უფრო ზუსტად გვესახება, ვიდრე სოციალური მობილობა ან სოციალური მოძრაობა, რადგან გადაადგილების ცნებაში არის უშუალო და პირდაპირი მითითება შესასწავლი პროცესის სპეციფიკაზე" (117, 5).

ტერმინ „სოციალური მობილობის" წინააღმდეგ მეორე მოსაზრება ავტორებს იდეოლოგიური მოტივებით აქვთ წარმოდგენილი. ბურჟუაზიული სოციოლოგიიდან მარქსისტულში შეიძლება გადმოტანილ იქნეს მხოლოდ ის ტერმინები, რომლებიც მათემატიკისა და სტატისტიკის სფეროშია, რამდენადაც მათ „იდეოლოგიური ნეიტრალობა" ახასიათებთ. სხვა სოციოლოგიური ტერმინები და ცნებები არ უნდა იყოს საერთო მარქსისტულ და არამარქსისტულ სოციოლოგიას შორის. „ჩვენს დროში არავითარი აუცილებლობა არაა, მარქსისტულ ლიტერატურაში გადმოტანილ იქნეს ტ. პარსონსისა და რ. მერტონის, ასევე სოციალური მოქმედების თეორიის სხვა მიმდევართა მიერ შექმნილი ტერმინოლოგია. ეს ტერმინოლოგია მყარადაა მიმაგრებული მათ ამოსავალ არასწორ კონცეფციაზე". (117, 8). ავტორთა მესამე მოსაზრება შემდეგში მდგომარეობს: „ბურჟუაზიული სოციოლოგიის მიერ წამოყენებულ ზოგიერთ ცნებას გარკვეული რეალური შინაარსი აქვს, მაგრამ ის გაყალბებულია მცდარ ზოგადთეორიულ კონცეფციასთან გარდუვალი კავშირით. სწორედ ასეთი ვითარებაა „სოციალური მობილობის" ცნების შემთხვევაშიც. ეს ცნება პიტირიმ სოროკინთან და მის შემდეგ ლიპსეტთან, ბენდიქსთან, გლასთან და დასავლეთის სხვა სოციოლოგებთან დაკავშირებულია სოციალური სტრუქტურის განსაზღვრულ კონცეფციასთან, როგორც განსხვავებული ფენებისაგან (სტრატებისაგან) შემდგარისა და ამით სტრატებზე დაყოფის განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. ეს კონცეფციები უფრო ხშირად ცნობიერად და ზოგჯერ არაცნობიერად უპირისპირდება კლასების მარქსისტულ თეორიას" (117, 9). ამავე დროს, ავტორები ცდილობენ, ამ კონცეფციას მიანიჭონ გარკვეული დადებითი მნიშვნელობა. როგორც ჩანს, ავტორთა მოსაზრებანი მეცნიერულის გარეთა სფეროდანაა და იქაც, სადაც თეორიულის მსგავსი არგუმენტი აქვთ, არ არის განმტკიცებული ფაქტებით. ამიტომ დღევანდელმა სოციოლოგიამ უარი თქვა აღნიშნულ მოსაზრებათა საფუძველზე „სოციალური მობილობის" უარყოფაზე და „სოციალური მობილობის" ტერმინი თავის პოზიციებს ინარჩუნებს. „სოციალურ მობილობაში გაიგება ინდივიდის ან სოციალური ობიექტის, ე. ი. ყოველივე იმის, რაც ადამიანის მოღვაწეობით შექმნილი და გარდასახულია, გადასვლა ერთი პოზიცი-

იდან მეორეში". (135, 373). თუ სოციალური პოზიცია პიროვნებისა და ჯგუფის ადგილია სოციალურ სივრცეში, ამ სოციალური ადგილის მონაცელეობა არის სოციალური მობილობა. ამრიგად, სოციალური მობილობა მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ და არა ფიზიკურ სივრცეში ადგილის ცვლილებაა. ფიზიკური სივრცის მიმართ ეიოარებას აქ არა აქვს მნიშვნელობა. თუ ფიზიკურ სივრცეში მოძრაობა შეიძლება იყოს ჰორიზონტალური და ვერტიკალური, სოციალურ ცვლილებასაც ასასიათებს ასეთი პარამეტრები — ის არსებითად ორი მიმართულებისაა — ჰორიზონტალური და ვერტიკალური. „ჰორიზონტალურ სოციალურ მობილობაში იგულისხმება ინდივიდის ან სოციალური ობიექტის გადასვლა ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში, რომლებიც ერთსა და იმავე დონეზე მდებარეობენ" (135, 373). ვერტიკალურ სოციალურ მობილობაში იგულისხმება ის ურთიერთობანი, რომლებიც აღმოცენდება ინდივიდის ან სოციალური ობიექტის ერთი ფენიდან მეორეში გადასვლისას და როდესაც იცვლება მათი სოციალური პოზიცია. ამ ცვლილებას სივრცითი ცვლილება შეიძლება ახლდეს და შესაძლოა არც ახლდეს, მთავარია, იცვლება ადამიანის სოციალური მდგომარეობა, მისი სტატუსი და როლები. ადამიანის სოციალური მდგომარეობა რომ ვიცოდეთ, უნდა გავიგოთ მისი გარკვეული მახასიათებლები, ოჯახური მდგომარეობა, თანამდებობა, ქონება, პრესტიჟი, წარმოშობა, რწმენა, პოლიტიკური კულტურა, ეროვნება და სხვა. თუ ადამიანები ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და იდენტურ ფუნქციებს ასრულებენ, მათ ერთი სოციალური პოზიცია აქვთ. თუ განსხვავებულ ჯგუფებს ეკუთვნიან და სხვადასხვა როლებს ასრულებენ, მათი სოციალური მდგომარეობაც განსხვავებულია. სოციალური ადგილის, სტატუსის, დისტანციის განსაზღვრისთვის გამოყენებული სოციალური კრიტერიუმები განსხვავებულია ფსიქოლოგების მიერ გამოყენებული ფსიქიკური კრიტერიუმებისაგან — სიმპათია, ანტიპათია, სიყვარული, სიძულვილი და სხვა. სოციოლოგიის კრიტერიუმები ობიექტურია, ფსიქოლოგიისა — სუბიექტური. „სოციალური მობილობის სუბიექტები შეიძლება იყოს არა მარტო ინდივიდები, არამედ სოციალური ჯგუფები, ფენები, კასტები, კლასები, ერები, და რასებიც კი. მხოლოდ ინდივიდის განზომილებაში საკითხის დაყენება ვიწრო ჰორიზონტისაა. როდესაც ფელდფებელი გახდა რაიხსკანცლერი, ინდივიდის გადაადგილებასთან გვქონდა საქმე, მაგრამ სოციალური რევოლუციები უცელის პოზიციას კლასებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მუშათა კლასის გაბატონება ნიშნავდეს ყველა მუშის ბატონობას ან კიდევ, გაბატონებულთ შორის არ იყვნენ ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის წრიდან გამოსულები. პროლეტარიატის წრეებშიც ჩნდებიან გაბურჟუებული მუშები. მიხელსის მტკიცებით, „მუშა-სოციალისტის „ფიზიკური შრომიდან" „გონებრივზე" გადასელასთან დაკავ-

მირებულია მეორე პროცესიც, რომელიც მთელს მის არსებას გადასახავს — მუშა თანდათან წყვეტს პროლეტარად ყოფნას და გადაიქცევა წვრილ ბურჟუად... თანამედროვე მუშებისთვის მუშათა მოძრაობას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც კათოლიკურ ეკლესიას წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის გარკვეული ფენებისათვის. ერთიც და მეორეც სოციალური წინსვლის საშუალებაა გარკვეული განათლებული წრეებისათვის, რომლის ეკვივალენტი ყველა დანარჩენ პროფესიაში მდიდარი არისტოკრატიული წოდებების პრივილეგიად რჩება" (97, N 13, გვ. 47). საკითხი ისმის, რა ცელილებები შეაქვს სოციალურ მობილობას პიროვნებისა და ჯგუფთა ვითარებაში და რომელ საზოგადოებაშია სოციალური მობილობა უფრო ნიშნადი? — ინდუსტრიამდელი აგრარული საზოგადოება ნაკლებად ხასიათდება სოციალური მობილობით, რადგან ამ საზოგადოებაში ადამიანთა სოციალური სტატუსი თავიდანვე განსაზღვრულია წოდებრივ-კლასობრივი იერარქიით. ასეთ საზოგადოებაში ადამიანის მომავალ მდგომარეობას განსაზღვრავს მისი წინაპრების სტატუსი. მეფის შვილი მეფე უნდა იყოს, ყმის შვილი — ყმა, საეკლესიო მსახურისა — ეკლესიის მსახური და ეს სტატუსებრივი უძრაობა იშვიათად ირღვევა.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში მდგომარეობა არსებითად იცელება. მის პირველ ეტაპზე განმსაზღვრელი ხდება არა წოდებრივი კუთვნილება, არამედ საკუთრება, რომელიც უბრუნველყოფს პრესტიჟს. მეორე საფეხურზე (პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში) საკუთრებაც არაა სოციალური სტატუსისა და პრესტიჟის განმსაზღვრელი. ყოველ შემთხვევაში, ის ერთადერთიდან ერთ-ერთად იქცევა. ამ საზოგადოებაში განმსაზღვრელია განათლება და დახელოვნება. ინდუსტრიული საზოგადოების პირველ საფეხურზე ადამიანებმა მიიღეს ეკონომიკური თავისუფლება, შემდეგ პოლიტიკური და სოციალური, რამაც შექმნა შესაძლებლობა, ამოსავალი წერტილი ყველა ადამიანისთვის იყოს ერთნაირი და სტატუსი იქმნება მათი მოღვაწეობის შედეგად. ეს ნიშნავს, რომ სოციალური სტატუსი და პრესტიჟი განისაზღვრება პიროვნების უნარებით, განათლებით, დახელოვნებით და არა წარმოშობით ან საკუთრებით. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაშიც, ისე, როგორც წინარეშიც, მართვა პრესტიჟულია, პოლიტიკური მმართველი კი უმაღლესი ელიტაა, მაგრამ არც წარმოების მართვა და არც პოლიტიკური მმართველობა არ ეძლევა ადამიანს წარმოშობის გამო. ეს მან უნდა მოიპოვოს თავისი მოღვაწეობით, თანაც ყოველ თაობას თავიდან უხდება პოზიციების დასაპყრობად და მოსაპოვებლად ბრძოლა. ასეთ ვითარებაში მობილობა მასობრივ ხასიათს ღებულობს, განსხვავებით აგრარული საზოგადოებისაგან, რომელშიც სოციალურ მობილობას გამონაკლისის ხასიათი ჰქონდა. მეფეს გლეხისთვის აზნაურობა ან თავადობა რომ ებოძებინა, გლეხს არაჩვეუ-

ლებრივი გმირობა უნდა ჩაედინა, ომის ან სტიქიური უბედურების შემთხვევაში, დიდი ღვაწლი უნდა დაედო მეფის ოჯახის თუ საშობლოსათვის. სხვა შემთხვევაში სტაბილური იყო სოციალური იერარქია. ინდუსტრიულ საზოგადოებაში კი სოციალური იერარქია არასტაბილურია, ცვალებადია. იერარქია კი არ გამქრალა, მაგრამ ყოველთვის ახალი პიროვნებანი აესებენ ლეგიტიმური თუ არალეგიტიმური გზებით. ამ საზოგადოების ელიტა ჰგავს ავტობუსის მგზავრებს, რომლებიც სისტემატურად განახლდებიან. ამას საარჩევნო კანონმდებლობაც უწყობს ხელს, რომელიც შესაძლო არჩეულთა რიცხვის ლიმიტირებას ახდენს. ამ უკანასკნელს კი განსაზღვრავს ადამიანთა უნარები, რომლებიც განსხვავებულია სხვადასხვა ადამიანებში და ამიტომ იქმნება შესაძლებლობა, სოციალური მობილობა იყოს განმსაზღვრელი და ბუნებრივი ვითარება პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის. აღნიშნული იყო, რომ სოციალური მობილობა ორი ფორმით ელინდება — ვერტიკალური და ჰორიზონტალური. მათ შორის განსხვავება, პირველ რიგში, მიმართულებაშია — ვერტიკალური მიმართულების მქონეა, ის ან ზევით მიემართება ან ქვევით. ამდენად რანჟირებას ექვემდებარება. რაც შეეხება ჰორიზონტალურს, ის წრფივზე მდებარეობს და არავითარ რანჟირებას არ ექვემდებარება. ვერტიკალურ მობილობას ორი განზომილება აქვს — ერთი ქვემოდან შუმოთ მიემართება, ე. ი. დაბლიდან მაღალი რანგისაკენ, როდესაც პერიფერიიდან წარმოების ხელმძღვანელი გადაყავთ მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ, აქ აღმასვლა განსაკუთრებული ფორმისაა. ის ნახტომისებურია, რადგან სოციალური იერარქიის რამდენიმე საფეხური გამოტოვებულია და ადგილობრივი რგოლის ხელმძღვანელიდან მიიღება რესპუბლიკის ხელმძღვანელი. მეორე შემთხვევაში აღმასვლას აქვს თანდათანობითი ხასიათი, მაგ. მოწინავე მუშა გადაყავთ ბრიგადირად, შემდგომ საამქროს უფროსად, შემდეგ წარმოების უფროსად, დარგის ხელმძღვანელად, შემდეგ სახელმწიფოს ხელმძღვანელის მოადგილედ და ბოლოს შესაძლოა — რესპუბლიკის ხელმძღვანელადაც. განსხვავება ნახტომისებურობასა და თანდათანობაშია. ასეთივე ხასიათი შეიძლება ჰქონდეს ვერტიკალურ მობილობას დაღმავლობის პროცესშიც. შეიძლება დაღმაელობა განხორციელდეს ნახტომისებურად. მაგ., სახელმწიფოს მეთაური გადაგრიალების შედეგად, დამნაშავედ ცხადდება და ისჯება ან კიდევ სახელმწიფოს მეთაურს დააქვეითებენ რიგით საქმიანობაზე. შეიძლება აღსაგრძელთა რიგშიც მოაქციონ, როგორც ჩინეთში, კომუნისტების სათავეში მოსვლის შემდეგ ჩინეთის იმპერატორი „არ დაუსჯიათ" და გამოაცხადეს, რომ ის უნდა აღიზარდოს ახალი სულისკვეთებით. ნახტომისებური დაღმაელობის გვერდით არსებობს თანდათანობითიც, როცა უმაღლესი თანამდებობიდან გადაყავთ დარგის ხელმძღვანელად, შემდეგ დარგის საწარმოს ხელმძღვ-

ანელად და ა. შ.

ჰორიზონტალურ მობილობას არც აღზეევება ახასიათებს და არც დაცემა, რადგან ჰორიზონტალური მობილობა ნიშნავს ადგილის შეცვლას სტატუსისა და პრესტიჟის შეცვლის გარეშე. როდესაც ერთი საწარმოდან მეორე იმავე ტიპის ან განსხვავებულ საწარმოში გადადის, დავუშვათ, კულტურის სამინისტროს ბუღალტერი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბუღალტრად. ორივე სახის მობილობა შეიძლება იყოს დაკავშირებული სივრცულ ცვლილებასთან, მაგრამ შეიძლება მის გარეშეც ხორციელდებოდეს. მთავარია, რომ ვერტიკალური მობილობა იწვევს სოციალურ ცვლილებას, რომელიც მოიცავს სტატუსს, როლს, პრესტიჟს, ხოლო ჰორიზონტალური მობილობა მოკლებულია ასეთი ცვლილების ხასიათს.

ზემოთ აღნიშნული იყო სოციალური მობილობის მხრივ განსხვავება აგრარულ და ინდუსტრიულ საზოგადოებას შორის. ძირითადად ეს ეხებოდა ცვალებადობის ინტენსივობას, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ არსებობდეს საზოგადოება სოციალური მობილობისა და რანჟირების გარეშე, აბსოლუტურად თანასწორთა საზოგადოებას არ უარსებია. მასზე ბევრი ოცნებობდა, მაგრამ იგი ვერავინ განასორციელა. სოციალური რანჟირება და მობილობა ყველა საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. პიტირიმ სოროკინი მას ავრცელებს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზეც. მთავარია, რომ სოციალური მობილობა საყოველთაოა ყველა სფეროსა და საზოგადოებაში. სტრატიფიკაციის გარეშე არც ერთი საზოგადოება არ წარმოიდგინება. „ყოველი ორგანიზებული სოციალური ჯგუფი სოციალურად ყოველთვის სტრატიფიცირებულია. არ არსებობდა და არ არსებობს არცერთი მუდმივი სოციალური ჯგუფი, რომელიც იქნებოდა „ბრტყელი" და რომელშიც ყოველი მისი წევრი თანაბარი იქნებოდა. საზოგადოებანი დანაწევრების გარეშე მის წევრთა რეალური თანასწორობით — მითია, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არასოდეს გამხდარა რეალობა". (135, 304). სოციალური მობილობა ეხება სოციალური ყოფიერების ყველა ასპექტსა და სფეროს და არ შეიძლება მისი შემოხაზვა ზოგიერთი სფეროთი, როგორც ამას აკეთებს პიტირიმ სოროკინი. იგი აღიარებს სოციალური სტრატიფიკაციის სამ ფორმას: ეკონომიკურს, პოლიტიკურს და პროფესიონალურს, შესაბამისად მობილობაც სამი სფეროთი უნდა შემოვფარგლოთ. ეს არ უნდა იყოს მართებული, რადგან სტრატიფიკაციის, და შესაბამისად მობილობის, სფეროდ შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის კულტურული დონის სფერო და კიდევ სხვა მაჩვენებლებიც.

სოციალური ყოფიერების სუბიექტთა სფეროზე გავრცელების თვალსაზრისით, სოციალური მობილობის ორ ძირითად ფორმას განასხვავებენ: თაობათა შიდა და თაობათაშორის მობილობას. თაობათა შიდა

მობილობა ნიშნავს სოციალური სტატუსის ცვლილებას ერთი თაობის შიგნით და ესება მხოლოდ ამ თაობას. როდესაც ინდივიდი ან სოციალური ჯგუფი აღწევს სოციალური სტატუსის შეცვლას, მაგრამ ისე, რომ ეს სტატუსი არ გადადის შემდგომ თაობაზე. თუ ადამიანმა დემოკრატიულ საზოგადოებაში პრეზიდენტობას მიაღწია, ეს არ ნიშნავს, რომ მისი წინაპრებიც იყვნენ პრეზიდენტები, ან კიდევ შემდეგი თაობები მიიღებენ პრეზიდენტობას ამ აქტის ძალით. ეს სტატუსი მის მიერ მიღწეულია მისი ცხოვრების გარკვეული მონაკვეთისათვის და შეზღუდულია საარჩევნო ვადებით, ისე როგორც არჩევანის ორჯერ თუ სამჯერ შესაძლებლობითაც. თუ აშშ პრეზიდენტს ირჩევენ ოთხი წლით, საფრანგეთისას შვიდი წლით, ვინც ამას აღწევს, მას ეს სტატუსი ეკუთვნის შესაბამის დროში, შემდეგ კვლავ უნდა იბრძოლოს ამ სტატუსისათვის. თუ ადამიანმა იმას მიაღწია, რომ იგი გახდა მკურნალი, მას ეს სტატუსი მთელი სიცოცხლის მანძილზე აქვს უზრუნველყოფილი, მაგრამ იგი არ ვრცელდება შემდგომ თაობებზე. თუ მათ ასეთი სურვილი ექნებათ, თვითონ მოუწევთ ბრძოლა ამ სტატუსისათვის. მაგრამ არის სოციალური სტატუსი, რომელიც მემკვიდრეობითია და თაობებს გადაეცემა. ეს თაობათაშორისი სტატუსია. ასეთი იყო ბაგრატიონების დინასტია საქართველოში, რომანოვებისა — რუსეთში.

X მობილობის ტიპოლოგია შესაძლებელია სოციალური ყოფიერების ფორმების მიხედვით, მაგრამ შეიძლება — სუბიექტების მიხედვითაც. სტრატიფიკაციაც და მობილობაც მოიცავს ინდივიდებს, ჯგუფებს, ფენებს, ერებს და რასებსაც კი. უკანასკნელ დროს დამკვიდრდა პიროვნების ცხოვრებისეული გზის მობილობის შესწავლა, რასაც ბიოგრაფიული მობილობა ეწოდება. საზოგადოების სისტემატური დახასიათებისათვის, იმის განსასაზღვრავად — საზოგადოება დემოკრატიულია თუ ტოტალიტარული, ღიაა თუ დახურული, ტრადიციულია თუ ანომიური, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სოციალური მობილობის შესწავლა. ცნობილია, რომ ბეკერი საზოგადოების კლასიფიკაციის კრიტერიუმად იყენებდა სოციალური ცვლილების თუ სოციალური სტაბილურობისადმი მათი მიდრეკილების მაჩვენებლებს. იგი საზოგადოებას ყოფდა საღეთოდ და საეროდ. „სოციალური ცვლილების მიღება თუ მისი დაწყებისთვის მზადყოფნა ან სურვილის არქონა ვვაძლევს იმის აგების ძირითად ხაზს, რასაც შეიძლება ეწოდოს საღეთო-საერო სკალა, ანუ კონტინუუმი. ყოველგვარი საზოგადოება ან მისი ნაწილი, რომელიც თავის წევრებს ამცნობს ან მათგან მოითხოვს შეფასებებს, რომელთა შეცვლა მხოლოდ განსაზღვრული წინააღმდეგობის შემთხვევაშია შესაძლებელი, საღეთო საზოგადოებაა — ეს შეკვეცილი ტერმინია იმ საზოგადოების აღსანიშნავად, რომელსაც ზემოაღნიშნული წინააღმდეგობისადმი მიდრეკილების მქონე კულტურული სისტემა აქვს. და პირიქით, ყოველი საზოგადოე-

ბა ან მისი ნაწილი, რომელიც ამცნობს ან მოითხოვს თავის წევრთაგან ცვალებადობისადმი აშკარად გამოხატულ მზადყოფნას, საერო საზოგადოებაა“ (26, 167). საქმე ისაა, რომ საზოგადოება განიხილება როგორც ადამიანთა, ღირებულებათა, და შეფასებათა ერთობლიობა მათ თანმხლებ მოვლენებთან ერთად და საზოგადოების არსებაში ორიენტირება ხდება იმის მიხედვით, რა არის მისთვის ღირებული და რა შეფასებები აქვს მას სოციალური სუბიექტების, მათი ქცევის და სოციალური გარემოს მიმართ. ღირებულებანი და ღირებულებათა სისტემა რომ მთელ სოციალურ სამყაროს მოიცავს, ამას ადასტურებს ღირებულებისა და შეფასების ბეკერისეული დახასიათება. „ღირებულება ყოველი ობიექტის და ყოველი მოთხოვნილების სახით ცოდნის — სურვილის — ნორმირების შედეგია, რაც ვიცით, ის ღირებულებაა, რაც ისურვება — ღირებულებაა, რაც ინორმება — ისიც ღირებულებაა. ამის მსგავსად „შეფასება“ უნდა აღნიშნავდეს ადამიანის ყოველგვარ მოღვაწეობას, რომელიც ღირებულებებს განსაზღვრავს მოთხოვნილებებით, და პირიქით“ (26, 167). ადამიანისთვის განმსაზღვრელი სოციალური სტატუსის მიღწევადობა-მიუღწევადობა, ან შეძენილობა თუ თანდაყოლილობა, რომელიც სოციალურ მობილობას და სტაბილურობას გამოხატავს, არსებითი განზომილებაა საზოგადოების დახასიათებისათვის. მაშასადამე, სოციალური მობილობა, უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე სოციალური სტრატიფიკაციის ინდიკატორად ყოფნა. საინტერესო და ყურადსაღებია პიტირიმ სოროკინის, მიხელსისა და სხვათა გამოკვლევებზე დამყარებული მცდელობა, აჩვენოს, რომ პოლიტიკური სტრატიფიკაცია თანამედროვე საზოგადოების მაღალი მობილობის პირობებშიც არანაკლებია რანჟირებით, ვიდრე წარსულის ნაკლებად მობილურ საზოგადოებებში. პიტირიმ სოროკინი ამის დასაბუთებას ახდენს უამრავი ემპირიული გამოკვლევის საფუძველზე. იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, რომ დროთა მსვლელობაში პოლიტიკური იერარქია უფრო დაბალი ხდება, როგორც პირამიდა, ხოლო პოლიტიკური კონუსი უფრო ბრტყელი, სოროკინი აჩვენებს, რომ ეს ასე არ არის, რომ დემოკრატიული საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანაში — აშშ-ში „პრეზიდენტს აშკარად უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ევროპის კონსტიტუციურ მონარქს“. სოროკინის აზრით, დემოკრატიული გარდაქმნები „სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თანამედროვე დემოკრატიის პოლიტიკური ნაგებობა უფრო ბრტყელია ან ნაკლებ სტრატიფიცირებულია, ვიდრე ბევრი არადემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკური ნაგებობა“. „რაც შეეხება მოქალაქეთა შორის პოლიტიკურ იერარქიას, პოლიტიკურ ევოლუციაში მე ვერ ვხედავ კონუსის დადაბლების ან გაბრტყელების ვერავითარ ტენდენციას“. თანამედროვე დემოკრატიებში უმაღლეს ფენათა შევსების სხვადასხვა მეთოდების მიუხედავად, პოლიტიკური კონუსი ამჟამად

ისე მაღალი და სტრატიფიცირებულია, როგორც ისტორიულ წარსულმ
ყოველ სხვა დროს. „რასაკვირველია, ის უფრო მაღალია, ვიდრე მრავალ
ნაკლებადგანვითარებულ საზოგადოებებში... არ მინდა ცუდად გამიგონ.
იმას კი არ ვამტკიცებ, რომ არსებობს პოლიტიკური იერარქიის ამაღ-
ლების საპირისპირო მუდმივი ტენდენცია. ეს არაფრით დასტურდება.
ყოველივე ის, რასაც ვხედავთ, ესაა „მოუწესრიგებელი", წარუმართავი,
„ბრმა" მერყეობა, რომელსაც არ მივყავართ პოლიტიკური სტრატიფიკაცი-
ის არც მუდმივ გაძლიერებამდე და არც შესუსტებამდე" (135, 336). ამ
წანამძღვრიდან ამოსვლით სოროკინი უარყოფს პიპოთეზას პოლ-
ტიკური უთანასწორობისა და სტრატიფიკაციის მოსპობის შესახებ. უარყ-
ოფს მონობის კვდომის თეორიას, ამტკიცებს, რომ სოციალური დისტან-
ცია უდაბლესი ფენიდან დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიან მოქალაქემ-
დე არაა უფრო მოკლე, ვიდრე მონიდან რომის მ.ოქალაქემდე. კოლონი-
ის დაბალი ფენები და პატიმრები არაფრით განსხვავდებიან მონებისა-
გან. სამხედრო ტყვეებს ღღეს უფრო ცუდად ეპყრობიან, ვიდრე ანტი-
კურობაში. სოროკინის აზრით, არაა სწორი არც ერთი კანონი, რომელ-
იც დაადგინეს როგორც ისტორიულის გამომხატველი, თითქოს ხდება
გადასვლა მონარქიიდან რესპუბლიკაზე, თეითმპყრობელობიდან
დემოკრატიაზე, უმცირესობიდან უმრავლესობის მართვაზე, პოლიტიკური
უთანასწორობიდან — თანასწორობაზე და ა. შ. ისტორიაში მოქმედებს
არა პროგრესის, არამედ ციკლური განვითარების კანონი. ამიტომ მოხ-
და, რომ საბერძნეთი მონარქიიდან რესპუბლიკაზე გადასვლის შემდეგ
კვლავ მონარქიას დაუბრუნდა. ისტორიაში მონარქია და რესპუბლიკა
რიგრიგობით ცელიან ერთმანეთს და რაიმე მიმართულებას არ
აჩვენებენ — მამინაც, როდესაც საზოგადოებას უმრავლესობის სახელით
მართავენ, ფაქტობრივად, კვლავ უმცირესობა მართავს. ამის დასასაბუთ-
ებლად მოჰყავს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ელექ-
ტორატის პასიურობის მაჩვენებელი ცხრილები. პოლიტიკური სტრატი-
ფიკაციაც განიცდის ფლუქტუაციას, მაგრამ მიმართულების გარეშე.

სოციალური მობილობის კვლევის მრავალი მეთოდი არსებობს —
ვისკონსის, ფრეიმანის, მარკოვის, ცეტენბერგის და სხვა. მათ ემატება
ფაქტორული ანალიზი, როდესაც ინდიკატორად შეიძლება გამოყენებ-
ულ იქნეს ყოველგვარი მაჩვენებელი, სქესი, ეროვნება, რასა, განათლებ-
ისა და კულტურის დონე, ქონება, პრესტიჟი, კვალიფიკაცია, თანამდებობა
და ყოველივე სხვა, რაც გავლენას ახდენს სუბიექტის სოციალურ სტა-
ტუსზე.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ასათიანი გ., საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, თბილისი, 1984.
2. ბექაია მ., ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები, თბილისი, 1981.
3. ბიბლია, თბილისი, 1985.
4. გორდელაძე კ., ორგანიცისტული მიმართულება სოციოლოგიაში, თბილისი, 1985.
5. დოსტოევსკი თ., მკვდარი სახლის ჩანაწერები, თბილისი, 1972.
6. დოსტოევსკი თ., დანაშაული და სასჯელი, თბილისი, 1984.
7. ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 11, თბილისი, 1950.
8. კანტი ი., წმინდა გონების კრიტიკა, თბილისი, 1983.
9. ლაო-ძი, ლაო დე ძინი, თბილისი, 1983.
10. ლოგუა გ., ოჯახის სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის საკითხისათვის. სოციოლოგიური გამოკვლევები, ტ. 11, თბ., 1976.
11. ლოსევი ა., წიგნიდან ანტიკური ესთეტიკის ისტორია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1983, 9 დეკემბერი.
12. მიულერი, გ., მაფია ჩვიდმეტფუსა რვაფუსა გაეროს კლასიფიკაციით, „დილის გაზეთი", 1997, 22 მაისი.
13. პლატონი, ნადიმი, თბილისი, 1979.
14. ტოლსტოი ლ., აღდგომა, თბილისი, 1974.
15. შექსპირი უ., როგორც გენებოთ. შექსპირის თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბილისი, 1987.
16. წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თბილისი, 1990;
17. წულაძე გ., შობადობის სოციოლოგიის საკითხები, თბილისი, 1980.
18. ხამურაბის კანონები, თბილისი, 1988.
19. Американская социология, М., 1972.
20. Амвросов А., От классовой дифференциации к социальной однородности общества, М., 1972.
21. Анонимные атеистические трактаты, М.,1969.
22. Антипов Г. А., Кочергин А. Н. Проблемы методологии исследования общества как целостной системы, Новосибирск,1988.
23. Античная литература, М., 1968.
24. Арон Р. Этапы развития социологической мысли, М.,1993.
25. Бауман З. Философские связи и влечения постмодернистской социологии. Вопросы социологии, 1992, .№ 2.

26. Беккер Г. и Босков А. Современная социологическая теория, М., 1962.

27. Белл Ф. Мятеж против современности, Социологические исследования, М., 1989, № 5.

28. Берте Д. и Берте В. Семейное владение и семья, Социологические исследования, 1992, № 12.

29. Блумер Г. Общество как символическая интеракция, Современная зарубежная социальная психология, тексты, М., 1984.

30. Бруно А. К вопросу о происхождении семьи. Новые идеи в социологии, Сб., 4.

31. Бурдье П., Социальное пространство и генезис классов. Вопросы социологии, 1992, №1.

32. Бурдье П. Университетская докса и творчество против схоластических делений, Socio-logos, М., 1996.

33. Бурдье П., Социология политики, М., 1993.

34. Васильев К. Любовь, М., 1982.

35. Васильева Э.К., Семья и ее функции, М., 1975.

36. Вебер М., Избранные произведения, М., 1990.

37. Вебер М., Избранное, Образ общества, М., 1994.

38. Вебер М., Основные понятия стратификации, Социологические исследования, 1994, № 5.

39. Веселовский Б., Расслоение общества по критерию престижа, Studia filozofizhc, 1958, № 5.

40. Витаньи И., Общество, культура, социология, М., 1984.

41. Волков А. Г., Семья – объект демографии, М., 1986.

42. Вольфсон С.Я., Социология брака и семьи, Минск, 1929.

43. Вопросы марксистской социологии, Ленинград, 1962.

44. Вопросы социологии искусства, М.,1979.

45. Восленский М., Номенклатура, Новый мир, 1990, № 6.

46. Вятр Ежи, Социология политических отношений, М., 1979.

47. Гаджиев К. С., Концепция гражданского общества. Вопросы философии, 1991, № 7.

48. Гайденко П. П., Давыдов Ю. Н., История и рациональность, М., 1991.

49. Гегель Г.В., Философия права, М., 1990.

50. Гидденс Э., Пол, патриархат и развитие капитализма. Социологические исследования, 1992, № 7.

51. Гидденс Э., Стратификация и социальная структура, Социологические исследования, 1992, № 9, 10, 11.

52. Гидденс Э., Социология, Социологические исследования, 1994, № 2.

53. Голод С.И., Стабильность семьи, Ленинград, 1984.

54. Городские средние слои современного капиталистического общества, М., 1963.

55. Грачева В.И., Супруги, родители, дети. М., 1988.

56. Гуд Уильям, Женщина в разводе, М., 1983 (на правах рукописи).

57. Гулыга А., Что такое постсовременность. Опыты, литературно-философский ежегодник, М., 1990.

58. Гэлбрайт Дж.К., Жизнь в наше время, М., 1986.

59. Гэлбрайт Дж.К., Новое индустриальное общество, М.,1989.

60. Гюйо Жан-Мари, Искусство с социологической точки зрения, Мир Божий, 1895, № 2.

61. Давыдов Ю.Н., Искусство как социологический феномен, М., 1968.

62. Дарендорф Р., Элементы теории социального конфликта, Социологические исследования, 1994,№5.

63. Демографический энциклопедический словарь, М., 1985.

64. Дмитриевский В. Н., О конкретно социологическом изучении театрального зрителя, Театр и драматургия, Ленинград, 1967.

65. Дьюи Дж. Школа и общество, М., 1924.

66. Дюркгейм Э., О разделении общественного труда. Метод социологии, М., 1991.

67. Жермена де Сталь, О литературе, рассмотренной в связи с общественными установлениями, М., 1989.

68. Здравомыслов А. Г., Проблема интереса в социологической теории, Ленинград, 1964.

69. Зиммель Г., Социальная дифференциация. М., 1900.

70. Зиммель Г., Общение, Социологические исследования, 1984, № 2.

71. Зиммель Г., Избранное, т. первый, М., 1996.

72. Зиммель Г., Избранное, т. второй, М., 1996.

73. Зомбарт В., Социология, Ленинград, 1923.

74. Зонтаг Сьюзен, Против интерпретации, Иностранная литература, 1992, № 1.

75. Зонтаг Сьюзен, "Мюриель" Алена Рене. Искусство кино. 1992, № 12.

76. Ивер-Жадью Э., Монородительские семьи во Франции, Социологические исследования, 1991, № 5.

77. Кассис Б., Колосов Л., Стуруа М., Тирания вещей, М., 1988.

78. Кимелев Ю. А., Философия религии. Современная западная философия (Словарь), М., 1991.

79. Коллингвуд Р. Дж., Новый левиафан или человек; общество, цивилизация и творчество, Социологические исследования, 1991, № 11.

80. Комаров М. С., Социальная стратификация и социальная структура.

Социологические исследования, 1992, № 7.
81. Конев В. А., Социальное бытие искусства, Саратов.1975.
82. Корнфорт м., Открытая философия и открытое общество, М., 1973.
83. Костелло С., Райт Э., Хейчен Х., Спрейг Д., Классовая структура американского общества, социологические исследования, 1984, № 1.
84. Краткий словарь по Социологии , М., 1988.
85. Кроче Б., О так называемых суждениях ценности, Логос, 1910, кн. II.
86. Курбатов В., О пользе интерпретации. Иностранная литература, М., 1992, № 1.
87. Лабиринты одиночества, М., 1989.
88. Лекции по политологии, Таллин, 1991.
89. Липсет С. М., Американская социология в наши дни,"Америка", № 99.
90. Льюис Клайв С., Любовь, Вопросы философии, 1989, № 8.
91. Маркузе Г., Эрос и цивилизация, Киев, 1995.
92. Мерло-Понти М., Философ и социология, Вопросы социологии, 1992, № 1.
93. Мертон Р., Социальная структура и аномия. Социологические исследования, 1992, .№ 2,3,4.
94. Мертон Р. и Брумм Л. Социология сегодня, М., 1965.
95. Мертон Р., Мид Дж., Парсонс Т., Шюц А., Американская социологическая мысль, М., 1994.
96. Миллс Р., Властвующая элита, М., 1959.
97. Михельс Р., Социология политической партии в условиях демократии, "Диалог" 1990, № 1,3,5,7,9,11,13,15,17.
98. Морган Л., Древнее общество, Ленинград, 1934.
99. Морено Дж. Социометрия, М., 1948.
100. Моска Г., Правящий класс. Социологические исследования, 1994, № 10.
101. Новая технократическая волна на Западе, М., 1987.
102. Новые идеи в философии, 1913, № 6.
103. Новые направления в социологической теории, М., 1978.
104. Оранский С. А., Основные вопросы марксистской социологии, Ленинград, 1929.
105. Осипов Г. В., Современная буржуазная социология, М., 1986.
106. Осипов Г. В., Социология, М.,1990.
107. Перспективы. Вопросы образования, 1987, № 1.
108. Платон, Соч., т.III, ч.2, М., 1987.
109. Поппер К., Открытое общество и его враги, т.1. М., 1992.
110. Поппер К., Открытое общество и его враги, т. II, М., 1992.
111. Проблемы социальных изменений XX века, М., 1957.

112. Психология личности, тексты, М., 1982.
113. Пэнто Л., Интеллектуальная докса, Socio-logos, 1996.
114. Рабочая книга социолога, М., 1992.
115. Рассел Б., История западной философии. М., 1973.
116. Рубинов А., Семья, одиночество, любовь, Москва,1986.
117. Руткевич М. Н., Филиппов Ф. Р., Социальные перемещения, М., 1970.
118. Рюгемер В., Новая техника, старое общество. М., 1988.
119. Сартр Жан-Поль, Первичное отношение к другому: любовь, язык, мазохизм, Проблемы человека в западной философии, М., 1988.
120. Сафронов С., Свято место пусто не бывает, Совершенно секретно, 1997, № 8.
121. Седельников О. С., Позиции супругов и типологические особенности реакции на развод. Социологические исследования, 1992, № 2.
122. Синельников А. Б., Социально одобряемые причины развода в прошлом и настоящем, Социологические исследования, 1992, № 2.
123. Семенов В. С., Капитализм и классы, М., 1969.
124. Семья и общество, М., 1982.
125. Семья как объект философского и социологического исследования, М., 1975.
126. Серебряков С.Б., Трактат Ибн Сины (Авиценны) о любви, Тбилиси, 1979.
127. Словарь античности, М., 1989.
128. Смелзер Н., Социология, М., 1994.
129. Смелзер Н., Социология, Социологические исследования, 1991, № 2.
130. Сноу Ч. П., Две культуры, М., 1973.
131. Сови А., Общая теория населения, т. I, М., 1977.
132. Современная западная социология (словарь), М., 1990.
133. Современное немарксистское мышление о сущности философии, Тбилиси, 1990.
134. Сорокин П., Учебник социологии, ч.I, 1920.
135. Сорокин П., Человек, цивилизация, общество, М., 1992.
136. Стабильность семьи как социальная проблема, М., 1978.
137. Социальные отклонения, М., 1989.
138. Социо-логос, М., 1992.
139. Социология преступности, М., 1966.
140. Спенсер Г., Основания социологии, т. I, М., 1898.
141. Спенсер Г., Основания социологии, т. II, М., 1899.
142. Спенсер Г., Социология как предмет изучения. СПб., 1896.

143. Спенсер Г., Грехи законодателей. Социологические исследования, 1992, № 2.
144. Тард Г., Происхождение семьи и собственности, СПб, 1906.
145. Тернер Дж., Структура социологической теории, М., 1988.
146. Франк С., Очерки методологии общественных наук, М., 1928.
147. Франкл В., Человек в поисках смысла, М., 1991.
148. Фрейд З., Психология бессознательного. М., 1990.
149. Фриче В., Социология искусства, Москва-Ленинград,1929.
150. Фромм Э., Искусство любви. Минск, 1990.
151. Фромм Э., Иметь или быть, М., 1991.
152. Фромм Э., Бегство от свободы, М., 1990.
153. Харчев А.Г., Брак и семья в СССР, М., 1979.
154. Харчев А.Г., Голод А.И., Профессиональная работа женщин и семья. Л., 1971.
155. Харчев А.Г., Мацковский М. С., Современная семья и ее проблемы. М., 1978.
156. Хрестоматия по истории зарубежной педагогики, М., 1971.
157. Шаран П., Сравнительная политология, ч. I, М., 1992.
158. Шварценберг Р. Ж., Политическая социология, ч. I, М., 1992.
159. Шибутани, Социальная психология, М., 1969.
160. Штаммлер Р., Хозяйство и право, т.1, Санкт-Петербург, 1907.
161. Щепаньский Ян., Элементарные понятия социологии, М., 1969.
162. Юркевич Н.Г., Советская семья, функции и условия стабильности, Минск, 1970.
163. Яблоков Н.Я., Социология религии, М., 1979.
164. Янкова З.А., Городская семья, М., 1979.
165.Dahrendorf R., Fragmente eines neue Liberalismus, Stuttgart, 1987.
166. R. Dahrendorf, Soziale Klassen und Klassenkonflikt in der industr ilin Gesellschaft, Stuttgart, 1957.
167. H. Dreitzel, Elitebegriff und Sozialstruktur, Stuttgart, 1962.
168. Geiger T. Die Klassengeselschaft im Schmelztiegel, Köln 1949.
169.Hesse G. Ich habe also bin ich, München 1984.
170.H. Jeaggi. Die Gesellschaftliche Elite, Bern. 1965.
171. Soziale Schichtung und soziale Mobilität. Herausgegeben von D wid Glass und Rene König, Köln und Opladen, 1961.
172.Theo Thilders. Zur gesellschaftspolitischen Funkzion der Elitetheorie, Gewerkschaftliche Monatschäfte, 1955, N 6.
173.Weber A., Prinzipien der Geschichts und Kultursoziologie, München, 1951.
174.M. Weber, Gesammelte Aufsätze zur Wissenschaftslehre. Tübingen, 1922.

175.Leopold von Wiese, Gesellschaftliche Stände und Klassen, Bern. 1950.

დამატებითი ლიტერატურა

176.Философия любви, т. I, Москва, 1990.
177.Философия любви, т. II, Москва, 1990.
178.Rickert H., Die Grenzen der naturwissenschaftlichen Begrifsbildung.
179.Rickert H., Allgemeine Grundlegung der Philosophie., 1921.

შინაარსი

თავი 3

ზოგადობის თეორია 3

ზოგადობის კატეგორიების ადგილი სოციოლოგიაში 3

ზოგადოება და საზოგადოებანი 15

ინდუსტრიული საზოგადოება 19

იუხვის, საყოველთაო კეთილდღეობისა და მომხმარებლური საზოგადოება 42

ოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია 54

6. ღია და დახურული საზოგადოება 70

II თავი 92

სოციალური სტრუქტურის თეორია 92

1. სოციალური სტრუქტურების საკითხის აქტუალიზაცია 92

2. სოციალური სტრუქტურის ცნება 95

3. სოციალურ სტრუქტურათა კვლევის ძირითადი მიმართულებანი
და მეთოდოლოგიური პრინციპები 99

4. პიროვნება, სტატუსი, როლი და სოციალური სტრუქტურა 106

5. სოციალური როლები 116

6. კლასების მარქსისტული მოძღვრების კრიტიკა თანამედროვე სოციოლოგიაში 124

7. კლასების დარენდორფისეული თეორია 136

8. სოციალური სტრატიფიკაცია 148

9. გაიგერი სოციალური ფენების შესახებ 154

10. ელიტური სტრუქტურის თეორია 159

11. თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურის ერთ-ერთი მოდელი 189

12. ნომენკლატურა, როგორც კლასი 197

13. სოციალური მობილობა 207

ლიტერატურა 220

Эдуард Иванович Кодуа

СОЦИОЛОГИЯ

Часть I
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1998

გამომცემლობის რედაქტორი თამარ გუბელაია
ტექნიკური რედაქტორი თამარ ფირცხელანი
კორექტორი ცირა მოლოდინი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.05.98
ქაღალდი 60X84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,25
სააღრ-საგამომც. თაბახი14,09
ტირაჟი 1000 შეკვეთა 43

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ., 14

შპს „პოლიგრაფისტი“

სურამის ქ. 13